რთველო ბეჭედია ბაჯაღლო და თბილისი – შიგ ჩასმული ბადახში

www.tbiliselebi.ge

№50(676)

1,50 ლარი



გვ. 75

რა იყო მოულოდნელი ნიკა ლაზარიაშვილისთვის და რა სტიმულს აძლევს მას ქეთა თოფურია

რა სიურპრიზი მოუწყო თბილისის აეროპორტში ამერიკიდან ჩამოსულ მეუღლეს გოჩა ჩერტკოევმა და რის გამო ჩამოაკითხა მას ცოლმა შორეული ამერიკიდან

გვ. 19

გვ. 74

რა შანტაჟს არ მიმართავს არასდროს ლაშა რამიშვილი და რისთვის არ მოითხოვს ის პასუხს



გვ.22

როგორ გაიცნო მირანდა მირიანაშვილმა ლარს ფონ ტრიერი და სად დაესწრო მისი „ნიმფომანიაკის“ დახურულ ჩვენებას



როდის უნდება კივილი გიორგი სუხიტაშვილს და ვინ ცდილობს მისი დალაგებული ცხოვრების არევას

გვ.18



რა ტრადიცია დაარღვევინა ალეკო ელისაშვილს პრეზიდენტმა და რაზე ვერ დაითანხმეს ის

გვ.14



გვ. 12

რატომ გახდა განხილვის საგანი გია ჯაველიძისა და ბუშის ერთობლივი ფოტო და რა გაუგებრობა მოხდა ორჯერ ფოტოგრაფსა და კონდოლიზა რაისს შორის

# მშვიდობიან კვირას გისურვებთ!



ტურისტული სააგენტო

საქართველო





გთავაზობთ
კომფორტულ
ავტობუსებსა და
მიკროავტობუსებს
გაქირავებით.
ტელ.: * 18 18
2 18 18 18

## ტურისტული კომპანია

## „საქართველო"

აწყობს აქციას საქართველოს მოსახლეობისთვის: ყოველ შაბათ-კვირას გთავაზობთ ერთდღიან ტურებს ქართლისა და კახეთის მიმართულებით, სადაც შეგიძლიათ, იმოგზაუროთ და მოინახულოთ საქართველოს ისტორიული და კულტურული ძეგლები. ავტობუსები ყოველ შაბათ-კვირას დილის 8 საათზე გადის სპორტის სასახლიდან. ტურის ღირებულება შეადგენს 20 ლარს. ტური ჩატარდება ნებისმიერი ამინდის პირობებში.

დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ:
ტელ.: *18 18, ან, გვეწვიოთ „ფეისბუქის" ოფიციალურ გვერდზე:
ტურისტული კომპანია „საქართველო"

## საფინანსო კომპანია საქართველო,

ვიღებთ მოსახლეობისგან სესხს წლიურ 30 %-ად. ასევე, კომპანია გთავაზობთ ავტოსალომბარდო მომსახურებას ყველაზე დაბალ პროცენტად, ავტომობილების ადგილზე დაზღვევით და გადაფორმებით. ავტოდაზღვევას უზრუნველყოფს სადაზღვევო კომპანია „ალდაგი ბისიაი"

www.saqartvelocompany.ge
მის. აღმაშენებლის გამზირი №151
ტელ: * 18 18



# სარჩევი


რის გაკეთება შეუძლიათ აფხაზებს მეგრული სეპარატიზმის გასაღვივებლად და რატომ განიცდიან მეგრელებისა და სვანების დისკრიმინაციას საქართველოში .......... 6

რატომ ვართ წელს იმაზე მშივრები, ვიდრე ვიყავით შარშან და როგორ მოირგეს ახლებმა ძველების მიერ დანიშნული ხელფასები .......................... 8

რა თანხას ინახავს დავით საგანელიძე ექვს ანაბარზე და რამდენი ჰქონდათ ნაღდ ფულად მისი ოჯახის წევრებს ბოლო დეკლარაციის შევსების დროს .... 9



როგორ აპირებს გამოცდების ცენტრი ბრმად მოპასუხე აბიტურიენტების 5-6 პროცენტამდე შემცირებას და სხვა რა სიახლეებს სთავაზობს გამოცდების ცენტრი აბიტურიენტებს ...................... 10

რატომ გახდა განხილვის საგანი ფოტოგრაფ გია ჯაველიძისა და ბუშის ერთობლივი ფოტო და რა გაუგებრობა მოხდა ორჯერ ფოტოგრაფსა და კონდოლიზა რაისს შორის ................... 12

როგორ ქორწინდებიან მოხუცები თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატში და რას უგროვებენ აქაური მოხუცები შვილებს ............................................... 13

რა ტრადიცია დაარღვევინა ალეკო ელისაშვილს პრეზიდენტმა და რაზე ვერ დაითანხმეს ის .............................. 14

ადვოკატი გირჩევთ.......16



როდის უნდება კივილი გიორგი სუხიტაშვილს და ვინ ცდილობს მისი დალაგებული ცხოვრების არევას ....... 18

რა სიურპრიზი მოუწყო თბილისის აეროპორტში ამერიკიდან ჩამოსულ მეუღლეს გოჩა ჩერტკოევმა და რის გამო ჩამოაკითხა მას ცოლმა შორეული ამერიკიდან ......................... 19

რა შეიძლება აკლდეს ქმრისგან განებივრებულ ქალს და როგორ იძიებს შურს მესაკუთრეზე ის ....................... 20

რატომ ეძებს რუსეთში მცხოვრები შვილიშვილი ბაბუას თერჯოლის რაიონის სოფელ ჩხარში და როგორ დააშორა ერთმანეთს ნათესავები ქართულ-აფხაზურმა ომმა ................... 21

როგორ გაიცნო მირანდა მირიანაშვილმა ლარს ფონ ტრიერი და სად დაესწრო მისი „ნიმფომანიაკის“ დახურულ ჩვენებას ............................. 22

რა გველის 2014 წელს ........................... 23



რატომ აქვს ქრისტიანის ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა შაბათ-კვირას და როდის არ შეუძლია ადამიანს მარხვის მნიშვნელობის გაგება ......... 24

მოძღვარი გვირჩევს .... 25

მსოფლიო ფეხბურთის მწვეველი ვარსკვლავების ტოპ-ათეული ............. 26

ბრიტანული კინოს ახალი ვარსკვლავი – ბენედიქტ კამბერბეტჩი ..................... 27

„ფორბსის“ ყველაზე უცნაური მილიარდერების ტოპ-ხუთეული .......... 27

ექიმის რჩევები ........................................ 29

როდის გაირბინა რამაზ ჩხიკვაძესა და რობიკო სტურუას შორის „შავმა კატამ“ ....................................................... 30

რას უნდა მივაქციოთ ღამით ყურადღება და როგორ მივიღოთ ძილის დროს ინფორმაცია მომავალზე .......... 32

კოსმეტოლოგის რჩევები ...................... 34

როგორ იღებდა სტალინი გადაწყვეტილებებს ................................ 35



შეკითხვა ასტროლოგს......36

როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები............46

ვინ ექცეოდა ქართველ მსოფლიოს ჩემპიონს სამბოში უსამართლოდ და რატომ გულშემატკივრობდა რუსი მაყურებელი ქართველ სპორტსმენს ........................ 47

როგორ ძარცვავდა შემნახველ სალაროებს ცნობილი მძარცველის – „ქორის“ ბანდა ......................................... 48

რატომ მალავდა მკვლელობის ერთადერთი მოწმე ინტიმურ კავშირს დედის მკვლელთან ............................... 49

ვეტერინარის რჩევები .......................... 50



ფლორის სამყაროში .. 50

რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს .. 51

ქურდული ცხოვრება ... 64

სერიული მანიაკები .... 68

როგორი იყო ნოე რამიშვილის პოლიტიკური კურსი და რა თანამდებობებს იკავებდა ის დამოუკიდებელი საქართველოს პარლამენტში ........................................ 72

რა სენსაციური აღმოჩენის ავტორები გახდნენ ქართველი მეცნიერები და როგორ ცდილობდნენ ევროპელები მათი გამოგონების მოპარვას .............. 73



**ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“**

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ზაზა ახობაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ალექსანდრა ნაკაიძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი **ზაალ ცინაძე**

**რედაქციის მისამართია:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47




**განყოფილებები**

პოლიტიკა: რედაქტორი – ნინო ხაჩიძე, ჟურნალისტი – თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია, ქეთი დიდებულიძე
რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე, რევაზ ტომარაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე

დაიჯესტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია ნუცუბიძე
სპორტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა წერეთელი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: ზური ქავთარაძე, ლექსო ხარიტონაშვილი
მხატვრები: ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე

დირექტორი: გუგა ახობაძე
ოფისმენეჯერი: ინგა კერვალიშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჟავანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მანანა დოლიაშვილი, მაია ფირცხალავა, ხატია ჟღენტი
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

ტელ: 239-25-52; 599 10-15-20 239-23-52

სარეკლამო სამსახური: 593 38-75-61; 239-23-53

დამფუძნებელი: შპს „თბილისელები პლუსი“
იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში“

ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: tbiliselebi2001@gmail.com; tbiliselebi2001@yahoo.com

# შერჩევითი ჩარევა

## მეხსიერების მაღვიძარა

**თვითმმართველობის კოდექსის პროექტს ისეთი ვნებათაღელვა მოჰყვა**, რომ, **სულ დაწვრილებით გაუხსენეს „რესპუბლიკელებს“, სად და რას ამბობდნენ საქართველოს სეპარატისტული რეგიონების შესახებ** (ასე მაგალითად: „ჩემთვის მთავარია, აფხაზეთი იყოს დემოკრატიული და არ აქვს მნიშვნელობა, ვის შემადგენლობაში იქნება ის“; „მე




**ჩემს წარმოსახვაში უკვე მიკიდია რუკა, რომელზეც აფხაზეთი არ არის საქართველოს შემადგენლობაში**“).

ამ ჩვენი **საზოგადოებრივი მეხსიერების მიძინებული შენაკადების გაცოცხლებაში ლომის წილი** „რესპუბლიკური პარტიიდან“ შუალედური არჩევნებით საკანონმდებლო ორგანოში მოხვედრილ **თამარ კორძაიას მიუძღვის, თუმცა, რაღა ლომის – გამოაფხიზლა და ეგ არის**. –

მას შემდეგ, **რაც პატრიარქმა თავისი უარყოფითი პოზიცია გამოხატა თვითმმართველობის კოდექსის არსებული პროექტის მიმართ** – ის უნდა შეიცვალოს, თორემ, საქართველოს დაშლისო, **– კანონმდებელმა** ქ-ნმა **კორძაიამ ენამოსწრებულად შენიშნა, რომ პატრიარქს ერთი საპარლამენტო მანდატი ეკუთვნისო.**

**ხალხის ამ კონკრეტულმა რჩეულმა**, რომელიც ნაძალადევის რაიონში იყრიდა კენჭს და **რომლის გადეპუტატებაში,** ისევე, როგორც მისი კოლეგების აბსოლუტური უმრავლესობისა, **მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის ფაქტორი იყო გადამწყვეტი** (დაახლოებით, ასეთი პრინციპით: **ვირჩევთ ივანიშვილს, შემოვხაზავთ კორძაიას**), თავისი **ფრთიანი ფრაზით მიანიშნა, რომ საპატრიარქო ზომაზე მეტად ერევა ამ ჩვენი ჭკუით და რუხი ნივთიერებით დაყურსული კანონმდებლების კანონშემოქმედებით შრომა-ღვწაში.**

მეორე მხრივ, **შესაძლოა, ერევა კიდეც**, მაგრამ, **გაუგებარია, რატომ აწუხებს ჩარევის ფაქტი სახელდობრ ქ-ნ კორძაიას**, როდესაც, მაგალითად, **ბიძინა ივანიშვილი რომ არ ჩარეულიყო არჩევნებში, პარლამენტის შენობაში მხოლოდ ექსკურსიაზე თუ მოხვდებოდა?!** –

# ჯაყო გაკომუნისტებულა

შესაძლოა, იმიტომ, რომ **ჩვენი ხელი მოაკლდათ, იქნებ, ჩვენი გულის სითბოც**, ან, სულაც, **თვალების ცეცხლი**, ამ ჩვენი **„იუჟნაია ოსეტიად“ გადანათლული ცხინვალის რეგიონის მხოლოდაღიარებული „პრეზიდენტი“ ლეონიდ თიბილოვი**, ყურებს რომ არ დაუჯერებ, ისეთ განცხადებას აკეთებს განცხადებაზე.

მაგალითად, **30 ნოემბერს,** რაკი „იუჟნაია ოსეტიაში“ **„იუჟნაია ოსეტიას რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის“ X ყრილობა ჩატარდა**, მასზე, ბუნებრივია, **პირველკაციც გამოვიდა და ჩვენს სეპარატისტულ სამწყსოს შემდეგი აუწყა: „კომუნისტურ პარტიას თამამად შეიძლება, ვუწოდოთ ყველაზე გავლენიანი პოლიტიკური ძალა „იუჟნაია ოსეტიაში**“, რომელსაც აქვს სერიოზული იდეოლოგიური და საკადრო პოტენციალი (ლენინი)“



**თუ** მოსკოვის კარნეგის ცენტრის დირ-

## „И тебя вылечем“

ექტორ ბ-ნ **მალაშენკოს დავესესხებით**, მოცემულ მომენტში **ცხინვალის რეგიონის მოსახლეობა მოსკოვის ერთი მცირე ქუჩის მოსახლეობას უტოლდება** (და მე ეს სულაც არ მიხარია), შესაბამისად, **გაკომუნისტებული ჯაყოების, მაინცდამაინც, მძლავრ და წამლეკავ ტალღასაც არ უნდა ველოდოთ**. მაგრამ, თუ გავიხსენებთ, რომ ჩვენს ფანჯრებში XXI საუკუნეა, **ხალხი მარსზე დასასახლებლად ემზადება, ამ ჩვენს თიბილოვს კი კომუნისტური პარტიის მიერ დაფრთიანებული კადრების იმედი აქვს** „იუჟნაია ოსეტიას“ გაბრწყინებული მომავლის შესაქმნელად, **დროა, ყოველმხრივ აღჭურვილი ფსიქიატრიული კლინიკის ასაგებად დავფაცურდეთ**.

# ოკეანდალეული

მართალია, **მისი გონება ცოდნასაა დაწაფებული**, ხოლო **ჯიბე – საპარლამენტო ხელფასს** (ნეტავ, ოდესმე ველისრებით, ჯერ ისწავლონ და მერე წამოასხდნენ, რა თქმა უნდა, სკამებს?), მაგრამ **მისი სულ-გული საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებას ქორივით დასტრიალებს.** –

ჰოდა, **რაკი ქორივით დაწრიალებს**, თუმცა ოკეანის გაღმაა, ქ-ნი **საჯაია პაატა ზაქარეიშვილის რუსეთის მიმართ გამოთქმულ მკვეთრ განცხადებებს გამოეხმაურა და არც შეფასება დაგვამადლა** (ოკეანის გაღმა ნასწავლი მაინც სულ სხვაა!), **ერთი ისაა, სოციალური ქსელით** (საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ეს ხელფასშენარჩუნებული კონკრეტული ხალხის რჩეული, **სანამ ყველა უმაღლეს სასწავლებელს არ მოივლის დასავლეთში, პარლამენტის შენობაში ყელსაბამიც რომ შეუგდო, ახლოს არ გაეკარება**!).



კერძოდ, აგვიხსნა: „**ზაქარეიშვილის რიტორიკის ცვლილება იმითაა გამოწვეული, რომ ბიძინა ივანიშვილმა უკრაინაში განვითარებული მოვლენების თბილისში გამეორების საშიშროება იგრძნო.“**

თუ გავიხსენებთ, რომ **გამჭოლ ლოგიკურობას მაინცდამაინც ვერ დავაბრალებდით,** ამჯერად **სათქმელი რიტორიკული შეკითხვების კასკადის სახით ჩამოაყალიბა** (მომყავს ციტატა, სხვა რა გზა მაქვს, როცა მისი ბაგეებით თქმულს ვერა და ვერ ველირსე?!):

# შემომსხდარნი

„**გამახსენეთ, ეს ის მინისტრი არ არის**, რომელიც ამბობდა, ჟენევის ფორმატი კარგია, მაგრამ, არაეფექტური და, ამიტომ, ჯობია, **პირისპირ, ერთი-ერთზე ველაპარაკოთ რუსეთსო?!** ეს ის მინისტრი არ არის, რომ ამბობდა, **რა ვქნათ, „გამყოფმა“ (რეალურად კი – საოკუპაციო) ხაზმა რომ გამოიწიაო**; რუსი ჯარისკაცი ტუალეტში რომ შევა, იმაზეც ხომ არ გამოვეკიდებითო?! და **რომლის სამინისტრომაც შემოიტანა ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონში ცვლილება?!“**

სიმართლე გითხრათ, **პირადად მე მიჭირს, მივყვე ამ ჩვენი ცოდნასმოწყურებული დეპუტატის აზრთა დინებას,** თუმცა, მისი **დიდაქტიკური გაფრთხილების ბოლო ფრაზას თუ გავიხსენებთ: „ჰოდა, ცოტა გაფრთხილდნენ“,** როგორც ჩანს, **ოკეანის წყალმა თვითდაჯერებულობა შეჰმატა.**

მართალია, კვლავაც **ვერ დამიდგენია, რა დამსახურებისთვის ვუხდით სადეპუტატო ხელფასს, დანამატ-სატრანსპორტო ხარჯიანად,** თუმცა, **თუ გავიხსენებთ, რომ სადაზღვევო კომპანიები 23 წლამდე ასაკის მძღოლებს ავტომანქანებს არ უზღვევენ** (იმიტომ რომ ზარალში არ აღმოჩნდნენ, რამეთუ, 23 წლამდე მოქალაქეს თავში უქრის), 21 წლის დეპუტატის არსებობის ფაქტი მოწმობს, რომ **ქვეყნის კანონმდებლობის ბედს თვით ავტომანქანების უსაფრთხო მომავალთან შედარებითაც კი ჩალის ფასი ჰქონია!** –

# „ავადა ვარ, ავადა...“

## ანუ, „გომბიოს ბუმბულში აწვენდნენო“

რაკი **უკვე პარაფირებულები ვართ, იმედიც გვაქვს, რომ**, ადრე თუ გვიან, **ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლასაც გამოვკრავთ ხელს** და **სხვა ევროპულ სიამეებსაც** (პირადად მე 5 000-ევროიანი პენსიის მოლოდინით ვსულდგმულობ), **ჩვენებურ სეპარატისტებსაც ვაუწყეთ, რომ მათაც შეეძლებათ, ჩვენთან ერთად დაეწაფონ ევროპულ სიტკბოებას**, მაგრამ, შესაძლოა, **რაკი „ვირმა რა იცის, ხურმა რა ხილია“, კეთილ სურვილებზე წიხლი გვიკრეს.**



სახელდობრ, **აწ უკვე გაექსპერტებულმა ჩვენებურმა სეპარატისტმა ინალ ფლიევმა განმარტა**, რომ, **ვინც ამას ამბობს, არ იცნობს „იუჟნაიაოსეტიურ“ რეალიებს**. კერძოდ, იმას, რომ (მოვიხმობ ციტატას): **„იუჟნაია ოსეტიას“ აქვს კონტაქტი იმ ქვეყნებთან, რომლებთანაც უნდა და თავისუფლად ვმოძრაობთ იქ, სადაც გვინდა** (გაფიცებ „იუჟნაია ოსეტიას“ დამოუკიდებლობას!)“.

ზედაც, **სახელდახელო ლოგიკური ამოცანაც შემოგვთავაზა:** „ერთი მხრივ, **თუ შევადარებთ საქართველოს რამდენ მოქალაქეს უნდა რუსეთში წასვლა**, მეორე მხრივ კი, **რამდენ „იუჟნაიაოსეტიელს“ – დასავლეთ ევროპაში**, ვნახავთ, რომ **პირველთა რაოდენობა მეტია** (ბ-ნ ფლიევს, აშკარაა, ციფრებში გარღვევა აქვს – სადღაა „იუჟნაია ოსეტიაში“ მოსახლეობა?!).“

ხოლო, **რაკი სეპარატისტებს უვიზოდ შეუძლიათ მიმოსვლა რფ-სთან, „იუჟნაია ოსეტიაში“ შესვლასაც გვთავაზობს, რუსეთში რომ უვიზოდ იაროთო** („აგრე ვიცის ჯაყომა“!).

მართალია, **იქვე დასძენს, „შუტკააო“,** მაგრამ, **თუ მის აზრთა მდინარებას მივყვებით და** დავამატებთ, რომ „იუჟნაია ოსეტიას“ ბიუჯეტის 92 პროცენტი დოტაციურია, დარჩენილი 8 პროცენტი კი რფ-ს ბაზებსა და „სახსტრუქტურებში“ დასაქმებულთა მიერ გადახდილი საშემოსავლო გადასახადებით ივსება, ეს ის შემთხვევაა: **„გომბიოს ბუმბულში აწვენდნენ, ის კი, „ფუჩეჩ-ფუჩეჩს“ გაიძახოდაო“.** –

# იზოლაციის ხიბლი

## ანუ, დაგვიანებული არითმეტიკა

კარგა ხანია, ვიცით, რომ **ყოფილი პრემიერ-მინისტრისა და „ნაცმოძრაობის“ გენმდივნის სასამართლო პროცესები ქუთაისში იმართება, რაც** მთელი ამ ხნის განმავლობაში **ბრალდებულის აღშფოთებას იწვევდა და იწვევს**, მოტივით – **ვიღლებიო**.

თუმცა, სულ **ახლახან** (შესაძლოა, იმიტომ რომ **განმარტოება ადამიანს უხდება – აბა, მაშინ რატომ ჩაჯდებოდა დიოგენე საკუთარი ნებით კასრში?!)** ბ-ნმა **მერაბიშვილმა სრულიად სხვა ჭრილში დაგვანახვა პრობლემის არსი** (პათოსით: ჯანდაბას, ჩემი დაღლილობაო).



კერძოდ, **თეთრ-თეთრ დაითვალა ხარჯი, რასაც ხელისუფლება სასამართლო პროცესის თბილისში ჩატარებით დაზოგავდა**. მოვიხმობ ციტატას: „საკმაოდ დაფასებული ესკორტით მოვდივარ და, საბადრაგო მანქანის გარდა, 4 „პიკაპი“ მომყვება. **მხოლოდ ჩემი ჩამოსვლა 5 000 ლარი უჯდება სახელმწიფოს და ამაში არ შედის პროკურორების მივლინებისა და მოწმეების ტრანსპორტირების ხარჯები.“**

შესაბამისად, იქვე **გაანგარიშებაც შემოგვთავაზა: „5 000 ლარი ეს არის 60-70 პენსიონრის პენსია და 100-ზე მეტი სოციალურად დაუცველ პირზე დახმარების ხარჯები.“** შესაბამისად, დაასკვნა: რომ ამ ფულით ბევრი კეთილი საქმის გაკეთება შეიძლებოდა. –

**ლოგიკა**, უდავოდ, **დამაჯერებელია და ბიუჯეტისთვისაც მეტად ამაგდარი**, თუმცა, თუ გავიხსენებთ, რომ **ამაზე მეტს ხარჯავს ბიუჯეტი პარლამენტართა ქუთაისში მოძრაობაზე** და იმ პარლამენტის თბილისში დაბრუნებას, მათ შორის, ბ-ნი მერაბიშვილიც ეწინააღმდეგება, ზედაც, **იმ პარლამენტის აშენებისთვის მიფშვნილ რამდენიმე ასეულ მილიონ ლარს დავუმატებთ** (შადრევნებში, ბრჭყვიალა ხიდებსა და სხვა ამგვარობებში გადაყრილ ფულზე აღარ შევჩერდები, მასაჟისტების ჩათვლით), **ამოცანა გვეკითხება** (ბ-ნ მერაბიშვილს დავესესხები): **ამ ფულით რამდენი კეთილი საქმის გაკეთება შეიძლებოდა?!** –

# მკვდარს აკიდებული

## შენ რომ ჩემთვის თავის დაცვა არ გისწავლებია?!

რაკი წლებია, **ისე დავიბედეთ, რომ ISAF-ის მისიაში თავი უნდა გამოვიჩინოთ** არა მხოლოდ ავღანეთში მივლენილი **სამხედროების რაოდენობით, არამედ – ყველაზე ცხელ წერტილში სამსახურითაც**, სავსებით **ბუნებრივია, იქიდან არც „ნატოს“ ჯარების გასვლის შემდეგ მოვდივართ.**

არ მოვდივართ, **რადგან, ავღანელებს სამხედრო საქმე უნდა შევასწავლოთ** (ეს ჩვენი კეთილი გული დაგვღუპავს საბოლოოდ). – მაგრამ, როგორც გასულ კვირას შევიტყვეთ, **მხოლოდ ამით არ ამოიწურება მარაქაში გარევის ჩვენებური მცდელობა:** თავდაცვის მინისტრის ინფორმაციით, **საქართველო ISAF-ის მისიის ფონდში ერთ-ნახევარ მილიონს გადარიცხავს** (ეს რომ ბ-ნ მერაბიშვილს სცოდნოდა, ამ თანხასაც მიათვლიდა იმ კეთილ საქმეებს, რომლებზეც მიგვანიშნა).

ისიც ვიცით, რომ **ეს მილიონ-ნახევარი ავღანელი ჯარისკაცების მომზადებას მოხმარდება**. ხოლო, **რაკი ეს ფინანსური ვალდებულება საქართველოს 2 წლის წინ-ათ აუღია**, მთლად **მოქმედ მინისტრსაც ვერ მოვთხოვთ მასზე პასუხს** და, მეორე მხრივ, **ისიც ფაქტია, რომ ბიუჯეტიანი და თავმოყვარე ქვეყანა მილიონ-ნახევარს** მაინცდამაინც **არ უნდა მისტიროდეს** (მაგრამ, რომ მიმეტირება?!).

იმის გათვალისწინებითაც, რომ **მადლი ქენი, ქვაზე დადეო**, **ინიციატივა არცთუ დასაგმობია**, ოღონდ, **თუ გავიხსენებთ, რომ** ავღანეთში, ანუ **ISAF-ის ოპერაციებში ჩვენი სამხედროები გამოცდილებას კოალიციის სამხედრო მიზნების შესრულებაში იღებენ** (რაც ნაკლებად გამოადგებათ ჩვენი ნაციონალური ინეტერსების მისაღწევად), **ჩვენ რომ გვჭირდება, იმ სამხედრო გამოცდილებას, ნეტავ, ავღანეთში დემოკრატიის დამყარების შემდეგაც არ მიგვაღებინებენ?!**

**გვერდები მოამზადა**
**ნინო ხაჩიძე**

ნდობის ტელეფონი
ინფიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან

ზარი ფასიანია

**აფხაზეთის ეგრეთ წოდებული უშიშროების საბჭოს მდივნის პოსტიდან სტანისლავ ლაკობას წასვლის მიზეზად პირველ პირ ანქვაბთან შეუთავსებლობა დასახელდა. ამ შეუთავსებლობის მიზეზი კი გალელი ქართველების პასპორტიზაციაა: რასაც ემხრობა ბ-ნი ანქვაბი, ხოლო ბ-ნი ლაკობა (და არა მხოლოდ ის) წინააღმდეგია. მეტიც, აფხაზეთის ქართველების ფაქტორმა დიდი არეულობა შეიტანა აფხაზურ პოლიტიკურ ელიტაში. განიხილება სხვადასხვა ვარიანტი: გალელების აფხაზურ ფესვებთან დაბრუნებით დაწყებული და მათთვის ყველანაირი სამოქალაქო უფლების ჩამორთმევით დამთავრებული. რატომ შეასრულა ბზარის როლი ქართულმა ფაქტორმა და რა საფრთხეს შეიცავს ის რუსეთის მიერ მხოლოდაღიარებული აფხაზეთისთვის? – პასუხების მიღებას ებრაელი პოლიტოლოგისგან, აბრაამ შმულევიჩისგან შევეცდებით.**

# რის გაკეთება შეუძლიათ აფხაზებს მეგრული სეპარატიზმის გასაღვივებლად და რატომ განიცდიან მეგრელებისა და სვანების დისკრიმინაციას საქართველოში

**– რატომ იქცა ასე მტკივნეულ პრობლემად, ლამის შიდა დაპირისპირების კატალიზატორად აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველების პასპორტიზაცია?**

– ეს წინააღმდეგობა ჩადებული იყო აფხაზეთის სახელმწიფოს საფუძველში, ისინი იმთავითვე ეთნიკურ სახელმწიფოს აშენებდნენ, ანუ სახელმწიფოს მხოლოდ აფხაზებისთვის, რაც სრულიად ეწინააღმდეგება ცივილიზებულ სამყაროში მიღებულ პოლიტიკურ მოდელს. მეჩვენება, რომ ამ თვალსაზრისით, აფხაზური გამოცდილება ძალიან საინტერესო იქნებოდა, რადგან, თუმცა არსებული ლიბერალური მოდელი საკმაოდ კარგია, მაინც აქვს თავისი ნაკლოვანებები. ვფიქრობ, არც ერთ ქვეყანაში არ არის ის მიდგომა, რაც დღეს აფხაზეთშია, რომ მხოლოდ ეთნიკური აფხაზი შეიძლება, იყოს აფხაზეთის ხელმძღვანელი. აფხაზეთში სომხური თემი მსუბუქად, მაგრამ მაინც ჩამოშორებულია ძალაუფლებისგან, რუსების მდგომარეობის შესახებ ცნობილია.

**– თუმცა, გავრცელებული ინფორმაციით, აფხაზეთში მცხოვრები სომხები მთლიანად აკონტროლებენ ბიზნესს აფხაზეთის ტერიტორიაზე და, თუ ზოგიერთ წყაროს ვერწმუნებით, აფხაზებს არ უშვებენ ადგილობრივ ბიზნესში.**



მე ხშირად მითქვამს და გავიმეორებ: მეგრული ნაციონალიზმი გამოიხატება არა თბილისისგან დამოუკიდებლობაში, არამედ თბილისის დაქვემდებარებაში. ასეთია თანამედროვე მეგრელების დიდი ნაწილის განწყობა

– სომხები ძალიან კონკურენტუნაირიანი ხალხია, შეკრული თემია და არ მგონია, არსებობდეს აფხაზების რეალური დისკრიმინაცია, ამ კუთხით. სიმართლე გითხრათ, პირადად მე ამაზე არაფერი მსმენია, აფხაზებს დიდად არ უყვართ შრომა, სომხები კი უფრო შრომისმოყვარეები და კონკურენტუნარიანები არიან და ამას ვხედავთ არა მხოლოდ აფხაზეთში, არამედ მთელ კავკასიასა და მსოფლიოში. ამდენად, აფხაზები მათ ფონზე აგებენ, მაგრამ პოლიტიკური ხელისუფლება მხოლოდ აფხაზური თემისაა და ეს იმთავითვე ასე იყო ჩადებული მათი სახელმწიფოს მშენებლობაში. როდესაც ისინი სრულ იზოლაციაში იყვნენ, ამას დიდ ყურადღებას არავინ აქცევდა, მაგრამ საინტერესოა, როგორ აპირებენ მომავალში ცხოვრებას ასეთი მოდელით.

**– თუ მათ მიერვე გამოქვეყნებულ სტატისტიკურ მონაცემებს დავეყრდნობით, აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართველზე მეტი სომეხი ცხოვრობს, მაგრამ პრობლემად იქცა სწორედ ქართველებისთვის აფხაზური პასპორტების მინიჭება.**

– რამდენიმე წლის წინათ მითხრა ერთ-ერთმა აფხაზმა ბიზნესმენმა, რომ მომავალი ომი იქნება აფხაზებსა და სომხებს შორისო, მაგრამ მოცემულ მომენტში ეს საკითხი აქტუალური არ არის. საქართველო აფხაზეთის მოწინააღმდეგეა, ისინი ქართველებისადმი ემოციურად სხვაგვარად არიან განწყობილნი, სომხებს კი ჯერჯერობით არ აქვთ არანაირი პოლიტიკური მოთხოვნები. ომიდან მოყოლებული საქართველოს მიერ ისინი განიხილებიან, როგორც აფხაზების მოკავშირეები. ის სტატუს-კვო, რაც აფხაზეთში სომხებთან მიმართებაში შეიქმნა, არ ირღვევა არც აფხაზების, არც სომხების მიერ, ამდენად, ქართველების პასპორტიზაცია აფხაზებისთვის გაცილებით აქტუალურია. თუმცა ეს პრობლემა დაიწყო რუსებთან მიმართებაშიც: არ აძლევენ საცხოვრებელს, ეწევიან მათ დისკრიმინაციას, მაგრამ ეს პრობლემა აქტუალური არ ხდება, რადგან რუსეთის ხელისუფლება ამაზე თვალს ხუჭავს.

**– როდესაც აფხაზები კატეგორიულ უარს ამბობენ არათუ ქართველი დევნილების დაბრუნებაზე, არამედ გალელი ქართველებისთვისაც კი, რომლებიც იქ ცხოვრობენ, მე პასპორტების მიცემას, ხშირად ვეკითხები, როგორ აპირებენ ასეთ პირობებში გახდნენ ცივილიზებული სამყაროს ნაწილი?**

– დიახ, არ მესმის, როგორ აპირებენ აფხაზები მომავალში ასეთი მოდელით ცხოვრებას. შთაბეჭდილება მექმნება, რომ აფხაზები ამას ვერ აცნობიერებენ და ჩემს ერთ-ერთ სტატიაში ამას ვუწოდე „ალყაშემორტყმულ სიმაგრეში სირაქლემის სინდრომი“. აფხაზური მასობრივი ცნობიერება, მოაზროვნეობა ადამიანის დონეზეც კი, მიდრეკილია, თვალი დახუჭოს არსებულ პრობლემებზე და, როდესაც ცდილობ, დაელაპარაკო ამ თემაზე, ეს მათში მკვეთრ უარყოფით რეაქციას იწვევს.

**– ქართველების პასპორტიზაციის მომხრეა მოქმედი „პრეზიდენტი“ ანქვაბი, რაც იქცა განხეთქილების საბაბად აფხაზურ პოლიტიკურ ელიტაში. ანქვაბი რატომ უჭერს მხარს? ცივილიზებულად უდგება ამ საკითხს?**

– მე არ ვიცი, რას ფიქრობს ანქვაბი, მაგრამ არსებობს ორი ვარიანტი: მისი მოწინააღმდეგეები ბრალს სდებენ იმაში, რომ გალელი ქართველების ხმებს იყენებს. ამ ბრალს ჯერ კიდევ ბაღაფშის ხელისუფლებასაც უყენებდნენ და მგონია, რომ ეს რეალური ბრალდებაა. ეს მოდელი საქართველოშიც გამოიყენება, როდესაც ნაცუმცირესობები, რომლებიც დამოკიდებულნი არიან ცენტრალურ ხელისუფლებაზე, მას აძლევენ ხმას.

**– ეს გავრცელებული მოდელია ყველგან, არა მარტო საქართველოში, ცივილიზებულ სამყაროშიც.**

– იგივე ხდება აფხაზეთშიც: აფხაზეთის ქართველები იღებენ რაღაც პრეფერენციებს ხელისუფლებისგან და ამიტომ მათ უჭერენ მხარს. არ ვიცი, რამდენად ესმის ანქვაბს, მაგრამ, თუ აფხაზეთში სურთ თავიანთი სტატუსის ლეგალიზება საერთაშორისო საზოგადოების და არა მხოლოდ პაპუასების თვალში წყნარი ოკეანის აუზიდან, მაშინ უნდა გამოიყენონ ის პოლიტიკური მოდელი, რაც მიღებულია ცივილიზებულ სამყაროში. აფხაზეთის ნებისმიერი მცდელობა, გავიდეს საერთაშორისო ასპარეზზე, მაშინვე წინა პლანზე წამოსწევს ქართველების დისკრიმინაციის პრობლემას. ჩემი აზრით, ან თვითონ ანქვაბს ან მის თანამოაზრეებს, ლაკობა იქნება ეს თუ ჩირიკბა, ხალხს, რომლებიც ცხოვრობდნენ დასავლეთში, ესმით, რომ მომავალში ეს ასე ვერ გაგრძელდება, მაგრამ აფხაზებმა დრო გაუშვეს...

**– გულისხმობთ, რომ თავის დროზე უნდა გაეყარათ გალელი ქართველები?**

– ეთნიკური წმენდა, რომელიც არ მიდის ბოლომდე, სჯობს, არც დაიწყო. არავინ დაობს გალელი ქართველების ადგილობრივ წარმოშობაზე, მაგრამ აფხაზებს უნდა მოეფიქრებინათ რაღაც მოდელი, რაც ამ ქმედებას გაამართლებდა მსოფლიო თანამეგობრობის თვალში. მათ უნდა შეექმნათ რეალური პოლიტიკური მოდელი, რომელიც იქნებოდა დასავლეთში მოქმედი ლიბერალური მოდელის ალტერნატივა. მაგრამ აფხაზეთის ელიტას არ ჰყოფნის არც სითამამე, არც ინტელექტუალური სიმძლავრე, რომ გადაჭრან ეს საკითხი. ისინი ცხოვრობდნ-

გამოიწერეთ ჟურნალი „თბილისელები“
შინიდან გაუსვლელად ყოველ ორშაბათს
ფოსტალიონი მოგართმევთ სახლში
„მაცნე“ – 214-39-06;
„პლანეტა“ – 251-75-21;
„ელვასერვისი“ – 238-80-02;
„ინფოსერვისი“ – 234-11-40, 234-09-35;
„ჯეომედია“ – 295-51-70;
ქ. ბათუმი, „სალუქვაძე და კომპანია“ – 294-32-32

ენ ამ არანორმალურ ვითარებაში და არ უფიქრდებოდნენ, რომ ოდესმე ამ საკითხის გადაჭრა მოუწევდათ.

**– თქვენ ამბობთ, რომ არავინ დაობს გალელების ძირძველ მკვიდრობაზე აფხაზეთში, თუმცა ძალიან საინტერესო მოსაზრება მოვისმინე ამას წინათ აფხაზებისგან, რომ გალელი ქართველები არიან გააფხაზებული ქართველები და ამიტომ ისინი უნდა დაუბრუნონ აფხაზურ ფესვებს.**

– ძალიანაც შესაძლებელია, ისევე, როგორც აფხაზების დიდი ნაწილი არის გააფხაზებული ქართველი. საერთოდ, მოცურავე ეთნიკურობის მოდელი დამახასიათებელია კავკასიისთვის, როდესაც რამდენიმე თაობაში იცვლება ეთნიკური კუთვნილება. მაგრამ ეს მატარებელი წავიდა, თუ ამის გაკეთება უნდოდათ, ადრე უნდა ეფიქრათ და დაეწყოთ 10 წლის წინათ, გამოემუშავებინათ იდეოლოგია, გადაედგათ პროპაგანდისტული ნაბიჯები, დაეწყოთ მათთვის აფხაზური ენის სწავლება. ეს არ გაკეთებულა და არ ვიცი: დღეს როგორ აპირებენ ამის გაკეთებას.

**– როგორც მათი საუბრებიდან მივხვდი, უნდა გააუქმონ ქართული სკოლები, აკრძალონ სწავლება ქართულ ენაზე, განსაკუთრებით, ქართული ლიტერატურისა და ისტორიის.**

– მაგრამ, თუ აფხაზები ასეთ პოლიტიკას გაატარებენ, ეს იქნება ნაციონალური თვითმკვლელობა, იმიტომ რომ ეს ეწინააღმდეგება ყველა საერთაშორისო ნორმას. ამას გარდა, როდესაც ეთნოსს უკრძალავ მშობლიური ენის შესწავლას, ეს მათში იწვევს ძლიერ პროტესტს. და, თუ დღეს გალელი ქართველები მეტ-ნაკლებად ლოიალურები არიან აფხაზებისადმი, თუ დაუხურავენ ქართულ სკოლებს და დაიწყებენ მათ დისკრიმინაციას, ეს გამოიწვევს უკურეაქციას. იმის მიუხედავადაც, რომ გაუგებარია, რას წარმოადგენს დღეს ქართული პოლიტიკა, ქართველი საზოგადოება ამაზე თვალს ვერ დახუჭავს და ეს იქნება ერთ-ერთი ყველაზე მოკლე გზა აფხაზეთის ლიკვიდაციისკენ.

**– მეც ასე ვფიქრობ და ამიტომ წარმატება ვუსურვე. ისინი ჯიუტად იმეორებენ, რომ მეგრელი ქართველი არ არის და რომ მეგრული სეპარატიზმის გაღვივებას შეეცდებიან, ოღონდ ენგურს გამოღმა საქართველოში. სვანების უფლებების შელახვაზეც აკეთებენ აქცენტს.**

– მეგრული სეპარატიზმი არ არის ქვაბი, რომელსაც დადგამ ცეცხლზე და გაააცხელებ.

**– რატომ გადაწყვიტეს, თქვენი აზრით, ამ იდეის გაცოცხლება? რუსეთის იმპერია 200 წელს ცდილობდა, გაეღვივებინა მეგრული და სვანური სეპარატიზმი და არ გამოუვიდათ, თუმცა აი, აფხაზებთან გამოუვიდათ.**

– დანამდვილებით ვიცი, რომ რუსეთის ხელისუფლება, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ადმინისტრაცია განიხილავდა მეგრული სეპარატიზმის მხარდაჭერას. მათ ჩაატარეს საექსპერტო კვლევები იმის დასადგენად, შეიძლებოდა თუ არა მეგრული ფაქტორის გამოყენება საქართველოს დასაშლელად. იცით, რომ რუსეთში დიდი ხანია, არსებობს საქართველოს დაშლის იდეა. ექსპერტული შეფასებების შემდეგ ისინი მივიდნენ დასკვნამდე, რომ ეს გზა არ არის პერსპექტიული. მეგრული სეპარატიზმის გაღვივება, ალბათ, შესაძლებელია, თუ გონივრულად მიუდგები ამ საკითხს, მაგრამ რთულია.

**– მეგრული და სვანური სეპარატიზმის გაღვივების მომხრეებს გარედან, არ ესმით მარტივი რამ, რაც შეუძლებელს ხდის სეპარატიზმს: ისინი ქართველობაზე კი არ ამბობენ უარს, მათი პრეტენზიაა, რომ უპირველესი ქართველები არიან.**

– მე ხშირად მითქვამს და გავიმეორებ: მეგრული ნაციონალიზმი გამოიხატება არა თბილისისგან დამოუკიდებლობაში, არამედ თბილისის დაქვემდებარებაში. ასეთია თანამედროვე მეგრელების დიდი ნაწილის განწყობა. ამის შეცვლა შეიძლება, მაგრამ არა ასეთი მეთოდებით.

**– აფხაზებს აქვთ ვითომ ბერკეტები?**

– მათ არ აქვთ ასეთი ინტელექტუალური ბერკეტები. რა შეეძლოთ, რომ მათ გაეკეთებინათ ამ მიზნის მისაღწევად? მაგალითად, გან-

> **თუ დღეს გალელი ქართველები მეტნაკლებად ლოიალურები არიან აფხაზებისადმი, თუ დაუხურავენ ქართულ სკოლებს და დაიწყებენ მათ დისკრიმინაციას, ეს გამოიწვევს უკურეაქციას**

ევითარებინათ მეგრული ენა. საქართველოში დღეს შევიწროებულია მეგრული ენა, მათ არ აქვთ მეგრულად წიგნები, გაზეთები და ასე შემდეგ.

**– ეს არ არის შევიწროება, ასე გამოვიდა ისტორიულად. ჩვენმა წინაპრებმა გადაწყვიტეს დიდი ხნის წინათ, რომ ჩვენი სალიტერატურო და ერთიანი ენა იქნებოდა ქართლური დიალექტი და ეს აუცილებელია ჩვენი სახელმწიფოს ერთიანობისთვის. ამას დაეთანხმა ყველა. ეს არის ჩვენი სახელმწიფოებრიობისთვის გადადგმული ნაბიჯი და ჩვენ ამას მივყვებით.**

– მიუხედავად ამისა, ყოველთვის არსებობდა რაღაც შინაგანი წნეხი და შესაძლებელია, არსებობდეს მეგრელების რაღაც ნაწილი, რომლებსაც ეს არ მოსწონთ.

**– შესაძლოა, მაგრამ ცუდ ტონად ითვლება საქართველოში მეგრული ენის დისკრიმინაციაზე საუბარი.**

– ჩვენ ხომ აფხაზებზე ვლაპარაკობთ?!

**– მესმის, მაგრამ ამ მასალას ისინიც ხომ წაიკითხავენ და მე ვცდილობ, გავაგებინო მათაც, რომ არ დახარჯონ დრო და ენერგია ფუჭ საქმეზე.**

– მათ შეეძლოთ ამ მიმართულების გაღვივება, ისევე, როგორც თბილისში ისწავლება აფხაზური ენა, გამოიცემა აფხაზური ფოლკლორი, აფხაზური სიმღერები და გასაგებია, რომ ამას აქვს პოლიტიკური სარჩული. იმავეს გაკეთება შეუძლიათ აფხაზეთში მეგრულთან მიმართებაში. თბილისში ხომ არ ისწავლება მეგრული?!

**– არც მეგრული, არც სვანური და არც ლაზური. აფხაზური ჩვენი მეორე სახელმწიფო ენაა კონსტიტუციით და, ბუნებრივია, უნდა ისწავლებოდეს.**

– აფხაზებს შეუძლიათ, გახსნან თავიანთთან მეგრული ენის კათედრა, შეუძლიათ კონტაქტების დამყარება თურქეთში ლაზთა თემთან. მე არ ვფიქრობ, რომ ეს მათ მოუტანს შედეგს, მაგრამ ცდა შეიძლებოდა.

**– და ფიქრობთ, მათ აქვთ სათანადო რესურსი როგორც მატერიალური, ისე ადამიანური? თვითონ აფხაზურ ენაზე რა დონის და მასშტაბის განათლების მიღებაა შესაძლებელი აფხაზეთში?**

– ეს უფრო სურვილებზეა დამოკიდებული, რადგან მატერიალური რესურსი ყოველთვის მოიძებნება, ამასთან, მათ ჰყავთ განათლებული ინტელიგენცია. თუმცა გასაოცარია მათი მიდგომა საკუთარი ისტორიისადმი. დღემდე ვერ შეძლეს ჩამოეყალიბებინათ საშუალო განათლების სისტემა აფხაზურ ენაზე. მათ მოუტანდა პოლიტიკურ დივიდენდებს მეგრული სეპარატიზმის გაღვივება, მაგრამ დღეს როგორ გადაწერენ გალელ ქართველებს მეგრელებად?! მეორე მხრივ, თუ გალელ ქართველებს უწოდებენ მეგრელებს, რატომ არ ასწავლიან მეგრულ ენას? მათ სჭირდებათ თავიანთი პოლიტიკის ძირფესვიანად შეცვლა ან მხოლოდ ცარიელ სიტყვებად დარჩება მათი სურვილები, რაც კიდევ უფრო გააბრაზებს გალელ ქართველებსაც და მსოფლიო თანამეგობრობასაც. მოცემულ მომენტში აფხაზების მატარებელი წავიდა: გარდა რაღაც ლოზუნგებისა, ნაკლებ სავარაუდოა, რაღაც ზომები მიიღონ გალის ქართველებთან მიმართებაში. ეს კი საკითხია, რომელიც, ადრე თუ გვიან, ჩამოშლის აფხაზურ სახელმწიფოებრიობას. მე მესმის მათი შეშფოთება: გალელების პასპორტიზაციის შემდეგ დადგება დევნილების დაბრუნების თემა. საერთაშორისო სამართალი არანაირ საფუძველს არ იძლევა საიმისოდ, რომ მათ უარი ეთქვათ დაბრუნებაზე. მით უმეტეს, თუ ჩვენ ვლაპარაკობთ ქართველებზე, რომლებსაც იქ რუსეთიდან შეუძლიათ ჩასვლა. აფხაზეთს გაუმართლა, რომ არავის მიერ არ არის აღიარებული, რადგან ეს საკითხი მაშინ ევროპული სასამართლოების განხილვის თემა გახდებოდა. თუ აფხაზური სახელმწიფოს ლიკვიდაცია სურს, თბილისს შეუძლია, ხელი შეუწყოს აფხაზეთის აღიარებას, რომ გადადგას შემდეგი ნაბიჯი: კანონიერი გზით დაბრუნდეს ყველა ქართველი დევნილი. შესაძლოა, ანქვაბს ეს ესმის.

**ნინო ხაჩიძე**

## უშენოდ...

### გიორგი (გია) ზამთარაძის გახსენება



ხუთმა წელმა შენზე ფიქრებში განვლო უშენოდ.

ვერც წუთისოფლის ორომტრიალმა და ვერც უსამართლობამ ვერ დაამარცხა შენი ამაღლებული სული.

იშვიათმა და დაუნდობელმა სენმა წამართვა შენი თავი, ჩემო ტკივილო!

ასე მგონია, მე არავინ ვარ, იცი, უშენოდ?

ო, რა მძიმეა, ვითომ ცხოვრება, იცი, უშენოდ?

ძალა მომეცი, რწმენა მომიყვანს, შენთან მომიყვანს – აღარ ვიქნები მერე უშენოდ.

გია! მონატრებაა, სიყვარულია, რაც შემიძლია მე აქ უშენოდ...

**ეთერი**

**მართალია, 2013 წელი ჯერ არ დამთავრებულა და არც ხელისუფლება გამომტყდარა, მაგრამ ფაქტია, რომ ბიუჯეტს მთლად ბოლომდე შესრულება არ უწერია. ვერც შესრულდებოდა, რადგან არც ეკონომიკური ზრდის დაგეგმილი მაჩვენებელი ემთხვევა რეალურს და არც ინფლაციის. მეორე მხრივ, იმის გათვალისწინებით, რომ 2013 წლის ბიუჯეტი ამ ხელისუფლებას არ შეუდგენია და მხოლოდ ძველების მიერ წარმოდგენილი ვარიანტის კორექტირების საშუალება ჰქონდა, შეუსრულებლობას მეტ-ნაკლებად საპატიო მიზეზი აქვს, რაც, ბუნებრივია, ვერ გავრცელდება 2014 წლის ბიუჯეტზე, რომლის პროექტიც უკვე მზადაა და ის 9 მილიარდზე ოდნავ მეტი ლარითაა განსაზღვრული. რა პრიორიტეტები აქვს მომავალი წლის ბიუჯეტს და უნდა ველოდოთ თუ არა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას 2014-ში მაინც, – თემას ეკონომიკის ექსპერტი, ემზარ ჯგერენაია განგვიმარტავს.**

# რატომ ვართ წელს იმაზე მშივრები, ვიდრე ვიყავით შარშან და როგორ მოირგეს ახლებმა ძველების მიერ დანიშნული ხელფასები

– სამომავლოდ ქვეყნისთვის ჯობია, რომ არჩევნები ოქტომბერში არ ჩატარდეს: როდესაც თქვენ ოქტომბერში არჩევნებს ატარებთ და ახალი მთავრობა მოდის, კონსტიტუციურად კი ბიუჯეტის პროექტის პარლამენტში შესვლის ვადა პირველი ოქტომბერია, თქვენ ან უნდა დაარღვიოთ კონსტიტუცია, ან აუცილებლად ის ბიუჯეტი უნდა შეიტანოთ, რაც დაგახვედრეს. არადა, ბიუჯეტი არ არის ეკლექტურად აღებული ციფრი, ის უნდა ეყრდნობოდეს რეალურ გათვლებს.

**– და უკავშირდება ეკონომიკურ პოლიტიკას, რის გამოც გადაირჩიეს წინა ხელისუფლება და აირჩიეს ახალი, თუმცა ახალს ძველის ეკონომიკური პოლიტიკის გატარება უწევს, ამტკიცებს რა ბიუჯეტის ძველ პროექტს.**

– ბიუჯეტი თვითონ არის ეკონომიკური პოლიტიკა: ბიუჯეტი არის ყველაზე დიდი კანონი, რომელსაც იღებს ქვეყანა. ბიუჯეტის მიხედვით განისაზღვრება, ვინ მემარჯვენეა და ვინ – მემარცხენე და მათი ხმებიც ბიუჯეტიდან მოდის. ამდენად, მთავრობამ მიიღო ბიუჯეტის ის პროექტი, რომელიც დაახვედრეს, რაც ითვალისწინებდა ბიუჯეტის 6-პროცენტიან ზრდას, უბრალოდ მექანიკურად, საარჩევნო დანაპირებიდან გამომდინარე, შეცვალეს აქცენტები და გააღრმავეს სოციალური ფაქტორები. ამის შედეგად მივიღეთ გაზრდილი პენსია და ხელფასები.

**– და საყოველთაო დაზღვევა.**

– ანუ ბიუჯეტის სოციალური სიმძიმე გაიზარდა. თუმცა ჯობდა, რომ ნაწილ-ნაწილ გაეკეთებინათ: ნაწილი 2013-ში და ნაწილი – 2014-ში, უფრო ევოლუციური გადასვლა იქნებოდა სოციალური სფეროს მხარდაჭერისკენ.

**– და ოპონენტებსაც მოუსპობდნენ არგუმენტს, რომ პენსია არ იზრდება 2014 წელს.**

– რა თქმა უნდა. ამის გამო მოხდა ის, რომ სოციალურ სიმძიმეს გადაყოლილმა ბიუჯეტმა ვერ დააფინანსა გადასახადის გადამხდელი დარგები, ეკონომიკას მხარი ვერ დაუჭირა და, შესაბამისად, ბიუჯეტში დააკლდათ თანხები.

**– ანუ მაინც დააკლდა ჩვენს ბიუჯეტს და ვერ შესრულდა?**

– რა თქმა უნდა, საკასო შემოსავალი დააკლდა. მეორე მიზეზი ის იყო, რომ, როდესაც 2013 წლის ბიუჯეტი 8 მილიარდ 800 მილიონამდე იგეგმებოდა, გათვლილი იყო 3-პროცენტიან ინფლაციაზე. 2012 წლიდან კი ჩვენ, ფაქტობრივად, დეფლაციაზე გადავედით, რაც მიანიშნებს ბიზნესსა და წარმოებაში სტაგნაციაზე და, ბუნებრივია, ამან ვერ მოიტანა დაგეგმილი 400 მილიონი შემოსავალი. ასევე, 2013 წლის ბიუჯეტი 6-პროცენტიან ეკონომიკურ ზრდაზე იყო გათვლილი, რასაც უნდა მოეტანა შემოსავალი, მაგრამ ზრდა იყო 2,5 პროცენტი და ამიტომ ნაკლები თანხა შევიდა ბიუჯეტში. მეორე რიგის პრობლემები გამოიწვია ინვენტარიზაციის არჩატარებამ, როდესაც მილიარდ 200 მილიონი გაქვს დაუბრუნებელი დამატებითი ღირებულების გადასახადი, რაც საკმაოდ დიდი თანხაა, უნდა იცოდე, რომ მისი გასტუმრება დააკლდება ეკონომიკას. პრობლემების მესამე ნაწილი უკავშირდება ახალ ვალდებულებებს: იწყება საგარეო ვალის მომსახურების პერიოდი. გახსოვთ, რომ 2005 წელს გადაგვივადეს ვალი და ახლა ვიწყებთ ამ გადავადებული ვალის მომსახურებას, რისთვისაც 2014 წლის ბიუჯეტში 350 მილიონი ლარი ჩაიდო. შემდეგი პრობლემა იყო ორხელისუფლებიანობა, ერთ აღმასრულებელ ვერტიკალში ორი სხვადასხვა ფრთა, რამაც გამოიწვია ინვესტორების დაფრთხობა.

**– და ისიც უნდა ვთქვათ, რომ ჩვენთან შემოსული ინვესტიციების ნახევარზე მეტი ოფშორებიდანაა.**

– ეს ცალკე დიდი თემაა: ინვესტიციების დიდი ნაწილი მოდიოდა ჰოლანდიიდან, ლიხტენშტეინიდან, ანუ ოფშორებიდან და თქვენ ნახეთ, რომ აღარ წამოვიდა ის ფული და ჩვენ ისიც ვიცით, რომ ოფშორებიდან ბრუნდებოდა აქედან გატანილი ფული.

**– და ისიც ვიცით, რომ ამ თანხას, ძირითადად, ყოფილი ხელისუფლება აკონტროლებდა.**

– 2012 წლის ოქტომბრიდან ეკონომიკის აქტიურობის მაჩვენებელი უარყოფითი გვაქვს. იმპორტის მაჩვენებელიც შემცირდა, სამაგიეროდ, დადებითი მომენტი იყო ექსპორტის გაზრდა. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, მეტი რომ ყოფილიყო პირდაპირი ინვესტიციების მოდინება, რა თქმა უნდა, ეკონომიკა გაქაჩავდა და ზრდა იქნებოდა. 2014 წლის პირველი ორი კვარტალიც რთული იქნება, იმიტომ რომ ვალდებულებებია გასასტუმრებელი და ინვენტარიზაციაც დასამთავრებელი, ამდენად, 2014 წლის მეორე ნახევრიდან გვეწყება ეკონომიკის ნელ-ნელა ზრდის პერიოდი. მიუხედავად იმისა, რომ, ჩვენი ანალიზით, 2014 წელს ეკონომიკის ზრდა 4 პროცენტზე მეტი არ იქნება, აქ ერთი ფაქტორიცაა: ეკონომიკის აქტიურობა შემცირდა იმიტომ, რომ ბაზარი დაიხურა, უმუშევრობა გაიზარდა. ბანკებში გაჩნდა საბრუნავი სახსრების დეფიციტი. თუმცა 4,5 მილიარდი დოლარია გაჩერებული ბანკებში და სულ უფრო და უფრო იკლებს ბიზნესის დაფინანსება და მატულობს იპოთეკით გაცემული კრედიტების დინამიკა. მეტსაც გეტყვით, ბიზნესიდან წარდგენილი პროექტების 90 პროცენტი დაფინანსებულია ბანკების მიერ. ანუ პროექტები არ არის. იმ საარსებო საშუალებებს, რაც გააჩნია 700 000-მდე კონტრაქტით დასაქმებულს, ხარჯავენ ბანკების ვალების გადასახდელად. ბუნებრივია, ეს საკმაოდ მძიმე ტვირთად აწევს მოსახლეობას. მთელი ფული, რასაც იღებენ, ხმარდება ბანკის პროცენტების გასტუმრებას. ამან გამოიწვია ბაზრის, გადახდისუნარიანობის შემცირება.



**ჩემთვის გაუგებარია, რატომ აქვს რკინიგზის დეპარტამენტის უფროსს 30 000-ლარიანი ხელფასი. ასევე, ბევრი სხვა ორგანოს ხელმძღვანელის ხელფასიც, რომლებიც სცილდება პრეზიდენტის ხელფასსაც კი**

**– მომავალი წლის ბიუჯეტი რეალისტურია, შესრულდება?**

– მომავალი წელი დამოკიდებული იქნება იმ რეფორმებზე, რაც ეკონომიკაში უნდა განხორციელდეს. ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი მომავალ წელს არის თანადაფინანსების 6-მილიარდიანი ფონდის ამუშავება, საპარტნიორო ფონდების მიერ პროექტების დაფინანსებისა და აგროპროექტების გააქტიურება. ამაზეა მთელი მომავლის იმედი დამოკიდებული, რამაც უნდა შეამციროს სოციალური ხარჯების გავლენა ეკონომიკის შემცირებაზე. თუმცა მომავალი წლის ბიუჯეტიც სოციალურია.

**– ისევ რომ არ დაემთხვეს ერთმანეთს ეკონომიკური ზრდისა და ინფლაციის დაგეგმილი და რეალური მაჩვენებლები?**

– ნახეთ, როგორი შიდა მაჩვენებლები აქვს ბიუჯეტს: 2012 წელს საშემოსავლო გადასახადი მილიარდ 636 მილიონი ლარი იყო, 2013-ში – მილიარდ 800 მილიონი, 2014 წელსაც იგივე მაჩვენებელია. ეს ნიშნავს, რომ 2014 წელს არ მოიმატებს დასაქმებულთა რაოდენობა. მაგალითად, დამატებითი ღირებულების გადასახადიდან შემოსავალი 2012 წელს 3 მილიარდამდე იყო ჩადებული, 2013 წელს – 3 მილიარდ 400 მილიონი, 2014-ში კი 3 მილიარდ 280 მილიონი უნდა იყოს. ანუ კლებაა დამატებული ღირებულების გადასახადიდან შემოსავლის, რაც ნიშნავს ეკონომიკური აქტივობის შემცირების მოლოდინს მომავალ წელს. ამ ძირითადი მაჩვენებლის მიხედვით ბიუჯეტი არ იზრდება.

**– აბა, როგორ აპირებენ იმ 9 მილიარდის მობილიზებას?**

– ეს დამოკიდებულია არა მარტო საგადასახადო შემოსავლებზე, არამედ, გრანტებზე, სესხებზე და სხვა ტიპის შემოსავლებზე. აქციზი მატულობს და ასე შემდეგ.

**– მწეველების ფილტვების ხარჯზე, ანუ სიგარეტის გაძვირებით აპირებენ ბიუჯეტის შევსებას?**

– შემოსავალი მატულობს მთლიანად აქციზისგან, ანუ 2014 წელს დამაიმედებელი პროგნოზები არ არის.

**– თანაინვესტირების ფონდის ამუშავებით გამოწვეული ეკონომიკური აქტივობა გათვლილია 2014 წლის ბიუჯეტის შემოსავლებში?**

– არა, ეს ჯერჯერობით არაპროგნოზირებადია და ამას ბიუჯეტის მაჩვენებელში ვერ ჩადებდნენ. ჯერ არც ერთი პროექტი არ ათვისებულა, თან, საწარმოს ამუშავებას დრო სჭირდება, რაც მყისიერად ვერ მოხდება, ეს პროცესია.

**– სოციალური სოლიდარობა დამახასიათებელია დასავლური საზოგადოებისთვის, თუმცა სრულიად უცხო ჩვენი პოლიტიკური ელიტისთვის. ჩვენ ვიცით, „ნაციონალების" მიერ დეკლარირებული ქამრების შემოჭერის პოლიტიკის რეალური სურათი – ზედა ეშელონმა გაიზარდა ხელფასები და მომსახურების ხარჯები. ახლებიც ძველების მიერ გაკვალულ გზას დაადგნენ და უფრო ენერგიულად გააგრძელეს. არ შეიძლებოდა, რაღაც სიმბოლური თანხა დაეკლოთ საკუთარი ჯიბეებისთვის?**

– ჩევნ არ გვილაპარაკია იმაზე, თუ რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას, რომ შექმნილ ვითარებას ეშველოს. ჩემი მხრიდან პირველი რეკომენდაციაა და ეს არის კლასიკური რეკომენდაცია, მმართველობითი ხარჯების შემცირება. მომავალ წელს მოგვიწევს მმათველობითი ხარჯების 10-პროცენტიანი შემცირება.

**– დევს ეს ბიუჯეტის პროექტში?**

– არ მგონია.

**– თანხაში რამდენი იქნება?**

– არ მინდა, შემეშალოს, მაგრამ რამდენიმე ათეულ მილიონზეა ლაპარაკი. შეიძლება, წავიდეთ ამ მსხვერპლზე და რაღაც დოზით შევამც-

მართალია, პოლიტიკიდან წასვლას აპირებს, მაგრამ ჯერაც საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი დავით საგანელიძე, რომელიც უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიით მოხვდა, 1959 წელსა დაბადებული. დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი და თბილისის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტი. შესაბამისად, სპეციალობებით არის: ექიმი – სამკურნალო საქმე; ეკონომისტი – წარმოების მენეჯერი; იურისტი – სამართალმცოდნე. 1983-1985 წლებში კლინიკური ორდინატურა გაიარა როგორც საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრში, ისე მოსკოვის ონკოლოგიურ ცენტრში. 1986 – 1987 წლებში სანკტ-პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში სწავლობდა, რომლის დამთავრების შემდეგაც, 1999 წლამდე საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრის აბდომინალური ქირურგიის განყოფილებაში მუშაობდა. ამის პარალელურად, 1994-1999 წლებში იყო კორპორაცია GHF-ის პრეზიდენტი, ს/ს „საქართველოს ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, ასევე, ს/ს „თი-ბი-სი ბანკის“ დირექტორთა საბჭოს წევრი. 1997 წელს ლონდონისა და ბრაიტონის ბიზნესის სკოლაში გაიფართოვა ცოდნა, 1995-1998 წლებში თბილისის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტის ეკონომიკური ფაკულტეტის სტუდენტი იყო; 1998-2001 – თბილისის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი; 1999 – 2000 წლებში კი – ათენის ბიზნესსკოლის სტუდენტი. იმავდროულად, 1999 წელს საქართველოს პარლამენტის წევრი გახდა. იგივე გაიმეორა 2004 წელსაც. 2005 – 2007 წლებში PABSEC -ის ეკონომიკურ-ეკოლოგიურ, სავაჭრო და სატრანსპორტო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილეც გახლდათ. 2008 წელს კვლავ გაიმარჯვა საპარლამენტო არჩევნებში, თუმცა ხელისუფლებისადმი პროტესტის ნიშნად დატოვა საპარლამენტო მანდატი. 2010 წელს თბილისის საკრებულოს წევრად აირჩიეს, ხოლო 2012 წლის პირველი ოქტომბრიდან საქართველოს აწ უკვე მერვე მოწვევის პარლამენტის წევრია. დავით საგანელიძის მიერ პირველად შევსებული დეკლარაცია 1999 წლით თარიღდება. ის მან პარლამენტის წევრის რანგში შეავსო და ოჯახის წევრებად მიუთითა მშობლები: ბატონი ნოდარ საგანელიძე და ქალბატონი ლილი ბოჭორიშვილი. იმხანად ბ-ნი საგანელიძის უძრავ ქონებად ირიცხებოდა ორი საცხოვრებელი ბინა თბილისში (40 000 და 80 000 ლარად ღირებული) და 80 000 ლარად ღირებული აგარაკი არმაზში. მისი მშობლების საკუთრება იყო: საცხოვრებელი სახლი ქვათახევში (20 000 ლარი), 2 ბინა თბილისში (200 000 და 100 000 ლარად ღირებული) და აგარაკი არმაზში (60 000 ლარი). დავით საგანელიძეს ჰყავდა ორი მსუბუქი ავტომანქანა (50 000 და 15 000 ლარად ღირებული) და ერთი მიკროავტობუსი (20 000 ლარი). დავით საგანელიძე ფლობდა 10 აშშ დოლარის ღირებულების სახელობით 5 300 ცალ აქციას, ასევე, 1 ლარის ღირებულების სახელობით 1 000 აქციას და 10 აშშ დოლარად ღირებულ 8 000 აქციას (წარმომადგენელზე). მისი მშობლები კი ფლობდნენ 10-10 აშშ დოლარის ღირებულების 3 000 და 2 200 აქციას. დეკლარაციის შევსების დროს დავით საგანელიძეს ნაღდი ფულის სახით 14 500 ლარი ჰქონდა, მის მშობლებს – 16 500 ლარი.

# რა თანხას ინახავს დავით საგანელიძე ექვს ანაბარზე და რამდენი ჰქონდათ ნაღდ ფულად მისი ოჯახის წევრებს ბოლო დეკლარაციის შევსების დროს



ნოდარ საგანელიძე იმხანად თბილისის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის პრორექტორი გახლდათ, ხოლო ქ-ნი ლილი – „ჯეჯილის“ მასწავლებელი. ოჯახის წევრთა შემოსავლები დეკლარაციაში მითითებული არ არის.

ბოლო დეკლარაცია ბ-ნმა საგანელიძემ 2012 წელს შეავსო და ოჯახის წევრებად მიუთითა: 1989 წელს დაბადებული მეუღლე, სოფიო ფარცხალაძე, დედა და ორი შვილი: ნოდარი და ელენე. დავით საგანელიძის საკუთრებაა: 2 ბინა ჭავჭავაძის გამზირზე (200 და 300 კვ. მ.), ბინა ბათუმში (60 კვ. მ.), ბინა თურქეთში (ალანია – 60 კვ. მ.), აგარაკი არმაზში (300 კვ. მ.), მიწის ნაკვეთი სახლით ონში; მიწის ნაკვეთი არმაზში (1 500 კვ. მ.). სოფიო ფარცხალაძის საკუთრებაა 25-პროცენტიანი წილი მიწის ნაკვეთისა თბილისში (4 142 კვ. მ.), ამავე ნაკვეთის 25 პროცენტი ეკუთვნის დავით საგანელიძის დედას, ასევე, მისი საკუთრებაა ბინა ატენის ქუჩაზე (180 კვ. მ.) დავით საგანელიძეს ჰყავს ორი ავტომანქანა: 2003 წლის „ლინკოლნ-ნავიგატორი“ და 1986 წლის „ნისანი“. დავით საგანელიძეს ბანკში ექვსი ანაბარი აქვს გახსნილი, რომლებზეც, შესაბამისად, ინახავს: 1 000, 4 500, 4 500, 1 200, 3 800 და 4 800 ლარს.

დეკლარაციის შევსების დროს ნაღდი ფულის სახით, ჰქონდათ: დავით საგანელიძეს – 23 000 ლარი და 20 000 დოლარი; სოფიო ფარცხალაძეს – 6 000 ლარი და 50 000 დოლარი, ლილი ბოჭორიშვილს – 6 000 ლარი და 50 000 დოლარი. დავით საგანელიძე 1996 წლიდან შპს „ოფის სუითის“ (ამ საქმიანობამ გასულ წელს 26 000 ლარი მოუტანა) და შპს „პულსის“ პარტნიორია. როგორც თბილისის საკრებულოს წევრმა 2011 წელს 28 000 ლარი აიღო.

2012 წლის 29 თებერვალს დავით საგანელიძემ „თი ბი სი ბანკიდან “ აიღო სამი კრედიტი: საერთო ჯამში 150 300 აშშ დოლარისა და 460 200 ლარის ოდენობის. ზეპირი ხელშეკრულებით კი – 570 000 აშშ დოლარის ოდენობით. ყველა მათგანი 2021 წელს უნდა დაფაროს.

**ნინო ხაჩიძე**

---

იროთ თავდაცვის ხარჯები. იმისთვის, რომ რეალურ შედეგს მივაღწიოთ 2015-2016 წლებში, ძალიან ბევრი რამაა გასაკეთებელი და შორს წაგვიყვანს ამაზე საუბარი. ნახევარი ამათგანი პრემიერის მოხსენებაში იყო და ალბათ, მალე გვეცოდინება, რა პერიოდის განმავლობაში რას და როგორ ვაკეთებთ. ჩემთვის გაუგებარია, რატომ აქვს რკინიგზის დეპარტამენტის უფროსს 30 000-ლარიანი ხელფასი.

**– მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარეს?**

– ბევრი სხვა ორგანოს ხელმძღვანელის ხელფასიც, რომლებიც სცილდება პრეზიდენტის ხელფასსაც კი.

**– ახლა ეს საკითხი მოაგვარეს: აწი პრეზიდენტს 9 000 ლარი ექნება ხელფასი, თუმცა აქამდე, მაგალითად, პრეზიდენტ სააკაშვილის ხელფასი, 50 000 ლარი, თვით მისი თანაშემწის ხელფასსაც კი აღემატებოდა. სოციალურ ტვირთს სადამდე აწევს ბიუჯეტი?**

– წელს გაართმევს ვალდებულებებს თავს, მომავალ წელსაც. მთავარია, ჩვენ წინ წავიდეთ, იმიტომ რომ ეს მატებაც არაფერი არ არის, თან, 2014-ში არ იზრდება პენსიები და შემწეობები, არც ხელფასები.

**– მათ რაღა უნდა გაეზარდოთ, ისედაც მეშინია, არ შემოასკდეთ ჯიბეები.**

– ლაპარაკია მცირეშემოსავლიანთა ხელფასის გაზრდაზე. ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია და, ასევე, უნდა გაიზარდოს პენსიებიც, რომ ბაზარი თავის ნიშნულს დაუბრუნდეს. იმავდროულად, ეკონომიკის მხარდაჭერაც აუცილებელია და იმაზეა დამოკიდებული ჩვენი მთავრობის მომავალი, როგორ გაართმევენ თავს აი, ამ გამოწვევებს.

**– მიხარია, რომ ზემოთ მყოფებმა იგრძნეს თავიანთ თავზე ხელისუფლების შეცვლა, უფრო ქვემოთ მყოფნი როდის იგრძნობენ?**

– ჯერ პროექტების დონეზეა თანაინვესტირების ფონდის მუშაობა, ვთქვათ, გაიხსნა დაფინანსება, მაგრამ ის ხომ უნდა ამუშავდეს?! წელიწად-ნახევარი, ორი წელიწადი არის ძალიან ოპტიმალური დრო. ინვესტიციის შემოდინება მაშინვე მოახდენდა ზეგავლენას, მაგრამ მთლიანად რომ ვიგრძნოთ, მინიმუმ, ორი წელი უნდა. არ მინახავს საწარმო, რომელსაც ორ თვეში მოაქვს მოგება.

**– ის ფაქტი, რომ 150 ლარამდე გაიზარდა პენსია, ანუ ბრუნვაში უფრო მეტი ფულია, საყოველთაო დაზღვევითაც ისარგებლა ბევრმა, ახდენს ეს რაღაცნაირად გავლენას ლარის კურსზე?**

– ლარის კურსი სტაბილურია, მაგრამ, რა თქმა უნდა, მასზე ახდენს გავლენას, ეკონომიკა რომ არ იზრდება და საკასო შემოსავლები აკლდება ბიუჯეტს. ლარის სიმყარეს განსაზღვრავს საგადასახადო შემოსავლები, მაგრამ ეროვნული ბანკი ახორციელებს ისეთ პოლიტიკას, რომ ეს კურსზე დიდ ზეგავლენას არ ახდენს.

**– მაგრამ ლარის კურსი მაინც გაიქცასავით?**

– ეს სეზონურიც არის. რაც გინდა, ღარიბი იყოს ქვეყანა, დეკემბრის ვაჭრობა ყველაზე დიდი მაჩვენებლებით არის ცნობილი. მაგრამ, თუ გაგრძელდება ეკონომიკის ასეთი შენელება, ეს ზეგავლენას იქონიებს ლარის კურსზე, თუმცა იმედია, რომ დაიძვრება ეკონომიკა.

**– თავის გაზრდამდე არსებულ ნიშნულამდე ლარის კურსის დაბრუნებას როდის ელით?**

– იანვარში დოლარზე მოთხოვნა მცირეა და იმედია, რომ იანვრისთვის დაუბრუნდება. ასევე, ველოდებით იმპორტის ზრდას.

**– იმპორტის შემცირება რამ გამოიწვია?**

– მომხმარებლის შემცირებამ. მაგალითად, ხორბლის იმპორტი შემცირდა იმიტომ, რომ ფქვილის გაიზარდა, მაგრამ მთლიანობაში იმპორტი მაინც მოხმარების შემცირების გამო შემცირდა.

**– ანუ წელს უფრო მშივრები ვართ, ვიდრე შარშან ვიყავით?**

– ასე გამოდის. ფული არ არის, იმიტომ რომ ბანკში მიდის სესხების დასაფარავად.

**– მესმის, რომ მოტივაცია და ცხოვრების დონეები განსხვავებულია, მაგრამ ამერიკელებიც მთელ ცხოვრებას ბანკის ვალების გასტუმრებას ახმარენ. კარგია, რაღაცით მაინც რომ დავმსგავსებივართ.**

– ამერიკის და საქართველოს შედარება არ გამოვა, იქ სხვა ეკონომიკაა... ამან ამერიკას დაამჩნია კვალი, ამიტომაც უზარმაზრი ფული ჩაღვარეს ეკონომიკაში.. ჩვენ კი დღეს ვართ რთულ გარდამავალ ეტაპზე.

**ნინო ხაჩიძე**

ნდობის ტელეფონი
0902200200
SMS – 93094
დარეკვა
შეგიძლიათ
ნებისმიერი
ქსელიდან

ზარი ფასიანია

**2014 წელს აბიტურიენტებს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე სიახლეები ელით. კერძოდ, არა მხოლოდ კიდევ ერთი არჩევითი საგნის დამატების სახით (რომელიც უმაღლესი სასწავლებლის არჩევით, შესაძლოა, დამატებითი გახდეს), არამედ, ზოგადი უნარების გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვრის აწევაც და სავარაუდო პასუხების გაზრდაც. ასევე, ცვლილებებია უცხო ენის საგამოცდო ტესტშიც. რატომ გახდა აუცილებელი ზემოჩამოთვლილი ცვლილებების განხორციელება (თუმცა მე ამთავითვე დარწმუნებული ვარ, რომ მინიმალური კომპეტენციის ზღვარი თითქმის ყველა საგანში საკმაოდ დაბალია და მეტად უხერხულიც მისთვის, ვისაც პროფესიონალად სურს ჩამოყალიბება)? – ცვლილებების არსსა და მოტივებს გამოცდების ცენტრის ხელმძღვანელი მაია მიმინოშვილი გაგვაცნობს.**

# როგორ აპირებს გამოცდების ცენტრი ბრმად მოპასუხე აბიტურიენტების 5-6 პროცენტამდე შემცირებას და სხვა რა სიახლეებს სთავაზობს გამოცდების ცენტრი აბიტურიენტებს

**– რა სიახლეებს უნდა ელოდონ აბიტურიენტები 2014 წელს ეროვნულ გამოცდებზე?**

– ერთ-ერთი სიახლე გახლავთ ის, რომ უმაღლეს სასწავლებლებს არჩევითი გამოცდების ჩამონათვალში ვთავაზობთ კიდევ ერთ გამოცდას – ხელოვნებას, ბუნებრივია, ეს ნებაყოფლობითია და უმაღლესმა სასაწავლებელმა თავად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, უნდა თუ არა კონკრეტულ მიმართულებაზე, მაგალითად, ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტზე სავალდებულოდ გამოაცხადოს თუ არა ეს გამოცდა, და, თუ აბიტურიენტი ამ კონკრეტულ პროგრამას აირჩევს, მოუწევს ხელოვნების გამოცდის ჩაბარება. ჩემი აზრით, ძალიან კარგი სიახლეა, იმიტომ რომ, თუნდაც, შემოქმედებით უმაღლეს სასწავლებლებში, სადაც ჩვენი კონკურსის წესით ირიცხებიან აბიტურიენტები, ექნებათ საშუალება, აირჩიონ საგამოცდო საგნად არა ისტორია ან გეოგრაფია, არამედ – გამოცდა ხელოვნებაში.

**– ეს იქნება ჩვეულებრივი, მეოთხე გამოცდა?**

– დიახ, რომელსაც უმაღლესი სასწავლებელი გამოაცხადებს წინასწარ. მეორე სიახლე ეხება უცხო ენის გამოცდას. წელს გადავწყვიტეთ, მას მოსმენის ნაწილი დავუმატოთ, თუმცა პირველ ეტაპზე იქნება ძალიან მარტივი ბლოკი, სულ 10-12 წუთი დასჭირდება აბიტურიენტს ამ დავალების შესასრულებლად. ამით დაიწყება გამოცდა და შემდეგ გაგრძელდება.

**– ყველანი ერთად მოისმენენ ტექსტს?**

– დიახ, ტექსტი ორჯერ გამეორდება, შუალედში იქნება პაუზა, პასუხების ფურცელში კი მოცემული იქნება სავარაუდო პასუხები. მგონია, რომ ძალიან კარგი და აუცილებელი სიახლეა. წლების განმავლობაში ჩვენ არ ვამატებდით უცხო ენის გამოცდას ამ მესამე ნაწილს, თუმცა მეოთხე ნაწილიც არსებობს – მეტყველება, რის დამატებისგანაც ჯერჯერობით თავს ვიკავებთ, მაგრამ მომავალ წელს მოსმენის ნაწილით დავიწყებთ. დავალებები იქნება უფრო მარტივი, ვიდრე სახელმძღვანელოებშია მოცემული. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ოთხივე კომპონენტს: წერას, კითხვას, მოსმენას და მეტყველებას, ერთი და იგივე წონა აქვს მინიჭებული. ასე რომ, ისეთივე მნიშვნელოვანია მოსმენა და მეტყველება, როგორც წერა და კითხვა. მაგრამ ამ წლების განმავლობაში სულ იყო საუბარი იმაზე და ჩვენც ვთანხმდებოდით, რომ, რადგან უცხო ენა სავალდებულო გამოცდაა და განსაკუთრებით, რეგიონების სკოლებისთვის რთული იყო მისი ჩაბარება, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი დაბალი გვქონდა. ზღვარი მომავალ წელსაც იგივე დარჩება მესამე კომპონენტის დამატების შემდეგაც. გაუმართლებელი იქნებოდა, ფიქრი არ დაგვეწყო უცხო ენის გამოცდაში მესამე კომპონენტის შეტანაზე. ჩატარდა აპრობაცია, პილოტირება, ჩავრთეთ სოფლის სკოლებიც და მე და ჩვენი ჯგუფი ძალიან კმაყოფილები ვართ შედეგებით. დიდი იმედი გვაქვს, რომ ეს ნაწილი ნამდვილად არ იქნება სერიოზული ბარიერი ჩვენი აბიტურიენტებისთვის, მით უმეტეს, რომ 100-ქულიან ტესტში მესამე, მოსმენის, კომპონენტს მხოლოდ 8 ქულა აქვს დათმობილი და დიდად არ იმოქმედებს ბარიერის გადალახვაზე.



**გაიგივებულ ქულაზე ხაზის გავლება ეხება ყველა გამოცდას, ოღონდ ზოგადი უნარების შემთხვევაში, იმის გამო, რომ იქ მხოლოდ არჩევითპასუხიანი დავალებებია, ნამდვილად აუცილებელია 3 ქულით აიწიოს ბარიერმა**

საგამოცდო დროც შესაბამისად გაიზრდება. პირადად მე არ მგონია, რომ ჩვენი აბიტურიენტებისთვის ეს რთულად დასაძლევი იქნება. ამ ეტაპზე მცირე წილით შედის მესამე კომპონენტი ტესტში.

**– მაგრამ მომავალში მისი წილი გაიზრდება?**

– ბუნებრივია, წესითა და რიგით, უნდა გაიზარდოს და ის ტექსტები, რომლებსაც გამოვიყენებთ მოსმენის ნაწილისთვის, იქნება უფრო მარტივი, ვიდრე სახელმძღვანელოშია მოცემული.

**– ეს ყოველთვის ასე იქნება თუ მხოლოდ ამჯერად?**

– ამჯერად, პირველ ეტაპზე. ამ გადაწყვეტილებას მომზადებულები შევხვდით, ყველა სკოლას დაურიგდა „სიდიზე“ ჩაწერილი სავარჯიშო მასალა.

**– საჯარო სკოლებში არის „სიდის“ ჩანაწერის მოსმენის საშუალება?**

– ამას ელემენტარული რამ სჭირდება: თუნდაც, იაფფასიანი მაგნიტოფონი, თუ ამისთვის რომელიმე სკოლაში არ არის მოწყობილი სპეციალური კლასი. ჩვენს ვებზეც არის განთავსებული სავარჯიშო მასალები და აბიტურიენტებს შეუძლიათ, იქ ივარჯიშონ. ვიმეორებ, სკოლას დიდი ძალისხმევა არ დასჭირდება იმისთვის, რომ საკუთარ მოსწავლეებს ხელი შეუწყოს გამოცდისთვის მომზადებაში.

**– თან, ჩვენ ვიცით, რომ სკოლაში ნასწავლი უცხო ენით არ გადიან აბიტურიენტები გამოცდებზე.**

– გეთანხმებით, ოღონდ, ვიმეორებ, ყველა სკოლას აქვს ვალდებულება, შეასრულოს ეროვნული სასწავლო გეგმა და, ეროვნულ სასწავლო გეგმაში თუ ჩაიხედავთ, ოთხივე კომპონენტს ერთი და იგივე წონა აქვს მინიჭებული. გასაგებია, რომ სკოლების გარკვეული რაოდენობა თავს არიდებდა, მიექციათ ყურადღება მოსმენის კომპონენტისთვის, მაგრამ, ალბათ იმაშიც დამეთანხმებით, რომ უცხოურ ენაში შეფასება არასრულყოფილია, თუ ამ ორ კომპონენტს არ დაემატება დანარჩენი ორიც, რაც მასწავლებლების გამოცდებზე გვაქვს. თავის დროზე, დიდი წინააღმდეგობა იყო პედაგოგების მხრიდან, როდესაც მოსმენისა და მეტყველების კომპონენტები შევთავაზეთ.

**– რა უცნაურია, უცხოური ენის მასწავლებისგან მეტყველების და მოსმენის კომპონენტის გაპროტესტება.**

– მაგრამ, საბოლოოდ, პედაგოგებიც და ყველანიც მივედით დასკვნამდე, რომ, უპირველესად, პედაგოგისთვისაა უმნიშვნელოვანესი, შეუფასო ეს ორი კომპონენტი. როდესაც აბიტურიენტი კონკურსში იღებს მონაწილეობას და ჩვენს ორგანიზაციას პრეტენზია აქვს, რომ მეტნაკლებად სრულყოფილად ვაფასებთ კონკრეტულ საგანში აბიტურიენტს, არ შეიძლება, შევთავაზოთ ნახევრად სრულყოფილი ტესტი. ეს ფაქტორი გავლენას იქონიებს სკოლებზეც. ისინი უფრო გააქტიურდებიან, რომ ინტენსიურად გამოიყენონ ჩვენ მიერ მომზადებული სახელმძღვანელო მასალები, რომ გააზრების უნარი სათანადოდ ჩამოუყალიბონ მოსწავლეებს. მაგრამ, რადგან პირველი წელია, ტესტის ეს ნაწილი იქნება ძალიან მარტივი და დიდ ძალისხმევას არ მოითხოვს აბიტურიენტისგან.

**– რას დააკლდება ის 8 ქულა, რაც მოსმენის კომპონენტისთვისაა განსაზღვრული 100-ქულიან ტესტში?**

– უცხოური ენის ტესტმა მოდიფიკაცია განიცადა და ამის შესახებ აბიტურიენტებს მივაწოდეთ ინფორმაცია. უფრო ზუსტად, კრებულები მზად არის და დიდი ხანია, ველოდებით საგამოცდო პროგრამის დამტკიცებას სამინისტროსგან. დამტკიცდება თუ არა, მასალა განთავსდება ჩვენს ვებ-გვერდზე და ყველა იხილავს. ტესტის ნიმუშებიც იქნება და დეტალური ინფორმაცია, თუ როგორი მოდიფიკაცია განიცადა სხვა ტიპის დავალებებმა და რის ხარჯზე მოხდა ამ 8-ქულიანი მოსმენის ნაწილის შეტანა უცხო ენის საგამოცდო ტესტში.

**– როგორც ვიცით, ასევე, იზრდება სავარაუდო პასუხების რაოდენობა ზოგადი უნარების ტესტში. მხოლოდ ეს ცვლილებებია უნარების გამოცდაში?**

– სავარაუდო პასუხების რაოდენობას აუცილებლად გავზრდით იქ, სადაც ეს შესაძლებელია, თუმცა, ტესტური დავალების ტიპიდან გამომდინარე, ყველა შემთხვევაში სავარაუდო პასუხების გაზრდა უბრალოდ შეუძლებელია. ჩვენ გვინდა, მაქსიმალურად ვებრძოლოთ ბრმად მოპასუხეობას.

**– დათვლილია, რომ სავარაუდო პასუხების რაოდენობის გაზრდა მინიმუმამდე დაიყვანს ბრმად პასუხის გაცემით ფონს გასვლის ალბათობას?**

– დიახ. ჩვენ მოვიარეთ აღმოსავლეთის რეგიონები, ამ კვირაში დასავლეთსაც მოვივლით, შევხვდით ყველა უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენელს და ამ შეხვედრებისას გამოიკვეთა, რომ გვესმის, რა უნდა შეიცვალოს ზოგადი უნარების გამოცდაში და ძალიან კარგი იქნება, რომ ეს განვახორციელოთ.

**– რატომ გადაწყვიტეთ, ანალიზმა აჩვენა, რომ ვარაუდით პასუხების გაცემით გასტუდენტებურთა რაოდენობა ბევრია?**

– ეს საშიში არ იქნებოდა, კომპეტენციის მინიმალური ზღვარი რომ არ ყოფილიყო 25 პროცენტი. იმიტომ რომ კონკრეტულად ამ ფორმატის ტესტთან მიმართებაში, როდესაც მხოლოდ და მხოლოდ არჩევითპასუხიანი დავალებები გვაქვს, შემთხვევით შემოხაზვის ალბათობა 25 პროცენტია და ძალიან ცუდია, როდესაც კომპეტენციის მინიმალური ზღვარი ემთხვევა ამ მაჩვენებელს. 2005 წელს, როდესაც პირველად ჩავატარეთ ეროვნული გამოცდები, სრულიად არაფრის მთქმელი და სიმბოლური ბარიერი გვქონდა, მაგრამ იმთავითვე ითქვა, რომ აუცილებლად გაიზრდებოდა ზღვარი და ეს პრო-

ბლემური იყო სწორედ ზოგადი უნარების გამოცდისთვის. რადგან სხვა გამოცდებში, ძირითადად, ღია დავალებები გვაქვს. 2006 წელს ზოგადი უნარების ბარიერი 25 პროცენტი გახდა და ამაზე გავიყინეთ.

ძალიან მარტივად მინდა, აგიხსნათ: თქვენ იცნობთ საკონკურსო ქულის გამოყვანის პროცედურას, თუ საგამოცდო ტესტების რამდენიმე ვარიანტი გვაქვს, ვიყენებთ ეგრეთ წოდებული სკალირების მეთოდს, რომ მაქსიმალურად უზრუნველვყოთ სამართლიანობა და არ დაიჩაგროს ის აბიტურიენტი, რომელსაც ტესტის შედარებით რთული ვარიანტი შეხვდა, თუმცა ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ, ტესტი თანაბარი სირთულის იყოს. რადგან კონკურსსა და ქულის მეათედებსაც მნიშვნელობა აქვს, გვინდა, რომ სკალირების პროცედურით დავაბალანსოთ ტესტებს შორის სირთულის მიხედვით განსხვავება. მაგალითად, შარშან ზოგადი უნარების ტესტის მესამე ვარიანტი აღმოჩნდა უფრო რთული, ვიდრე სხვა ვარიანტები და თავიდანვე რომ გამოგვეყენებინა სკალირების პროცედურა და არა ბარიერგადალახული აბიტურიენტების შემთხვევაში, მაშინ მესამე ტესტის 20 ქულა, რომელიც ჩაჭრას ნიშნავს, რეალურად გაუთანაბრდებოდა სხვა ვარიანტების 22 ქულას. ამიტომ, ბუნებრივია, 20-ქულიანი აბიტურიენტები, რომლებსაც მესამე ვარიანტი შეხვდათ, დაიჩაგრნენ, მაგრამ, რადგან შემოხაზვის ალბათობა კომპტენციის მინიმალურ ზღვარს უტოლდება, იძულებულები ვართ, ერთ ქულაზე გადავჭრათ. იმიტომ რომ არ გვაქვს ინფორმაცია, როგორ დააგროვა ეს ქულა აბიტურიენტმა, თავისით თუ შემთხვევით შემოხაზა პასუხები და მხოლოდ ამის ხარჯზე გადალახა ბარიერი. ასე რომ, რათა არა ნედლ ქულაზე, არამედ გაიგივებულ ქულაზე გავავლოთ ხაზი, აუცილებელია ოდნავ მაინც აიწიოს ბარიერი ზოგადი უნარების ტესტში და ამისთვის საკმარისია 3 ქულაც კი. ანუ წინა წლებში, თუ იყო 20 ქულა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, მომავალ წელს შესაძლოა, გახდეს 23 ქულა.

**– სირცხვილიც კი არის, როდესაც მინიმალური კომპეტენციის ზღვრად 20-სა და 23 ქულაზე ვსაუბრობთ.**

– რა თქმა უნდა, მაგრამ ვითვალისწინებთ არსებულ პრობლემებს. წელს მშობლებს, რომელთა შვილებმა გადალახეს ბარიერი და ვერსად ჩაირიცხნენ, გაუჩნდათ პრეტენზიები. თუ საზოგადოებას სჭირდება, ოღონდ სადმე ჩაირიცხონ აბიტურიენტები და არ აქვს მნიშვნელობა, სად, რაც ჩემთვის მიუღებელია, იქნება ისე, როგორც მოითხოვს.

**რადგან შემოხაზვის ალბათობა კომპეტენციის მინიმალურ ზღვარს უტოლდება, იძულებულები ვართ, ერთ ქულაზე გადავჭრათ. იმიტომ რომ არ გვაქვს ინფორმაცია, ეს ქულა თავისით დააგროვა აბიტურიენტმა თუ შემთხვევით შემოხაზა პასუხები**

**– უკვე გადაწყვეტილია, რომ ზოგადი უნარების ტესტში ბარიერი 23 ქულამდე გაიზრდება?**

– მე მინდა ყველასავუხსნა, რა პრობლემაა: როდესაც ნედლ ქულაზე ვაწესებთ ბარიერს, უსამართლოდ ვექცევით იმ აბიტურიენტებს, რომლებსაც ტესტის შედარებით რთული ვარიანტი შეხვდათ, მაგრამ, თუ ყველანი შევთანხმდებით, რომ შევინარჩუნოთ ეს უსამართლობა, შევინარჩუნებთ, ოღონდ გადაწყვეტილება ერთად უნდა მივიღოთ. ყოველ შემთხვევაში, ტენდენცია იქითაა და ამ შეხვედრებზე ყველამ ძალიან კარგად გავიგეთ, რომ ბარიერის გაზრდა აუცილებელია და, სავარაუდოდ, ბარიერი ზოგადი უნარების გამოცდაში გაიზრდება 23 ქულამდე, ყველა გამოცდაში კი ხაზის გავლება მოხდება გაიგივებულ ქულებთან. მაგალითად, თუ აბიტურიენტმა 24 ქულა მიიღო, ის აუცილებლად დარჩება კონკურსში, მაგრამ, ასევე, შესაძლებელია, 23-ქულიან აბიტურიენტებსაც მიეცეთ კონკურსში მონაწილეობის გაგრძელების შესაძლებლობა, თუ მათ შედარებით რთული ვარიანტი შეხვდათ. აქედან გამომდინარე, საკმაოდ შემცირდება ბრმად მოპასუხე აბიტურიენტების რიცხვი, 5-6 პროცენტამდე.

**– ახლა რამდენია?**

– 30 პროცენტი, ანუ 1 000 აბიტურიენტიდან 300-ზე არ გვაქვს წარმოდგენა, რა დონის ცოდნა აქვთ.

**– მაგრამ ვიცით, რომ ქუდბედიანები არიან.**

– 30 პროცენტი ძალიან დიდი ციფრია და თუ ამ ყველაფერს განვახორციელებთ, ეს მაჩვენებელი 5-6 პროცენტამდე დაიწევს; რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, არ დაიჩაგრებიან ის აბიტურიენტები, რომელთაც მოუწიათ ტესტის შედარებით რთული ვარიანტის დაწერა და მიჯნაზე მყოფ აბიტურიენტებსაც გაუჩნდებათ შანსი. გააგრძელონ კონკურსში მონაწილეობა. გაიგივებულ ქულაზე ხაზის გავლება ეხება ყველა გამოცდას, ოღონდ ზოგადი უნარების შემთხვევაში, იმის გამო, რომ იქ მხოლოდ არჩევითპასუხიანი დავალებებია, ნამდვილად აუცილებელია, თუდნაც, მხოლოდ და მხოლოდ 3 ქულით აიწიოს ბარიერმა.

**ნინო ხაჩიძე**

# ცნობარი

1. ავიაბილეთები ყველა მიმართულებით 215-80-80; 236-40-11
2. ავტომანქანის გაქირავება, ტურები საქართველოში, სასტუმროს რეზერვაცია 218-22-44; 599 33-33-53
3. ავტოსადგური „ოკრიბა“ 234-26-92
4. ადამიანის უფლებათა ცენტრი 237-69-50; 245-45-33
5. ავტომანქანების გაქირავება 595 33-21-00
6. აღსრულების ეროვნული ბიუროს საინფორმაციო სამსახური 274-96-49
7. გარემოს ეროვნული სააგენტო 243-95-32
8. აეროპორტის საინფორმაციო ბიურო 231-04-21
9. ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრი 599 11-57-44
10. გაზი გამოძახებით 292-32-46; 292-10-08
11. შპს აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი 253-06-32
12. საქ. მთავარი პროკურატურის ცხელი ხაზი 240-52-22
13. გაზის საავარიო (ქალაქის) 14; 238-40-65, 238-56-16 (ცენტ. სადისპეტჩერო)
14. განათლების სამინისტროს კომუტატორი 231-89-40; ცხელი ხაზი: 220-02-20
15. გზებზე ტექნიკური დახმარება 599 25-42-54
16. ჯანდაცვის სამინისტრო (ცხელი ხაზი) 251-00-33
17. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ცხელი ხაზი 220-62-32
18. დამკრძალავი ბიურო, მუნიციპალური საწარმო „ჰერმესი“ 221-21-84; 221-25-84
19. კავკაზუს ონლაინი, დეპეშის გაგზავნა ტელეფონით 250-60-06
20. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური 299-10-58; 299-11-21
21. „თელასის“ საინფორმაციო ცენტრი 225-52; 225-52-11; 277-99-77
22. „თელასის“ ცხელი ხაზი 277-99-99
23. შპს იმუნიზაციის ცენტრი 231-22-78
24. იუსტიციის სამინისტრო 240-52-02
25. კატასტროფის მედიცინის ცენტრი. პაციენტების ტრანსპორტირება სტაციონარებიდან 231-13-20; 231-13-21; 595 33-18-03; 0 790 50-10-50
26. საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების კომისია 238-61-40 (პრესსამსახური); 231-13-13 (ადმინ. დეპარტამენტი)
27. კონტროლის პალატა 243-81-81 (ცხელი ხაზი)
28. კანალიზაციის საავარიო სამსახურის ცხელი ხაზი 293-11-11
29. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო 243-11-00 (ცხელი ხაზი)
30. მერიის ცხელი ხაზი 272-22-22
31. ნავთლუღის ავტოსადგური 274-83-03; 274-63-23 599 39-35-35
32. სახალხო დამცველი 291-38-14(15)
33. ვაგზლის ცნობათა ბიურო: 219-90-10
34. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური 112
35. საპატრულო პოლიცია 112
36. სასწრაფო სამედიცინო დახმარება 112
37. სასწრაფო სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით 24 საათის განმავლობაში 577 42-42-38, 235-32-33
38. საქართველოს მთავრობის კანცელარია 298-92-73 (ფაქსი), 228-22-88 (მისაღები)
39. საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი 294-50-00 შიდა 24 (02, 03)
40. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური 226-11-15 (კანცელარია)
41. სადღეღამისო სტომატოლოგიური კლინიკა, 222-67-22; 210-30-50; 599 57-64-12
42. სოფლის მეურნეობის სამინისტროს კანცელარია 237-80-44 (13)
43. საქართველოს სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო 261-30-90; 261-30-21
44. საყოფაცხოვრებო და საამშენებლო ნარჩენების (ნაგვის) გატანა; შპს „თბილსერვის ჯგუფის“ დასუფთავების სერვისი, სანიაღვრე ქსელების ექსპლუატაცია 261-18-37, 261-18-11
45. სამედიცინო-საინფორმაციო სამსახური 225-22-33 (საინფორმაციო); 225-22-45 (ადგილზე მომსახურების განყოფილება, მედიკამენტების სახლში მიტანა)
46. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის ვეტერინარიის მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, რეგისტრაციების და ნებართვების სამმართველო 291-91-67 (68)
47. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი საქ-პატენტი 292-31-66; 291-71-80 (ცხელი ხაზი)
48. საქართველოს მომხმარებელთა ფედერაცია 299-78-57
49. ტაქსი გამოძახებით 293-91-00
50. ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი – 210-02-29; ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება, ცხელი ხაზი – 230-99-03.
51. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელი ხაზი 241-10-66 (კანცელარია, მოქალაქეთა და წერილების განყოფილება)
52. ფინანსთა სამინისტრო 226-14-12; 226-14-10 (კანცელარია); 226-24-09
53. ქორწინების რეგისტრაცია სიღნაღში 595 24-77-77
54. ღვთისშვილთა კავშირის ცხელი ხაზი (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის) 225-01-45; 222-54-17
55. „ყაზტრანსგაზი“ 220-04-04 (გაზიფიცირების სამსახური)
56. „ყაზტრანსგაზის“ სადისპეტჩერო 231-04-04
57. „ყოფილი პოლიტპატიმრები – ადამიანის უფლებებისთვის“ 599 37-40-20
58. შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზი 126
59. შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს სამორიგეო 241-42-63
60. შინაგან საქმეთა სამინისტროს მორიგე 274-62-67
61. სააქციო საზოგადოება „ცენტრალური ავტოვაგზალი“ 275-34-33
62. ნარკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, ნარკოლოგიურ-ამბულატორიული დაწესებულება 230-10-03 (რეგისტრატურა)
63. წყალკანალის ცხელი ხაზი 293-11-11

**კინემატოგრაფიაში უამრავი პერსონაჟია შექმნილი, რომელთა ცხოვრებასაც ამა თუ იმ მხარეს, უმცირესი ნიუანსები – შემთხვევითობები მიაქანებს. ეს პატარა თავგადასავლებია, შენთვის სრულიად წარმოუდგენელ ვითარებაში რომ გაგდებს. წლების შემდეგ კი მას ზღაპარივით უყვები შვილიშვილებს. ფოტოგრაფ გია ჯაველიძის ცხოვრება სავსეა სიურპრიზებით, უცნაური შემთხვევებითა და გამართლებებით. უცნაურად ჩაცმული, მოტოციკლზე „ამხედრებული“, ჩიბუხიანი ფოტოგრაფისგან, სიმართლე გითხრათ, ასეთ საინტერესო მონათხრობს ნამდვილად ველოდი.**

# რატომ გახდა განხილვის საგანი ფოტოგრაფ გია ჯაველიძისა და ბუშის ერთობლივი ფოტო და რა გაუგებრობა მოხდა ორჯერ ფოტოგრაფსა და კონდოლიზა რაისს შორის

**გია ჯაველიძე**: ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, ხშირად მიწევს მოგზაურობა სულ სხვადასხვა მიმართულებით – არა გეოგრაფიულად, არამედ თავისი შინაარსით. ასევე, ვარ „როტარი კლუბის – საქართველოს“ წევრი, რომელიც მსოფლიო „როტარი კლუბის“ ახლო აღმოსავლეთის რეგიონში შედის. ყოველწლიურად სხვადასხვა ქვეყანაში შეკრებებია, სადაც „როტარიანელები“ რეპორტებს აკეთებენ. არაბულ ქვეყნებში, მიუხედავად იმისა, რომ ზოგი ძალიან თანამედროვეცაა, ამაყობენ და ინარჩუნებენ თავიანთ წესჩვეულებებს. მათგან ზოგი ჩვენთვის მიუღებელია, ან უბრალოდ, არც ვიცით მისი არსებობის შესახებ. იყო ასეთი საინტერესო შემთხვევა, როცა მეგობართან და მის ცოლთან ერთად, ერთ-ერთ არაბულ ქვეყანაში ვიყავით. მის მეუღლეს სრული ფორმები აქვს და არაბს ისე მოეწონა, ტვინი გადაეკეტა: ფახ-ფახ ხანუმო, დასდევდა. არაბს ჩემი ცოლი ეგონა, რადგან წინ მივდიოდი და ვინც წინ მიდის, ის „პატრონია“. გადამეკიდა ეს არაბი, გინდა თუ არა, აქლემში გამიცვალეო. არაბეთში აქლემი ძალიან ძვირია. კარგი აქლემი შეიძლება, სამასი ათასიც კი ღირდეს. ჩემს მეგობარს ვუთხარი: აქლემში გვიცვლიან შენს ცოლს-მეთქი. მას კარგი იუმორი აქვს და მითხრა: ერთი აქლემი ცოტაა, ჩემს ცოლში იმდენი მაქვს დახარჯულიო. არაბმა – ორი აქლემი ბევრია, ერთ სახედარს დაგიმატებთო. სახედრები ჩვენც ბევრი გვყავს, აქეთ გაგიცვლი ქალებში-მეთქი. სახედართან ერთად ხალათსაც დაგიმატებთო. ბოლოს, ისე მომეწონა ის ხალათი, ცალკე ვიყიდე.

**– ქალებთან დაკავშირებით ბევრი წესი უნდა დაიცვა.**

– უცხო ქალისთვის ხელის მოკიდება არ შეიძლება, რომ წაიქცეს ადგომაშიც ვერ მიეხმარები. ერთხელ ბაჰრეინში ვიყავით „როტარი კლუბის“ შეკრებაზე. მიღება იყო პრინცის სასახლეში. არაჩვეულებრივად – აღმოსავლურად ჩაცმული ბავშვები იყვნენ მეფის ოჯახის წევრები. ძალიან მომეწონა ეს ბავშვები, მეგობარს ვუთხარი აპარატს მოგცემ და მათთან ერთად სურათი გადამიღე-მეთქი. დავუძახე ყველას, ფოტო გადავიღოთ-მეთქი და შევატყვე, რომ გოგოები ცოტა მოშორებით დადგნენ. მივხვდი, კომპიზიციურად კადრში არ ეტევა, ხელი მოვკიდე და ცოტა ახლოს მოიწიეთ-მეთქი, ვუთხარი. არადა, ხელის მოკიდება ნიშნავს, რომ ცოლად უნდა მოიყვანო, სხვანაირად არ შეიძლება. გადაირივნენ კინაღამ. მერე აუხსნეს, რომ ეს გოიმია, ქაჯია, სოფლიდანაა ჩამოსული, ვერ ერკვევა სიტუაციებში და ამიტომ აპატიეთო. ხელს ქალს თუ კიდებ, ეს ნიშნავს, რომ ამ ქალზე რაღაც პრეტენზიები და უფლებები გაქვს.

**– ქალს რომ მოეწონო, ამის გამოხატვის უფლება არ აქვს, ხომ?**

– არა, რას ამბობთ. სხვათა შორის, მიუხედავად ამ ყველაფრისა, მიუხედავად ჩადრისა, ქალები, იქ თავს ბედნიერად გრძნობენ. ქაიროში რომ ვიყავი, თვალში მეცა ერთი რამ, თითქოს მთელი ქაირო დაუმთავრებელი მშენებლობებია. თურმე რა ხდება, მამაკაცს უფლება აქვს მოიყვანოს რამდენიმე ცოლი, მაგრამ არ აქვს უფლება, ყოველმა მომდევნო ცოლმა წინამორბედზე ცუდად იცხოვროს. ანუ, პირველის ხარჯზეც ვერ მოიყვანს მეორეს. თუ ერთ ცოლს ერთსართულიანი სახლი აქვს და ქმარს მეტი ფული არ აქვს, ის ტოვებს სახლში კოლონებს, რომ მეორე სართული მეორე ცოლისთვის დააშენოს, როცა ფულს იშოვის. სასწაულად მკაცრი კანონები აქვთ. მაგალითად, ოქროულობის მაღაზიაში შეხვედი, რომელიც ძალიან პატარაა, სულ პატარა დახლით და ბევრი ნოხით, რომლებზეც სამკაულები ჰკიდია. მაღაზიაში რომ შეხვალ, უბრალოდ რომ შეხედო რაღაცას, გამყიდველი წამში ჩამოიღებს და ჩამოგკიდებს ამ სამკაულს. თხუთმეტ წუთში ოქროებით ხარ ასხმული და თან, ის გიმტკიცებს, რომ ეს ყველაფერი ულამაზესია და უნდა იყოდო. ამასობაში მოლა იწყებს კივილს, თავიანთ პატარა ნოხებს ილლიაში ამოიდებენ და სალოცავად გარბიან. შენ კი ასე, თავის მაღაზიაში ოქროებასხმულს გტოვებენ.

**– და შეგიძლია, ამ ოქროებით გაიქცე...**

– რომ გაიქცე და ვინმემ თქვას: აი, ეს ქურდიაო, ეგრევე გაჭრიან ხელს, იქვე, ყოველგვარი სასამართლოსა და გარკვევის გარეშე. ჭრილობაზე, ნაცარს გაყრიან, რომ სისხლდენა შეწყდეს და დამთავრდა ამით ლაპარაკი. ამის გამო ქურდობა იქ ნაკლებად არის.



**ამ კაცმა ამოიღო „ვიზიტკა“, მომცა, ხელი ჩამომართვა და წავიდა. უცებ ოცი კაცი მაინც მოვიდა და რადგან უფლისწულმა ხელი ჩამომართვა, ხელზე თავი დამადეს**

**– ამერიკაშიც ბევრი უცნაურობა გაქვთ გადახდენილი.**

– კი, ამერიკაში ვახლდი მიშა სააკაშვილს, რომ მისი ყველა ოფიციალური შეხვედრა დამეფიქსირებინა. პრეზიდენტ ბუშთან შეხვედრამდე, ძალიან ბევრი შეხვედრა იყო მინისტრებთან. ყველა ოთახში იდგა პატარა მაგიდა, წყალი, ყავა – ჩაისთვის და ზანგი ქალი თეთრი საყელოთი, რომელიც გვემსახურებოდა. მერე იწყებოდა საუბარი. ასეთ ოფიციალურ დონეზე პირველად ვარ. მიშა ძალიან სწრაფად დადის, ამიტომ მე უნდა ვირბინო, რომ გავასწრო და წინიდან გადავიღო. თუ ჩამოვრჩებოდი, ველარც ვიპოვიდი. ამიტომ, შეხვედრების პროტოკოლს ზეპირად ვსწავლობდი, რომ თუ დავკარგავდი, მეპოვა. შეხვედრაა ბუშთან. ჩამოწერილია ვინ ესწრება შეხვედრას. მერე გაირკვა, რომ პროტოკოლში არიან ისინი, ვინც შეხვედრას ოფიციალურად ესწრებიან, მაგრამ არიან პროტოკოლის გარეშეც. გაწერილი ორმოცი წუთის ნაცვლად, შეხვედრა ორ-საათნახევარი გაგრძელდა. პატარა მაგიდა იყო ოვალურ კაბინეტშიც, საშინლად დავიღალე, დამცხა, მომწყურდა და ზანგ ქალს დავუძახე, ფორთოხლის წვენი, თუ შეიძლება-მეთქი. მან ძალიან წყნარად დამისხა წვენი და მომაწოდა. ვიღებ გაქაფული, ვმუშაობ, ის კი ამ წვენის ჭიქით დამსდევს კუდში. როგორც იქნა, გამოვართვი, დავლიე და დავუბრუნე *(იცინის).*

**– ბეჭებზეც ხომ არ მიარტყით ხელი?**

– არა, სხვაგან, ოღონდ ცოტა მოგვიანებით. შეხვედრა იმდენად ფამილარულ და უშუალო სიტუაციაში გაგრძელდა, რომ მე გამოვიჩინე თავხედობა და ბუშს ვთხოვე, თუ შეიძლება, თქვენთან ფოტოს გადავიღებ-მეთქი. იმ ქალს, მე რომ ოფიციანტი მგონია, ვთხოვე, იქნებ ფოტო გადაგვიღო-მეთქი. ეს ქალი კონდოლიზა რაისი აღმოჩნდა, რომელიც იმ პერიოდში ბუშის მრჩეველი იყო. მეორე დილით, ექვს საათზე მირეკავენ და მეუბნებიან, ტელევიზორი ჩართე, ყველა შენზე ლაპარაკობსო: „ფოტო ბაი კონდოლიზა რაის,“ – ასეთი სიუჟეტი ჰქონდათ. არადა, პროტოკოლით რაისთან შეხვედრა უკვე მეორე დღეს გვქონდა. სულ პატარა ოთახი იყო, სადაც ხელის ჩამორთმევა უნდა გადამეღო და წამოვსულიყავი. შემოდის ეს „ოფიციანტი“, ქაღალდებში იქექება, აჩქარდით-მეთქი, ვეუბნები. არ ვიცოდი, ვინ იყო. ამას ძალიან დიდი ამბავი მოჰყვა საქართველოშიც – როგორ შეიძლებოდა ასე მოქცევაო, ნეტავ, ახლა რომელიმე მათგანმა თუ იცის, ობამას რომელიმე მრჩევლის სახელი და გვარი ან როგორ გამოიყურება *(იცინის).* ეს სურათი დღემდე საამაყოდ მაქვს. სხვათა შორის, რაისი რომ თბილისში ჩამოვიდა, იმ შეხვედრასაც ვიღებდი. სასტუმროში შემოდის კონდოლიზა რაისი და ვეუბნები, მიცანით-მეთქი და კიო. გთხოვთ, იმ ფოტოზე ავტოგრაფი გამიკეთეთ-მეთქი. სხვათა შორის, ძალიან უშუალო ადამიანია. ჩვენთან, რამეს რომ აღწევენ, ადამიანობას კარგავენ, იქ კი თანამდებობა ადამიანს არ ცვლის, თუ უშუალო ადამიანია, ბოლომდე უშუალოა და თუ ვირია, ბოლომდე – ვირი. ავტოგრაფზე უარი არ მითხრა, ვიღაცას დაუძახა და უთხრა: ავტოგრაფის საქმე მოაგვარეო. თანაშემწემ ყველაფერი ჩაიწერა და ორ კვირაში კარზე ზარია – პაკეტი თეთრი სახლიდან. ვხსნი პაკეტს, ბუშის დიდი ფოტო წარწერით: „საუკეთესო სურვილებით.“ მან, როგორც ჩანს, არასწორად გაიგო, იფიქრა, ბუშის ავტოგრაფი მინდოდა *(იცინის).* შევიდა ბუშთან, ალბათ, და უთხრა: აი, ის თავხედი ფოტოგრაფი რომ იყო, ახლა ავტოგრაფიც უნდაო. ორივე ფოტო სახლში მაქვს *(იცინის).*

**– კონდოლიზასთან ფოტო არ გაქვთ?**

– არა, ბუშს ვერ ვთხოვე გადამიღეთ-მეთქი. ის ვიცოდი ვინ იყო *(იცინის).* სამაგიეროდ, ფოტო მაქვს ნიუ-იორკის მთავარ რაბინთან, რომელიც ძალიან გავლენიანი ადამიანია და თუ მსოფლიო პოლიტიკას არ წყვეტს სერიოზულად ერევა გადაწყვეტილებებში. თბილისში, „შერატონში“ მსოფლიო რაბინებს შეხვედრა ჰქონდათ, რომელიც პრესაში არ უნდა გახმაურებულიყო. დამირეკეს, რომ ერთი ჯგუფური ფოტოა გადასაღებიო. ამ დროს სარეკლამო დაკვეთა მაქვს ჩასაბარებელი და ვხვდები, რომ იქ დამთავრებისკენ არაფერი მიდის. ავიღე ჭიქა, დავაკაკუნე და თუ შეიძლება, სურათისთვის შეიკრიბეთ, ერთი ღიმილი მაჩუქეთ და თავს დაგანებებთ-მეთქი. ნიუ-იორკის რაბინმა გაიგო და იკითხა: ეს ვინ არისო. ორგანიზატორმა უპასუხა, ეს ჩვენი თა-

# როგორ ქორწინდებიან მოხუცები თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატში და რას უგროვებენ აქაური მოხუცები შვილებს

*თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატს ოთხმოცდათხუთმეტი ბინადარი ჰყავს, რომელთა ცხოვრებაც აქ, ამ სახლში ფერადი დღეების მოლოდინში გადის. ბავშვებივით არიან – ერთი ტკბილი სიტყვა გულს უთბობთ. ყველაზე მეტად ის ახარებთ, როცა შვილები ან უბრალოდ, ახალგაზრდები ესტუმრებიან... საკუთარ წარსულზე უყვებიან ყველას...*

*პანსიონატის ბინადართა შორის ერთი განსაკუთრებული წყვილია – შოთა ბიძინაშვილმა და რიმა ოკუნციანმა ერთმანეთი აქ გაიცნეს და ორი წლის წინ, ტრადიციული ქორწინებით, მეჯვარეებით, ქართული სუფრითა და მრავალჟამიერით იქორწინეს. დღეს პანსიონატია მათი ოჯახური სავანე – პანსიონატი, რომლის კედლებს ორი მოხუცის სიყვარულის ისტორია დიდი ხანია, გასცდა – რაც დასტურია იმის, რომ სიყვარულს ასაკი არ აქვს.*

**შოთა ბიძინაშვილი**: მე თბილისელი მოხუცი ვარ, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი. ცხოვრებამ ისე მოიტანა, რომ აქ მოვხვდი, რაზეც არასდროს მიფიქრია. მთელი ცხოვრება შრომაში გავატარე. საჩამომსხმო საამქროში მეყალიბე ლითონის ჩამომსხმელად ვმუშაობდი. თავისუფალ დროს ვხატავდი, ვძერწავდი, ვაკეთებდი ეკლესიის მაკეტებს. თვითნასწავლი მხატვარი ვარ, ბევრი გამოფენა მაქვს მოწყობილი – ნატურიდან მაქვს დახატული სიონის, ქაშუეთის, სვეტიცხოვლის ტაძრები და მაკეტებად ვაქციე. გაკეთებული მაქვს ილიას პოემა „კაკო ყაჩაღის" სცენების მაკეტებიც. ჩემი ოცნება იყო, შემექმნა ილია მართლის სახელობის ეკლესიის მაკეტი და ეს ოცნება აქ ავისრულე. ჯერ ფეხსაცმლის კოლოფებით, შემდეგ კი პენოპლასტის ნაჭრებით გავაკეთე უნიკალური მაკეტი ეკლესიისა, რომელსაც აქვს ოთხწახნაგოვანი გუმბათი და ქუჩის აივანი. ამის მსგავსი მაკეტი არ არსებობს. ახლა ერთი ოცნება დამრჩა – ეს ეკლესია ჩვენი პანსიონატის ეზოში აიგოს. ეგებ ეს ოცნება ამისრულდეს კიდეც.

– **თქვენს აქაურ ცხოვრებაზე მომიყევით.**

– აქ კარგად ვარ. მას შემდეგ უფრო კარგად ვარ, რაც რიმა გავიცანი. ჩვენ ორი წლის წინ დავქორწინდით. კარგი ქორწილი გადაგვიხადეს აქაურმა უფროსებმა. მეჯვარეებიც გვყავდა, ქეიფიც იყო და ცეკვა-თამაშიც. ასკაციანი სუფრა გაშალეს. ჩემი შვილიშვილები ახალგაზრდები არიან და ცოლი ვერ მოუყვანიათ, სულ ვეუბნები ხოლმე: მე 90 წლის ასაკში მოვიყვანე ცოლი და თქვენ რა დაგემართათ-მეთქი. ერთი პრობლემა გვაქვს – როცა რიმა აქ ჩაირიცხა, ასპროცენტიანი დაფინანსება არ მისცეს, ქულები არ ეყო. თავისი პენსიიდან იღებს ცხოვრების ხარჯს, მარტო ჩემი პენსია კი არ გვყოფნის. თან, რიმას წინასწარ გამოუტანია ოთხი თვის პენსია, შვილს კრედიტი სჭირდებოდა და მისცა. ვის აღარ



**შოთა ბიძინაშვილი: „შვილიშვილებს ვეუბნები, მე 90 წლის კაცმა მოვიყვანე ცოლი და თქვენ რა დაგემართათ-მეთქი“**

მივწერე, რომ რიმას პენსია არ დაექვითოს. ახლა მითხრა, თუ უარს მოგვწერენ, შიმშილს დავიწყებო, ისედაც ასეთი გამხდარია – ამან შიმშილი რომ დაიწყოს, მოკვდება და მე რა მეშველება?

**დარეჯან თომაძე** ***( თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატის ხელმძღვანელი):*** უკვე ერთი წელია, რაც ამ პანსიონატს ვხელმძღვანელობ და უფრო და უფრო ვრწმუნდები, რომ მოხუცები ძალიან ჰგვანან ბავშვებს. მათ იმდენი აქვთ საერთო, ვერც კი წარმოიდგენთ. ბავშვს ხომ უყვარს საუბარში იმის თქმა, ვინ უნდა გახდეს მომავალში, მოხუცები კი მუდამ იმაზე აკეთებენ აქცენტს, როგორ ცხოვრობდნენ ახალგაზრდობაში – სად მუშაობდნენ, რას აკეთებდნენ. ოთხმოცდათხუთმეტი ბენეფიციარიდან, რომლებიც ჩვენთან ცხოვრობენ, ოცდასამი მწოლიარეა. მათთვის აქ ცხოვრება უფრო რთულია. თუმცა, შემიძლია გითხრათ, რომ აქ მოხუცები საკმაოდ მხიარულად ცხოვრობენ. თითქმის თვე არ გავა, დაახლოებით, ხუთი სტუმარი არ მოვიდეს ჩვენთან. ასეთი დღეები ჩვენს მოხუცებს განსაკუთრებულად უყვართ. ყველაზე მეტად ის ახარებთ, როცა ბავშვები მოდიან მათ მოსანახულებლად. უნდა ნახოთ, როგორი გაბრწყინებული სახეები აქვთ – იმ ბავშვებში მონატრებულ შვილებს და შვილიშვილებს ხედავენ. ჩემთვის, როგორც დირექტორისთვის, ყველაზე მტკივნეული იმ მოხუცების ბედია, რომლებიც შვილებმა ოჯახებიდან გამოუშვეს და აქ მოიყვანეს. იმის მიუხედავად, რომ მათ მშობლები პანსიონატში ცხოვრებისთვის გაიმეტეს, მშობლები მაინც თავის წილ ნამცხვარს, პურს, ტანსაცმელს აგროვებენ და იქით ეხმარებიან ოჯახს, შვილებს. აქ, პენსიის დღეს რიგია – რომელი შვილი მოასწრებს, რომ მშობლის პენსია აიღოს. მე ვფიქრობ, თავიდან უნდა გადამოწმდეს აქ ჩარიცხული – ოთხმოცდათხუთმეტი მოხუცის ისტორია. მათ შორის არიან მოხუცები, რომელთა ზურგს უკან ძლიერი თანადგომის ქსელია – ჰყავთ შეძლებული შვილები, აქვთ დაკეტილი და გაქირავებული სახლები. ამ დროს კი, რიგში დგას 200 ადამიანი, მათ შორის დამსახურებული პიროვნებები, რომელთაც ასი გრამი პური ენატრებათ.

– **როგორც ვიცი, აქ რამდენიმე წყვილი დაქორწინდა კიდეც.**

– ხუთი წყვილი გვყავს, რომლებიც ჩვენთან ცხოვრობენ. სამი წყვილი აქ, ადგილზე დაქორწინდა. ორი წყვილის მომავალიც თითქმის უკვე გარკვეულია – მათ გადაწყვიტეს, რომ ერთმანეთს დაუკავშირონ ცხოვრება. დღე-დღეზე მათ დაქორწინებას ველოდებით. უნდა ნახოთ, როგორ დადიან ერთმანეთის გვერდით, ხელიხელჩაკიდებული ჩვენი წყვილები. ეს დასტურია იმისა, რომ სიყვარულს ასაკი არ აქვს.

**თამარ ჩხენკელი**

---

ვხედი ფოტოგრაფია, პრეზიდენტთან მუშაობს და კონდოლიზა რაისს ბუშთან ერთად ფოტო გადააღებინაო. ეს გავიგონე და ვუთხარი, დიახ და ხომ ხედავთ, კონდოლიზა რაისი დააწინაურეს და ბუში მეორე ვადით აირჩიეს-მეთქი. მას კარგი იუმორის გრძნობა აღმოაჩნდა და მეუბნება: შეიძლება, თქვენთან სურათი გადავიღოო?! რა თქმა უნდა, გადავიღეთ. დედაჩემს, რომელიც ამერიკაში ცხოვრობს, ძალიან უხარია, როცა მეფეებთან და ასეთ ცნობილ ხალხთან, ჩემს ფოტოებს ნახავს და მეც ვუგზავნი. გავუგზავნე ეს სურათიც და დაკიდა კედელზე ბუშთან, ბაჰრეინის სულთანთან და სხვა ცნობილ ადამიანებთან გადაღებულ ფოტოებთან ერთად. დედას ურთიერთობა რუსულენოვან მოსახლეობასთან აქვს, რომელთაგან უმრავლესობა ებრაელია. ერთხელ სტუმარი ჰყავს და ეკითხება ამ ფოტოზე: ეს ვინ არისო? ეს ნიუ-იორკის მთავარი რაბინიაო. ეგ კი ვიცი, მეორეზე გეკითხებიო. ეს ჩემი შვილიაო, – უთხრა დედაჩემმა. სტუმარმა დაუბარა: ამა და ამ დღეს გამოგივლი და ამ სურათით წამოდიო. სიეტლში თურმე ებრაელების დიდი საზოგადოებაა, სადაც დედა მიიყვანეს და პატივისცემის ნიშნად, ყოველკვირეულად უამრავ პროდუქტს აძლევენ.

– **უცნაურად ეწყობა თქვენს ცხოვრებაში ყველაფერი.**

– ერთხელ ბაჰრეინში ვიყავი. იქ ნაციონალური სამოსი ვიყიდე – არაბული კაბა თავისი ჩალმით და ყველაფრით, იქვე ჩავიცვი და გამოვედი. სამიათასკაციანი კონფერენციაა, ოცდაოთხსაათაინი „კოფი ბრეიკით“ და მოკლედ, დიდი ჟრიამულია. სხვა არაბული ერებისგან განსხვავებით, ბაჰრეინში იცავენ იერარქიას. ქვეშევრდომი ცოტა წელში მოხრილიცაა და უფროსს თვალებში უყურებს. დარბაზიდან გამოვიდა მეფის ძმა, რომელსაც მოჰყვებოდა მთელი ამალა. ამალის წევრთა ნახევარს კოსტიუმები ეცვა, ხოლო ნახევარს – ნაციონალური სამოსი. მიდის პრინცი წინ, გვერდით არ იყურება, ყველა წელში მოიხარა და თავი დახარა. მოულოდნელად პრინცი გაჩერდა, უცებ მოტრიალდა და წამოვიდა ჩემკენ. პირდაპირ მიყურებს და მოდის. ცოტა შემეშინდა. მეკითხება ვინ ხარო, ავუხსენი საქართველოდან ვარ, ფოტოგრაფი „როტარიანელი“-მეთქი. კარგია და ეს ტანსაცმელი რატომ გაცვიაო?! ვუთხარი, ჩვენთან ასეთი ანდაზაა, სადაც წახვალ იქაური ქუდი უნდა დაიხუროო და მეც პატივისცემის ნიშნად გადავწყვიტე, რომ თქვენი ნაციონალური სამოსი ჩავიცვა-მეთქი. უცებ ამალას მიუბრუნდა და ეუბნება, თქვენ ხართ არაბებიო?! აი, კაცი, ჩამოვიდა საქართველოდან, ჩვენ კულტურას, ტრადიციებს პატივს სცემს და თქვენ კიდევ კოსტიუმები ჩაგიცვამთო. ***(იცინის)*** ამ კაცმა ამოიღო ვიზიტკა, მომცა, ხელი ჩამომართვა და წავიდა. უცებ ოცი კაცი მაინც მოვიდა და რადგან უფლისწულმა ხელი ჩამომართვა ხელზე თავი დამადეს.

კიდევ ერთ ისტორიას მოგიყვებით. ათონის მთაზე ვარ. დიდად ეკლესიური ცხოვრებით არ გამოვირჩევი, თუმცა იქ მოხვედრა ყოველთვის ძალიან მინდოდა. ვიყავი ივერიონში, სადაც ივერიის ღვთისმშობლის ხატია და ძალიან მაინტერესებდა მისი ნახვა. მთელი მსოფლიოდან მოსულები არიან მომლოცველები, უზარმაზარი რიგია. სენაკში ერთ გერმანელთან ერთად ვცხოვრობდი. ის ჩემ წინ წავიდა, ილოცა, გავიდა და დამელოდა. რომ მივედი, ლოცვის მაგივრად, დავიწყე ხატის თვალიერება – როგორ მოსდის მირონი, როგორი შესრულებულია... შევნიშნე, რომ ხატის ქვეშ გაბმულია ძაფი და მასზე შებმულია ბეჭდები, სამკაულები, ჯაჭვები... ერთადერთი, რაც მქონდა, საათი იყო, დიდი-დიდი, ასი დოლარი ეღირებოდა. ვიფიქრე, აქ კიდევ როდის მოვხვდები და დავტოვებ ამ საათს-მეთქი. მეორე დილით, გამთენიისას უნდა დავტოვოთ ათონი. ვიღვიძებ და გერმანელს ვეკითხები, ხომ არ ვაგვიანებთ, რომელი საათია-მეთქი. უცებ მომიბრუნდა და მეუბნება, საერთოდ არ მიძინიაო. რა მოხდა, ხომ კარგად ხარ-მეთქი. ასეთ რამეს მეუბნება: მთელი ღამე ვფიქრობდი, რა ვქნა, არადა ბუნებით ღორი არ ვარ. დაგინახე, საათი რომ შესწირე. არადა, მე რომ ვილოცე, ჩემს გონებამდე და გულამდე ვერ მოვიდა, იქ რამე დამეტოვებინაო. არ ვიცი, გამოსავალი როგორ მოვძებნო და ასეთი რამ მოვიფიქრე, თუ ამაზე დამთანხმდები, მთელი ცხოვრება შენი მადლიერი ვიქნებიო. მე გაჩუქებ ჩემს საათს და ვითომ ის შენი საათი, მე და შენ ერთად ვაჩუქეთო. კარგი-მეთქი, ვუთხარი. გავიკეთე საათი. ეს კაცი გაბადრული, ბედნიერია. გათენდა და დავიხედე, აღმოჩნდა, რომ საათი არის „ბრეტლის“, ძალიან იშვიათი და ძვირადღირებული ფირმის. ამაზე ვხუმრობ, „ბრეტლის“ საათი ღვთისმშობელმა გამომიგზავნა-მეთქი.

**სალომე გველესიანი**

**ჟურნალისტი ალეკო ელისაშვილი შეწყალების კომისიის ხელმძღვანელის როლში საქმიანობას „დაქოქილი" შეუდგა. ორი კვირა მისაღები სტელას ბაღში ჰქონდა, ტელეკომპანია „კავკასიის" ეზოში, სადაც ცნობილი ჟურნალისტი პატიმართა ახლობლებს იღებდა. მილოცვებს იღებს, თუმცა, ფიქრობს, რომ მოსალოცად არ აქვს საქმე. მოულოდნელმა სიახლემ მისი ცხოვრება თავიდან ბოლომდე „ამოატრიალა", მაგრამ, ამას ისეთი აზარტით ხვდება, უკან არაფერზე იხევს.**

# რა ტრადიცია დაარღვევინა ალეკო ელისაშვილს პრეზიდენტმა და რაზე ვერ დაითანხმეს ის

**ალეკო ელისაშვილი**: მილოცვებს კი ვიღებ, მაგრამ, ვიცი, რომ მოსალოცად არ მაქვს საქმე. დიდი ქვებით სავსე ზურგჩანთას რომ მოგკიდებენ, ეგ განცდა მაქვს, თუმცა, სიმართლე გითხრათ, წარბი არ შემიხრია, დიდი შემართებით, მონდომებული ვეწევი ამ ჭაპანს, რადგან, ძალიან მომწონს, ხალხს რომ ვეხმარები.

**– როგორ ფიქრობ, რატომ გააკეთა გიორგი მარგველაშვილმა არჩევანი შენზე? რა გაკავშირებდა მასთან, სანამ პრეზიდენტი გახდებოდა?**

– რატომ გაკეთდა არჩევანი ჩემზე, უნდა ჰკითხოთ გიორგი მარგველაშვილს. ნამდვილად არ ვიცოდი, რატომ დამიძახეს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში, როცა დამირეკეს და მითხრეს – მოდი, შენთან საქმე გვაქვსო. ჩემთვის ვიფიქრე: თუ საჯარო მოხელეობას მთავაზობენ, უარს ვიტყვი-მეთქი. ახლა, პრეზიდენტის ადმინისტრაციაში იმაზე ხომ არ დამიძახებდნენ, მოდი, ლუდი დავლიოთო. მე გადაწყვეტილი მქონდა, რომ უარი მეთქვა საჯარო მოხელეობაზე, რადგან, მე უნდა ვიმუშაო „კავკასიაში" და უნდა ვიყო თბილისის ამქარში – ეს იყო ჩემი პრინციპული გადაწყვეტილება, რასაც, ჩემი აზრით, საჯარო მოხელეობას ვერ შევუთავსებდი. მოკლედ, მივედი ადმინიტრაციაში, შევხვდი პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსსა და შალვა რამიშვილს და მათგან შევიტყვე ამ გადაწყვეტილების შესახებ. პირველი, რაც ვთქვი – „კავკასიაში" უნდა დავრჩე-მეთქი. ამაზე მითხრეს, დარჩი, ეს ხელს არ შეგიშლის და ინტერესთა კონფლიქტი არ იქნებაო. ისიც მითხრეს, ახლავე გვითხარი პასუხიო. მე ვუთხარი – არა, უნდა ვიფიქრო-მეთქი. იქიდან წამოსულმა დავურეკე ჩემს რამდენიმე მეგობარს, ვისი აზრიც ჩემთვის მნიშვნელოვანია და ჭკუა შემიძლია ვკითხო. მათ მირჩიეს ის, რაც უნდა ერჩიათ. ეს მოცემულობა იდეალური იყო იმითაც, რომ „კავკასიაშიც" ვრჩები და ამქარშიც, აქტიურ წევრად, რომელსაც უკვე ერთი წელია, თამარ ამაშუკელი ძალიან მაგრად უძღვება. როცა ამ გადაწყვეტილებას დავთანხმდი, მაშინ ისიც ვიფიქრე: მე რომ უარი მეთქვა, ვიღაცას ეგონებოდა, რომ პასუხისმგებლობას გავურბივარ, ვზივარ ეთერში და მარტო ვლაპარაკობ. რა ჯობია ამას – მიდი და აკრიტიკე „ნა ლევა, ნა პრავა". ამ საქმეში არიფი ვარ – ეს იქაც ვთქვი, როცა ეს სამსახური შემომთავაზეს და, ამიტომაც მოვითხოვე დრო, რომ გავრკვეულიყავი ამ ამბავში. გავართმევდი თუ არა თავს დაკისრებულ პასუხისმგებლობას. ამაზე რომ ვიფიქრე, ამიტომაც შევყოყმანდი. მე გარედან ვხედავდი შეწყალების კომისიის მუშაობას, სულ დავიდარაბა იყო ამ კომისიასთან დაკავშირებით. გვეუბნებოდნენ, რომ ერთ სიას გზავნიდნენ და მერე საიდანღაც სხვა სიები ჩნდებოდა.


**მაგარი დაქოქილი ვარ, მაგრამ ყველაფრისთვის ვიცლი**

**– რა გარანტია გაქვს, რომ ასეთი ამბები აღარ იქნება მომავალში? ამ კომისიის ხელმძღვანელობას შენი რეპუტაციის ფასად ხომ არ რისკავ?**

– ახლა ყელმოღერებულად გეტყვით: შეწყალების კომისიის ხელმძღვანელობაზე იმიტომ დავთანხმდი, რომ საკუთარ თავში აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ. თუ ჩემგან დამოუკიდებლად შეიქმნება სხვა გარემოებები, ამ სახელმწიფოს აქვს საგამოძიებო და ოპერატიული სამსახურები და გამოიძიონ, საკუთარ თავზე ნამდვილად ვარ პასუხისმგებელი. კიდევ ერთი, რაშიც ასევე დარწმუნებული ვარ, არის კომისიის შემადგენლობა. არ დავმალავ, მკითხეს აზრი კომისიის წევრებთან დაკავშირებით და მნიშვნელოვნად გაითვალისწინეს ჩემი მოსაზრება, რითაც ძალიან კმაყოფილი ვარ. არც ისეთი არიფი ვარ, ჩემ გვერდით რაღაც მოხდეს და ვერ გავიგო. თუ განმეორდა ის, რაც ხდებოდა წინა ხელისუფლების დროს, თუ ისე შეცვალეს სიები, როგორც ადრე ხდებოდა, დავიხურავ ქუდს, დავწერ განცხადებას და კარგად ბრძანდებოდეთ-მეთქი, ვიტყვი. ოღონდ, ამას კი არ დავმალავ, საჯაროდ გამოვაცხადებ. თუ აბუჩად აგვიგდეს, იქ არ გავჩერდები. მე არ ვაპირებ საქმეების გაკეთებას ბიძაშვილ-მამიდაშვილობის ხათრით. ყველას ვუთხარი – მეგობრებსაც, ძალიან ახლობლებსაც (სამწუხაროდ, ბევრს ჰყავს ახლობელი ციხეში), ვერაფერს გეტყვით, რა როგორ იქნება, საქმე უნდა იყოს ისეთი, რომელიც შეწყალების პრინციპებში ჩაჯდეს-მეთქი. სიმართლე გითხრათ, არავის, არც ერთ ჩემს მეგობარს არ უკადრებია, ვინმე ჩემიანი გამოუშვიო, იციან, რომ შეპყრობილი იდეები მაქვს. ერთიორს ჰქონდა დაჟინებული თხოვნა, მაგრამ, ქვა ავაგდე და თავი შევუშვირე.

**– პრეზიდენტს შეხვდი? რა გაკავშირებდა მასთან, სანამ პრეზიდენტი გახდებოდა?**

– პრეზიდენტს შევხვდი კომისიის წევრებთან ერთად, ყველას ერთად გვითხრა, რაც მას სურდა და ჩვენც ყველამ ერთად ვუთხარით ჩვენი სათქმელი, ეგ იყო და ეგ. რაც შეეხება ჩემს კავშირს გიორგი მარგველაშვილთან, მთელი ჩემი ჟურნალისტური საქმიანობის განმავლობაში, პოლიტიკოსებთან ყოველთვის დისტანცია მქონდა. არც ერთი მეგობარი არ მყოლია პოლიტიკოსთა შორის, არ ვმეგობრობ მათთან, რადგან, მერე რაღაცეებში იზღუდები. მოვლენ ეთერში, „გამარჯობა, გაგიმარჯოს" და იქ მთავრდება ჩვენი ურთიერთობა. ერთადერთი „იაღლიში" მომივიდა და ეს იყო გიორგი მარგველაშვილი. ვერ წარმოვიდგენდი, ის თუ პოლიტიკოსი გახდებოდა. არ ვმალავ და გეტყვით, რომ ის იყო ჩემი ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი რესპონდენტი, ძალიან გონიერი და ვიყავით ერთ პოზიციაზე. გადაცემას რომ მოვრჩებოდით, ერთად გავდიოდით ხოლმე ტელევიზიიდან, გზად ლუდს ვიყიდდით და ერთად მივდიოდით სახლისკენ. ორივე მთაწმინდაზე ვცხოვრობთ და ფეხით მივბოდიალობდით ხოლმე. ვსაუბრობდით იმაზე, რაც ეთერში ვერ მოვასწარით. რაც ყველაზე მეტად მომწონდა მარგველაშვილის, იყო ის, რომ არ შეცვლილა არაფრით. როცა გავიცანი, „ჯიპას" რექტორი უკვე აღარ იყო. მასაც არ ულხინდა, მძიმე მდგომარეობა ჰქონდა. როგორიც იყო მაშინ, ასეთი იყო მინისტრობისასაც და მერეც. საპრეზიდენტო კანდიდატი იყო, როცა აქ მოვიდა. არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე იყო ჩემთან ეთერში, არც დაცვა ახლდა, არც არავინ. წამოდი, მაღაზიაში ჩავიდეთ, ლუდი უნდა ვიყიდო-მეთქი – ვუთხარი ძველებურად. აქ ყველას გვახსოვს ოპოზიციური პოლიტიკოსების სტუმრობა. ისეთი ესკორტითაც მოსულან, იფიქრებდით, მარგარეტ ტეტჩერი მოვიდა ან ანგელა მერკელიო. გიორგის ასეთი რამეები არასდროს სჭირდა. რა ვქნა, მოხდა ასე, რომ დავმეგობრდით, მაგრამ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მისგან დავალებები და შეკვეთები მივიღო, ან რამე ისეთი ქნას და მე არ გავაკრიტიკო. მის ძველებურად რესპონდენტის როლში ყოფნას კი შეველიე და ეგ არის. არადა, იმას რა ჯობდა: მოვიყვანდი გიორგის, დავუსვამდი თავხელიძეს და კანფეტივით გადაცემა გამოდიოდა. რა ვქნა, ჩემი საყვარელი რესპონდენტების უმეტესობა მთავრობაში წავიდა *(იცინის)*.

**– როგორ შეცვალა ამ სამსახურმა შენი ცხოვრება?**

– ჩემი ცხოვრება ამოტრიალდა 180 გრადუსით. ის, რაც ყველაზე მეტად მეხმარება ამ ამბავში, არის ჩემი სამსახური „კავკასიაში", სადაც მუდმივად მაქვს საშუალება, მქონდეს ურთიერთობა ხალხთან. ხომ ხედავთ, როგორი დემოკრატიული სივრცეა – კარს აღებ და პირდაპირ შემოდიხარ. მეცინება ხოლმე, როცა ვიღაც მირეკავს და მეკითხება: საშვი არის საჭიროო? ხალხი მოდის პირდაპირ და მესაუბრება, თუმცა, ბოლო ორი კვირის განმავლობაში, ჩვენი საუბრის თემა სპეციალიზირებულია – შეწყალებებს ეხება. ადრე ეს თემა ფართო იყო: თბილისში არსებული უკანონო მშენებლობები, იქ ვიღაცას ასახლებდნენ ბინიდან, იქ ვიღაცას რაღაც სხვა უჭირდა. ახლა ინსტიტუციურად შემიძლია, დავაკვალიანო ეს ხალხი. ვერ წარმოიდგენთ, რამდენი ზარი შემოდის ჩემს ტელეფონზე, რამდენი წერილი მომდის „ფეისბუქზე", ბევრი მირეკავს ციხიდან.

**– კაბინეტი არ გაქვს? ჯერ არ დაბანაკებულხარ კანცელარიაში?**

– დღეს მომცეს სამუშაო ოთახი. მართლა უხერხული იყო – ხალხს ქუჩაში, აქ, სტელას ბაღში ვიღებდი. ელენე თევდორაძის ოთახი დამიტოვეს. პატარა ოთახია, მაგრამ, მეტი რად მინდა. გუშინ დავრეკე და ვუთხარი, ეს პრობლემა მომიგვარეთ-მეთქი. ამას წინათ, წვიმაში ვიღებდი ხალხს, ქუჩაში. თვითონ, ალბათ, არც გახსენებიათ ეს საკითხი და მე ხომ არ დავაჩქარებდი? ელენე თევდორაძესაც თავისი ნივთები ჰქონდა წასაღები. ასაკოვანი ქალია, ხომ ვერ ვეტყოდი, ჩქარა ოთახი დამიცალემეთქი. მე მასთან ეტიკეტი არ დამირღვევია. იმაში ვეთანხმები – ნამდვილად კარგი იქნებოდა, ეს ყველაფერი ტელევიზიით რომ არ გაეგო. მე ვერ დავურეკავდი, ჩემგან არ იქნებოდა სწორი საქციელი. ჩვენ შევხვდით, მან გადმომაბარა საქმეები, ისე კარგად დამაკვალიანა, მადლობის მეტი რა მეთქმის, იმიტომ რომ პირველ კვირას, სანამ საქმეებში გავერკვეოდი, ისე ვინერვიულე, ღამეები არ მეძინა, სტალინივით ბოლთას ვცემდი სახლში *(იცინის)*. ისეთ მძიმე თემებთან მაქვს შეხება, ეს არაა იოლი, მაგრამ, ვიღაცას ეს საქმე ხომ

**(გაგრძელება მე-16 გვერდზე)**

# ვინ აკონტროლებს ჰაერში თვითმფრინავს და როგორ შეასწრო ევროპის სივრცეში საქართველოს ხმელეთს ქართულმა ცამ

*თუ ფიქრობთ, რომ თვითმფრინავით მგზავრობისას თქვენი ბედი მხოლოდ მფრინავის ხელშია, ძალიან ცდებით. რა თქმა უნდა, მის პროფესიონალიზმზე ბევრია დამოკიდებული, მაგრამ ის მარტო ვერაფერს „გახდება,“ ხმელეთიდან „საქაერონავიგაციის“ მთელი კოლექტივი რომ არ ეხმარებოდეს. სწორედ „საქაერონავიგაცია“ აწესრიგებს ფრენებს და საჰაერო სივრცეში თითოეული მგზავრის უსაფრთხოებაზეა პასუხისმგებელი. ალბათ, შეგინიშნავთ კიდეც, აეროპორტების სიახლოვეს, სამეთვალყურეო კოშკი-ტაუერი. ეს ის ადგილია, საიდანაც საჰაერო მოძრაობის მართვა ხორციელდება. თუმცა, ესეც არ არის ყველაფერი, რაც ჩვენ, ჩვეულებრივმა მგზავრებმა არ ვიცით. მაგალითად ის, რომ ჩვენი, ქუთაისის ახალი სამეთვალყურეო კოშკი, აღმოსავლეთ ევროპის ხუთ საუკეთესო ტაუერს შორისაა და რომ ქართული ავიასივრცე ევროპის ერთიან ცას შეუერთდა.*

**– ბატონო გოჩა, როგორ მოხდა, რომ ქართულმა ცამ საქართველოს შეასწრო ევროკავშირში?**

**გოჩა მეზვრიშვილი** *(შპს „საქაერონავიგაციის“ გენერალური დირექტორი): (**იღიმის**)* სწორედ ამასთან დაკავშირებით მივდივართ ბრიუსელში. სტუმრებისთვის ქვეყანა აეროპორტებითა და სანავიგაციო კოშკებით იწყება. ის ქვეყნის სავიზიტო ბარათია. საჰაერო ნავიგაციის უსაფრთხოების ევროპული ორგანიზაცია – „ევროკონტროლი" სამთავრობათაშორის სამოქალაქო-სამხედრო ორგანიზაციას წარმოადგენს, რომლის შემადგენლობაშიც 39 სახელმწიფო შედის და მეორმოცე წევრად დავემატეთ ჩვენც. რაც ჩვენი მიღწევების, პროფესიონალიზმისა და გაწეული შრომის საერთაშორისო დონეზე აღიარებას ნიშნავს.

**– ბატონო გოჩა, დიდი ხანია, ავიაციაში მოღვაწეობთ?**

– 1982 წლიდან მფრინავი ვარ. ვერტმფრენს ვმართავ და ახლაც არ დამინებებია თავი ამ საქმიანობისთვის. ყველა ომში მაქვს მონაწილეობა მიღებული, რაც კი უახლეს ისტორიაში საქართველოს თავს დატრიალდა. ვახტანგ გორგასლის სახელობის ორდენიც მაქვს. თვეში ორჯერ მაინც მიწევს ფრენა. კაბინეტს ნელ-ნელა ვეჩვევი.

**– ქართული ავიასივრცე უსაფრთხოდაა მიჩნეული?**

– საჰაერო სივრცის უსაფრთხოება მთლიანად საჰაერო ნავიგაციაზეა დამოკიდებული, ანუ ჩვენზე. ჩვენ ვმართავთ თვითმფრინავებს ჰაერში. 1999 წლიდან აქტიურად დაიწყო მუშაობა საქართველოს საჰაერო ნავიგაციის განვითარებაზე. გაუმჯობესდა ტექნიკური ბაზა, გადამზადდა პერსონალი. ყოველწლიურად ვაუმჯობესებთ და ვნერგავთ უახლეს ტექნოლოგიებს. დღეს საქართველოს საჰაერო ნავიგაცია მთლიანად შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს. მგზავრებმა არ იციან, რომ მათი ბედი ავიამეთვალყურეს ხელშია ***(იღიმება)***. თვითმფრინავი მუდმივ კავშირშია ავიამეთვალყურეებთან და ერთი წამითაც არ კარგავს კონტროლს. სარადარო სისტემების დახმარებით იმართება საჰაერო სივრცე, რათა თვითმფრინავებმა ერთმანეთისგან დაშორებით, უსაფრთხოდ და თანმიმდევრულად იფრინონ. ჩვენ ვაკონტროლებთ საქართველოს საჰაერო სივრცეს მთლიანად. უზრუნველვყოფთ თბილისის, ქუთაისის, ბათუმისა და მესტიის აეროპორტების აფრენა-დაფრენის




ზონაში საჰაერო მომსახურებასა და ფრენის უსაფრთხოების დაცვას.

**– ანუ, დღე და ღამე მუშაობთ...**

– ოცდაოთხი საათის განმავლობაში საქართველოს საჰაერო სივრცე დაყოფილია კლასიფიკაციების მიხედვით: მაღალ, საშუალო და დაბალ დონეებად. მაღალ ტრასებზე მართავს თვითმფრინავს ყველაზე მაღალი დონეების ავიამეთვალყურე. თვითმფრინავი დაშვებას როცა იწყებს, საშუალო დონეების ავიამეთვალყურეა პასუხისმგებელი, ხოლო მიღება-აფრენას და დედამიწაზე მის გადაადგილებას უკვე ტაუერი ახორციელებს.

**– ანუ, თქვენს გარეშე თვითმფრინავი ვერც აფრინდება, ვერც დაფრინდება, ვერც იფრენს...**

– ასეა. გამორიცხულია თვითმფრინავის გადაადგილება საჰაერო ნავიგაციის გარეშე. საქაერონავიგაცია 1 იანვრიდან ერთიანი ევროპის ცის წევრი გახდება. შესაბამისად, მთელი ევროპის მასშტაბით გვაქვს კავშირი ამ ქვეყნების საჰაერო ნავიგაციებთან. როგორც აღნიშნეთ, ჩვენს ქვეყანას შევასწარით ევროკავშირში ***(იღიმის)***. ეს, ასე მარტივად არ მომხდარა. ამაზე მუშაობა თითქმის ორი წელია, რაც მიმდინარეობს და მასზე უამრავმა ადამიანმა დიდი შრომა გასწია. ქუთაისის სამეთვალყურეო კოშკის გახსნამ, რომელსაც თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი ტექნოლოგიებით აღჭურვილი ახალი ტაუერი – სამეთვალყურეო კოშკი აქვს, ჩვენი ქვეყნის საჰაერო სივრცე მსოფლიოს სხვადასხვა ავიაკომპანიისთვის კიდევ უფრო მიმზიდველი გახადა. ეს ახალი სამეთვალყურეო კოშკურა, რომელიც 19 ნოემბერს გავხსენით, საქართველოს საჰაერო სივრცეში შემოსული თვითმფრინავებისთვის კიდევ უფრო უსაფრთხო ცის გარანტი იქნება. სამეთვალყურეო პუნქტი და ყველა ტექნიკური საშუალება მზად არის, მოემსახუროს ნებისმიერ საერთაშორისო თუ ადგილობრივ ავიაკომპანიებს უსაფრთხო ფრენის განხორციელებაში. ქუთაისში იგეგმება საჰაერო მოძრაობის მართვის სარეზერვო ცენტრის მოწყობაც. ღმერთმა გვაშოროს და თუ რამე გაუთვალისწინებული მოხდა – თბილისის ძირითადი საჰაერო მოძრაობის მართვის ცენტრი მწყობრიდან გამოვიდა, ან დავკარგეთ მართვა, ქუთაისის მართვის სარეზერვო ცენტრის დახმარებით, „საქაერონავიგაცია“ შეყოვნების გარეშე გააგრძელებს გადამფრენი საჰაერო ხომალდების მომსახურებას. ქუთაისის აეროპორტი არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ ამიერკავკასიის რეგიონისთვისაც იდეალური სარეზერვო აეროპორტია, თავისი ადგილმდებარეობის, კლიმატური პირობებისა და უმაღლესი სტანდარტებიდან გამომდინარე. ნამდვილად ძალიან დიდი საქმე გაკეთდა. ვიმედოვნებთ, რომ ქუთაისის სანავიგაციო კოშკურა სატრანზიტო დერეფნის უმნიშვნელოვანესი წერტილი გახ-



დება. მართლაც უნიკალური პროექტი განხორციელდა.

მინდა, შემთხვევით ვისარგებლო და 7 დეკემბერი – სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო დღე, მივულოცო ავიაციის სფეროში დასაქმებულ ყველა ადამიანს, ჩვენებურად რომ ვთქვა – ავიატორებს. ჩვენ ქვეყნისთვის ძალიან დიდ საქმეს ვაკეთებთ და უზარმაზარი პასუხისმგებლობაც გვაკისრია, რომელიც სრულად გვაქვს გაცნობიერებული. ჩვენ ცით შევედით ევროპაში და ახლა მთავარია, ხმელეთიც მოგვყვეს.

**ნინო წულუკიძე**

# ადვოკატი გირჩევთ

**კითხვა: ჩემი ოჯახის წევრი დააჯარიმეს მეტროთი მგზავრობის დროს მეტროპოლიტენით სარგებლობის წესების დარღვევის გამო. გთხოვთ, მაცნობოთ, რა კონკრეტული ქმედებები ითვლება მეტროპოლიტენით სარგებლობის წესების დარღვევად და რა ოდენობის ჯარიმებია დადგენილი ამ წესების დარღვევისათვის?**

**პასუხი**: გაცნობებთ, რომ მეტროპოლიტენის გასასვლელ საკონტროლო პუნქტებში სუროგატების ან გადახდისუუნარო მონეტების ჩაშვება; აგრეთვე, საკონტროლო პუნქტებში გასვლა ან გასვლის მცდელობა დადგენილი საფასურის გადახდის გარეშე, გამოიწვევს დაჯარიმებას 15 ლარის ოდენობით; ადვილად აალებადი, ფეთქებადი და მომწამლავი ნივთიერებებისა და საყოფაცხოვრებო გაზის ბალონების მეტროპოლიტენით გადატანა გამოიწვევს დაჯარიმებას 40 ლარის ოდენობით; ხოლო, მეტროპოლიტენის სადგურის ვესტიბიულის, გადასასვლელის, ბაქნების, ვაგონის სალონის, ესკალატორის და ლიანდაგის დანაგვიანება-გაჭუჭყიანება, აგრეთვე, მეტროპოლიტენის სადგურებსა და ვაგონებში თამბაქოს მოწევა, მატარებლის მოსაბრუნებელ ჩიხებში შეყოლა და მეტროპოლიტენით სარგებლობის წესების სხვა დარღვევა – გამოიწვევს დაჯარიმებას 20 ლარის ოდენობით.

**კითხვა: მაქვს სავაჭრო ობიექტი, რომელიც ახორციელებს თამბაქოს რეალიზაციას. გთხოვთ, მაცნობოთ, მაქვს თუ არა რაიმე სახის შეზღუდვა თამბაქოს რეალიზაციის დროს და, დადებით შემთხვევაში, რა სახის შეზღუდვებს ითვალისწინებს კანონმდებლობა?**

**პასუხი**: გაცნობებთ, რომ თამბაქოს პროდუქციის რეალიზაციისას გარკვეულ შეზღუდვებს ითვალისწინებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი. კერძოდ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებად ითვლება: თამბაქოს პროდუქციის რეალიზაცია იმ სავაჭრო ობიექტში, სადაც წარმოებს ბავშვთა ტანსაცმლისა და სათამაშოების რეალიზაცია; თამბაქოს პროდუქციის რეალიზაცია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში; სკოლაში; 18 წლამდე ასაკის პირებისთვის განკუთვნილ დაწესებულება-ორგანიზაციებში და მათი კუთვნილი ტერიტორიებთან 50 მეტრზე ახლოს; აგრეთვე, ყველა სახის სამედიცინო და სასწავლო დაწესებულებაში. აკრძალულია, ასევე თამბაქოს პროდუქციის რეალიზაცია 18 წლამდე ასაკის პირზე და სიგარეტის ღერების, ერთეული შეფუთვის (კოლოფის) რეალიზაცია, თუ მასში 20 ღერზე ნაკლები სიგარეტია.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, მაქვს თუ არა უფლება რიგით მოქალაქეს, ავტობუსით მგზავრობისას მოვწიო სიგარეტი და არსებობს თუ არა ამ კუთხით თამბაქოს მოწევაზე რაიმე სახის საკანონმდებლო შეზღუდვა?**

**პასუხი**: გაცნობებთ, რომ თამბაქოს მოწევა აკრძალულია საზოგადოებრივ ტრანსპორტში, მათ შორის: ავტობუსში, სამარშრუტო ტაქსიში, ტრამვაი-ტროლეიბუსში, მატარებელსა და საზღვაო ხომალდში; აგრეთვე სახელმწიფო დაწესებულება-ორგანიზაციებისა და მასობრივი თავშეყრის ადგილის დახურულ შენობა-ნაგებობებში, საზოგადოებრივი კვების ობიექტში, სადაც აკრძალულია მაგარი (სპირტიანი) სასმელების რეალიზაცია და მოხმარება, თამბაქოს მოწევა საამისოდ გამოყოფილი სპეციალური ადგილის ფარგლებს გარეთ და ამ წესის დარღვევა გამოიწვევს დაჯარიმებას 5 ლარით; ხოლო, სკოლამდელი აღზრდის, ყველა სახის სამედიცინო და სასწავლო დაწესებულებებში, აგრეთვე, 18 წლამდე ასაკის პირებისათვის განკუთვნილ დაწესებულება-ორგანიზაციებში თამბაქოს მოწევა გამოიწვევს დაჯარიმებას 10 ლარით.

**კითხვა: ვარ თამბაქოს აქტიური მომხმარებელი. ერთი კვირის წინ, თვითმფრინავით მგზავრობისას, თამბაქოს მოწევის გამო დამაჯარიმეს 500 ლარით, რაც, ვფიქრობ, შეუსაბამოდ დიდი ჯარიმაა. გთხოვთ, მაცნობოთ, ვარ თუ არა კანონიერად დაჯარიმებული?**

**პასუხი**: გაცნობებთ, რომ საჰაერო ხომალდში თამბაქოს მოწევა საამისოდ გამოყოფილი სპეციალური ადგილის ფარგლებს გარეთ, მართლაც ჯარიმდება 500 ლარით.

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, რა სახის პასუხისმგებლობა ეკისრებათ იმ მძღოლებს, რომლებიც მანქანის სალონიდან პირდაპირ ქუჩაში ისვრიან ხოლმე სხვადასხვა ნარჩენებს თუ ნაგავს?**

**პასუხი**: განგიმარტავთ, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალების სალონიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების დედაქალაქის ტერიტორიაზე გადაგდება, დატოვება, დაყრა ან სხვა ტიპის ქმედება, გამოიწვევს ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლის, ხოლო, საზოგადოებრივი ტრანსპორტის: ავტობუსის, სამარშრუტო ტაქსის (მიკროავტობუსის) შემთხვევაში – სამართალდამრღვევის დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით.



რუბრიკას უძღვება ადვოკატი
ირაკლი გაბრიჭიძე

*უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*
**ანატოლ ფრანსი**

# რა ტრადიცია დაარღვევინა ალეკო ელისაშვილს პრეზიდენტმა და რაზე ვერ დაითანხმეს ის

(მე-14 გვერდიდან)

უნდა გაეგრძელებინა? ახლა ეს საქმე ძალიან გაიწმინდება, აღარ იქნება კრიტერიუმები, რომლებიც ორმაგად „წაკითხვის" საშუალებას იძლეოდა. ჩვენ ახლა დეკემბრის შუა რიცხვებში გავაკეთებთ პირველ შეწყალებას, რომელიც არ იქნება მასშტაბური. შემდეგ კიდევ შევიკრიბებით, დავხვეწთ კრიტერიუმებს და იმდენად გასაგებს გავხდით მათ, რომ თავად მსჯავრდებულები მიხვდებიან, უნდა შემოიტანონ თუ არა განცხადებები შეწყალებაზე. ის სივრცე, რომელიც მაიმუნობის საშუალებას იძლევა, ისე დაპატარავდება, რომ პროცესები ავტომატურად წარიმართება. ჩვენ ვერ ვენდობით სასამართლო გადაწყვეტილებებს და თავიდან ბოლომდე გავდივართ საქმეებს. ისი საქმეები, რომლებზეც ხელს გაასავსავებ და იტყვი, რომ გამორიცხულია; მაგრამ, არის ისეთი ფაქტებიც, თუნდაც ქურდობის, გაოცდები ადამიანი. ჩვენ ვცდილობთ, ყველა საქმეში ვიპოვოთ ჰუმანური მარცვალი, რომ ჩავეჭიდოთ.

**– ერთდროულად სამ სამსახურში ხარ. ასეთი ტემპით გიმუშავია?**

– ტემპი ყოველთვის მქონდა, თუ არ ჩავთვლით იმ პერიოდს, როცა, მიხეილ სააკაშვილის წყალობით, შვიდი თვე უმუშევარი ვიყავი. როდესაც „მაესტრო" დაკეტეს, სადაც მე რადიო „თავისუფლებიდან" გადაველი, დავრჩი უმუშევარი და კაპიკებს ვეძებდი. ჩემი მშობლები და მეგობრები რომ არ დამხმარებოდნენ, არ ვიცი, როგორ იქნებოდა ჩემი საქმე. ოჯახთან ერთად 7 წელი ნაქირავებში ვცხოვრობდი, შარშანწინ ვიყიდე სახლი კრედიტით; შვიდი წელი დავდიოდი სოლოლაკიდან მთაწმინდაზე და პირიქით. 7 თვე უმუშევრობა იოლია? ხან სად ვბეჭდავდი სტატიას, ხან – სად, რომ შემოსავალი მქონოდა. შვილებს ვფიცავარ, ისე ვიყავი, ქუჩაში 20 თეთრი რომ მიპოვია, გამხარებია. ეს იმდენად მძიმე პერიოდი იყო ჩემს ცხოვრებაში, აღარც მინდა ხოლმე, რომ გავიხსენო. ამის მიუხედავად, ეს იყო ყველაზე მხიარული პერიოდიც – „მაესტროში" ყოველ საღამოს ვასიკო ოდიშვილი ატარებდა წარმოდგენებს, თან, ვსვამდით და კარგად ვხალისობდით ხოლმე. ერთმანეთს პურის ყუას ვუყოფდით, მაგრამ, არ გავტყდით და ბოლომდე მაგრად ვიდექით. მერე ამას მოჰყვა „კავკასია," სადაც აგვისტოს ომის შემდეგ მოვხვდი რესპოდენტის როლში.

ცოტა ხანში დამირეკა ნინო ჯანგირაშვილმა და გადაცემის წაყვანა შემომთავაზა. იმ პერიოდში „მაესტროშიც" მიმყავდა გადაცემა და, იქ რომ მოვრჩებოდი, აქ მოვრბოდი ხოლმე, ბოლოს, არჩევნის წინაშე დავდექი. ასე რომ, ერთდროულად ორი სამსახურის გამოცდილება ბევრჯერ მქონია. თუ კაცი მოინდომებ, ყველაფერს ასწრებ. ძალიან ბევრი ენერგია მაქვს – შვილისთვისაც მცალია, ცოლისთვისაც, მეგობრისთვისაც. ახლა უნდა წავიდე და ბავშვი სკოლიდან გამოვიყვანო. ისეთი დაქოქილი ვარ, ისეთი, ყველაფერს გავწვდები და ამ საქმესაც კომისიის წევრებთან ერთად მაგრად გავაშალაშინებ. მაგარ აზარტში ვარ, ძალიან, ძალიან შემართული.

**– ისევ ფეხით დადიხარ თუ უკვე სამსახურებრივი მანქანით სარგებლობ?**

– კი, ფეხით დავდივარ ისევ, „კავკასიიდან" და ჩემი სახლიდან ავლაბარში, რეზიდენციამდე ფეხით წასვლას რა უნდა, თან, ქუჩაშიც განცხადებებს ვაგროვებ. მანქანა, რომელიც ემსახურებოდა ელენე თევდორაძეს, ჩემს დაქვემდებარებაში გადმოვიდა, მაგრამ, მე მანქანით არ ვივლი. მანქანას მხოლოდ მაშინ გამოვიყენებ, თუ ციხეებში მომიწია სიარული. ჯერ ერთი, ფეხით სიარულს არაფერი ჯობია; მეორეც, სხვებს დავცინოდი, მანქანებს რომ „გამოკიდებოდნენ" ხოლმე. მართალია, მამაჩემი მეუბნება, თუ მანქანა გემსახურება და მაინც ფეხით ივლი, მატრაკვეცობაა და მეტი არაფერიო, მაგრამ, მაინც ვერ დამითანხმა, თუმცა, მის სიტყვას ჩემთვის დიდი ფასი აქვს.

**თამუნა სამადაშვილი**

# ინტიმური საუბრები

## ჩემს სიძეს ჭკუა ვასწავლე

ჩემი და სიყვარულით გათხოვდა. მასაც და მის ქმარსაც თავიდანვე უნდოდათ ბევრი შვილი და ხუთ წელიწადში შორენამ ოთხი შვილი გააჩინა – ორი გოგო და ორი ბიჭი. ჩემს სიძეს კიდევ უნდოდა შვილები – შვიდამდე უნდა ავიდეო, ტრაბახობდა. შორენას კი ჯანმრთელობა აღარ უწყობდა ხელს, რადგან, ბოლო ფეხმძიმობისას რაღაც პრობლემები შეექმნა და სერიოზული მკურნალობა სჭირდებოდა. ბოლოს, როგორც იქნა, მისი ქმარი შეეგუა იმას, რომ მეტი შვილი აღარ ეყოლებოდათ.

ჯანმრთელობის შერყევის გამო, მეოთხე შვილის გაჩენის შემდეგ, შორენა ჯერ ძალიან გახდა, მერე კი (როგორც ჩანს, ზოგიერთმა წამალმა იქონია ასეთი შედეგი) ნელ-ნელა მოიმატა წონაში და საკმაოდ გასუქდა. ცხადია, წონაში ასეთმა მომატებამ მის გარეგნობაზეც იქონია გავლენა და აღარ იყო ისეთი კოხტა და ცქრიალა, როგორიც გათხოვებამდე. მის ქმარს კი, იმის ნაცვლად, რომ ცოლისთვის ემკურნალა, პრეტენზიები გაუჩნდა – თურმე აღარ მოსწონდა თავისი ცოლი და, ამიტომ, გარე-გარე დაიწყო წანწალი ქალებში. ერთხელ ჩემი ყურით გავიგონე, ნასვამმა რომ უთხრა: რას დაემსგავსე, საერთოდ აღარ შემეფერები, შენთან ერთად ხალხში გამოჩენა „მეპაზორებაო.“ საწყალმა გოგომ მთელი კვირა ტირილში გაატარა, მერე კი გადაწყვიტა, მკაცრი დიეტა დაეცვა და შიმშილობა დაიწყო, მაგრამ, ისე ცუდად გახდა, კინაღამ ხელში ჩაგვაკვდა. ისევ მე მოვძებნე საკმაოდ გამოცდილი ენდოკრინოლოგი, რომლის მკურნალობის შედეგად, შორენამ ერთ წელიწადში 30 კილოგრამი დაიკლო და ანგელოზივით ქალი დადგა. ამასობაში, ბედის ირონიით თუ იმ კანონზომიერებით, რომ ბუნებაში არაფერი იკარგება, ჩემი სიძე გასუქდა ისე, რომ ლამის თვალები აღარ უჩანდა. იმხელა ღიპი დაედო, ფეხსაცმელს ვერ იკრავდა (როგორც ჩანს, კარგმა კვებამ და ხშირმა ქეიფებმა იცის ასე).

ერთხელ სადღაც უნდა წასულიყვნენ ერთად (მგონი, ოფიციალურ წვეულებაზე). რომ გამოეწყვნენ და კარისკენ გაემართნენ, ვერ მოვითმინე და ჩემს სიძეს „ვუიაზვე“: ისეთი ლამაზია შორენა, ნამდვილად აღარ შეეფერები. შენთან ერთად ხალხში როგორ უნდა გამოჩნდეს-მეთქი. ჩემმა სიტყვებმა ისე გაამწარა, კინაღამ შუაზე გასკდა, მაგრამ, ვერაფერი მითხრა. შორენამაც მისაყვედურა – რაღა დროს მაგაზე ლაპარაკიაო, მაგრამ, გამოგიტყდებით და, მაგრად მოვიფხანე გული.

იმ დღის შემდეგ, ვერც კი წარმოიდგენთ, ისეთი მზრუნველი და ყურადღებიანი ქმარი გახდა ჩემი პატივცემული სიძე.

**ნანული, 31 წლის.**

## არ ვნანობ, ქმარს რომ გავშორდი

14 წლის ვიყავი, ჩემი მშობლები ერთმანეთს რომ დაშორდნენ. მიუხედავად იმისა, რომ მამაჩემი სვამდა და ხშირად ტეხდა ხოლმე სახლში დებოშს, თანაც, ისედაც ძალიან მძიმე ხასიათი ჰქონდა, მაინც სულ ვსაყვედურობდი ხოლმე დედას, ოჯახი არ უნდა დაგენგრია, უნდა მოგეთმინა, ხასიათი უნდა შეგეწყო ქმრისთვის და უმამოდ არ უნდა დაგეტოვებინე-მეთქი. ჩემს შენიშვნებსა და საყვედურებზე დედა არაფერს მპასუხობდა, მხოლოდ ტიროდა და მე ეს უფრო მაღიზიანებდა. ერთადერთხელ მითხრა, ყველაფერს ხომ ვერ ვიტყვი, მაგრამ, ის 15 წელი, რაც მამაშენთან გავატარე, ნამდვილი ჯოჯოხეთი იყოო. სიმართლე გითხრა, ვნანობ, რომ ასეთ კაცს შევწირე ჩემი ახალგაზრდობა და, სანამ ძალიან პატარა იყავი, მაშინ არ გავშორდითო. მე მაშინ ვერ გავუგე დედას და მაინც მამის მხარე დავიჭირე, მიუხედავად იმისა, რომ არც გაყრამდე და, მით უმეტეს, არც გაყრის შემდეგ, ჩემდამი მამობრივი მზრუნველობა არ გამოუჩენია. რატომღაც, მეგონა, რომ მისი ასეთი საქციელის მიზეზი დედაჩემის მუდმივი პრეტენზიები და უკმაყოფილება იყო.

ინსტიტუტი რომ დავამთავრე, ცოლად გავყევი ბიჭს, რომელსაც სამი წელი ვუყვარდი და აჩრდილივით დამდევდა, თან მყვებოდა, რომ ჩემი ყურადღება და სიყვარული დაემსახურებინა, რასაც მიაღწია კიდეც. მაგრამ, გათხოვებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, მისი ნამდვილი სახე დავინახე: ეჭვიანი, უხეში, ცინიკოსი, უხასიათო კაცი შემრჩა ხელში. სადღა იყო ის რაინდი, რომელმაც თავი შემაყვარა. ყველაფერთან ერთად, სამსახური მიმატოვებინა და ჩემს მეგობრებთან ურთიერთობაც ამიკრძალა. საკუთარი შემოსავლის გარეშე დავრჩი და იძულებული ვიყავი, ყოველი კაპიკი მისთვის მეთხოვა. მაგრამ, ესეც არ მოეწონა და გამომიცხადა, საჭმელი მე მომაქვს, გადასახადებს მე ვიხდი და შენ რაში გჭირდება ფული, სისულელეებში რომ ფლანგოო? არც ჩემს ჩაცმაზე ზრუნავდა. მოკლედ, გამომკეტა სახლში და მონად მაქცია, რომელსაც არანაირი ადამიანური მოთხოვნილებების უფლება არ ჰქონდა. ორსულობის პერიოდშიც კი ვერ ვბედავდი, რამე მეთხოვა (თუნდაც ხილი ან რამე სხვა საჭმელი). ინტიმის დროსაც კი დესპოტი იყო. ამ საშინელებას ორი წელი გავუძელი, მერე კი დედაჩემს ვუამბე ყველაფერი და ვუთხარი, უნდა გავეყარო, თორემ, შეიძლება, გავგიჟდე და ჩემი შვილი შენ დაგრჩება გასაზრდელად-მეთქი. დედას მწარედ გაეცინა და მითხრა, მაგ ყველაფერს ლოთობა და ცემა-ტყეპა რომ დაუმატო, მამაშენის ანალოგიურ კაცს მიიღებო. მხოლოდ მაშინ მივხვდი, რას გაუძლო საწყალმა ქალმა და მუხლებზე დაჩოქილმა მოვუხადე ბოდიში იმ ტკივილისთვის, რაც მე ჩემი საყვედურებით მივაყენე.

ჩემს ქმარს არ ეგონა, გაყრაზე ფიქრსაც თუ გავბედავდი და, რომ ვუთხარი ჩემი გადაწყვეტილების შესახებ, მუქარაზე გადავიდა. მაგრამ, დედაჩემს უკვე გამოვლილი ჰქონდა ეს ეტაპი და მაგრად დაუხვდა – იქით დაემუქრა და თავისი ძმები ჩარია ამ საქმეში, რომლებმაც, როგორც იტყვიან, კისერი მოუგრიხეს ჩემს ქმარს – ისე დააშინეს, გარდა იმისა, რომ თვითონ შეიტანა გაყრაზე განცხადება, ბავშვს თავისი წილიც კი მისცა ბინიდან.

რა თქმა უნდა, ქალი უნდა ეცადოს, რომ ოჯახი არ დაანგრიოს, მაგრამ, არანორმალური მამის გვერდით გაზრდილ ბავშვს, შეუძლებელია, ნორმალური ფსიქიკა შერჩეს. ამიტომ, ველარც დედას ვამტყუნებ და მეც აბსოლუტურად არ ვნანობ ჩემს გადაწყვეტილებას.

**ანანო, 25 წლის.**



**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბები და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის“ SMS-ები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე: 595 40-76-78. ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@yahoo.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

**გიორგი სუხიტაშვილის კარიერა დაახლოებით 10 წლის წინ დაიწყო, როდესაც ის ჯგუფ „ვივოში“ მღეროდა. ჯგუფის დაშლის შემდეგ კი, გიორგიმ სოლო კარიერა გააგრძელა და საკმაოდ წარმატებულადაც, რადგან მისი მოსმენა ნებისმიერი ასაკის მსმენელს დიდ სიამოვნებას ანიჭებს. სამწუხაროდ, ქართული სინამდვილიდან გამომდინარე, დღეს ამის ფუფუნება ნამდვილად არ გვაქვს.**

# როდის უნდება კივილი გიორგი სუხიტაშვილს და ვინ ცდილობს მისი დალაგებული ცხოვრების არევას

**გიორგი სუხიტაშვილი**: ახლა მიდის მოლაპარაკება ჩემს საკმაოდ დიდ პროექტთან დაკავშირებით, რომელიც მინდა, თებერვალში განხორციელდეს. როგორც ადრე ვთქვი, საქართველოდან წასვლას ვაპირებ და მინდა, ისე წავიდე, ქართულმა საზოგადოებამ არ თქვას: აქ ვერაფერი გააკეთა და წავიდაო. ამიტომაც, მინდა იმ შესაძლებლობებიდან გამომდინარე, რაც ჩვენს ქვეყანაშია, მაქსიმუმი გავაკეთო და შემდეგ წავიდე. როგორც იცი, ჩემი საქველმოქმედო ორგანიზაცია მაქვს, რომელიც სხვადასხვა ორგანიზაციასთან თანამშრომლობს, ქველმოქმედებას ეწევა. საკმაოდ სარისკო გადაწყვეტილების მიღებას ვაპირებ, მაგრამ, ამას სიამოვნებით გავაკეთებ. მინდა, გადავიღო პირველი მუსიკალური რგოლი, ოღონდ სოციალურ თემაზე, მაგრამ ის აუცილებლად იქნება პოზიტიური. სიმღერა უკვე მაქვს, ტექსტიც და მუსიკაც ზაზა წურწუმიას ეკუთვნის, რომელიც უნიჭიერესი ადამიანია. ჩვენ ჯგუფს – „ვივოს“ ეს სიმღერა ჯერ კიდევ 2004 წელს ჰქონდა და ცოტა ხნის წინ, ტექსტს რომ დავაკვირდი, მივხვდი, არ მინახავს ისეთი სიმღერა, რომელიც ამ ტექსტივით პოზიტიურად აშუქებდეს ყველა სოციალურ პრობლემას. ახლა მოლაპარაკება მიდის როგორც ერთ-ერთ სამინისტროსთან, ასევე ბიზნესსექტორთან. რისკი იმიტომ არის, რომ არ ვიცი, როგორ მიიღებს ამას საზოგადოება. არ მინდა ვინმემ თქვას, პოპულისტურიაო. მე ამ თემაზე მუშაობა ახლა არ დამიწყია, ჩემი საქმეების მინიმუმ 40 პროცენტი, სწორედ სოციალურ საკითხებსა და ქველმოქმედებას ეხება. ამიტომაც ჩავთვალე, რომ დრო მოვიდა, სხვა კუთხით ვთქვა ჩემი სათქმელი. მას ცნობილი და ნიჭიერი ადამიანი გადაიღებს. ჩვენ კი ვიტყვით, ყველას გავაგებინებთ: ჩვენ ერთი ოჯახი ვართ და ჩვენ შორის ბარიერები არ არსებობს.



**როგორც კი თეატრალურში ლექციები დამთავრდებოდა, მაშინვე ზაზასთან მივდიოდით. ის გვაჭმევდა, გვასმევდა, გვაცმევდა, გამოგვკვებავდა, გვამეცადინებდა, თუ ფული არ გვქონდა, იმასაც მოგვცემდა და გამოგვიშვებდა**

**– ჯგუფი „ვივო“ ახსენე. როგორ შეაფასებდი შენს მაშინდელ საქმიანობას?**

– 2003 წელს შევიკრიბეთ და იმის მერე დაახლოებით 5 წელი 24 საათის განმავლობაში ერთად ვიყავით. შემდეგ დათუნა მგელაძე ავარიაში მოჰყვა და დავიშალეთ. თუმცა, მაინც ერთად ვართ. უბრალოდ, ახლა დათუნა მოსკოვშია, გოგა მესხი პროექტებში დაბორიალობს, მიშა შარაშენიძე კი სტუდიაში მუშაობს. ჩვენგან ცოტა ადრე წავიდა, მაგრამ ყოველთვის ჩვენი ოჯახის წევრი იყო. როცა არაწყირება გვჭირდებოდა თუ სხვა რამ, ყოველთვის გვეხმარებოდა. ძალიან გემოვნებიანი ბიჭია და კარგად იცის თავისი საქმე. იმ დროს რამდენიმე ჯგუფი იყო, ყველას თავისი პროდიუსერი ჰყავდა. ჩვენ კი გვქონდა ყულაბა – სამლიტრიანი შავად შეღებილი ქილა, რომელშიც ფულს ვყრიდით. მიშასთან იყო ჩვენი დისლოკაციის ადგილი, ანუ ბაზა გვქონდა. იქ იყო ინსტრუმენტი, კომპიუტერი და იქ ვაკეთებდით ძირითადად ყველაფერს.

**– როდის ტეხდით ყულაბას?**

– ყულაბა მაშინ ტყდებოდა, როდესაც ჩანწერის დრო მოდიოდა. ჩვენი ხელმძღვანელი იყო ზაზა წურწუმია, მის გარეშე დღეს თითქმის არც ერთ პროექტში არ კეთდება ბექ-ვოკალი. ზაზა არის ჩვენი დედა, მამა, ყველაფერი. როცა შევიკრიბეთ, მაშინ ჩვენ შორის ფინანსებზე საუბარი არც ყოფილა. ზაზა სანზონაში ცხოვრობდა და ერთი პერიოდი ბინის „ქირაობამანია“ სჭირდა, ოღონდ სანზონის მასშტაბით და ჩვენც თან დავყვებოდით. როგორც კი თეატრალურში ლექციები დამთავრდებოდა, მაშინვე ზაზასთან მივდიოდით. ის გვაჭმევდა, გვასმევდა, გვაცმევდა, გამოგვკვებავდა, გვამეცადინებდა, თუ ფული არ გვქონდა, იმასაც მოგვცემდა და გამოგვიშვებდა.

**– მხოლოდ მუსიკით იყავით დაკავებული?**

– კონფლიქტებიც გვქონდა გარე სამყაროსთან, ვიღაცეებთან, მაგრამ ეს ნაკლებად მნიშვნელოვანი იყო. გვქონდა ბევრი დაპირება, მოსმენები, მაგრამ ყველაფერი დაპირებად დარჩა. ალბომიც გავაკეთეთ და ახლაც მინდა, მადლობა ვუთხრა „სანო სტუდიას“, დენის ფულსაც კი არ გვახდევინებდნენ. თუ ვინმემ სტუდიის მხრიდან გვერდში დგომა იგრძნო, ეს ჩვენ ვიყავით. ძირითადი პრობლემა ის, იყო რომ რადიოში თუ მიიტანდი სიმღერას, ფულს გთხოვდნენ. დღესაც არიან ამ რადიოებში ის გოგონები და ბიჭები, რომლებიც მაშინ ფულს გთხოვდნენ. ახლა ყველა ცალ-ცალკე რაღაცეებს ვაკეთებთ და როგორც აღმოჩნდა, არ ვართ უნიჭოები. მაგრამ, იმ დროს ფონს გასვლა ძალიან რთული იყო.

**– მახსოვს, იმ დროს შენი ძმაც მღეროდა ჯგუფ „სფინქსში“. ამან შენზეც მოახდინა გარკვეული გავლენა?**

– პრინციპში, ცოტა ხანი იყო მისი ჯგუფი და მერე დაიშალა. ისე, ჩემი ძმა ამ კუთხით

**საკმაოდ სარისკო გადაწყვეტილების მიღებას ვაპირებ, მაგრამ ამას სიამოვნებით გავაკეთებ**

ძალიან უტვინო კაცია. აბსოლუტური სმენა აქვს და ხმის ძალიან კარგი ტემბრი. მან, ოდესმე ხმა რომ ამოიღოს და იმღეროს სწორად შერჩეული რეპერტუარი, მიმაჩნია, რომ დიდ რამეს მოახდენს. ჩემი დაც მღერის, მაგრამ ორ უნივერსიტეტში სწავლობს და მისი კარგად მესმის. ორივეგან საოცარი გრაფიკი აქვს, მაგრამ, მაინც ბედნიერი სახით დადის. მამაჩემი ტყავის ტექნოლოგია და ვერც ერთხელ ვერ ამირჩია ნორმალური ფეხსაცმელი.

**– და სამივე დედმამიშვილმა რატომ ჩააბარეთ თეატრალურში?**

– ჩემი ძმა, ზოგადად, მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდა სწავლასთან დაკავშირებით. ჩააბარა სამედიცინო უნივერსიტეტში, 4 წელი პატიოსნად ისწავლა, ერთი წელი, მგონი, ჩარჩა – ბოჰემური ცხოვრება ჰქონდა და ავიწყდებოდა, რომ უნდა ესწავლა. რაც მთავარია, აქვს მედძმის დიპლომი, ანუ, რაღაც რომ მოხდეს, მისი იმედი გვაქვს. თუმცა, შეიძლება, ვენა ყურზე მოგიძებნოს. შემდეგ ერთი წელი საესტრადო სასწავლებელში ჩააბარა, იქ დადიოდა. მერე, უცებ გავიგეთ, რომ იქ არ სწავლობს და აღმოჩნდა, რომ „გეპეიშია,“ შემდეგ თეატრალურში და ასე შემდეგ. მე ამ კუთხით უფრო მოწესრიგებული ვარ, თუმცა ბოჰემასაც თავისი ადგილი უკავია. ანუ, ბოჰემა მაქვს გრაფიკით. ძალიან პედანტი ვარ – დალაგებულის, დაწყობილის მოყვარული. თუმცა, ზოგჯერ მაქვს პერიოდები, როცა ამ ყველაფერს ყურადღებას არ ვაქცევ, მბეზრდება და გადავდივარ ცოტა არეულ და არაპროგნოზირებად ცხოვრებაზე.

**– არსებობენ ადამიანები, რომლებსაც უყვართ სხვის ცხოვრებაში აქტიურად ჩარევა და თუნდაც რაღაცეების არევა.**

– ასეთ ადამიანებს ძირითადად მივუთითებ ხოლმე. რაღა შორს წავიდე – ჩემი ძმაა ასეთი. ერთმანეთისგან ამ საკითხში განვსხვავდებით, დანარჩენში თითქმის ვგავართ და მიყვარს მასთან ერთად რაღაცეების კეთება. მე არ ვეწევი, მაგრამ, რაც ჩემი ძმა არსებობს, არსებობს სიგარეტი და ჩემს კომპიუტერთან მისი სიგარეტის ფერფლი, რაზეც კივილი მინდება ხოლმე. სახლში დაახლოებით 60 კლავიატურა აქვს, აქედან 59 ჩემი მიცემულია, რადგან მასთან რომ მივდივარ, მის კლავიატურაზე რაღაცეები არ მუშაობს, ამოაბრუნებ და შეიძლება იქ სასარგებლო წიაღისეული აღმოაჩინო.

**– ცოლის მიმართაც ძალიან მომთხოვნი იქნები – ეს აქ რატომ დევს, ეს რატომ არ არის წესრიგში და ასე შემდეგ?**

– ამის გამო ფეხებით არ დავკიდებ. ჭურჭელს მეც სიამოვნებით ვრეცხავ. ამდენი ხანი მარტო ვცხოვრობ და მიჩვეული ვარ უკვე. არ ვიქნები ისეთი მომთხოვნი: ეს აქ უნდა იდოს, ეს – იქ, მე ვარ დომინანტი და ასე შემდეგ. ზოგადად დემოკრატი ვარ, მიუხედავად ჭორებისა – რთული, ქართული ხასიათი აქვსო. თუ რთულ ხასიათში იგულისხმება პასუხისმგებლობის მქონე ადამიანი, რომელიც ითხოვს საქმეში ბოლომდე დახარჯვას, მაშინ ვარ რთული. თუ რაღაცას ვაკეთებ და ჩემი თანაგუნდელი იმის მეასედს არ აკეთებს, შეიძლება, იმან ჩემი მოთხოვნების არშესრულება იმით „გააპრავოს“, რომ მე რთული ვარ. ადამიანი თუ მატყუებს, პასუხს მოვთხოვ და არ „გავუტარებ“ – ესეც სირთულეა? რა თქმა უნდა, მე ასე არ ვფიქრობ. როცა მე რამეს ვიღებ საკუთარ თავზე, იმას ვაკეთებ კიდეც და შესაბამისად, სხვასაც ვთხოვ იგივეს. ზოგადად, რაც გამოვიარე, ბევრ რაღაცაში ლიდერის თვისებები გამოვამჟღავნე, ბევრ რამეს ვიღებდი საკუთარ თავზე, შესაბამისად, იმ ადამიანისთვის, ვინც არ არის ლიდერი, შეიძლება, მე ამის გამო რთული გამოვჩნდე. ადამიანს არ შევარჩენ უსამართლობას, თუნდაც ქუჩაში. ამაზე თვალს ვერ დავხუჭავ. თუ ადამიანი ჩემთან ერთად ცხოვრობს და მას მოსწონს ისეთი რაღაცეების კეთება, რაც ჩემს პრინციპებს ძალიან არ ეწინააღმდეგება, სიამოვნებით მივიღებ. ადამიანი შენ გვერდით რომ ცხოვრობს და მას რაღაცის კეთება სიამოვნებას ანიჭებს, პირიქით, ბოლომდე უნდა შეუწყო ხელი. ნებისმიერი ურთიერთობა დათმობასა და მოთმინებაზეა დამოკიდებული.

**ნათია უტიაშვილი**

**ყველაზე ექსტრავაგანტურმა, მკაცრმა და კომპეტენტურმა, პროექტ „ცეკვავენ ვარსკვლავების” ჟიურის წევრმა, გოჩა ჩერტკოევმა საქართველო დატოვა და ამერიკაში ცოლ-შვილთან ერთად დაბრუნდა. როგორც გაირკვა, მან უარი თქვა კონტრაქტის გაგრძელებაზე. თუმცა, ზოგი ამბობს, ის მეუღლის დაჟინებული თხოვნით წავიდა ამერიკაშიო, ზოგიც ადასტურებს, ხელმძღვანელობასთან შეუთანხმებლობის გამო არჩია გოჩამ პროექტის დატოვებაო. მოკლედ, ჩვენ ამ ფაქტის გადამოწმება, სტუდია „თელას” ხელმძღვანელთან, ბატონ თენგიზ გაჩეჩილაძესთან გადავწყვიტეთ, რომელიც გოჩას სიმამრია.**

# რა სიურპრიზი მოუწყო თბილისის აეროპორტში ამერიკიდან ჩამოსულ მეუღლეს გოჩა ჩერტკოევმა და რის გამო ჩამოაკითხა მას ცოლმა შორეული ამერიკიდან

**თენგიზ გაჩეჩილაძე:** ჩემი ქალიშვილი – შორენა და სიძე – გოჩა, უკვე 23 წელია, ამერიკაში ცხოვრობენ. ჩემი შვილიშვილი ლევანი კი, ორი წლის იყო, საქართველო რომ დატოვა და მას მერე აქ აღარ ყოფილა. შორენას და გოჩას განსაკუთრებული, თავისებური სიყვარული აკავშირებთ. მამა ვარ და ამ თემაზე საუბარი ცოტა არ იყოს მეხამუშება, თუმცა ფაქტს ვერსად გავექცევით და ეს ერთი შეხედვითაც თვალშისაცემია. ისინი ორიგინალურ და განსხვავებულ წყვილად მიიჩნევა ამერიკაში. ძალიან ერთგული, კეთილი და დადებითი ადამიანები არიან. სხვათა შორის, შორენას პირველი სიყვარული იყო გოჩა. ძალიან უკარება გოგო გახლდათ, სულ თან დამყვებოდა – ვხუმრობ ხოლმე, შარვლის ტოტზე მყავდა გამოკერებული-მეთქი *(იცინის)*. გოჩა რომ მოვიდა სტუდიაში და დავინახე, შორენას ვუთხარი: ეს გემოვნებიანი ბიჭია, კარგად გრძნობს სარკეში ხაზებს, კარგი მოცეკვავე და მეწყვილე იქნება-მეთქი. მოკლედ, ბოლოს ისე აღმოჩნდა, რომ მათი დაქორწინება სახელმწიფო დონეზე მოხდა *(იცინის)*.

**– სახელმწიფო დონეზე დაოჯახებაში რას გულისხმობთ?**

– შორენა 16 წლის იყო, ის და გოჩა რომ გაიპარნენ. იმ პერიოდში კი, თუ გოგონა სრულწლოვანი არ იყო, რაიკომის დონეზე უნდა გადაწყვეტილიყო ხელის მოწერის საკითხი. რაიკომის მდივანი ჩემი მეგობარი გახლდათ, გაიტანეს შორენას და გოჩას ოჯახის შექმნის საქმე რაიკომის სხდომაზე. უფროსები დავუდექით თავდებში და ასე დავაქორწინეთ *(იცინის)*. მოკლედ, სახელწიფო დონეზე დაოჯახდნენ და დღესაც იგივე გრძნობა აკავშირებთ ერთმანეთის მიმართ, რაც თავიდან ჰქონდათ. ერთმანეთს ავსებენ, ვერ ძლებენ ერთმანეთის გარეშე და მათ რომ ვუყურებ ამაყი ვარ.

**– გოჩა შორენას გარეშე იყო ჩამოსული, თუმცა ცოლმა ჩამოაკითხა და ერთ კვირაში უკან დაბრუნდნენ ამერიკაში. ამაზე უამრავი მითქმა-მოთქმა ატყდა, თითქოს ცოლის გადაწყვეტილებით მიატოვა გოჩამ პროექტი „ცეკვავებ ვარსკვლავები”. ზოგი იმასაც ამბობს, თითქოს გოჩას ხელმძღვანელობის მიერ წაყენებული პირობები არ მოეწონა და კონტრაქტი ამის გამო გააუქმაო. რეალურად, რა იყო მისი წასვლის მიზეზი?**

– შორენა ლაივში უყურებდა „ცეკვავენ ვარსკვლავების” ყველა შოუს და მერე გვირეკავდა, გოჩას რომ ვუყურებ შორიდან, ცუდად ვარ, ვეღარ ვძლებ, დროზე დამიბრუნეთ ქმარიო *(იცინის)*. არც კი ვიცოდით, ისე დაგვადგა თავზე. დამირეკა და მითხრა, ჩემი მეგობარი მარფა ანდერსონი ჩამოდის და სასტუმრო დაუჯავშნე, აეროპორტში დაახვედრე მანქანა და მიხედეო. აბა, რას ვიზამ, მამა-მეთქი. თურმე იმ მეგობართან ერთად არ ჩამოდის? *(იცინის)* გოჩას რომ ვუთხარი, შორენამ ასე მითხრა-მეთქი, გაეღიმა. არც მან იცოდა, რომ ცოლი სიურპრიზს უმზადებდა, მაგრამ აქ-



სულ ერთად არის ცოლ-ქმარი, ერთი საქმე აქვთ და შორენა ხუმრობს, ჩვენი საქმე ისეა: „ზავოდ, კრავოტო”

**გოჩას და შორენას დაქორწინება სახელმწიფო დონეზე მოხდა**

ეთ გოჩამ მოუწყო სიურპრიზი აეროპორტში *(იცინის)*.

**– რა სიურპრიზი? მან ხომ არ იცოდა, რომ ცოლი ჩამოდიოდა?**

– გოჩას რამეს გამოაპარებთ? შესულა ინტერნეტში და უნახავს გაყიდული ბილეთების მფლობელთა ვინაობა. იქ ამოუკითხავს ცოლ-შვილის და იმ მეგობრის გვარები. არ შეიმჩნია შორენასთან ტელეფონით საუბრისას და აეროპორტში რომ ჩამოფრინდა, იქ დახვდა. თურმე კუთხეში იდგა და რომ დაინახა შორენა, დაუძახა: ჩამოხვედი, ამერიკელო, სამშობლოშიო *(იცინის)*. ასე რომ, საიდუმლო და სიურპრიზი არ გამოუვიდა შორენას. მე კი, სასტუმროში რომ მივედი მეორე დღეს მარფას სანახავად, შორენა არ გამომეცხადა? *(იცინის)* ერთი კვირა იყვნენ აქ და მერე უკან გაფრინდნენ.

**– თქვენი შვილიშვილი ლევანი უკვე 24 წლისაა და 22 წელია არ ყოფილა საქართველოში. ფაქტობრივად, მისი პირველი ჩამოსვლა იყო სამშობლოში. როგორ მოეწონა აქაურობა?**

– იცით, როგორი სხვანაირი ბიჭია ლევანი? ინგლისიც კი დაიწუნა, ეს რა ჭუჭყიანი ქვეყანააო და, აქ რომ დამყავდა ქუჩებში და ვათვალიერებინებდი თბილისს, თვალებში ვუყურებდი, რა რეაქცია ექნებოდა. სხვათა შორის, მოეწონა. იმ სახლში წავიყვანეთ, ნახალოვკაში, სადაც შორენა გაიზარდა და იტალიური, მიშენებულ-მოშენებული ეზო რომ დაინახა, აქეთ-იქით იყურებოდა, აქ სად მოვხვდიო. თვალებში ეტყობოდა, რასაც ფიქრობდა *(იცინის)*. ამერიკის ფონზე და სადაც ის ცხოვრობს, ეს როგორ მოეწონებოდა, მაგრამ ხომ უნდა სცოდნოდა, სად და რა უბანში გაიზარდა დედამისი, მერე რამდენი იშრომა, რომ იმისთვის მიეღწია, რაც დღეს აქვს. გოჩა კი იმიტომ წავიდა ცოლ-შვილთან ერთად ამერიკაში, რომ კონტრაქტი აღარ გააგრძელა. იქაც ბევრი საქმე აქვს და თან, როგორც ჩანს, ცოლიც ძალიან მოენატრა. საიდუმლოდ გეტყვით, რომ, მგონი, ახალ წელს აქ აპირებენ ისევ ჩამოსვლას და გოჩა დაესწრება საფინალო „ცეკვავენ ვარსკვლავების” შოუს. მეც მიხარია, აქ რომ მეყოლებიან ჩემები ახალ წელს. სულ მენატრებიან და ახალ წელს, მათთან ყოფნას დავიბედებ.

**– ისე, როგორ ამჩნევთ, ვინ უფრო ეჭვიანია, შორენა თუ გოჩა?**

– არც ერთი! სად აქვთ ეჭვიანობის დრო *(იცინის)*. სულ ერთად არიან, ერთი საქმე აქვთ და შორენა ხუმრობს, ჩვენი საქმე ისეა: „ზავოდ, კრავოტო” *(იცინის)*. მართლაც, დღე და ღამე შრომობენ.

**– შვილი და სიძე საჩუქრებით არ განებივრებენ?**

– ორი მანქანა მყავს სახლში და ორივე მაგათი ნაჩუქარია. ახლა, მესამე მანქანაც უნდა გამოუგზავნონ ჩემს ბიჭს. იქ რომ ჩავდივარ, იმდენ ტანსაცმელს ყიდულობენ ჩემთვის და ჩემს ცოლსაც უგზავნიან, რომ ძლივს ჩამომაქვს. ჩაცმა-დახურვა თვითონაც უყვართ და ყოველთვის განსხვავებულად იცვამენ. აქ რომ ჩამოვიდა გოჩა და გადაირივნენ, ეს რა განსხვავებული ვინმეაო, თქვენ წარმოიდგინეთ, ამერიკაშიც განსხვავებულია და იქაც ყურადღებას იქცევს. მხოლოდ საუკეთესოს და ძვირად ღირებულს ყიდულობენ და იცვამენ. გოჩას შოპინგი ძალიან უყვარს. შარშან რომ ჩამოვიდა, ექვსი ჩემოდანი ტანსაცმელი ჩამოიტანა, წელს – შვიდი *(იცინის)*. ასე რომ, ყურადღება, საჩუქრები, სიყვარული და სითბო, არ მაკლია მათგან.

**ნონა დათეშიძე**



# რა შეიძლება აკლდეს ქმრისგან განებივრებულ ქალს და როგორ იძიებს შურს მესაკუთრეზე ის

**ქალებმა თავადაც არ იციან, რა უნდათ და კაცებისგან მაქსიმუმს ითხოვენო, – ასე ფიქრობს ძლიერი სქესი. მათ მიაჩნიათ, რომ ქალბატონებს არაფერი აკმაყოფილებთ, რომ ისინი მაქსიმალისტები არიან ყველაფერში. მაგრამ, რეალობა სხვაა – სინამდვილეში, ქალს, უპირველესად, აქვს მოთხოვნილება, გვერდით თბილი, მოსიყვარულე და მზრუნველი ადამიანი ჰყავდეს, რომელსაც დაეყრდნობა და თავის პრობლემებს გაუზიარებს. სამწუხაროდ, წყვილებს შორის კომუნიკაციის პრობლემები რეალურად არსებობს და ამას საკმაოდ მძიმე შედეგები მოჰყვება ხოლმე. გაუგებრობა შობს უნდობლობასა და გაუცხოებას, მერე კი, შეიძლება, გამოჩნდეს ვიღაც, ვისაც ხავსივით მოებღაუჭები და იწყება ცხოვრების ახალი ეტაპი, რომელზეც არასოდეს გიფიქრია.**

**თეიკო** ***(37 წლის):*** მე ისეთი პრობლემა მაქვს, ვერავინ გამიგებს, უახლოესი მეგობრებიც კი. ჩემს დაქალებს, პირიქით, მიაჩნიათ, რომ ჩემზე ბედნიერი ქალი დედამიწაზე არ დადის. მათ შურთ ჩემი. სულ მეუბნებიან, ვერ ხვდები, როგორ გაგიმართლა: მდიდარი ქმარი გყავს, რომელმაც შენ და შენს შვილს უზრუნველი ცხოვრება შეგიქმნათ. სრულ კომფორტში გაცხოვრებთ და, შეუძლია, ყველა კაპრიზი დაგიკმაყოფილოსო.

**– ანუ, ისინი ცდებიან?**

– არ ცდებიან იმაში, რომ ჩემი ქმარი ნამდვილად მდიდარია. კომფორტშიც ვცხოვრობ, მაგრამ, ეს ყველაფერი მეორე და მესამეხარისხოვანია. ვერავის ავუხსნი, როგორი მძიმე ცხოვრება მაქვს, როგორ ვწვალობ. სრული კომფორტი სულაც არ ნიშნავს ძვირფას სამოსს, ძვირფას ავტომობილს, სამკაულსა და ევრორემონტიან სახლს. ძალიან მინდა, თქვენ მაინც გამიგოთ. ვერავის მოვუყვები ამ ყველაფერს, რადგან, ზუსტად ვიცი, როგორი რეაქცია ექნებათ და უარესად „დავიგრუზები"... თუმცა, დასაწყისი მართლაც არაჩვეულებრივი იყო და არაფერი მაგრძნობინებდა იმას, რომ გამოუსწორებელ შეცდომას ჩავდიოდი. მდიდარ ოჯახში არ გავზრდილვარ. ამას იმიტომ გეუბნებით, რომ, არ უარვყოფ ფაქტს – კეთილდღეობა იყო ჩემთვის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი პარტნიორის შერჩევისას.

**– მარტივად რომ ვთქვათ, ეძებდით ფულიან მამაკაცს ურთიერთობისთვის.**

– ეს ძალიან უხეშად ნათქვამია. საკუთარი თავით არასდროს მივაჭრია, ანუ, შეძლებული კაცის ცოლობა კი მინდოდა, მაგრამ, სიყვარულსაც ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩემთვის. იცით, რაშია საქმე?! როცა წლების განმავლობაში ბევრი რამ გაკლია, უამრავ სიკეთეზე გრჩება თვალი და, გინდა, ისევე კარგად გეცვას, როგორც შენს თანატოლებს, ბუნებრივია, გიჩნდება სურვილი, შენც გქონდეს ამ ყველაფრის საშუალება. სხვათა შორის, ჩემი ქმარი არაჩვეულებრივი თაყვანისმცემელი იყო.

**– იმის თქმა გინდათ, რომ შეგიყვარდათ?**

– დიახ. შეუძლებელი იყო, არ შემყვარებოდა. იცით, როგორ მანებივრებდა და რა სიურპრიზებს მიკეთებდა, ჩემი თანამშრომლები შურით ოხრავდნენ, როცა ის თავისი ძვირფასი მანქანით მაკითხავდა. ულამაზეს თაიგულებს, იშვიათ სამკაულებს მჩუქნიდა და საუკეთესო კაფეებში მპატიჟებდა. ძალიან გაგიმართლაო, – მეუბნებოდნენ; ოცდაათი წლის ასაკში ნამდვილ უფლისწულს შეუყვარდიო.

**– ამან თქვენს პატივმოყვარეობაზე იმოქმედა?**

– სავარაუდოდ, ასე მოხდა, ან, ვისზე არ იმოქმედებდა. ვიყოთ გულახდილები – ადამიანები იდეალურები არა ვართ და ამქვეყნიური სიამენი ძალიან გვხიბლავს. ვიფიქრე, რა კარგია, ვუყვარვარ კაცს, რომელსაც დიდი სურვილი აქვს, ჩემი ცხოვრება უკეთესობისკენ შეცვალოს-მეთქი. მაშინ აზრადაც არ მომსვლია, რომ მან მე, უბრალოდ, მიყიდა, როგორც ძვირფასი მანქანა, ბრენდული სამოსი ან აგარაკი პრესტიჟულ კუნძულზე. მიყიდა სიურპრიზებითა და თაიგულებით, თავისი შესაძლებლობებით – მატერიალურ შესაძლებლობებს ვგულისხმობ, რა თქმა უნდა.

**– მას არ უყვარდით?**

– იცით, მას თავისი მანქანაც უყვარს, მაგრამ, ამით არაფერი იცვლება. უყვარს იმიტომ, რომ მისით თავი მოსწონს, ისევე, როგორც ჩემით. მგონი, შვილის მიმართაც ასეთი დამოკიდებულება აქვს. ერთხელ თქვა: რა კარგია, რომ ჭკვიანი და ლამაზი ბავშვია. ასეთი რომ არ იყოს, არ ვიცი, ასე ძალიან მეყვარებოდა თუ არაო... მაშინ დიდი ყურადღება არ

**ვერ ხვდება, რომ მზად ვარ, სრულიად ჩვეულებრივ მამაკაცზე გავცვალო – უფულოზე, მაგრამ, მგრძნობიარეზე**

მიმიქცევია ამ სიტყვებისთვის, საკმაოდ გვიან გავიაზრე და გავაცნობიერე ის, რაც თქვა. ამით იმის დამტკიცებას არ ვცდილობ, რომ ჩემს ქმარს ჩვენი შვილი არ უყვარს, მაგრამ, ისე უყვარს, როგორც შეუძლია. სხვანაირი სიყვარული არც იცის და არც ესმის. მე ყველაფერი მაქვს. ჩემი ბრილიანტისთვლიანი საქორწინო ბეჭდის ყველა ქალს შურს. ალბათ, როცა ამ ბეჭედს უყურებენ, ფიქრობენ, რა ბედნიერია და როგორ გაუმართლაო... ბეჭედი მართლა ძალიან ლამაზია, მაგრამ, ვერანაირად ვერ მივსებს სიცარიელეს.

**– თქვენი ქმარი თქვენზე უფროსია?**

– არც ისე – ექვსი წელი რა სალაპარაკოა. ჩემი პრობლემა სულ სხვა რამეა – მას საერთოდ არ ესმის ჩემი; აბსოლუტურად გულგრილია ჩემი ემოციების, გრძნობებისა და განცდების მიმართ. დარწმუნებულია, რომ უბედნიერესი ვარ და ეს მისი დამსახურებაა. რამდენიც უნდა ვილაპარაკო, მაინც ვერაფერს შევაგნებინებ – ამაში ეჭვი არ მეპარება. მე კი უკვე არანორმალურად დავიღალე. ბედნიერი ვიყავი მხოლოდ ორი წელი – ბედნიერი ქმართან ურთიერთობაში, თორემ, შვილი მყავს და, წესით, სხვა არაფერი არ უნდა მინდოდეს. მამიკო ძალიან ბევრ ფულს ხარჯავს მის ჩაცმაზე – ჩემს ქმარს მარტო ეს ჰგონია ადამიანებზე ზრუნვა. ცოლს ანებივრებს – როგორი ვაჟკაცია! რეალურად კი, აზრზეც არ არის, მის ცოლს რა უნდა. ჩემი საკუთარი ფული არ მაქვს, რადგან, ქმარმა სამუშაოდ არ გამიშვა – რად გინდა, ყოველთვის შეგიძლია, იმდენი მომთხოვო, რამდენიც გჭირდება. ჩემმა ცოლმა რატომ უნდა იმუშაოს, საამისო რა მჭირსო... პროდუქტებს ის ქალი ყიდულობს, ვინც საოჯახო საქმეებში გვეხმარება. უფლება არ მაქვს, ჩემი არჩევით, დამოუკიდებლად და მაშინ, როცა მინდა, ჩუსტი მაინც ვიყიდო. გაგიჟდება და გადაირევა – როგორ თუ არ მკითხე და არ შემითანხმეო. ფული კი არ მენანება, შენ ისეთს ვერ იყიდი, როგორიც შეგვეფერებაო. სხვები რას იტყვიან – ეს არის მისთვის უმთავრესი... ერთპიროვნული ლიდერია. მე მისთვის უტვინო, უსულო და უგულო თოჯინა ვარ, რომელიც კარგად უნდა მორთო და მერე ადამიანებს აჩვენო. იმას ვერ ხვდება, რომ, მზად ვარ, სრულიად ჩვეულებრივ მამაკაცზე გავცვალო, არაფრით გამორჩეულზე, უფულოზე, მაგრამ მგრძნობიარეზე. სულ უფრო ხშირად ვფიქრობ ამაზე. მე ხომ ყოფით პრობლემებზე ფიქრი არ მჭირდება – მათ ჩემი ქმარი აგვარებს.

**– ანუ, რადგან პრობლემები არ გაქვთ, ამიტომ, სხვა კაცთან რომანზე უნდა იფიქროთ?**

– იძულებული ვარ, ვიფიქრო – მე მარტო ვარ. ნივთები ცოცხალ ურთიერთობას ვერ ჩაანაცვლებს; აღარც ფუფუნება და კომფორტი მინდა. სექსიც კი ყოველგვარი ვნების გარეშე გვაქვს, მთავარია, ძალიან ძვირფასი და ეროტიკული საცვლები მეცვას. რამე სპონტანური და „ველური" რომ შევთავაზო, უარს მეტყვის. თურმე, ფუფუნებაც ისევე დამღლელია, როგორც გაჭირვება, თუკი ის უსიცოცხლო და აუტანელია.

**– ამჟამად გყავთ საყვარელი?**

– მომწონს ერთი ადამიანი, მაგრამ, მას-

# რატომ ეძებს რუსეთში მცხოვრები შვილიშვილი ბაბუას თერჯოლის რაიონის სოფელ ჩხარში და როგორ დააშორა ერთმანეთს ნათესავები ქართულ-აფხაზურმა ომმა

**ჟურნალისტის შენიშვნა**: დღევანდელ რუბრიკაში წარმოგიდგენთ ორ ისტორიას. ერთში – შვილიშვილი, ირინა ანატოლის ასული ტრაჩი (მცხოვრები რუსეთში), ეძებს ბაბუას – გიორგი აბულაძეს, ხოლო მეორეში კი დაკარგულ ნათესავებს ეძებს უკრაინაში მცხოვრები ტატიანა ევგენის ასული კადაცკაია. ვთხოვ ჩემს მკითხველს, დააკვირდეს ფოტოსურათებს და, თუ ვინმეს ეცნობა დაკარგული პიროვნება, გამოგვეხმაუროს.



***ირინა ანატოლის ასული ტრაჩი ეძებს გიორგი აბულაძეს.***

**ისტორია**: ვეძებ ბაბუას – გიორგი აბულაძეს (სამწუხაროდ, მისი ზუსტი ასაკი არ ვიცი). ბოლოს დედამ მამამისი დაახლოებით 1972-1975 წლებში ნახა, როდესაც ის ჩვენთან, უკრაინაში იყო ჩამოსული სტუმრად. მას შემდეგ ბაბუა აღარ გვინახავს და არც არაფერი ვიცით მის შესახებ. დედაჩემი გიორგი აბულაძის შვილია. ვიცით, რომ საქართველოში დედას ჰყავს კიდევ სამი უმცროსი ძმა. სამწუხაროდ, მეტი ინფორმაცია არ გაგვაჩნია, მაგრამ, გიორგი აბულაძის პოვნის იმედს არ ვკარგავთ. საქართველოში ბაბუა თერჯოლის რაიონის სოფელ ჩხარში ცხოვრობდა. შესაძლებელია, ის ამჟამადაც იქ ცხოვრობს, მაგრამ, მისი ზუსტი მისამართი ჩვენთვის უცნობია. ძალიან გვინდა, ალვადგინოთ დაკარგული კავშირი ბაბუასთან და, შეძლებისდაგვარად, სხვა ნათესავებთანაც. გიგზავნით ფოტოს, იმედი მაქვს, ბაბუა გამოგვეხმაურება და დაგიკავშირდებათ.

***ტატიანა ევგენის ასული კადაცკაია ეძებს 47 წლის ალექსანდრე დგებუაძეს და მის ოჯახს.***

**ისტორია**: ვეძებ ჩვენს ნათესავებს, მათ შორის, 1966 წელს დაბადებულ ალექსანდრე დგებუაძეს. ნათესავებთან კავშირი შეწყდა ქართულ-აფხაზური ომის დროს. ალბათ, ყველას გვახსოვს ის საშინელი პერიოდი. სწორედ მაშინ ვიმყოფებოდით ჩვენ სტუმრად ქალაქ სოხუმში, დგებუაძეებთან და, პირდაპირი მნიშვნელობით, გამოვიქეცით იქიდან არეულობის დაწყებისთანავე. რა თქმა უნდა, ჩვენ გვქონდა ნათესავების ტელეფონების ნომრები და მისამართები, მაგრამ, ვერც ტელეფონით და ვერც წერილობით მათთან კავშირი ველარ აღვადგინეთ და საერთოდ არაფერი ვიცით მათი ბედის შესახებ. ძალიან გინდა მათი პოვნა. გვაქვს ალექსანდრეს ფოტოსურათი (მისი ჯარში მსახურობის დროინდელი, ის ქართულ ჯარში მსახურობდა), რომელსაც გიგზავნით კიდეც. ალექსანდრეს შინაურები გიას ეძახდნენ. მას ჰყავს მეუღლე – თამრიკო და ორი შვილი – ნინიკო და ჟორა. ალექსანდრეს დედა იყო ნინა შეგლოვსკაია (ქალიშვილობის გვარი). ნინას დაბადების თარიღია 1934 წლის 9 მარტი. ალექსანდრეს მამას მაკარი ერქვა. ბებიაჩემი – სვეტლანა ალექსანდრეს ასული და, ბაბუაჩემი – ანატოლი მიხეილის ძე ივაშენკო ძალიან განიცდიან ნათესავებთან კავშირის არქონას და იმას, რომ ომის შემდეგ ჩვენ მათ შესახებ არაფერი ვიცით. ამიტომაც, გადავწყვიტე, დახმარებისთვის თქვენთვის მომემართა. ძალიან გთხოვთ, დაგვეხმარეთ დაკარგული ნათესავების პოვნაში. ჩვენ მათ ვერანაირი გზით ვერ მივაგენით.





*თუ გაქვთ რაიმე ინფორმაცია ამ ისტორიებთან დაკავშირებით ან თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 239-23-52; 239-23-53; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.*

**ნატალია მახარაშვილი**

---

თან ახლოს არ ვარ. ჯერ დისტანცია მიჭირავს, თუმცა, დაახლოების სურვილი მაქვს. არაჩვეულებრივად ესმის ჩემი. ჩემი ქმარი მარტო მაშინ მიყურებს აღტაცებით, როცა ვინმე ეუბნება, არაჩვეულებრივი ცოლი გყავსო, ის კაცი კი ჩემზე ჭკუას კარგავს. მართლა ვუყვარვარ. იცის, რა მომწონს, რა მიხარია, რა მწყინს... როგორ ავხსნა უფრო კარგად, რა მაკავშირებს მასთან? ალბათ, ეს არის ორ ადამიანს შორის სულიერი კავშირი. რომ ამბობენ, მეორე ნახევარიო, ასე მგონია, სწორედ ეს არის. მიუხედავად იმისა, რომ ქმარი მატერიალურად სრულიად უზრუნველმყოფს, სულიერი შიმშილი უფრო საშინელება ყოფილა.

**– ფიქრობთ, რომ ქმრისგან წამოხვალთ?**

– არ ვიცი, რას ვიზამ, ძალიან რთულ მდგომარეობაში ვარ. ქმარი არ მიყვარს, მაგრამ, მის მიმართ პატივისცემისა და მორიდების გრძნობა ჯერ კიდევ გამაჩნია. საკუთარ თავსაც ვცემ პატივს, თან, ცოტა სხვანაირ ოჯახში გავიზარდე და ბევრ რამეს ვუწევ ანგარიშს. გულახდილად გეტყვით: უკვე აღარ ვიცი, რა მინდა. ზოგჯერ მგონია, რომ ამ კაცის გარეშე ვერ გავძლებ და ველარ ვიცოცხლებ. როგორც ჰაერი, ისე მჭირდება. რამდენიმე დღეა, სპეციალურად არ ვხვდები – ვცდილობ, დავივიწყო, მაგრამ, არ გამომდის, კიდევ უფრო მეტად მენატრება. მინდა, რომ მხარზე თავი დავადო და ბავშვივით გულაჩუყებულმა ვიტირო. მან რომ ცოტა იაქტიუროს და სულ ოდნავ დამაძალოს, მაშინვე მის ლოგინში აღმოვჩნდები, მაგრამ, ბოლომდე იკავებს თავს – სანამ ამის სურვილი შენ თვითონ არ გაგიჩნდება, არაფერს მოვიმოქმედებ. რაღაც გადაწყვეტილებამდე შენ თვითონ უნდა მიხვიდეო.

### მიუხედავად იმისა, რომ ქმარი მატერიალურად უზრუნველყოფს, სულიერი შიმშილი უარესი ყოფილა

**– ანუ, მზად არის, ცოლადაც მოგიყვანოთ?**

– იცით, რას მეუბნება? მეშინია, რომ მოლოდინს გაგიცრუებ, შენ და ბავშვს ისეთ ცხოვრებას ვერ შეგიქმნით, როგორსაც შეჩვეულები ხართო. მარტო ჩემზე რომ იყოს, ყველაფერზე უარს ვიტყოდი და ქვეყნის დასალიერშიც გავყვებოდი, მაგრამ, ბავშვს რას ვერჩი, როგორ მოვაკლო ის, რასაც მამამისი აძლევს?

**– ქმრის მიმართ რას გრძნობთ?**

– სიყვარული და ლტოლვა ნამდვილად აღარ მაქვს. თუ არსებობდა ეს ყველაფერი, უკვე გამიქრა. დარჩა გრძნობათა უცნაური ნაზავი: მადლიერების განცდა, ცოტა პატივისცემა, ცოტა შიშიც... მოკლედ, არ ვიცი, წავიდე რისკზე და დავდო სასწორზე ყველაფერი, რაც მაქვს? ძალიან მეშინია ხვალინდელი დღის. იმ კატეგორიისაც არ ვარ, რომ საყვარელი გავიჩინო და დამშვიდებული სინდისით ქმართან განვაგრძო ცხოვრება.

**დალი მიქელაძე**

## რედაქციაში წერილი მოვიდა

**ჩემი ქმარი ზოგადად მშვიდია და გაწონასწორებული. საკმაოდ ნორმალური ურთიერთობა გვაქვს, მაგრამ საკმარისია, ვინმე გამოჩნდეს ჩვენს სიახლოვეს – მისი მეგობარი ან ახლობელი, რომ რადიკალურად იცვლება. რატომღაც უხეში და აგრესიული ხდება. ისე იცვლება უარესობისკენ, რომ ვერ ვცნობ. საზიზღარ სიტყვებს იყენებს საუბრისას, უდიერად მომმართავს... ვერაფრით გავიგე, რა არის ამის მიზეზი, როგორ მოვიქცე?!**

**გამოხმაურება:** შეიძლება, უბრალოდ, ეჭვიანობს. დააკვირდით უფრო ყურადღებით. გამორიცხული არ არის, ეჭვის კომპენსირებას ამით ახდენდეს, ან აწუხებს კომპლექსი – ეშინია, რომ ქალაჩუნობაში დასდებენ ბრალს. ერთი სიტყვით, ცოტა მეტი ყურადღება სჭირდება. შეეცადეთ, აგრძნობინოთ თქვენი მხარდაჭერა და იქნებ სიტუაცია უკეთესობისკენ შეიცვალოს.

**ფსიქოლოგი**
**მაგდა რობაქიძე**

**მსოფლიო ლარს ფონ ტრიერის ახალი შედევრის, „ნიმფომანიაკის“ პრემიერის მოლოდინშია. ფილმის პრესისთვის ჩვენება რეჟისორის თანდასწრებით, 4 დეკემბერს კოპენჰაგენში შედგა. ერთადერთი ქართველი, რომლის სახელი და გვარიც გენიალურმა ფონ ტრიერმა იცის, არა იოსებ ჯუღაშვილი, როგორც მეგონა, არამედ მირანდა მირიანაშვილია – მომღერალი და ქველმოქმედი, რომელთანაც ჩვენ ინტერვიუებს წარსულშიც გთავაზობდით. მირანდა ფილმის პირველ ჩვენებას, რეჟისორის მიწვევით დაესწრო და შთაბეჭდილებებსაც აუცილებლად გაგვიზიარებს.**

# როგორ გაიცნო მირანდა მირიანაშვილმა ლარს ფონ ტრიერი და სად დაესწრო მისი „ნიმფომანიაკის“ დახურულ ჩვენებას

**– მირანდა, ძალიან ცოტამ თუ იცის საქართველოში, რომ მომღერალი და საოცარი ხმის პატრონი ხარ. ვიცი, რომ წელს „გრემის“ დაჯილდოებაზე სტუმრის სტატუსით მიგიწვიეს. როდის იქნება ისე, რომ „გრემიზე“ წარგადგენენ?**

– არასდროს ცხოვრებაში, მაშინაც კი, როცა არაფრის საშუალება არ მქონდა, არ მიცხოვრია შოუ-ბიზნესის კანონებით.. რატომ, არ ვარ შოუ-ბიზნესში?! არა იმიტომ, რომ ქედმაღალი ვარ და ვინმეს ზემოდან ვუყურებ, არამედ იმიტომ, რომ ვერ ვექვემდებარები კანონებს, რომელსაც ამა თუ იმ ქვეყნის შოუ-ბიზნესის პრინციპები მოითხოვს. მადლობა ღმერთს, გამოიძებნა ფორმა, სადაც თავს თავისუფლად ვგრძნობ – ვმღერი, რაც მინდა, სადაც მინდა და როგორც მინდა. არავიზე არ ვარ დამოკიდებული. ძირითადად, ვმღერი საქველმოქმედო საღამოებზე, დაჯილდოებებზე, კამერულ კონცერტებზე... ამ ბოლო დროს ეკონომიკური ფორუმის დახურვაზე ნატალია ვოდიონოვამ გააკეთა ღონისძიება, იქ მქონდა კონცერტი. ამ ფორუმს უამრავი ქვეყნის წარმომადგენლები ესწრებოდნენ და ახლა ისინი მწერენ, აქ ჩამოდი, იქ ჩამოდიო. ***(იცინის)*** ახლა დავოსში აწყობენ სალონური ტიპის საღამოს ნატაშა და იან იანოვსკი და იქ უნდა ვიმღერო. ამერიკაში მქონდა ძალიან კარგი ორი საღამო. თუ აკომპანიატორებთან ერთად ვარ, მათ დამკვეთი უხდის ჰონორარს, ხოლო ჩემი ჰონორარით, რამდენიმე საქველმოქმედო ორგანიზაციას ვეხმარები და ამიტომ პირდაპირ მათ ურიცხავენ. ვეხმარები – „აჩუქე სიცოცხლეს“, „ჰოსპისს“.

**– „ჰოსპისი“ რა ტიპის ორგანიზაციაა?**

– „ჰოსპისი“ აერთიანებს საავადმოფოებს სადაც მძიმე, ძირითადად, კიბოთი დაავადებული ადამიანები, თავიანთ უკანასკნელ დღეებს ატარებენ. ამ საავადმყოფოებში კონცერტები მაქვს ხოლმე მომაკვდავი ადამიანებისთვის. ლოგინებით გამოჰყავთ პაციენტები. თავიდან ძალიან მიჭირდა სიმღერა. მერე, როცა საკუთარი თვალით დავინახე, რა შედეგები მოიტანა, როგორი თერაპიული საშუალებაა მათთვის მუსიკა, ვერ ვიჯერებდი. ვერა მილიონშიკოვამ, მოსკოვის „ჰოსპისის“ დამაარსებელმა, რომელიც თავად გარდაიცვალა კიბოთი ორი წლის წინ, პირველი კონცერტის შემდეგ მითხრა: ვინ აღარ მოსულა მათთან, როსტროპოვიჩი, ბაშმეტი, მაგრამ ისეთი რეაქცია არ ჰქონიათ, როგორიც შენს მოსმენაზეო. ის მაინც მძიმე, კლასიკური მუსიკაა, მე კი ვუმღერი რომანსებს, ესპანურ, ფრანგულ, ქართულ, სიმღერებს და პირველივე შესრულების შემდეგ მათ გამომეტყველება ეცვლებათ და სიცოცხლე უბრუნდებათ ჩამქრალ თვალებში. ამ რეაქციას რომ ვხედავ, ვხვდები, იქ ტყუილად არ მივდივარ. მერე უკვე საჩუქრების მიტანა დავიწყე, ლატარიას ვათამაშებთ მომვლელ პერსონალს შორის. მიმქონდა ასევე, ფეხსაცმელები, პარფიუმერია, უამრავი საჩუქარი, რომელსაც ამა თუ იმ კონცერტის შემდეგ ვიღებ. მერე თვითონ პაციენტებმაც გამოთქვეს ლატარიის თამაშის სურვილი. მათ ზუსტად ისეთივე სურვილები და სიხარული აქვთ, როგორც ჩვენ, ყველას. არ შეიძლება, არ აღფრთოვანდე მათი მომვლელებით. ისინი სულ სხვანაირად აზროვნებენ – რომ ნახოთ, როგორ აჭმევენ, აბანავებენ, როგორი სითბოთი, სიყვარულით... ასეთი საჭირო და საოცარი ორგანიზაციაა ეს „ჰოსპისი“. დიდი იმედი მაქვს, რომ ახლო მომავალში, საქართველოშიც გაიხსნება მსგავსი საავადმყოფო.

**– მირანდა, გალერეა აღარ გაქვს, მაგრამ როგორც სოციალური ქსელებიდან ვხვდები, დღემდე ძალიან მჭიდრო ურთიერთობა გაქვს თანამედროვე ხელოვნების მეტრებთან. ამ ბოლო დროს შენი ფოტო ვნახე ჯეფ კუნსის ქანდაკებით ხელში.**

– ერთხელ რომ ჩაებმები ამ ფერხულში და შესაბამის წრეში აღმოჩნდები, მერე უკვე ყველაფერი თავისთავად ხდება. კლუბივით არის, სამუზეუმო და „არტ-ფეარების“ სათავეში მყოფი ხალხის ბირთვი საკმაოდ პატარაა. ამ ადამიანების უმრავლესობასთან ვმეგობრობ და უამრავი მიწვევა მაქვს გახსნებზე, ვახშამზე... ახლა მაგალითად, „მაიამი არტ-ბაზარს“ ვტოვებ, რადგან კოპენჰაგენში ლარს ფონ ტრიერის ფილმის პრემიერაზე წასვლა ვარჩიე, რომლის შემდეგაც, ძალიან ვიწრო წრეში, ლარსთან ვახშამზე ვარ მიწვეული. თავადაც ხშირად ვარ ამა



**არანაირი გადახრა, ანომალია არ ახასიათებს. ერთხელ ექვსი საათი გავატარეთ ერთად ვიწრო წრეში**

თუ იმ გამოფენის და არტ-ღონისძიების ორგანიზატორი. მაგალითად, ახლახან, მოსკოვში, „მომაში“, ილია კაბაკოვის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი ვახშამი გავმართე და „ტეიტის“ დელეგაციას მე ვუმასპინძლე. კომუნიკაცია სულ არის და ყველგან მპატიჟებენ. უბრალოდ, ყველგან წასვლას ვერ ვახერხებ. საერთოდ, ვცდილობ, არაფერში ჩავება საფუძვლიანად, რადგან თავისუფალი ადამიანი ვარ და ბორკილებს ვერ ვიტან – როცა მინდა და სადაც მინდა, იქ უნდა ვიყო. რაც შეეხება ჯეფ კუნსს, დონ პირინიონის დაკვეთით, მან შექმნა ქანდაკება. ამ შამპანურის სახლის მეპატრონე – ჟოელ ჰენესი და მისი ცოლი ჩემი მეგობრები არიან. ვერ გეტყვი, რომ კუნსი ჩემი საყვარელი მხატვარია, მაგრამ ის მართლა დიდი შემოქმედია. რამდენიმე მასშტაბური გამოფენის შემდეგ, მათ შორის ერთ-ერთი ვერსალში გაიმართა, სადაც სწორედ ლუცია ჰენესიმ წამიყვანა და მხოლოდ მისი ქანდაკებები იყო გამოფენილი, სრულფასოვნად აღვიქვი კუნსის სიდიადე. გალერეა არ მქონდა იმ პერიოდში მისი დიდი ქანდაკებაც გავყიდე.

**– ლარს ფონ ტრიერზე მინდა, ვისაუბროთ. მთელი მსოფლიოს კინომოყვარულებს გულისცემა აქვთ მომატებული მისი „ნიმფომანიაკის“ მოლოდინში. ვიცი, რომ მას იცნობ და პრემიერაზე ხარ მიწვეული. მომიყევი, სად და როგორ გაიცანით ერთმანეთი, როგორი ადამიანია, მანიაკია?**

– ***(იცინის)*** არ არის მანიაკი, არაჩვეულებრივად თბილი, რბილი და მშვიდი ადამიანია. არაფერი ავადმყოფური, რაც სხვა გენიოსებს ახასიათებთ, მისთვის არ შემიმჩნევია. არანაირი გადახრა, ანომალია არ ახასიათებს. ერთხელ ექვსი საათი გავატარეთ ერთად ვიწრო წრეში. ერთმანეთს პირველად კოპენჰაგენში შევხვდით, ვახშამზე დაგვპატიჟა, ჩვენი ძალიან ახლო მეგობრის შუამდგომლობით. მერიონი მრავალი წელია, რაც მისი პროდიუსერია. ყველა მსხვილ ფილმზე ერთად იმუშავეს და ის ჩვენი ახლო მეგობარია. მერიონმა შარშან „ნიმფომანიაკის“ გადაღებაზე, კიოლნში დაგვპატიჟა. ვერ წავედით. მერე დაგვპატიჟეს მეორედ და ისევ ვერ წავედით. მერიონმა მითხრა, იმდენი ვესაუბრე თქვენზე, ვახშამზე გეპატიჟებათ, 2 და 10 დეკემბერს აქვს თავისუფალი დღეებიო. არადა, ისეთი საგიჟეთი მქონდა იმ პერიოდში... აი, ახლაც რომ მითხრა, ობამა ვახშამზე გელოდებაო, იქ ვერ წავალ, ასე ვიყავი მაშინაც ***(იცინის).*** დავსხედით მე და ჩემი ქმარი და ვთქვით, უნდა წავიდეთ! კიდევ ერთხელ ეს კაცი აღარ დაგვპატიჟებს-მეთქი. თვითონ ლარსმაც შეხვედრის დროს მორიდებულად გვითხრა, ცოცხალი რუსი არ მინახავსო. საოცრად თავმდაბალი და ჩუმი ადამიანია. პარკინსონის დაავადება აქვს და ამის გამო ძალიან ჩაკეტილად ცხოვრობს. სხვისი თანდასწრებით სადილობა მისთვის განსაკუთრებით არაკომფორტულია. ცოცხალ რუსზე ვუპასუხე: არც მე ვარ რუსი და არც ჩემი ქმარი, ასე რომ ჩვენით რუსებზე წარმოდგენას ვერაფრით შეიქმნით-მეთქი ***(იცინის).*** ქართველებზე ხომ საერთოდ არანაირი ინფორმაცია არ ჰქონდა. მისი ერთადერთი კუმირი ანდრეი ტარკოვსკია, მაგრამ ქართული არაფერი იცის. დავუსახელე ყველა – ოთარ იოსელიანიც არ იცით-მეთქი და არაო. წარმოდგენა არ ჰქონდა არავისზე. ერთადერთი ქართველი, ვისი სახელი და გვარიც დღესდღეობით იცის, ვარ მე ***(იცინის).*** ძალიან ბევრი ვისაუბრეთ, ვიცინეთ. ძალიან კარგი ცოლი ჰყავს, რომელთანაც მრავალი წელია, ცხოვრობს და ფუნდამენტური, მყარი ოჯახი აქვთ. ახალგაზრდობაში ჰყავდა პირველი ცოლი, რომელთანაც ტყუპი ბიჭები ჰყავს. მეორე ცოლთან, ბრედასთან, ალბათ, უკვე ოცი წელია, არის. ჯანმრთელი, კარგი, ხალისიანი ქალია – ეტყობათ, რომ ასეთივე ოჯახი აქვთ. რაღაც შიშები კი აქვს, მაგალითად არ დაფრინავს. ჩემი მეგობრები ივანოვოში ტარკოვსკის ფესტივალს აწყობენ და დავურეკე, იქნებ ჩამოხვიდე, შენი ტრეილერით ჩამოდი ან მანქანას გამოგიგზავნი-მეთქი. კანის კინოფესტივალზეც თავისი მანქანით ჩამოდის ხოლმე.

**– კანში დიდი გაუგებრობა გამოიწვია ორი წლის წინ.**

– იქ ვიყავი, როდესაც ჟურნალისტების თანდასწრებით ებრაელებზე უხეშად იხუმრა და

**(გაგრძელება 34-ე გვერდზე)**

**ახალი წლის დადგომას, ყველა იმედის თვალით უყურებს და სჯერა, რომ ის გაცილებით უკეთესი იქნება, ვიდრე გასული წლები იყო. თუ როგორი წელიწადი გველის 2014 წელს, რა ცვლილებებია მოსალოდნელი პოლიტიკური და სოციალური კუთხით, ასევე, რამდენად პოზიტიური ან ნეგატიური იქნება ის ეკონომიკური თუ ეკოლოგიური თვალსაზრისით, ამასთან დაკავშირებით, კომენტარი ვთხოვეთ, ასტროლოგს, ბატონ მიხეილ ცაგარელს.**

# რა გველის 2014 წელს

**მიხეილ ცაგარელი**: აღმოსავლური ზოდიაქოს კალენდრის მიხედვით, 2014 წელი, 31 იანვარს, 00 საათსა და 40 წუთზე დადგება. ანუ, დაიწყება ცხენის წელიწადი, რომელიც განეკუთვნება იან ანუ აქტიური ენერგიის ხის სტიქიას. აღმოსავლეთში ასეთი წელიწადი უკავშირდება სასიკეთო და მოულოდნელ მოვლენებს, რადგან მისი დინამიკა წლის მასპინძლისა და მმართველის იმპულსურ, ამაყ, ლამაზ, სწრაფ ცხენს შეესაბამება, რომელიც ვერ იტანს შეზღუდვებს. ეს კარგი წელიწადია კონტაქტებისთვის, მოგზაურობებისთვის, შემოქმედებითი საქმიანობის, საზოგადოებრივი მოღვაწეობის, ქველმოქმედებისა და ახალი საქმის წამოსაწყებად. აუცილებელი პირობა კი საკუთარი თავის რწმენაა. მთელი წელიწადი იქნება დაკავშირებული მნიშვნელოვან ცვლილებებთან.

**– ტიბეტურ ასტროლოგიაში ცხენის წელს უკავშირებენ ნეგატიურ მოვლენებს. ამასთან დაკავშირებით რა კომენტარს გააკეთებდით?**

– დიახ, ტიბეტურ ასტროლოგიაში, ხის ცხენთან აკავშირებენ ტყუილს და გაიძვერობას. ამიტომ, წელს მეტი ყურადღება მიაქციეთ სიტყვებს და ნუ გააკეთებთ ნაჩქარევ დასკვნებს ადამიანებზე. წელს, არ არის გამორიცხული კამათი, აზრთა სხვადასხვაობა და დაპირისპირებები. ცხენი ეხმარება შეუპოვარ ადამიანებს, რომლებსაც მტკიცეთ დასახული მიზანი აქვთ. ცხენი აზარტულიცაა და ხელს უწყობს სასიყვარულო ურთიერთობებს და პოლიტიკურ მოღვაწეობას.

**– ცხენის ხასიათი ცვალებადია. ეს თუ მოახდენს ზეგავლენას ზოგადად, პოლიტიკოსების გადაწყვეტილებებზე, ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე, ფინანსურ სტაბილურობასა და ადამიანებს შორის ურთიერთობაზე?**

– გეთანხმებით, ცხენის ხასიათი ცვალებადია, რის გამოც მისი აზარტი, შეიძლება, სწრაფად შენელდეს. ამ წელიწადს, ადამიანებმა ჰარმონიულად უნდა შეუხამოთ ერთმანეთს, დასვენება და სასიყვარულო ურთიერთობები. რთულ სიტუციებში ეცადეთ შემოვლითი გზები გამონახოთ. ზოგადად კი, მთელი 2014 წელი, დინამიკური, ხანდახან განუსაზღვრელი მოვლენებით დატვირთული და თან ნაყოფიერი იქნება. მეტად ყურადღებით იყავით ფინანსური გარიგებების დროს. სიყვარულში კი, ნებისმიერი კოსმიური გამოცდა წარმატებით ჩააბარეთ. ეს წელს აუცილებელი პირობაა. ასევე, ცხენის წელიწადი, ტრადიციულად დაგვაყენებს დიდი რაოდენობით სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებების, ახალი ლიდერების, ახალი კანონებისა და წესების წინაშე, ხალხში კი მოიმატებს თავისუფლების სურვილი. ცხენის ენერგია სიმბოლურად უკავშირდება კოსმიური ცეცხლის უმაღლეს მწვერვალს. ამიტომ, მოქმედებისას ეცადეთ, შეუხამოთ მას თქვენი გამოცდილება, ცოდნა და ინტუიცია. წლის პირველი ნახევარი მეტად იმპულსური იქნება. ამიტომ, ამ პერიოდში გამოიჩინეთ მეტი სიფრთხილე, დიპლომატიურობა, როგორც საქმიან, ასევე პირად ურთიერთობებში. წლის მეორე ნახევარში კი საგრძნობლად შესუსტდება ეკონომიკური კრიზისი მსოფლიოს მასშტაბით. პოლიტიკურ ასპარეზზე, წლის პირველ ნახევარში შესაძლებელი გახდება, მოლაპარაკებების გზით, ბევრი საკითხის მოგვარება. წლის მეორე ნახევარში კი, ეს ცოტა გართულდება და კონფლიქტური სიტუაციები მოიმატებს, როგორც ადამიანებს, ასევე მთელ რიგ ქვეყნებს შორის. ეცადეთ, 2014 წელს, ყველაფერში დაიცვათ ბალანსი, ზომიერება. წინაალმდეგ შემთხვევაში, ცეცხლის, ანუ იან სტიქია, დაწვავს ხეს – ხის მასპინძელს, რაც მხოლოდ პრობლემებს მოგიტანთ.

**– და მაინც, რას გვპირდებიან ვარსკვლავები საზოგადოებრივ-პილოტიკურ ასპარეზზე ცხენის წელიწადში და ხომ არ იქნება ეს წელი სერიოზული კრიზისული ტენდენციის, არეულობებისა და მასობრივი კატაკლიზმების მომტანი?**

– როგორც გითხარით, 2014 წელი, დაკავშირებული იქნება მნიშვნელოვან ცვლილებებთან საზოგადოებაშიც და პოლიტიკურ ავანსცენაზეც. შეიძლება, გამოჩნდნენ ახალი ლიდერები ახალი იდეებით, შეიქმნას ახალი ორგანიზაციები, დამყარდეს ახალი ურთიერთობები. ეს პროცესი განსაკუთრებით თვალშისაცემი გახდება წლის პი-



რველივე ნახევარში. აგვისტოდან კი სიტუაცია რადიკალურად შეიცვლება. მოკლედ, წლის პირველ ნახევარში მაღალია ეკოლოგიური და ტექნოგენური კატასტროფების, ბუნებრივი კატაკლიზმების ალბათობა. ამ მხრივ წლის მეორე ნახევარი უფრო მშვიდია. თუმცა, საზოგადოებრივ-პოლიტიკური რეფორმატორული ცვლილებები, ამ პერიოდშიც გაგრძელდება. იანვარ-თებრვალ-მარტის პერიოდში დედამიწის ბიოსფე-

> **ცხენის წელიწადში უამრავი სოციალურ-პოლიტიკური ცვლილების, ახალი ლიდერების, ახალი კანონებისა და წესების წინაშე დავდგებით**

რო შედარებით მშვიდი იქნება, იანვრის პირველი ნახევრის, 10-20 თებერვლისა და 1-10 მარტის შუალედების გამოკლებით. სწორედ ამ რთულ პერიოდებშია მოსალოდნელი ცვლილებები პოლიტიკურ სარბიელზე, ზოგიერთი ლიდერის, ეკონომიკური და სოციალური ცვლილებების ფონზე. არ არის გამორიცხული, სწორედ ამ პერიოდში მიიღონ პოლიტიკოსებმა ახალი კანონები, რაც ხელს შეუწყობს რეფორმების ახალ დონეზე აყვანას. სიტუაცია დაიძაბება მარტის პირველ ნახევარში. მოერიდეთ ამ პერიოდში ინვესტიციებსა და კაპიტალდაბანდებებს, ახალი საქმის დაწყებას. აპრილი-მაისი-ივნისის პერიოდი ყველაზე რთული, განუსაზღვრელი მოვლენებით დატვირთული და დაძაბული იქნება. განსაკუთრებით 10-20 აპრილის პერიოდია ამ მხრივ ნეგატიური, რაც დაკავშირებული იქნება კოსმოსის დისჰარმონიული ენერგიების ზეგავლენასთან დედამიწაზე. სწორედ ამ პერიოდში გამოვლინდება ნეგატიური ტენდენციები პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ურთიერთობებში, მოიმატებს ავარიებისა და პოლიტიკური კრიზისის ალბათობა. რასაკვიირველია, ეს ზეგავლენას მოახდენს მსოფლიოს ეკონომიკაზე. განსაკუთრებით კი ამ მხრივ კრიზისულია მაისის მეორე ნახევარი. დაიკლებს ინვესტიციების აქტივობა, მოსალოდნელია სავალუტო კურსის მკვეთრი ცვლილება. ამიტომ, აპრილი და მაისის დასაწყისი, ამ მხრივ საკმაოდ ნეგატიური პერიოდებია. მაისის ბოლოს და ივნისის 10 რიცხვამდე კი, დედამიწა ისე ჰარმონიული ბიოსფეროს ენერგოველში შევა, რაც ხელს შეუწყობს აპრილში წარმოქმნილი პრობლემების მოგვარებას, ეკონომიკური სიტუაციის გამოსწორებას, ქვეყნებს შორის ურთიერთობების დალაგებას და პოლიტიკურ სტაბილურობას. 11-30 ივნისის პერიოდში კი დედამიწა კვლავ შევა უარყოფით ენერგოველში, რაც ისევ უარყოფითი კოსმიური ვიბრაციების მოზღვავებას გამოიწვევს. ეს კი თავის მხრივ გარკვეულ ნეგატიურ ზეგავლენას მოახდენს პოლიტიკურ და ეკონომიკურ სიტუაციასა და მოვლენებზე. ივლისში დედამიწა სასიკეთო კოსმიური ვიბრაციების ენერგოველში გადავა, რაც ხელს შეუწყობს სხვადასხვა ქვეყნის ლიდერებს შორის მოლაპარაკებებს, ახალი საქმეების წამოწყებას, მასშტაბური პროექტების განხორციელებას, მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას და სხვა სასიკეთო ცვლილებებს. ივლისის ბოლოსა და აგვისტოს დასაწყისში, კვლავ პრობლემებია მოსალოდნელი, მათ შორის ბუნებრივი სტიქიები. მოიმატებს დაძაბულობა და შენელდება წინსვლის პერსპექტივები. 10 აგვისტოდან სიტუაცია გაუმჯობესებას დაიწყებს და ეს პერიოდი თვის ბოლომდე გასტანს. ეს სასიკეთო ტენდენცია სექტემბრის თვეშიც გაგრძელდება და მოსალოდნელია მეტად ეფექტური მუშაობა სამთავრებო სტრუქტურებში და სასიკეთო პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ცვლილებები. ყველაზე მშვიდი და სტაბილური, 2014 წელს ოქტომბერი იქნება, როცა მოსალოდნელია დადებითი ცვლილებები პოლიტიკასა და ეკონომიკაში. შედარებით რთული პერიოდი გველის 10-30 ნოემბრის ჩათვლით, როცა დიდი ალბათობაა, ეკოლოგიური და ტექნოლოგიური კატასტროფები მოხდეს. ასევე, მოსალოდნელია სხვადასხვა გაფიცვა, არასტაბილურობა ქვეყნის შიგნით და ზოგადად, მსოფლიოში – დაძაბულობები რელიგიურ ნიადაგზე. დეკემბრის პირველი ნახევარი კი, შედარებით, პოზიტიური და მშვიდი გველის. ხოლი, 20 დეკემბრის შემდგომ, დედამიწა კვლავ უარყოფით ენერგოველში აღმოჩნდება და წინა პლანზე ისევ წამოიწევს კონფლიქტები, დაძაბულობა და ეკოლოგიური კატასტროფები.

**– ესე იგი, ვარსკვლავების წინასწარმეტყველებით, წინ კიდევ ერთი ცვლილებებით აღსავსე და მშფოთვარე წელიწადი გველის?**

– ასეა. თუმცა, ყველა ზემოთქმულის გათვალისწინებით, 2014 – ხის სტიქიის ცხენის წელიწადი საფუძველს დაუდებს, ჩვენი ქვეყნის წინსვლას და სულ მალე ვიგრძნობთ, რომ საქართველოში ახალი განვითარების ხანა დგება. ამის გათვალისწინებით, თუ მშვიდად გავაანალიზებთ მიმდინარე მოვლენებს, მაშინ ამ წელიწადს მშვიდად და ჰარმონიულად განვლევთ.

**ნონა დათეშიძე**

**28 ნოემბერს მართლმადიდებლურმა სამყარომ შობის დღესასწაულის მარხვა დაიწყო, რომელიც მართლმადიდებლებს მაცხოვრის შობისთვის ამზადებს. მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანები ყოველ წელს აღვნიშნავთ ამ დღეს, ვინახავთ მარხვას, მაინც გვიჭირს შობის მნიშვნელობის და, შესაბამისად, საშობაო მარხვის არსის გაცნობიერება. ამიტომ, ამ საკითხების შესახებ გვესაუბრება, ვაკის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა საბა (ბიკაშვილი).**

# რატომ აქვს ქრისტიანის ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა შაბათ-კვირას და როდის არ შეუძლია ადამიანს მარხვის მნიშვნელობის გაგება

**– შობის მარხვა მზადებაა მაცხოვრის შობის დღესასწაულისთვის, თუმცა, ამ დღის მნიშვნელობის ბოლომდე გააზრება დღემდე გვიჭირს.**

– ქრისტიანული სწავლების თანახმად, არასდროს ყოფილა ისეთი დრო, როდესაც მაცხოვარი არ არსებობდა. ყოველთვის იყო მამა-ღმერთი, ძე-ღმერთი – მისგან შობილი და სულიწმიდა – მისგან გამომავალი. ეს არის საეკლესიო სწავლება, დოგმატი და, ამის შესწორების, გადაკეთების უფლება არავის აქვს. თავად შობილობა კი ძეს ეკუთვნის, რადგან, მამა არის უშობელი, ის ვერ იშვებოდა, ჩვენთვის აღსაქმელ დროში ვერ განკაცდებოდა. ასევე, სულიწმიდაც ვერ იშვებოდა, რადგან, მისი „ფუნქცია“ არ არის შობილობა. ამიტომ, შობის პატივი, უპირატესობა მიეწერება ძეს, რადგან, ის არის შობილი. წმიდა მამები ასეთ შედარებასაც აკეთებენ: როგორც გონება ბადებს აზრს, ისე იბადება ძე მამისგან. ეს კი დროზე, სივრცესა და საერთოდ ყველაფერზე აღმატებულია. მაცხოვრის შობა, მისი ღვთაებრივი ბუნების განხორციელება ადამიანის ხორცში, რა თქმა უნდა, დროში ხდება. თავად უფალი გვაჩვენებს თავმდაბლობის მაგალითს – ის იბადება ცხვართა სადგომში და მხოლოდ რამდენიმე ადამიანისთვის ხდება გასაგები მისი ამქვეყნად მოვლინება. მაცხოვარმა ადამიანებს თავისი დაბადებით მისცა მაგალითი ადამიანობისა. მაცხოვარი რომ არ განკაცებულიყო, ადამიანები არ ისურვებდნენ მისი სწავლების მიღებას, რადგან, არ ეცოდინებოდათ მისი ამქვეყნიური წარმომავლობა. ჩათვლიდნენ, რომ ის იყო არა ადამიანი, არამედ, სული, მოჩვენება. ამიტომ, თავად მაცხოვრის განკაცებას, განხორციელებას, აქვს უდიდესი მნიშვნელობა, რომ მან თავისი ჩვილობით, მოწიფულობის, მოღვაწეობის პერიოდით ადამიანებს უჩვენა გზა, სწორი ორიენტირი ცხოვრებისა და სულიერებაში წარმატებისა. ამიტომ, ვინც მას უყურებდა, ვინც მას უსმენდა, თავად მაცხოვრისგან იღებდა მაგალითს და არა ზეციდან ჩამოსული ანგელოზისგან, სულისგან. ღმერთი ისე განხორციელდა, რომ მან თავისი ღმერთობა, ღვთაებრიობა არ დაკარგა. ადამიანიც ისე განიღმრთო, რომ მან თავისი ადამიანობა არ დაკარგა და, პირიქით, მან მაცხოვრის დახმარებით დაკარგული ბუნება დაიბრუნა. მაცხოვრის განკაცებით, როგორც მამები იტყვიან, მისი ხორცში დამალვით, ხორცით შემოსვით, კიდევ ერთხელ შეცდა კაცობრიობის მტერი – ეშმაკი, რომელმაც ადამიანის საფარველქვეშ ვერ იცნო თავად მაცხოვარი, ვერ გაიგო მისი გამოხსნის საიდუმლო. ანუ, ამ სახით რომ არ მომხდარიყო უფლის მოსვლა, მაშინ კაცობრიობის მტერს – ეშმაკს, ეცოდინებოდა, როგორ აპირებდა მაცხოვარი ამქვეყნად მოსვლას, როგორ გამოიხსნიდა ის სამყაროს და, შესაბამისად, ის უფრო მეტ ადამიანს აცდუნებდა.



**მაცხოვრის განკაცებით, როგორც მამები იტყვიან, მისი ხორცში დამალვით, ხორცით შემოსვით, კიდევ ერთხელ შეცდა კაცობრიობის მტერი – ეშმაკი, რომელმაც ადამიანის საფარველქვეშ ვერ იცნო თავად მაცხოვარი, ვერ გაიგო მისი გამოხსნის საიდუმლო**

**– რატომ ენიჭება მართლმადიდებლების ცხოვრებაში შაბათ-კვირას დიდი მნიშვნელობა?**

– როგორც იცით, შაბათი უფლის დღეა და, სამყაროს შექმნიდან დღემდე, ის არ კარგავს თავის მნიშვნელობას. როგორც ეკლესიის მამები ამბობენ, კვირა არის კვირის მერვე დღე, ხოლო შაბათი – მეშვიდე და მას თავისი ფუნქცია არასდროს დაუკარგავს. ამიტომ, მორწმუნეებმა უნდა იცოდნენ, რომ ახალაღთქმისეულ ეკლესიაში კვირა დღე, თავისი მნიშვნელობით, არის აღმატებული, აღდგომის ტოლფასი, ამაღლებული სულიერი განწყობის გამომხატველი და, ბუნებრივია, შაბათიც არის უფლის დღე და მასაც სათანადო პატივის მიგება სჭირდება. შესაბამისად, შაბათ-კვირის მსახურებას ყოველთვის თან ახლავს სადღესასწაულო ელფერი, განწყობა. მსახურების წლიური ციკლი, ასევე, მოიცავს და აწესრიგებს მარხვის დღეებს. ფაქტობრივად, მარხვა – ეს არის ადამიანის სულიერი მზადება და მასში სინანულის გაღვიძება. თუ ადამიანს მარხვაში არ ექნება სინანულის განცდა, ბუნებრივია, მარხვა მისთვის ნაყოფის მომტანი არ იქნება. თუ ქრისტიანი მარხვის განმავლობაში არ ესწრება ამ მსახურებას, ის ბოლომდე ვერ ითავისებს მარხვისეულ სულს; მას არ დაეუფლება ის განცდა, სულიერი მდგომარეობა, რომელსაც სინანული ჰქვია; მისი მდგომარეობა, განწყობა მხოლოდ სადღესასწაულო იქნება და, ამიტომ, მისთვის მარხვისეული მდგომარეობა შეუცნობელი დარჩება.

**მარხვა – ეს არის ადამიანის სულიერი მზადება და სინანულის გაღვიძება. თუ ადამიანს მარხვაში არ ექნება სინანულის განცდა, ბუნებრივია, მარხვა მისთვის ნაყოფის მომტანი არ იქნება**

**– ძალიან ხშირად გაგვიგია სწავლება საკუთარი თავის უარყოფის შესახებ, განსაკუთრებით კი – მარხვაში, რისი გაკეთებაც ძალიან გვიჭირს ხოლმე.**

– ადამიანი ცოცხალი, ზნეობრივი, რელიგიური, საზოგადოებრივი არსებაა. ის საკუთარ თავს ისე ვერ მოიძულებს, რომ აღარაფერი აკეთოს. საკუთარი თავის უარყოფა ნიშნავს იმას, რომ ადამიანმა საკუთარი ხორციელი „მე“, ვნებები, მიდრეკილებები, ხორციელი საქმეები მოიძულოს და პირველ ადგილზე უფლის მცნებები წამოაყენოს. როგორც პავლე მოციქული ამბობს: „განიმოსოს ძველი კაცით და შეიმოსოს ახლით,“ ანუ, სულიერი კაცით; ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანმა საკუთარი სულიერი „მე“ უნდა წამოწიოს წინ, წამოაყენოს, გაასუფთაოს სულიერი ცხოვრების წესით, გაამშვენოს, გააბრწყინოს და უპირატეს მდგომარეობაში დააყენოს. ქრისტიანი უნდა ცხოვრობდეს ისე, რომ თავისი ცხოვრების წესით არასდროს შეურაცხყოს უფალი. ცხოვრების წესში კი იგულისხმება ნებისმიერი მდგომარეობა, მოვლენა, რითაც ადამიანი სულდგმულობს. ანუ, ქრისტიანის ძალისხმევა, მონდომება, მიმართული უნდა იყოს იქითკენ, რომ თავისი ცხოვრების წესით არასდროს შეურაცხყოს უფალი. ასეთი გამონათქვამი არსებობს: ადამიანი, რომელიც თავის მოქცევას, სულზე ფიქრს აყოვნებს, სახვალიოდ გადადებს – დღეს არ ვარ წარმატებული ქრისტიანობაში, ვერ ვლოცულობ, მოდი, ხვალ ან ერთი წლის მერე დავიწყებო, ის გარკვეულწილად, პილატეს ემსგავსება. ქრისტიანი უნდა ცხოვრობდეს ისე, რომ არ გამოეკიდოს ამქვეყნიურ დიდებას, თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მან საკუთარი თავი ფიზიკური და სულიერი თვალსაზრისით უარყოს, პატივი არ სცეს და სხვის თვალში დააკნინოს. ანუ, ადამიანმა უფალთან და საკუთარ თავთან ურთიერთობისას ზომიერება უნდა დაიცვას, პატივი უნდა მიაგოს, უპირველეს ყოვლისა, უფალს და მერე – საკუთარ თავს. ეს, შეიძლება, ვინმესთვის ძალიან ადვილი, ან, პირიქით, ძალიან რთული იყოს, მაგრამ, ამ ყველაფრის დაძლევა მხოლოდ და მხოლოდ უფალთან ურთიერთობით არის შესაძლებელი. ქრისტიანობა არ ნიშნავს იმას, რომ, რადგან ჩვენ სასულიერო პირები ვართ, ან – ეკლესიის მრევლი, ამიტომ, სრულყოფილები ვართ. რა თქმა უნდა, ეს ასე არ არის. ყოველთვის უნდა ვიმუშაოთ საკუთარ თავზე. შესაბამისად, ის, ვინც დღეს აპირებს მოქცევას, ეკლესიის წიაღში მოსვლას, ქრისტიანულ ცხოვრებას, უნდა ეცადოს, რომ უფლის სიტყვები არა მხოლოდ სიტყვით მიიღოს და საქმით ზედაპირულად აღასრულოს, არამედ, ამ ყველაფერში ჩარიოს საკუთარი გული, სიყვარული და მონდომება. სიყვარულის გარეშე არ არსებობს სარწმუნოება, ცხონება, უფალთან ურთიერთობა და, მით უმეტეს, არ არსებობს ადამიანებთან ურთიერთობა. ვინც აპირებს, ქრისტიანი გახდეს, ჯერ ზნეობრივი ადამიანი უნდა გახდეს, ზნეობრივი კანონები უნდა დაიცვას, რადგან, თუ მას არ ექნება ზნეობა – შინაგანი სიყვარულის, თავისუფლების, მოწესრიგებულობის, სიმშვიდის განცდა, ის ნამდვილი ქრისტიანი ვერ იქნება.

**ნათია უტიაშვილი**

# უფალი ყოველივეს ხედავს

მიუხედავად მეუფის (წმიდა ნექტარიოს პენტაპოლელი) დიდი ღვაწლისა, ისეთი ადამიანებიც იყვნენ, ვისაც მიაჩნდა, რომ ის ყველაფერს არაგულწრფელად, ანგარებით, სხვების დასანახავად აკეთებდა.

ერთ ქალს 16 წლის ქალიშვილი ჰყავდა. გოგონა მოკრძალებული და ღვთისმოშიში იყო. დედა ცუდად ექცეოდა და რამდენჯერმე მისი დახრჩობაც კი სცადა. შეწუხებული გოგონა ავადმყოფ დედას გაექცა და წმიდა ნექტარიოსის მონასტერში დაიმალა. მაშინ დედამ სავანისა და მისი წინამძღვრის წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო. ნექტარიოსმა რჩევისთვის ათენის მიტროპოლიტ თეოკლიტეს მიმართა, რომელმაც გოგონას დატოვების ნება დართო. მან ასე გაატარა მონასტერში ორი წელი, მაგრამ, დედა არ წყნარდებოდა. იგი პირეიში ჩავიდა და მონასტერს სასამართლოში უჩივლა. მან წინამძღვარს ბრალი დასდო, თითქოსდა, ძალით წაართვა ქალიშვილი. ათენის პროკურატურამ საქმის გასარკვევად ეგინაზე თავისი წარმომადგენელი გაგზავნა ორი პოლიციელის თანხლებით. მათ მონასტრის კარიბჭე შეამტვრიეს და პირდაპირ მეუფე ნექტარიოსის კელიისკენ გაემართნენ. შეძრწუნებული მონაზვნები თვალცრემლიანნი იდგნენ ეზოში. წინამძღვარმა ღიმილით მიიღო ხელისუფლების წარმომადგენლები. პროკურატურის გამომძიებელმა მეუფის მისასალმებელ სიტყვებს არც კი მოუსმინა და 70 წლის მოხუცს ყვირილი დაუწყო. ლანძღავდა და მოითხოვდა, მისთვის ის ჭა ეჩვენებინათ, სადაც, თითქოსდა, მონასტრის მკვიდრნი (დედები) მოკლულ ჩვილებს ყრიდნენ. შემდეგ მეუფეს მხარში ხელი ჩაავლო, მიათრევდა და ყვიროდა: „ყველას ციხეში ჩაგყრით!“ წმიდა ნექტარიოსმა ზეცისკენ მიუთითა და მიმართა: „უფალი ყოველივეს ხედავს“. ამით საქმე დასრულდა: ერთი კვირის შემდეგ პროკურატურის წარმომადგენელი დასნეულდა და ხელი, რომელიც მეუფეზე აღმართა, უმოძრაოდ ჩამოეკიდა. მაშინ მიხვდა, რომ სწორად არ მოიქცა და ეგინაზე წაყვანა ითხოვა. მონასტერში მეუღლის თანხლებით მივიდა და წმიდა ნექტარიოსისგან პატიება ითხოვა. მეუფემ მთელი გულით შეუნდო ამ ადამიანს, თუმცა, ორი წლის შემდეგ მაინც საჭირო გახდა ხელის ამპუტაცია.

# მოძღვარი გვირჩევს

*კითხვა*: **უფალი მოგვიწოდებს, რომ გვიყვარდეს ჩვენი მტერი. პრაქტიკულად როგორ უნდა შევიყვაროთ ჩვენი მტრები?**

*პასუხი*: მტრისადმი სიყვარული ქრისტიანმა შემდეგნაირად უნდა გამოავლინოს: ვაპატიოთ მათ წრფელი გულით; დავეხმაროთ გაჭირვებაში და მათთვის ვილოცოთ.

*კითხვა*: **ქრისტიანული მშვიდობისმოყვარეობა ნიშნავს თუ არა მოყვასის ბოროტებაზე თვალის დახუჭვას?**

*პასუხი*: ახლობლებთან მშვიდობის დამყარების ვალდებულება არ ნიშნავს, რომ დავეთანხმოთ მათ ავ ზრახვებს, აზრებსა და ქმედებებს. ასეთი საქციელი დიდი ცოდვა იქნება. პირიქით, მანკიერი ადამიანების ზრახვებსა და აზრებს არ უნდა დავეთანხმოთ – ეს ქრისტიანის მოვალეობაა.

*კითხვა*: **რა გზით უნდა ვეზიაროთ ტაძარში სულიწმიდის მადლს?**

*პასუხი*: ტაძარში უნდა მივიდეთ არა მხოლოდ დამშვიდებისთვის, სიტკბოებისა და გულშიჩამწვდომი გალობის მოსასმენად, არამედ, უნდა იაროთ მადლისთვის და სინანულით სულის განმწმენდისთვის; შეიცანით და იგლოვეთ თქვენი ცოდვების გამო.

*კითხვა*: **როგორ უნდა მოიქცეს ქრისტიანი, თუ მისი თანამდებობა ხელს უშლის ღვთიური კანონებით ცხოვრებასა და სულის ხსნაში?**

*პასუხი*: თუ თქვენი თანამდებობა ხელს გიშლით ღვთიური კანონებით ცხოვრებაში და თქვენი სულის ხსნას ელობება წინ, უნდა დატოვოთ ის. ჯობია, იყოთ რიგითი მუშაკი, ოღონდ, სული იხსენით და თავი გადაირჩინეთ. რა სარგებელი გექნებათ, თუკი, თუნდაც ქვეყანას გადაარჩენთ, საკუთარ სულს კი წაიწყმედთ?!



# ჭეშმარიტი სარწმუნოება

## წმიდა ნექტარიოს ეგინელის თავმდაბლობა და მოყვასისადმი სიყვარული

მეუფე ნექტარიოსის (ნექტარიოს ეგინელი, 1846-1920 წლები, – ალექსანდრიის ეკლესიის წმიდანი) სიყვარული მოყვასისადმი სრულიად განსაკუთრებულ ხასიათს ატარებდა.

სემინარიაში, რომლის რექტორიც მეუფე ნექტარიოსი იყო, ერთი დამლაგებელი მოულოდნელად ავად გახდა და საავადმყოფოში აღმოჩნდა. როდესაც გამოეწერა, ექიმებმა ურჩიეს, რომ რამდენიმე თვე სამუშაოზე არ გასულიყო. მაგრამ, რით ერჩინა თავი? დაზღვევა მაშინ ჯერ კიდევ არ არსებობდა, მის ადგილას კი, შეიძლება, სხვა ვინმე მიეღოთ სემინარიაში. მაშინ მეუფე ნექტარიოსმა ასე მიმართა: „შენ ჯანმრთელობას მიხედე, დანარჩენს როგორმე მოევლება“. მართლაც, ყოველ დილით მთელი სემინარია – კლასები, საპირფარეშო, ეზო – ლამის ბრწყინავდა სისუფთავისგან, ახალი დამლაგებელი კი არ აუყვანიათ!.. ერთ საღამოს დამლაგებელი მივიდა სემინარიაში, რათა საკუთარი თვალით ენახა, თუ როგორ მყარდებოდა ასეთი სისუფთავე შენობაში და რა იხილა? მიტროპოლიტ ნექტარიოსს კაბა აეკაპიწებინა და თავად ასუფთავებდა შენობას. იგი დასაძინებლად უშვებდა მოწაფეებს, თავად კი დალაგებას იწყებდა და ვერავინ ვერაფერს ხვდებოდა. დამლაგებელმა შეწინააღმდეგება სცადა:

– თქვენო ყოვლადუსამღვდელოესობავ, თქვენ ჩემ მაგივრად მუშაობთ, არ შემიძლია, ამაზე დაგეთანხმდეთ!

– შვილო ჩემო, წადი, შენს ჯანმრთელობას მიხედე, როგორც უკვე გითხარი და, ნურაფერზე იფიქრებ, – უპასუხა მეუფე ნექტარიოსმა, – ხომ იცი, შენს ადგილას სხვა ვინმე რომ ავიყვანო, სამსახურს დაკარგავ, მე მხოლოდ შენი დახმარება გადავწყვიტე, მაგრამ, ამის შესახებ ნურავის ეტყვი.

## „მრისხანება ხანმოკლე სიცოფეა“

ვინმე ისააკ ბერი საკუთარი ცხოვრებიდან ერთ შემთხვევას მოგვითხრობდა: „ერთხელ ძმას წავეჩხუბე და განვურისხდი; როდესაც ხელსაქმით ვიყავი დაკავებული, ჩხუბი გამახსენდა, შევინანე და ღმრთის წინაშე პასუხისმგებლობის შიშით ვფიქრობდი, როგორ მოვქცეულიყავი. ამ დროს ჩემთან ვიღაც ახალგაზრდა შემოვიდა, წესისამებრ პირჯვარი არ გარდაისახა და მომმართა: „შენ შესცოდე და წუხხარ – მომენდე და დაგამშვიდებ“. მივხვდი, რომ ეშმაკი მესაუბრებოდა და ვუპასუხე: „წადი, რამეთუ ღმრთისგან არ ხარ“. ის კი განაგრძნობდა: „გონს მოეგე, საქმეს იფუჭებ, ადრე თუ გვიან, მაინც ჩემი იქნები“. „არა, – ვპასუხობდი, – მე შენი არ ვარ, ეშმაკო, არამედ, ღვთისა ვარ“. „მრისხანებითა და ბოროტებით შეპყრობილნი ღმერთმა ჩვენ გადმოგვცა, შენ კი უკვე სამი კვირაა, რაც ძმაზედ განრისხებული ხარ“, – მეუბნებოდა ის. „ტყუი“, – მივუგე მე, „შენ ბოროტი განგიზრახავს ძმისთვის, ხოლო ბოროტისმყოფელთათვის გეჰენის ცეცხლია განმზადებული. მე სწორედ ამგვარ ადამიანებთან ვარ მოვლენილი და შენ ჩემი ხარ“. იმ წამსვე ნაჩხუბარი ძმისკენ გავეშურე, თაყვანი ვეცი მას და შევურიგდი. სახლში დაბრუნებულმა შევამჩნიე – ეშმაკი ჩვენს შერიგებას ვერ შეეგუებოდა და, შურით ალესილს, ჩემი ხელსაქმე და ჭილობი დაეწვა, რომელსაც ლოცვისას ფეხქვეშ ვიგებდი.

**მოამზადა**
**რევაზ ტომარაძე**

# მსოფლიო ფეხბურთის მწეველი ვარსკვლავების ტოპ-ათეული

*რამდენიმე ხნის წინ ლონდონის „არსენალის” ფეხბურთელი ჯეკ უილშირი ღამის კლუბში სიგარეტით ხელში გამოიჭირეს პაპარაცებმა. ამ ფაქტს დიდი გამოხმაურება მოჰყვა პრესაში და ლონდონელთა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა ფეხბურთელთან პირადი აუდიენცია გამართა სიგარეტის თემაზე. საუბრის შემდეგ უილშირმა აღიარა დანაშაული და თქვა, რომ აღარ გაეკარება თამბაქოს. საგულისხმოა, რომ სიგარეტისთვის თავის დანებების შემდეგ უილშირი უკეთ ათამაშდა, თუმცა, მსოფლიო ფეხბურთში უამრავი შემთხვევაა, როდესაც ვარსკვლავები სიგარეტის მოწევასა და მაღალ დონეზე თამაშს კარგად უთავსებდნენ ერთმანეთს.*

### სოკრატესი

ბრაზილიელი სუპერვარსკლავი სოკრატესი აქტიური მწეველი იყო საფეხბურთო კარიერის პერიოდში და მის შემდეგაც. ფეხბურთელი დღეში 2 კოლოფამდე სიგარეტს ეწეოდა, თუმცა ეს არ უშლიდა მას ხელს, რომ 1980-იანი წლების მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ნახევარმცველი ყოფილიყო. სოკრატესმა კარიერის დასრულებამდე სან-პაულოს უნივერსიტეტში ექიმის დიპლომი აიღო, ხოლო კარიერის დასრულების შემდეგ სამეცნიერო ხარისხი მიიღო ფილოსოფიაში.

### ჯანლუკა ვიალი

„იუვენტუსისა” და იტალიის ნაკრების ექსფეხბურთელი, „ჩელსიში” რატი ალექსიძის მწვრთნელი და თანაგუნდელი, ჯანლუკა ვიალი, აქტიური მწეველი იყო საფეხბურთო კარიერის პერიოდში. 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მსვლელობის დროს იგი არაერთ კამერას დაუფიქსირებია სიგარეტით ხელში სათადარიგო სკამზე. ვიალი თავისი თაობის ერთ-ერთი საუკეთესო იტალიელი ფეხბურთელი გახლდათ.



### იოჰან კრუიფი

„მფრინავი ჰოლანდიელი” და მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ფიგურა იოჰან კრუიფი „ტოტალური ფეხბურთის” სახე და 1970-იანი წლების უდიდესი ვარსკვლავი იყო, რომელიც დღეში 20 ღერ სიგარეტს ეწეოდა. ბოლო დროს, ჯანმრთელობის გამო, კრუიფს სიგარეტზე უარის თქმა მოუწია, თუმცა, საფეხბურთო რჩევების მოსმენა მისგან კვლავ აქტუალურია.

### რობერტ პროსინეჩკი

დაშლილი იუგოსლავიის ფერფლზე აღმოცენებული ხორვატიის ნაკრების ლეგენდარული ფეხბურთელი რობერტ პროსინეჩკი 1990-იანი წლების ევროპული ფეხბურთის სუპერვარსკვლავი იყო, რომლის წევრობაც ნებისმიერ ევროპულ გრანდს სურდა თავის რიგებში. 1998 წლის საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატზე ფუროორის მომხდენი გუნდის „ღერძი” და „ძრავი” პროსინეჩკი დღის განმავლობაში 40 ღერ სიგარეტს ეწეოდა. მისი საყვარელი ბრენდი კი ამერიკული „მარლბოროა.”

### ფაბიენ ბარტეზი

ქარიზმატული ფრანგი გოლკიპერის, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონის, ფაბიენ ბარტეზის მწეველობის შესახებ „მანჩესტერ იუნაიტედში” მისი თამაშის დროს გახდა ცნობილი. ალექს ფერგიუსონმა რამდენჯერმე გააფრთხილა კიდეც ბარტეზი, რომ მისი ეს მავნე ჩვევა ცუდი მაგალითია დამწყები ფეხბურთელებისთვის.

### ზინედინ ზიდანი

მწეველი ზიდანი პირველად 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, პორტუგალიის ნაკრებთან მატჩამდე შეამჩნიეს სიგარეტით ხელში. მას შემდეგ ზიდანი კიდევ არაერთხელ უნახავთ მწეველის ამპლუაში. ფრანგი სუპერვარსკვლავი არც უარყოფს, რომ აქტიური კარიერის დროს სიგარეტს ეწეოდა.

### ოსვალდო არდილესი

1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, არგენტინელი ოსვალდო არდილესი, რომელმაც სახელი ინგლისის ჩემპიონატში თამაშით გაითქვა, დღეში 40 ღერ სიგარეტს ეწეოდა, მაგრამ, ეს არ უშლიდა მას ხელს, რომ 90 წუთი აქტიურ ბრძოლაში გაეტარებინა საფეხბურთო მოედანზე. ცნობისთვის, არდილესი ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებს ჯონ ჰიუსტონის ლეგენდარულ საფეხბურთო ფილმში – „გაქცევა გამარჯვებისკენ.” მისი პარტნიორები კი პელე, სილვესტერ სტალონე და ბობი მური არიან.

### დიმიტარ ბერბატოვი

ბულგარელი ფეხბურთელის, დიმიტარ ბერბატოვის თქმით, სიგარეტი ხელში მან მხოლოდ იმიჯისთვის დაიჭირა, თუმცა, ვრცელდება ინფორმაცია, რომ დიმიტარი აქტიური მწეველია და ერთ დროს „მანჩესტერ იუნაიტედის” ფეხბურთელი დღის განმავლობაში რამდენიმე ათეულ ღერამდე ეწევა.

### უეინ რუნი

ჯეკ უილშირის მსგავსად, სიგარეტით ხელში პაპარაცებმა უეინ რუნიც დააფიქსირეს. რუნი ირწმუნება, რომ ის არ არის აქტიური მწეველი და მხოლოდ გართობის მიზნით ეჭირა ხელში ანთებული სიგარეტი. ეწევა თუ არა რუნი, ამაზე, მგონი, არავინ არ დავობს, რადგან, ფეხბურთელი ამჟამად ბრწყინვალე სპორტულ ფორმაშია და მისი ქომაგებისთვის სულერთია, „მარლბოროს” მოწევს ის თუ „მაგნას”.

### მარიო ბალოტელი

თანამედროვე ფეხბურთის ნომერ პირველი სკანდალისტი და ეპატაჟური ქცევებით განთქმული მარიო ბალოტელი ჯერ კიდევ „მანჩესტერ სიტიში” ასპარეზობის დროს გამოიჭირეს სიგარეტით ხელში. მას შემდეგ მან ნისლიანი ალბიონი იტალიურ „მილანზე” გაცვალა, მაგრამ, მავნე ჩვევისთვის თავი არ დაუნებებია. მისი ნახვა სიგარეტით ხელში მილანის ღამის კლუბებში შეიძლება, სადაც ის ხშირად დადის გასართობად.

## ახალი მოდა – „თვალის პირსინგი“ ძალას იკრებს

ამერიკის შეერთებული შტატები ახალმა შოკის მომგვრელმა გატაცებამ მოიცვა – მოდური გახდა თვალში საიუველირო ნაწარმის იმპლანტაცია. უჩვეულო პროცედურის ჩატარება ლოს-ანჯელესსა და ნიუ-იორკში შეგიძლიათ. ამ სიამოვნების ფასი დაახლოებით 3 ათასი დოლარია. ამ თანხით ქირურგი კლიენტის თვალის თეთრი გარსის თხელ მემბრანას ჭრის და ამგვარად წარმოქმნილ „ჯიბეში“ ათავსებს სამკაულს „ჭრილი იმდენად პატარაა, რომ გაკერვაც არ სჭირდება“, – განაცხადა დოქტორმა ემილ ჩინმა.

ამ ოპერაციის „პიონერს“ – ლუსის, მარჯვენა თვალის კუთხეში პლატინისგან დამზადებული გულის ფორმის სამკაული „ჩაუდეს“. პროცედურა დოქტორმა ემილ ჩინმა ჩაატარა ოთახში, რომლის ერთი კედელი მთლიანად გამჭვირვალე შუშის იყო, რათა ქუჩაში გამვლელებს თავად ედევნებინათ თვალი ოპერაციის მიმდინარეობისთვის. ლუსის ნერვების დასაწყნარებლად ვალიუმი და ცოტა „გამამხიარულებელი გაზი“ მისცეს. პაციენტი ამბობს, რომ ოპერაციის დროს აბსოლუტურად არაფერი გაუგია, თუმცა, რამდენიმე დღის შემდეგ თვალში უცნაური შეგრძნება გაუჩნდა, რასაც მალევე შეეჩვია. პაციენტი და ექიმი დარწმუნებულები არიან, მიუხედავად იმისა, რომ ოპერაცია, ერთი შეხედვით, სარისკოა, სინამდვილეში არანაირ საფრთხეს არ წარმოადგენს.

მათ ოპტიმიზს არ იზიარებენ ამერიკელი ექიმები. ადგილობრივი ოფთალმოლოგიის აკადემიის წევრებმა უკვე გააფრთხილეს მოდის მიმდევრები, რომ ეს ქირურგიული ჩარევა სარისკოა, შედეგი კი, შეიძლება, საკმაოდ ნეგატიურიც იყოს – კონიუნქტივიტი, სისხლდენა, თვალის პერფორაცია და სიბრმავეც კი გამოიწვიოს.

მაგრამ, სილამაზე მსხვერპლს მოითხოვს და მსურველები უკვე რიგში ჩადგნენ.

## მარადონა და ანრი არაბებს ულოცავენ

1971 წლის 2 დეკემბერს არაბმა ემირებმა დადეს შეთანხმება და სათავე დაუდეს არაბთა გაერთიანებული საემიროების ფედერაციის შექმნას. ამ მნიშვნელოვან თარიღთან დაკავშირებით, დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან 42-ე წლისთავზე, დუბაიში მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავები – დიეგო მარადონა და ტიერი ანრი ჩავიდნენ, რათა არაბებს მიულოცონ დღესასწაული. არაბულ ნაციონალურ სამოსებში გამოწყობილმა მარადონამ და ანრიმ მონაწილეობა მიიღეს სახალხო ზეიმში და თავიანთ თაყვანისმცემლებთან უამრავი ფოტო გადაიღეს.

## რონალდუს მუზეუმი

მადეირაზე მშენებარე კრიშტიანუ რონალდუს სახელობის მუზეუმი, პორტუგალიური პრესის ცნობით, დეკემბერში გაიხსნება. მუზეუმს „რეალის” ვარსკვლავი საკუთარი ხარჯით აშენებს მშობლიურ ქალაქ ფუნშალეში.




ცნობილია, რომ გახსნის ცერემონიალზე საზეიმო ვითარებაში ლენტს თავად კრიშტიანუ რონალდუ გაჭრის, მაგრამ, ფეხბურთელის გადატვირთული გრაფიკის გამო, ჯერჯერობით უცნობია, თუ როდის შედგება გახსნის ცერემონიალი. ცნობისთვის, მუზეუმში განთავსებული იქნება რონალდუსთან დაკავშირებული ყველა სპორტული ნივთი: თასები, კრიშტიანუსა და მისი მეგობრების მაისურები და სხვა ნივთები.

## ბექჰემისა და ჯეიმსის საერთო პროექტი

ფეხბურთის ლეგენდა დევიდ ბექჰემი და კალათბურთის მოქმედი ვარსკვლავი ლებრონ ჯეიმსი ბოლივიელი მილიარდერის, მარსელო კლაურეს ფინანსური მხარდაჭერით, მაიამიში საფეხბურთო სტადიონის აშენებას აპირებენ. შესაბამისი დოკუმენტაცია უკვე წარედგინა მაიამის მერიას და ზედ დაერთო დამტკიცებული პროექტი – 25 ათას მაყურებელზე გათვლილი ულტრათანამედროვე არენა. მშენებლებმა უკვე შეარჩიეს შესაბამისი ადგილი მაიამის პორტთან ახლოს – ეს არის 10 ჰექტარი მიწის ფართობი. სავარაუდოდ, ავტომობილების პარკინგი სტადიონის ქვეშ განთავსდება, ისევე, როგორც „ამერიკან ეირლაინს არენის” მიწის ქვეშ, სადაც „მაიმი ჰითი” თამაშობს. ჯერჯერობით უცნობია, რა სახელი ექნება ბექჰემისა და ჯეიმსის სტადიონს.

## შარაპოვა – სოციალური ქსელის დედოფალი

ქალთა ჩოგბურთის მოყვარულთა კლუბის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, რომელშიც 80 ათასამდე ადამიანმა მიიღო მონაწილეობა, რუსი ჩოგბურთელის, მარია შარაპოვას „ფეისბუქისა” და „ტვიტერის” გვერდები საუკეთესოდ დასახელდა. მსოფლიოს მეოთხე ჩოგანის სოციალური ქსელის გვერდები დიდი პოპულარობით სარგებლობს: „ფეისბუქზე” შარაპოვას ოფიციალურ გვერდს 11,1 მილიონი „ლაიქი” აქვს, ხოლო „ტვიტერზე” რუს ლამაზმანს 705 ათასი მკითხველი ჰყავს.

**გვერდი მოამზადა უშანგი რუხაძემ**

# ბრიტანული კინოს ახალი ვარსკვლავი – ბენედიქტ კამბერბეტჩი

***პოპულარულ ტელესერიალ „შერლოკში" მონაწილე ბენედიქტ კამბერბეტჩი მსოფლიო კინოს ახალი ვარსკვლავია, რომელიც ახლო მომავალში დრაკონის როლში მოგვევლინება პიტერ ჯექსონის ბლოკბასტერში – „ჰობიტი".***



* ბენედიქტ კამბერბეტჩი დაიბადა 1976 წლის 19 ივლისს, ლონდონში. ის მსახიობების – ტიმოტი კარლტონ კამბერბეტჩისა და ვანდა ვენტჰემის შვილია. ცნობისთვის, ბენედიქტის დედა გათხოვილი იყო, როდესაც გაიცნო ტიმოტი და მის გამო ოჯახი დაანგრია.

* პრესტიჟული ჰეროუს სკოლის დამთავრების შემდეგ, ერთი წლის განმავლობაში ბენედიქტი ტიბეტის ერთ-ერთ მონასტერში ადგილობრივ ბერებს ინგლისურ ენას ასწავლიდა. ტიბეტიდან დაბრუნების შემდეგ ის მანჩესტერის უნივერსიტეტში მოეწყო თეატრალურ ფაკულტეტზე, შემდგომ კი სწავლა ლონდონის დრამატული ხელოვნებისა და მუსიკის აკადემიაში განაგრძო.

* ბენედიქტ კამბერბეტჩის სიმაღლე 184 სანტიმეტრია, ფეხის ზომა – 44,5, ხოლო მისი IQ 158 ქულას შეადგენს.

* კარიერის დასაწყისში ბენედიქტს ერიდებოდა სცენაზე, თავისი გვარით გამოსვლა, სანამ მას არ აუხნეს, რომ უჩვეულო გვარით ის უფრო დიდ წარმატებას მიაღწევდა.

* ბენედიქტ კამბერბეტჩისა და ალან რიკმანის ხმები ინგლისში მამაკაცის ყველაზე სექსუალურ ხმებად არის მიჩნეული.

* კამბერბეტჩი გატაცებულია სპორტით, იგი თავისუფალ დროს რაგბით, ჩოგბურთით, ველოსიპედით, პარაშუტითა და იოგით არის დაკავებული.

* ბენედიქტის დედას ძალიან უნდოდა, რომ მისი შვილი ადვოკატი გამოსულიყო. თავად ბენედიქტი კი ნეიროქირურგის პროფესიაზე ოცნებობდა.

* ბენედიქტს დედის მხრიდან ჰყავს ნახევარდა – ტრეისი პიკოკი, რომელიც მასზე 18 წლით უფროსია.

* ბრიტანული პრესის მიერ შედგენილი მსოფლიოს 100 ყველაზე სექსუალური მამაკაცის რეიტინგში ბენედიქტ კამბერბეტჩს მეხუთე ადგილი უკავია.

* 2004 წელს, აფრიკაში, ფილმ „სამყაროს ბოლომდე" გადაღებების დროს, ბენედიქტი და მისი მეგობრები ბოროტმოქმედებმა გაიტაცეს – ხელ-ფეხი შეუკრეს და მანქანის საბარგულში უდაბნოში გადაიყვანეს. ბენედიქტის თქმით, იქ მან სიკვდილს ჩახედა თვალებში.

* ბენედიქტ კამბერბეტჩი 12 წლის განმავლობაში ხვდებოდა მსახიობ ოლივია პულეს. ისინი 2012 წელს დაშორდნენ.

* თითქმის ყველა ფილმში ბენედიქტ კამბერბეტჩი შავთმიანია, სინამდვილეში კი ბენედიქტი დაბადებიდან წითურია.

* ბენედიქტ კამბერბეტჩის ბოლოდროინდელი როლებიდან აღსანიშნავია უარყოფითი პერსონაჟი „სტარ ტრეკში" და სკანდალური „ვიკილიქსის" დამფუძნებლის, ჯულიან ასანჟის როლი ბიოგრაფიულ ფილმში – „მეხუთე ძალა".

# „ფორბსის" ყველაზე უცნაური მილიარდერების ტოპ-ხუთეული

***„ფორბსმა," მილიარდერების რეიტინგის გამოქვეყნებასთან ერთად, მათ შორის ყველაზე უცნაურების რეიტინგიც შეადგინა, რომლის პირველ ხუთეულსაც დღეს გთავაზობთ.***

### მარკ ცუკერბერგი

„ფეისბუქის" დამაარსებელი და 13,3-მილიარდიანი კაპიტალის მფლობელი მარკ ცუკერბერგი ცნობილია თავისი ცივსისხლიანობით, კერძოდ, მილიარდერი მხოლოდ იმ ცხოველების ხორცს მოიხმარს საკვებად, რომლებსაც თავად კლავს. მისი ამ „გატაცების" შესახებ ცნობილი 2011 წელს გახდა, როდესაც ცუკერბერგმა გამოაქვეყნა სტატუსი: „ამ წამს დავკალი თხა და ბურვაკი".

### კლაივ პალმერი

მილიარდერ კლაივ პალმერს რამდენიმე წელია, თავში ერთი იდეა უტრიალებს – ის დინოზავრების „გაცოცხლებას" აპირებს. კლონირების ტექნოლოგიის გამოყენების შედეგად, მას ნამდვილი „იურიული პერიოდის პარკის" გახსნა აქვს გადაწყვეტილი. ჯერჯერობით ტირანოზავრების და სხვა სახეობის დინოზავრების კლონირება წარუმატებლად ხორციელდება და პალმერი მხოლოდ მექანიკური დინოზავრების შექმნით კმაყოფილდება.

### ნიკოლას ბერგრიუენი

საინვესტიციო კომპანია „ბერგრიუენ ჰოლდინგსის" მფლობელი, ნიკოლას ბერგრიუენი, 2-მილიარდიან კაპიტალს ფლობს, თუმცა ეს მას ხელს „არ უშლის" რომ „ბომჟი" იყოს – ნიკოლასს არ აქვს საკუთარი სახლი და ძვირად ღირებულ სასტუმროებში ცხოვრობს. ბერგრიუენმა თავისი უძრავი ქონება გაასხვისა და ამჟამად მსოფლიოში მოგზაურობს. მისი ნახვა ოფისშიც კი დიდი იშვიათობაა.

### ლეონა ჰელმსლი

მილიარდერმა ლეონა ჰელმსლიმ, სასტუმროების ქსელ „ჰელმსლი ჰოტელსის" მფლობელმა, თავისი დიდძალი ქონება ანდერძით დაუტოვა თავის ძაღლს – მინიატურული ჯიშის მალტიურ „ბალონკას," რომელსაც ტრაბლი ჰქვია. ლეონას ნათესავების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ სასამართლოს გზით ძაღლისგან მათ ქონების ნაწილის გამოხსნა მაინც მოახერხეს.

### რიჩარდ ბრენსონი

ბრიტანელი რიჩარდ ბრენსონი, კორპორაცია „ვირჯინის" მფლობელი, დიდი ხანია, ერთ-ერთი ყველაზე უცნაური და ექსცენტრიკული მილიარდერის სახელით არის ცნობილი. მისი




ბოლო „გამოხტომებიდან" კი აღსანიშნავია სტიუარდესად გადაცმა და თვითმფრინავის მგზავრების მომსახურება. ცნობისთვის, სტიუარდესობა ბრენსონმა ნიძლავში წააგო. ასეთ ნიძლავებს კი მხოლოდ თავზეხელაღებული მილიარდერები დებენ.

# 5 საინტერესო ფაქტი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის, აბრაამ ლინკოლნის ბიოგრაფიიდან

***ის 7 წლის იყო, როდესაც მისი ოჯახი გადასახადის გადაუხდელობის გამო ბინიდან გამოასახლეს და მას სხვადასხვა სამსახურში მოუწია მუშაობის დაწყება, რათა რამენაირად დახმარებოდა მშობლებს. 9 წლის ასაკში მას დედა გარდაეცვალა. 22 წლის ასაკში იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაბარება მოინდომა, მაგრამ, საკმარისი განათლება არ ჰქონდა. 23 წლის ასაკში მან დიდი ვალი აიღო და პარტნიორთან ერთად პატარა მაღაზია გახსნა. სამი წლის შემდეგ მისი პარტნიორი გარდაიცვალა და მას დიდი ვალი დაედო, რომელსაც იგი რამდენიმე წლის განმავლობაში ისტუმრებდა. 28 წლის ასაკში მან დაქორწინება გადაწყვიტა, თუმცა, ქალმა, რომელსაც იგი ოთხი წელი ხვდებოდა, უარი უთხრა. 37 წლის ასაკში, მესამე მცდელობის შემდეგ, ის კონგრესის წევრად აირჩიეს, თუმცა, ორი წლის შემდეგ ისევ გადაირჩიეს. 41 წლის ასაკში მას 4 წლის შვილი გარდაეცვალა. 45 წლის ასაკში მან სენატში მოხვედრა სცადა, მაგრამ, არ გამოუვიდა. 51 წლის ასაკში კი ის ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტად აირჩიეს. მისი სახელია აბრაამ ლინკოლნი.***

### ბრწყინვალე ორატორი



ლინკოლნი ძალზე ჭკვიანი ორატორი იყო. მან ზუსტად იცოდა, რა უნდა ელაპარაკა. ამის დასადასტურებლად საკმარისია მისი ჩანაწერების ნახვა, სადაც მკაფიოდ ჩანს მისი ორატორული ნიჭი. ისტორიულ წყაროებში ლინკოლნის მხოლოდ ერთი გამოსვლის ტექსტი არის შემონახული – 1856 წელს ილიონოისში გამოსვლა. ისტორიკოსების ცნობით, ლინკოლნის ეს გამოსვლა მის კარიერაში ყველაზე სუსტი იყო.

### ლინკოლნს უყვარდა ტექნიკური სიახლეები

აბრაამ ლინკოლნი გატაცებული იყო იმ დროის ტექნიკური სიახლეებით. იგი მოწყობილობების მექანიზმებით ინტერესდებოდა, თავადაც იყო დაკავებული გამომგონებლობით და 1849 წელს ერთი მოწყობილობაც კი შექმნა – მცურავი მშრალი დოკი. თავის გამოგონებაზე მან პატენტიც კი მიიღო, თუმცა, მანქანის აწყობა და ამუშავება მან ვერ მოახერხა.

### ლინკოლნის სიმაღლე

წყაროების ცნობით, აბრაამ ლინკოლნი ყველაზე მაღალი პრეზიდენტია ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში – მისი სიმაღლე 193 სანტიმეტრი იყო. ამასთან, ლინკოლნი მაღალ შლაპებსაც ატარებდა, რაც მის სიმაღლეს კიდევ უფრო ზრდიდა.

### ლინკოლნის შლაპა

თავის შლაპას ლინკოლნი იყენებდა არა მხოლოდ როგორც მოდურ აქსესუარს, არამედ, მასში ინახავდა ფულს, დოკუმენტაციასა და მნიშვნელოვან ჩანაწერებს. ლინკოლნის შლაპას ამერიკელები „საკვამურს" უწოდებდნენ, რადგან ის გრძელი იყო და მილს ჰგავდა.

### ლინკოლნის რწმენა

აბრაამ ლინკოლნი არ ეწეოდა ეკლესიურ ცხოვრებას, მაგრამ, აცხადებდა, რომ ქრისტიანია. საგულისხმოა, რომ დღემდე უცნობია, სინამდვილეში რომელი რელიგიის მიმდევარი იყო ლინკოლნი, რადგან, არ არსებობს ცნობები მისი ლოცვის ან ეკლესიაში სიარულის შესახებ.

**გვერდი მოამზადა**
**უშანგი რუხაძე**



## საჭმლის მონელებაზე კერძის ვიზუალობა და განწყობაც ახდენს გავლენას

საჭმლის მონელებაზე გავლენას ახდენს არა მხოლოდ კერძის გემო და სუნი, არამედ, მისი ვიზუალური მხარეც. ლამაზად გაწყობილი სუფრა, ჭურჭელი და ხელსახოცები დამატებითი სტიმულია საჭმლის მომნელებელი წვენის გამოსაყოფად. საჭმლის კარგად მონელებისთვის, ასევე, აუცილებელია განწყობაც. ჭამის დროს ტელევიზორის ყურება, კითხვა ან ლაპარაკი არ არის მიზანშეწონილი, რადგან, ასეთი ორგვარი სიამოვნების შედეგად, საკვების ყლაპვის პროცესი ავტომატური ხდება, ავტომატურად ჭამა კი უკონტროლოა და საზიანო. ჭამის დროს, თქვენი აზრები და ფიქრები მხოლოდ საკვებისკენ უნდა იყოს მიმართული.

საჭმლის მონელებაზე გარკვეულ გავლენას ახდენს ისიც, თუ როგორი განწყობით ჭამთ. საჭმლის მომნელებელი წვენის გამოყოფის შემცირებას წუხილი, უკმაყოფილება და გაღიზიანება იწვევს. ხშირად, სწორედ ასეთ მდგომარეობაში ვსხდებით მაგიდასთან და ვიწყებთ ჭამას. თუ დაიღალეთ ან ინერვიულეთ, ნუ იჩქარებთ დანაყრებას, ჯობია, ნახევარი საათი მოიცადოთ. ნუ შეეცდებით, სადილის დროს ოჯახური პრობლემების ან სამსახურებრივი საკითხების გარკვევას.

## ნერვიულმა ადამიანმა სტაფილოს წვენი უნდა სვას

ოხრახუშის წვენი აუცილებელია ადამიანის ორგანიზმის ჟანგბადოვანი ცვლისთვის, თირკმელზედა და ფარისებრი ჯირკვლების ნორმალური ფუნქციონირებისთვის. მასში შემავალი მიკროელემენტების თანაფარდობა ხელს უწყობს სისხლძარღვებისა და კაპილარების გაძლიერებას. მაგრამ, გაითვალისწინეთ, რომ ოხრახუშის წვენი საკმაოდ ძლიერმოქმედია. ამიტომ, არასდროს დალიოთ 30 გრამზე მეტი. უმჯობესია, თუ მას შეურევთ სტაფილოს, მწვანე სალათის, ნიახურის ან ისპანახის წვენს.

ოხრახუშის წვენი წამალია შარდსასქესო, ნაღვლის ბუშტში ქვების დაგროვების, ნეფრიტისა და თირკმელების სხვა დაავადებების სამკურნალოდ. მას, ასევე, იყენებენ წყალმანკისა და თვალის დაავადებებისას.

უმი კარტოფილის წვენი კი შეიცავს შაქარს, რომელსაც ადამიანის ორგანიზმი ადვილად ითვისებს. მათ, ვისაც აწუხებს ვენერიული დაავადებები და სექსუალურად აღგზნებულნი არიან, კარტოფილის წვენის სმა ეკრძალებათ.

კარტოფილის წვენში უხვადაა კალიუმი, გოგირდი, ფოსფორი და ქლორი. სტაფილოს წვენი კი ნიახურის წვენთან ერთად, შველის საჭმლის მომნელებელი სისტემის დარღვევებსა და ნერვულ დაავადებებს. კარტოფილის, სტაფილოს, ჭარხლისა და კიტრის წვენები დღეში დაახლოებით 300-400 მილილიტრი უნდა მიიღოთ, რათა ზემოჩამოთვლილი დაავადებისგან სწრაფად განიკურნოთ.

## გულისგან გამოწვეული შეშუპების დროს, შვიტა გიშველით, ხოლო კუჭისთვის მოცვია უებარი

მინდვრის შვიტას შარდმდენი თვისებები აქვს, ამიტომ, მას გულის დეკომპენსაციის ნიადაგზე განვითარებული შეშუპებების სამკურნალოდ იყენებენ. მიზანშეწონილი არ არის მისი მიღება ნეფრიტის დროს, რადგან, შესაძლოა, თირკმელების ქსოვილი გაალიზიანოს.

მინდვრის შვიტას ნახარში ასე უნდა მოამზადოთ: აფთიაქში ნაყიდი შვიტა დაფშვენით. 1 სადილის კოვზ მცენარეს დაასხით 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი და ადუღეთ დაახლოებით 15-20 წუთი. შემდეგ გადმოდგით და გააჩერეთ ნახევარი საათი. გაწურეთ დოლბანდში და მიიღეთ თითო ჩაის კოვზი, დღეში 3-ჯერ.

მოცვის ნაყოფი შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს, შაქრებს, ფლავონოიდებს, ორგანულ მჟავებს. ის კუჭში შემკვრელი და დიეტური საშუალებაა, განსაკუთრებით – კუჭ-ნაწლავის მწვავე ან ქრონიკული აშლილობის დროს. ნახარში ასე მზადდება:

2 ჩაის კოვზ მოცვის ნაყოფს დაასხით 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი. გააჩერეთ ნახევარი საათით, დაატკბეთ და დალიეთ, ან, ამავე რეცეპტით მოამზადეთ კისელი და კუჭის აშლილობის დროს მიიღეთ, როგორც შემკვრელი საშუალება. ეს განსაკუთრებით ბავშვებისთვისაა კარგი.

სამკურნალოდ გამოიყენება მოცვის ფოთლებიც, რომელიც რეკომენდებულია შაქრიანი დიაბეტის დროს. მას ახასიათებს ინსულინის მსგავსი მოქმედება: 4 ცალ ფოთოლს დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი, გააჩერეთ თავდახურულ ჭურჭელში ნახევარი საათით და დალიეთ დილით და საღამოს თითო ჭიქა.

## რაზე მეტყველებს კანის ფერი და ადრიანი ნაოჭების გაჩენა სახეზე

თუ კარგად დააკვირდებით თქვენი კანის ფერს, შესაძლო ავადმყოფობის შესახებ ინფორმაციას მიიღებთ და მკურნალობის კურსს დროულად ჩაიტარებთ, კერძოდ:

თუ კანმა მოყვითალო ფერი მიიღო, გამოიკვლიეთ ღვიძლი და ნაღვლის ბუშტი, რადგან, შესაძლოა, ანთებითი პროცესი უკვე დაწყებულია.

თუ ფერმკრთალი ხართ, სავარაუდოდ, ანემია გაქვთ და ეს ან რკინის ნაკლებობასთან არის დაკავშირებული, ან სასუნთქი გზების პრობლემები გაწუხებთ. გამოიკვლიეთ ფილტვები და ბრონქები.

თუ სიმკრთალეს მოლურჯო ფერი გადაჰკრავს ტუჩებსა და ცხვირზე, ეს იმაზე მიგანიშნებთ, რომ გულის პრობლემა გაქვთ.

ფერმკრთალი კანი, მოლურჯო ლაქებით, იმაზე მეტყველებს, რომ სუსტი სისხლძარღვები გაქვთ და ორგანიზმს C და E ვიტამინები სჭირდება.

ადრეულ ასაკში დანაოჭებული კანი ქრონიკული დაავადებების გარეგანი გამოხატულებაა და მიანიშნებს, რომ ადამიანს დიაბეტი, ენდოკრინული და სხვა დარღვევები აღენიშნება.

მშრალი და დაჭიმული კანი კუჭის მოქმედების დარღვევაზე, კერძოდ კი, ქრონიკულ გასტრიტზე, კუჭის წყლულზე მიგანიშნებთ.

არათანაბარი და დატალღული კანის ფერი იმაზე მიუთითებს, რომ ორგანიზმში ტოქსინები და წიდებია დაგროვილი.

მოშავო ფერის კანი კი მიანიშნებს, რომ თირკმელების უკმარისობა გაქვთ.

გამომშრალი კანი, რომელიც იქერცლება, იმუნიტეტის დაქვეითებასა და ავიტამინოზზე მიგანიშნებთ. ამ დროს მიიღეთ A და B ჯგუფის ვიტამინები.

ჩაშავებული და მოდუნებული კანი თვალების გარშემო, თირკმელების ფუნქციის დარღვევაზე მეტყველებს.

ცხიმიანი კანი ლიპიდური მიმოქცევის დარღვევის ნიშანია და ყურადღება მიაქციეთ საჭმლის მომნელებელ სისტემას.

თუ კანზე დროდადრო ცხიმიანი ლაქები ჩნდება, ეს ალერგიის ბრალია.

კისერზე ან მკერდზე კანის გაწითლება ჰიპერტონიაზე მიუთითებს.

ხოლო, თუ ტანზე ან სახეზე მუწუკები გიჩნდებათ, ესე იგი, კუჭ-ნაწლავის პრობლემები გაქვთ და დროულად მიხედეთ.

## გამოაქვს თუ არა წყალს ორგანიზმიდან კალორიები და ცხიმები

როცა საქმე ჯანმრთელობას ეხება, უმჯობესია, კონსულტაცია პროფესიონალმა მოგცეთ და არა ახლობლების რჩევებით იხელმძღვანელოთ. გაითვალისწინეთ, რომ ყველა რჩევას სასურველ შედეგამდე არ მივყავართ, ჯანმრთელობასთან თამაში კი არ ღირს. გთავაზობთ იმ გავრცელებულ შეხედულებებს, ხშირად რომ გვესმის და გაუცნობიერებლად ვიჯერებთ. კერძოდ:

*პური ასუქებს – ის აზრი, რომ პური ასუქებს და გახდომის მსურველმა ის უნდა ამოიღოს კვების რაციონიდან, არასწორია. პურის მიღება რეკომენდებულია ზომიერად. საჭიროა იმ პროდუქტების შემცირება, რომელსაც პურთან ერთად ჭამთ, კერძოდ, ყველის, ნაღების, კარაქის, ძეხვის და სხვა კალორიული პროდუქტების.

*ექვსი საათის შემდეგ ჭამა არასასურველია – ამ წესის მკაცრად დაცვის დროსაც კი, ხშირად ადამიანები წონაში ვერ იკლებენ. ორგანიზმისთვის და ასევე, წონაში და-

საკლებად, სასურველია, დღის განმავლობაში რამდენჯერმე ჭამა მცირე ულუფებით. ამ დროს ორგანიზმი ნაკლებად იტვირთება და საკვებს ადვილად ითვისებს. შიმშილის გრძნობა მცირდება, შაქარი სისხლში ნორმის ფარგლებშია, ხოლო ის, ვინც ექვსი საათის შემდეგ არ ჭამს და დღეში მხოლოდ ერთხელ მიირთმევს დიდი რაოდენობით საკვებს, იზიანებს კუჭ-ნაწლავს და წონაშიც ნაკლებად იკლებს.

*წყალს ორგანიზმიდან ცხიმები და კალორიები გამოაქვს – ეს მოსაზრება არასწორია. კალორიები და ცხიმები გამოედინება მაშინ, როცა ადამიანი ბევრს მოძრაობს. დიდი რაოდენობით სითხე ასტიმულირებს თირკმელების მოქმედებას და ამის შედეგად ორგანიზმი თავისუფლდება წიდებისგან.

*სწრაფად მჭამელები გამხდრები არიან – ეს არასწორი შეხედულებაა, რადგან ვინც სწრაფად ჭამს, არ შეუძლია, განსაზღვროს იმ საკვების რეალური რაოდენობა, რომელსაც იღებს და ხშირად კუჭ-ნაწლავის ტრაქტს ტვირთავს ზედმეტი საკვებით. ნელი ჭამისას, საკვები გადამუშავდება ჭამის პროცესშივე და ადამიანი გრძნობს, როდის დანაყრდა. ამ დროს შიმშილის გრძნობა ქრება და ზედმეტ კალორიებსაც აღარ იღებს ორგანიზმი.

* ყავა ცხიმებს წვავს – ეს არასწორია, რადგან კოფეინი, რომელსაც ყავა შეიცავს, სიმხნევეს გვმატებს და ცხიმოვან ფენაზე საერთოდ არ მოქმედებს.

### რა იწვევს გულის უკმარისობას და საშიშია თუ არა მოციმციმე არითმია

გული შედგება წინაგულებისა და პარკუჭებისგან. წინაგულებში არსებობს სინუსის კვანძები, რომლებშიც გამომუშავდება იმპულსები. გულის არითმიების განვითარების საფუძველი შეიძლება, იყოს იმპულსის წარმოქმნის მოშლა და იმპულსის გატარების დარღვევა. მოციმციმე არითმიის დროს, დარღვეულია სწორედ იმპულსის წარმოქმნა. ამ დროს წინაგულები კარგავს სინქრონული შეკუმშვის უნარს და იწყებს ქაოსურ ციმციმს. წინაგულების ციმციმი განპირობებულია თავად გულის პათოლოგიით ან გარეშე ფაქტორების მავნე ზემოქმედებით. მისი აღმოცენების ძირითადი მიზეზია მიოკარდიუმის ინფარქტი, ჟანგბადის ნაკლებობა, გულის მანკი, თირეტოქსიკოზი, მედიკამენტური ინტოქსიკაცია, ჰიპერტონიული დაავადება, გულის ინფექციური დაზიანება. ასაკში შესული ადამიანებისთვის ახლად აღმოცენებული მოციმციმე არითმია შეიძლება, ფარულად მიმდინარე იშემიის, ანუ გულის კუნთის კვების მოშლის შედეგი იყოს. ახალგაზრდებში კი ამის მიზეზი ხშირად მიტრალური სარქველის პროლაფსის არასწორი მუშაობის შედეგია.

ზოგჯერ არითმია დაავადების არსებობის გარეშეც აღმოცენდება, მაგალითად, ალკოჰოლის დიდი დოზით მიღებისას. მოციმციმე არითმიის განვითარების დიდი რისკია შაქრიანი დიაბეტით დაავადებულისთვის, განსაკუთრებით მაშინ, როცა მას მაღალი არტერიული წნევაც ახლავს. წინაგულების ციმციმი შეიძლება, ასოცირებული იყოს სხვა სახის არითმიასა და იმპულსის გატარების მოშლასთან.

ხშირად ისეც ხდება, რომ დაავადება პირველი გამოვლენის დროს გართულებულია, თან ახლავს ტაქიკარდია ანუ პულსის გახშირება. ამ დროს გული დიდ სამუშაო დატვირთვას იღებს, რის შედეგადაც შეიძლება განვითარდეს ტკივილი მკერდის ძვლის უკან. ეს კი სტენოკარდიის ან მიოკარდიუმის ინფარქტის ერთ-ერთი ნიშანია. არითმიის გამო, შესაძლოა, დაქვეითდეს გულის მუშაობის ეფექტურობა, რაც მეორე გართულების – გულის უკმარისობის მიზეზად შეიძლება იქცეს.

წინაგულების მწვავედ აღმოცენებული ციმციმის დროს, მკურნალობის მიზანია პარკუჭების შეკუმშვათა სიხშირის შემცირება და გარდა ამისა, ნორმალური რიტმის აღდგენა. არითმიის აღმოცენებისთანავე, ჩაიტარეთ მკურნალობის კურსი, რადგან მოციმციმე არითმიის დროს, წინაგულებში მკვეთრად ნელდება სისხლის დინება. ეს კი თრომბების აღმოცენების მიზეზი ხდება. როცა მკურნალობის შედეგად გულის მუშაობის ნორმალური რიტმი აღდგება, შესაძლებელია, თრომბის ფრაგმენტები მოწყდეს და რომელიმე ორგანოს სისხლძარღვებს დაეცოს. უფრო ხშირად,



ეს ხდება თავის ტვინის სისხლძარღვებში, რის შედეგადაც ვითარდება ინსულტი. ამიტომ, მკურნალობაში აუცილებლად უნდა ჩაერთოს ის პრეპარატები, რომლებიც სისხლის შედედების უნარს ამცირებს.

**გვერდები მოამზადა**
**ნონა დათეშიძემ**

# ექიმის რჩევები

**კითხვა: ვარ 31 წლის. ამ ბოლო დროს სახეზე ბეწვები ამომდის. ადრე ასე არ მქონდა, რამდინიმე თვეა დამეწყო და საშინელ დისკომფორტს ვგრძნობ. ხომ ვერ მეტყვით, რისი ბრალი შეიძლება იყოს ეს?**

**პასუხი:** ქალებმა ჭარბთმიანობის დროს უნდა შეიმოწმონ საკვერცხეებისა და ფარისებრი ჯირკვლის ფუნქცია და გაიკეთონ ანალიზი ტესტოსტერონზე. ასეთი თმიანობა ქალებში მამაკაცური ჰორმონების ჭარბად გამოყოფასთან და ქალური ჰორმონების დეფიციტთანაა დაკავშირებული. თუ ეს დადასტურდა, საჭირო გახდება შესაბამისი მკურნალობის ჩატარება, რადგან, სანამ არ მოწესრიგდება ჰორმონული ბალანსი ორგანიზმში, თმიანობა არ მოიკლებს.

**კითხვა: რა ჰორმონია TSH, რას ნიშნავს მისი მომატება და რა უარყოფითი შედეგები მოსდევს მომატებულ TSH-ს?**

**პასუხი:** TSH არის ფარისებრი ჯირკვლის თირეოტროპული ჰორმონი, რომელიც მონაწილეობს ჯირკვლის ფუნქციის რეგულაციაში. მომატებული TSH მიუთითებს დაქვეითებულ ფუნქციაზე – ჰიპოთირეოზზე. ჰიპოთირეოზის კლინიკური გამოვლინებებია: ყაზზობა, ძილიანობა, სიცივის აუტანლობა, ბრადიკარდია, კუნთების კრამპი, მენორაგია, უმადობა, წონაში მომატება, შენელებული რეფლექსები, კანისა და თმის სიმშრალე.

**კითხვა: საშიშია თუ არა ასკარიდა ჭია 2 წლის ბავშვისთვის?**

**პასუხი:** ასკარიდა ორგანიზმში მთელ რიგ გართულებებს იწვევს, მათ შორის – ძალიან სერიოზულსაც. მაგრამ, დღესდღეობით ასკარიდოზის მკურნალობა სირთულეს არ წარმოადგენს და, ამიტომ, დროულად მიმართეთ პარაზიტოლოგს.

**კითხვა: მუნის შემთხვევაში რით უნდა მოვახდინო ტანსაცმლის, ლოგინისა და პირადი ნივთების დეზინფექცია?**

**პასუხი:** კონკრეტული პრეპარატი ტანსაცმლისა და თეთრეულის დამუშავებისთვის არ არის მითითებული, საკმარისია მათი გამოხარშვა.

**კითხვა: იწვევს თუ არა ფაღარათი წყლის ბალანსის დარღვევას? რა სიმპტომები აქვს და რით შეიძლება შეივსოს?**

**პასუხი:** გახანგრძლივებული ფაღარათი იწვევს დეჰიდრატაციას. ფაღარათის დასრულებამდე უნდა მიიღოთ მეტი რაოდენობით სითხე, მათ შორის, ელექტროლიტების შესავსებად – რეჰიდრონი. სითხე ისეთი რაოდენობით უნდა მიიღოთ, რომ შარდი ღია ფერის გახდეს.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი**
**მაია ნუცუბიძე**

# როდის გაირბინა რამაზ ჩხიკვაძესა და რობიკო სტურუას შორის „შავმა კატამ“

„...ბედნიერი კაცი ვარ. ისე აეწყო ჩემი ცხოვრება, რომ თეატრშიც სულ მუდამ როლებს მაძლევდნენ, მაძლევდნენ და მაძლევდნენ, კინოშიც სამუშაო ყოველთვის მქონდა. თავიდან ტელევიზია შეიქმნა და სულ მე და ეროსი ვიყავით ყველა დადგმაში... სამუშაო მე არ მომკლებია, ყელამდე მქონდა; იმდენი მქონდა, რომ მეტი იყო უკვე, აღარ შეიძლებოდა იმის ატანა, ეს იყო ყველაზე დიდი ბედნიერება. მერე, ის სპექტაკლები სადაც მე ვმონაწილეობდი, კარგი სპექტაკლები, იყო, ჯერ მიშა თუმანიშვილის დროს, მერე რობიკოს დროს, მთელი რიგი სპექტაკლებისა, რომლებიც ზედიზედ კარგი და კარგი იყო. ამდენი გასტროლი, ამდენი წარმატება... ჩემისთანა კაცი როგორ შეიძლება, რომ ნაწყენი ვიყო კიდევ რამეზე? ხშირად მეკითხებიან – არის რამე როლი, რომელიც გინდოდათ გეთამაშათ და გული გწყდებათ, რომ არ ითამაშეთო? არა, კაცო, არა! როგორ შეიძლება, რა ღორმუცელობაა, კიდევ როლი რომ მომენდომებინა?! არა, ბატონო, არ ყოფილა, პირიქით, ზედმეტად ვიყავი დატვირთული ყოველთვის და მადლობას ვუხდი ღმერთს ამისთვის...”

„მეორე თუ მესამე კურსის სტუდენტი იყო, მაგრამ, უკვე ძალზე პოპულარული გახლდათ (ნოდარ გურაბანიძე – „ფანტასტიკური რამაზ ჩხიკვაძე). იგი იმთავითვე უყვარდა ყველას, ცდილობდნენ მასთან დაახლოებას, მისი ყურადღების დამსახურებას. თბილისელი ლამაზმანების დაბადების დღეები რამაზის გარეშე ვერ წარმოედგინათ. მისი ჩიჩერონე და ბავშვობის მეგობარი, გურამ საღარაძე, ასევე პოპულარული მაშინ, თავისი პოეტური ინსპირაციებით შთაბეჭდილებას კიდევ უფრო ამძაფრებდა. შორიდან მოთვალთვალეს, ალბათ, სჯეროდა, რომ რამაზი თეატრალური ბოჰემის სული და გული იყო (და, მაინცდამაინც არც ცდებოდა ამაში)... მუსიკალურ გარემოში გაზრდილი ყმაწვილი, რომელსაც უჩვეულო მუსიკალური ნიჭი აღმოაჩნდა, პირდაპირ კონსერვატორიაში სწავლისთვის იყო „განწირული”, მაგრამ, როგორც ხდება ხოლმე, განგებამ თეატრისკენ აალებინა გეზი. თავისი სპორტული გატაცების ამბავს რამაზი უფრო დაწვრილებით ყვებოდა მაშინ ძალზე პოპულარულ სპორტულ გაზეთ „ლელოს“ კორესპონდენტთან საუბარში: „ბავშვობიდანვე ვთამაშობდი კალათბურთს. 1946-1947 წლებში საბჭოთა კავშირის პირველობაზე პირველ ლიგაში ჩვენმა გუნდმა – „შრომითმა რეზერვებმა“ პირველი ადგილიც კი დაიკავა. საქართველოს პირველობაზე კი გამოდიოდა ჩვენი გუნდი – „ხელოვნება“. შემდეგ, თეატრალურ ინსტიტუტში სწავლისას, საგნად გავდიოდი სცენურ ფარიკაობას, პარალელურად, ვვარჯიშობდი სპორტულ ფარიკაობაშიც და 1949 წელს გამართულ საქართველოს პირველობაზე მეორე ადგილიც მოვიპოვე. მაგრამ, ჩემი ბავშვობის საყვარელ თამაშად მაინც კალათბურთი დარჩა...“





კადრი ფილმიდან – „ჭრიჭინა” (ფოტო საქართველოს ეროვნული არქივიდან)

მსახიობობის სურვილი რამაზ ჩხიკვაძეს ადრეულ ასაკშივე გაუჩნდა. „მახსოვს, როგორი ცნობისმოყვარეობით ვადევნებდი თვალყურს მოზარდ მაყურებელთა თეატრის წარმოდგენებს. განსაკუთრებით მიტაცებდა სცენაზე მოქმედების ლოგიკა, მძაფრი სიტუაციები. ვგრძნობდი, როგორ ამიფორიაქდებოდა ხოლმე სული საყვარელი გმირის განსაცდელში ჩავარდნისას; რა სიხარულით ვბორგავდი, როცა კეთილი ბოროტს ამარცხებდა. ყველაფერი ეს აღმიძრავდა უზომო ცნობისმოყვარეობას სცენის საიდუმლოებისადმი, სულ მაწვალებდა ფიქრი: „რა ხდება სცენაზე, რა არის ის ძალა, რომელიც ასე მიზიდავს და მაღელვებს? მთელი არსებით შემიყვარდა თეატრი და ყოველი კარგი სპექტაკლისა თუ ფილმის ნახვისას, მუდამ მახლდა სურვილი – მსახიობი გავმხდარიყავი“...



სცენა სპექტაკლიდან „ხანუმა“

რამაზ ჩხიკვაძე რუსთაველის თეატრში სწორედ იმ პერიოდში მივიდა, როცა მიხეილ თუმანიშვილი და უნიჭიერეს მსახიობთა თაობა მუშაობდა ფუჩიკის პიესაზე – „ადამიანებო, იყავით ფხიზლად!“. მართალია, თეატრალურ ინსტიტუტში ნიჭიერად შესრულებული როლებით მას უკვე იცნობდნენ და აღიარებდნენ, მაგრამ, ნამდვილი, დიდი შემოქმედება სწორედ აქ, რუსთაველის თეატრის სახელგანთქმულ სცენაზე უნდა დაწყებულიყო. მსახიობის შემოქმედებით ბიოგრაფიაში ერთი უცნაური ფაქტი ისიცაა, რომ, მისმა მასწავლებელმა, დოდო ალექსიძემ, მთავარი როლი მას მხოლოდ მოგვიანებით მისცა. ეს იყო „სამგროშიანი ოპერა“ – რეჟისორის ერთ-ერთი ძალზე საინტერესო და უცნაური სპექტაკლი. მანამდე კი რამაზ ჩხიკვაძე ერთ პატარა ეპიზოდურ როლში ათამაშა – შტაბის მწერალი „ყვარყვარე თუთაბერში“. ჩვეულებრივი, ყოფით-კომედიური სპექტაკლი იყო და თეატრის ისტორიაში არავითარი კვალი არ დაუტოვებია, თუმცა, ყვარყვარეს თვით ეროსი მანჯგალაძე თამაშობდა. ეს იყო როლი-გაელვება, კაცი მასიდან, უფუნქციო, უმნიშვნელო მარიონეტი...



კადრი ფილმიდან „მიდიოდა მატარებელი”

...თუმანიშვილს მიაჩნდა, რომ ჩხიკვაძის მიერ შესრულებული ქოსა მრჩევლის როლი „ჭინჭრაქაში“ მსახიობის შემოქმედებითი გზის მეორე ეტაპის დასაწყისი იყო. „მას შემდეგ იგი უჩვეულოდ გაუყვა თავის გზას. ჩვენ გავიყარეთ. მისი სვლა დიდებისკენ დაიწყო“, – ამბობს ბატონი მიშა. უცხოეთში ჩვენი ხანგრძლივი მოგზაურობის დროს ჩხიკვაძეს ჩემთვის თავისი ცხოვრებიდან მრავალი საინტერესო რამ უამბია. „ჭინჭრაქასთან“ დაკავშირებით ასეთი რამ მითხრა: „ამ როლის თამაში ძალიან არ მინდოდა. არ ვიცი, რატომ დამნიშნა მიშამ ამ როლზე, რომელიც ჩემს სულსა და გულს არ ეკარებოდა. რაღაცაზე განაწყენებულ მიშას სჩვეოდა ხოლმე მსახიობის ამგვარი დასჯა. რეპეტიციებს სულ კარლო გადიოდა და ძალიან კარგი იყო. რეპეტიციებს არ ვაცდენდი, ვიჯექი ჩემთვის პარტერში და კარლოს ვუყურებდი. ძალიან მომწონდა ქოსიკოს როლი, მაგრამ, ამ როლზე გივი ჭიჭინაძე და ბორის წიფურია იყვნენ დანიშნული. ერთ დღეს მიშა მომიტრიალდა და მითხრა: რამაზ, სცენაზე ადი და ჭინჭრაქას რეპეტიციები გაიარეო. ამ ცოცხალი, მხიარული, ციბრუტივით მობზრიალე ბიჭის თამაში ჩემთვის იმ წუთებში საშინელება იყო. დილას წელკავი დამეტაკა და წელში ვერ ვიმართებოდი. ძლივს ავდექი და ვთხოვე: მოდი, ქოსიკოს როლს ვსინჯავ-მეთქი. არაფერი უთქვამს. მე წელში ოთხად მოხრილი, მოკაკული, კვნესით, რის ვაი-ვაგლახით ავედი სცენაზე და იატაკზე დავჯექი. მიშა წამოხტა, სახე გაუბრწყინდა და იყვირა: „განაგრძე რეპეტიციები! იჯექი მანდ! დაიწყე, კარგია ეგ რადიკულიტიც!“ – მგონი, მიშამ იფიქრა, ეს ყველაფერი ამ როლისთვის საგანგებოდ მოვიგონე და აღფრთოვანდა. აი, მაშინ გადაწყდა ჩემი ამ როლზე დანიშვნა. თავიდან თითქოს ჭინჭრაქა უნდა მეთამაშა, მაგრამ, უფრო მეტად ქოსიკოს სახემ მომხიბლა. ქოსიკო არ იყო მნიშვნელოვანი პერსონაჟი, სულ მცირე ადგილი ჰქონდა პიესაში. მუშაობის პროცესში გაიზარდა და მიიღო ის სახე, რომლითაც სპექტაკლში შევიდა“...

„ერთხელ, დილის სპექტაკლი ვითამაშეთ და



რამაზი და ნატაშა

საღამოსაც სპექტაკლი გვქონდა. ერთი ჩვენი მსახიობი (აცხონოს ღმერთმა), გადაგვეკიდა, წავიდეთ, კარგი პურ-მარილია გაშლილი, ნუ დავლევთ, უბრალოდ, ვისადილოთ და წამოვიდეთო. ბოლო-ბოლო, დაგვითანხმა, წავედით. იმ სართულზე რომ ავედით, რაღაც ხმაური შემოგვესმა. კი არ გვესიამოვნა, მაგრამ, რაღას ვიზამდით? იმ კარსაც მივადექით, გააღეს და – დარბის დასისხლიანებული ხალხი, ერთმანეთს ურტყამენ – ვინ სკამს ურტყამს, ვინ ბოთლს

ისვრის... აბა, ჩავერიეთ წავიდა გაშველება. რაც ჩვენ მოგვხვდა იმ დღეს... სულ ღვინით დაწუწულები, დასისხლიანებულები, დანგრეულები, დალეწილები წამოვედით. ლუკმა ჩვენ არ გვიჭამია, დახეული პიჯაკებით შემოვედით თეატრში. გაგიჟდნენ ჩვენები – სად იყავით, კაცო, ომშიო? ახლაც, ავლაბარში, იმ სახლს რომ გავუვლი, ისტერიული ხარხარი მიტყდება“...


აზდაკი

...რამაზმა ადრე დაიწყო ლაპარაკი პენსიაზე გასვლის შესახებ. რასაც სერიოზულად არავინ აღიქვამდა, რადგან, მსახიობი დიდების ზენიტში იყო, ძალზე ჯანმრთელად გამოიყურებოდა. ხარის გული მაქვსო, – ხშირად უთქვამს. უამრავი მიწვევა ჰქონდა უცხოეთის ქვეყნებიდანაც, ახალ როლებს სთავაზობდნენ კინოფილმებში. ის კი მაინც პენსიაზე ლაპარაკობდა. მან მითხრა: პენსიაზე გავალ და, თუ მომიწვევენ, ცალკეულ სპექტაკლებში ვითამაშებ, რუსთაველის თეატრის ახალ სპექტაკლებში კი – არაფრის დიდებითო. გაცხარებით, ხმამაღლა, მძაფრი ჟესტიკულაციებით ლაპარაკობდა, თითქოს ვილაცის ჯიბრზე. პირადად ჩემთვის, ფრიად სამწუხაროა, რომ ჩემს ორ უსაყვარლეს შემოქმედს – რამაზ ჩხიკვაძესა და რობერტ სტურუას შორის რამდენჯერმე გაირბინ-გამოირბინა „შავმა კატამ,“ რომლის დაჭერასაც, თუ მათი სურვილი არ იქნებოდა, ვერავინ შეძლებდა. რამაზის ასეთ სულიერ განწყობილებას მისი თამაშის ხარისხზე სრულიად არ უმოქმედია, პირიქით. სიტყვას მოჰყვა და, რამაზი სასოწარკვეთილიც მინახავს. ეს იყო მილანში, როცა რუსთაველის თეატრი „ლირიკო თეატრში“ „მეფე ლირს“ წარმოადგენდა. რამაზის მეუღლე, მისი ერთგული მეგობარი და გამამხნევებელი, ქალბატონი ნატაშა, მაშინ მილანში არ ბრძანდებოდა. არც რობიკო სტურუა იყო – ლონდონში ჩეხოვის „სამ დას“ დგამდა და რეპეტიციებზე გაცივდა. რამაზი თავს მარტოსულად გრძნობდა. სულ ერთად ვიყავით. ცოტას ლაპარაკობდა, მისი მგზნებარება და ტემპერამენტი თითქოს მიმქრალიყო. სპექტაკლის დაწყების წინ რამაზის საგრიმიოროში შევედი. მარტო იჯდა, ლირის ჯვალოს პერანგში


კადრი ფილმიდან – „ვერის უბნის მელოდიები”


კადრი ფილმიდან „მიდიოდა მატარებელი”

გახვეული და სარკეში იყურებოდა. საოცრად სევდიანი იყო. ვუთხარი: თეატრის უზარმაზარი დარბაზი გაჭედილია და პარტერში რუდოლფ ნურიევი ზის-მეთქი (გენიალური მოცეკვავე, საბჭოთა კავშირიდან გაქცეული). არავითარი რეაქცია, არც შერხეულა, მერე წყნარად მითხრა: „ნოდარ, აღარ მინდა თამაში. როგორ უნდა ვითამაშო, როცა სულში გაფურთხებენ, როცა ბინძურ ხელებს სულში გიფათურებენ“. მოკლედ, ასე იყო თუ ისე, რამაზი სცენის გარეშე დარჩა. კარგა დიდი დრო გავიდა იმ დღემდე, ვიდრე რამაზ ჩხიკვაძეს ქართულ სცენაზე კვლავ ვიხილავდით. მისი დაბრუნება „სარდაფის თეატრში“ 1997 წელს, ავთო ვარსიმაშვილის მიერ დადგმულ სპექტაკლში მოხდა. სტრინდბერგის „სიკვდილის როკვაში“ რამაზი პიესის მთავარი გმირის – ედგარის როლს თამაშობდა. ვარსიმაშვილმა ყველაფერი იღონა, რომ ჩხიკვაძეს მის რომელიმე სპექტაკლში ეთამაშა. მაგრამ, როგორც ვარსიმაშვილის ინტერვიუდან ირკვევა, საქმე პირიქით ყოფილა (გაზეთი „ასავალ-დასავალი“, 24.5.1999): „მართლაც ბედნიერ ვარსკვლავზე ვარ დაბადებული. „ტიტუსი“ ახლად გამოშვებული მქონდა, როდესაც რამაზ ჩხიკვაძემ მითხრა, რამეს ხომ არ დამიდგამდიო. იცით, ეს რას ნიშნავს? სულ რომ აღარ დამედგა „სიკვდილის როკვა“, ამ შემოთავაზებას უკვე გამარჯვებად ჩავთვლიდი, იმიტომ რომ, ბოლო ოცი წლის განმავლობაში რამაზ ჩხიკვაძე სტურუას გარდა არც ერთ რეჟისორთან არ მუშაობდა“.

**ეკა პატარაია**





**დღის განმავლობაში ადამიანის განწყობა იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ გამოიძინებს და რა შინაარსის სიზმარს ნახავს. როგორც ეზოთერიკოსები ამბობენ, ძილის პროცესში, ადამიანის ტვინი მუშაობას არ წყვეტს, სწორედ ამ დროს „ამოტივტივდება” მასში ჩალექილი ძველი ამბები, თავსგადახდენილი ისტორიები. ასე რომ, აუცილებლად უნდა მიაქციოთ ყურადღება, რას ხედავთ ღამით – ზმანებაა ეს თუ, უბრალოდ, გამაფრთხილებელი სიზმარი, რომელიც მომავლის ინფორმაციას გაწვდით. თუ რას უნდა მივაქციოთ ღამით ყურადღება, როგორ მივიღოთ ძილის პროცესში ინფორმაცია მომავალზე და რა უნდა გავითვალისწინოთ ამ მხრივ, ინტერვიუ ვთხოვეთ პროფესიონალ პარაფსიქოლოგ-ეზოთერიკოსს, ბატონ გიორგის, რომელმაც მეტად საინტერესო და საჭირო რჩევები მოგვაწოდა.**

# რას უნდა მივაქციოთ ღამით ყურადღება და როგორ მივიღოთ ძილის დროს ინფორმაცია მომავალზე

**გიორგი**: ჩვენ, ადამიანები, სიზმრით ვიღებთ ისეთ საინტერესო ინფორმაციას, რომელსაც ამოუცნობი სამყარო ქვეცნობიერის დახმარებით გვაწვდის, მაგრამ, ზოგი სიზმარს არასერიოზულად აღიქვამს და მას ყურადღებასაც არ აქცევს. არადა, შესაძლებელია, მისი მეშვეობით მომავალზე მივიღოთ ინფორმაცია. ასევე, დიდი განსხვავებაა ზმანებასა და სიზმარს შორის და მათი გარჩევა აუცილებელია.

**– ზმანებისა და სიზმრის ერთმანეთისგან გარჩევა როგორ შევძლოთ?**

– თუ ძილში ხედავთ ფერად სიზმარს მკვეთრი ფერებით და გარდაცვლილი ადამიანები გევლინებიან, რომელთა სახესა და სხეულს მკაფიოდ ხედავთ, ესე იგი, ეს სიზმარი კი არა, ზმანებაა, ხოლო, თუ ძილში შავ-თეთრ ფერებში ხედავთ მოვლენებს, ადამიანებიც მკაფიოდ არ აღიქმებიან, ანუ, ისეთი სიზმარია, დილით გაღვიძებულს მისი გახსენება რომ გიჭირთ, ესე იგი, თქვენ, უბრალოდ, სიზმარი ნახეთ. თუმცა, ზმანებასაც და სიზმარსაც ერთნაირი ყურადღება უნდა მიაქციოთ. საერთოდ, ის ადამიანები, ვინც შემოქმედებითი ნიჭით არიან დაჯილდოებულნი, ხშირად ხედავენ სიზმარს, რომელიც შემოქმედებით მუშაობაში ეხმარებათ. არაერთი მეცნიერი აღიარებდა, რომ მათი ყველაზე დიდი გამოგონება სწორედ ძილში „მოვიდა“ და შემდეგ ის რეალურ ცხოვრებაში გადმოიტანეს. ასეთი მინიშნება ღამით ყველა ადამიანს მიეწოდება და ამიტომ ვამბობ, რომ ღამით უმნიშვნელო დეტალსაც კი ყურადღება უნდა მიაქციოთ.

**– ბატონო გიორგი, ამბობენ, როდესაც გარდაცვლილი ადამიანი გესიზმრება და რაღაცას გარიგებს, ეს ერთგვარი გაფრთხილებაა. ამიტომ, აუცილებლად უნდა გაითვალისწინო, რათა შესაძლო საფრთხეები აიცილო თავიდანო. ეს სიმართლეა?**

– გააჩნია, როგორ გაქვთ დაცდილი გარდაცვლილი ადამიანის დასიზმრება, რამდენად მკაფიოდ ხედავთ გარდაცვლილს, ან, გასაგებად გესმით თუ არა მისი საუბარი. თუ გარდაცვლილი მშობელი, დედმამიშვილი ან შვილი დაგესიზმრათ, მათ რჩევას ყური უნდა დაუგდოთ – ისინი აუცილებლად გაგაფრთხილებენ იმის შესახებ, რაც უახლოეს მომავალში გელით. მაგრამ, თუ ისინი თქვენ კი არა, სხვის სახელს ახსენებენ სიზმარში, მისთვის ხორცის კერძს ამზადებენ, სუფრას შლიან და მის ბინაში არიან, იმ ადამიანისთვის ეს ძალიან ცუდია. თქვენ კი მისი ცუდი მომავალი წინასწარ მოგაწოდათ გარდაცვლილმა ახლობელმა სიზმარში. ზოგადად, სიზმარი გაფრთხილებაა როგორც მომავალზე, ისე აწმყოზე. შესაძლოა, სიზმარი გაღვიძებისთანავე აგიხდეთ, ან, ერთი კვირის, ერთი თვის და ერთი წლის შემდეგაც კი.

**– კიდევ, სიზმარში რისი ნახვაა ცუდის მომასწავებელი?**

– მაგალითად, თუ მღვრიე წყალში დგახართ, ეს ძალიან ცუდია და გაფრთხილებთ თქვენი მოსალოდნელი ავადმყოფობის შესახებ. თუ სიზმარში ხორცს ჭამთ, ესეც ძალიან ცუდია. მაგრამ, თუ თოვლში დგახართ ან კამკამა მდინარეში ბანაობთ, ეს ძალიან კარგია თქვენი მომავლისთვის. სიზმარში თოვლი ახალი, სასიამოვნო ამბის მომასწავებელია, კამკამა წყალი კი სიახლეა პირად ცხოვრებაში. ხშირად ადამიანები მომავალ საბედოსაც კი ხედავენ სიზმრად და, გარკვეული პერიოდის შემდეგ, რეალურ ცხოვრებაში, მას მართლაც ხვდებიან, მაგრამ, ამ მხრივ კონკრეტული დღეებია, როცა მსგავს სიზმარს უნდა მიაქციოთ ყურადღება.

**– რომელია ასეთი საყურადღებო დღეები?**

– ასეთი დღეებია: თებერვლის ბოლო კვირა, მაისის მეორე ნახევარი, დეკემბრის შუა რიცხვები და იანვრის მთელი თვე – აი, სწორედ ეს დღეებია სიზმრის თვალსაზრისით გასათვალისწინებელი, რადგან, მართლაც დიდი შანსია, ნახოთ მომავალი მეუღლე თუ პარტნიორი. ასევე, თუ სიზმარში საკუთარ თავს შიშველს ნახავთ, ესეც ცუდის მაუწყებელია – ფრთხილად უნდა იყოთ, რადგან, არ არის გამორიცხული, ღალატის მსხვერპლი გახდეთ ან სასიყვარულო პარტნიორს სკანდალით დაშორდეთ. ასევე, ცუდია, როცა გარდაცვლილ ადამიანს ხედავთ და ის ძალიან კარგად გამოიყურება. ამ შემთხვევაში ამბობენ, ის იმქვეყნად ამქვეყნიდან ელოდება ახლობელსო. ხოლო, თუ გარდაცვლილი  ცუდად გამოიყურება სიზმარში, სანერვიულო არაფერია – უბრალოდ, ყური უგდეთ, რას გეუბნებათ ის და რაზე მიგანიშნებთ. შესაძლოა, სიზმარში ნანახმა პიროვნებამ პირდაპირ არ მიგანიშნოთ რამეზე, მაგრამ, იმის უნარი უნდა გქონდეთ, რომ, გაღვიძებულმა თავად გააანალიზოთ, რა იგულისხმებოდა  მისი სიტყვების მიღმა. სხვათა შორის, ძველად თითქმის ყველამ იცოდა სიზმრის ახსნა და დღისით ყოველთვის ითვალისწინებდნენ იმას, რასაც ღამით ნახავდნენ. ასევე, ასაკში შესული ადამიანებისგან ხშირად მსმენია ზმანების შესახებ, რომელმაც მათი სიცოცხლე იხსნა.

> **ყველა ჩვენი აზრი სამყაროში ხარისხდება ცუდ და კარგ კატეგორიებად და ჩვენი ცხოვრების ფურცელზე იწერება**

**– ასაკოვანი ხალხი იმასაც ამბობს, თუ სიზმრად ფეხსაცმელი ნახე, აუცილებლად დაოჯახდებიო.**

– დიახ, ეს პირდაპირი მინიშნებაა იმისა, რომ თქვენს პირად ცხოვრებაში სასიკეთო ძვრები მოხდება. თუმცა, ამ შემთხვევაში, უნდა დააკვირდეთ, რა ფერის ფეხსაცმელს ხედავთ. თუ გასათხოვარი ქალი მამაკაცის შავ ფეხსაცმელს ნახავს, ოღონდ საკუთარ სახლში, ესე იგი, მასთან უახლოეს მომავალში აუცილებლად მოვა ის პიროვნება, ვინც მისი მომავალი მეუღლე გახდება, ხოლო, თუ ფეხსაცმელი სხვა ფერისაა, მაშინ, ცოტა მოცდა მოუწევს *(იცინის)*.

**– ეზოთეროკოსები ხშირად ამბობთ, რომ ადამიანის სულის მეორედ მოსვლის შემდეგ, მისი ბედისწერა წარსული ცხოვრების შედეგის მიხედვით იწერებაო. იქნებ, უფრო გასაგებად განგვიმარტოთ ეს მოსაზრება?**

– ზოგადად, ყველა ჩვენი აზრი სამყაროში ხარისხდება ცუდ და კარგ კატეგორიებად და იწერება ჩვენი ცხოვრების ფურცელზე. სხეულის სიკვდილის შემდეგ ადამიანის ენერგეტიკული ველი ორმოცი დღის განმავლობაში რჩება დედამიწაზე, აგროვებს გარშემო მყოფი ახლობლების ინფორმაციას და ამის შემდეგ ტოვებს დედამიწას. ამიტომ ამბობენ ეზოთერიკოსები, რომ სულის მეორედ მოსვლის შემდეგ ბედისწერა წარსული ცხოვრების შედეგის მიხედვით იწერებაო. ანუ, ეს იმას ნიშნავს, რომ, როგორც წინა ცხოვრებაში იქცეოდა, იმის სამაგიეროს მიიღებს მეორედ მოსვლის დროს. სიკვდილის დროს ხდება ენერგეტიკული კოდის გადასვლა ერთი მდგომარეობიდან მეორეში. ყველა ჩვენგანის კოდი სამყაროსთანაა კავშირში, ანუ, სამყაროში ამ კოდით გვცნობენ. ადამიანის გარდაცვალების შემდეგ მისი კოდი არსებობას განაგრძობს, მაგრამ, ჩვეულებრივ მდგომარეობაში მას ვერ ვამჩნევთ.  ენერგეტიკული კოდი გარდასახვას იმქვეყნად გაცილებით ადრე იწყებს, ვიდრე ადამიანის გარდაცვალება ხდება, რაც იმას ნიშნავს, რომ, ის, ფაქტობრივად, უახლოვდება წინა პერიოდში გარდაცვლილი ადამიანების ენერგეტიკულ მდგომარეობას და ერთმანეთთან დაკავშირების საშუალება ეძლევათ. სწორედ ეს იწვევს გარდაცვლილი ადამიანის ხილვას სიზმარში. ასე რომ, აუცილებლად უნდა დააკვირდეთ, როგორი ტიპის სიზმარს ნახავთ, ვინ გესიზმრებათ და რაზე მიგანიშნებთ – ეს ერთგვარი მომავლის ხილვაა ძილში და ამის იგნორირება საკუთარი მომავლის უარყოფას ნიშნავს.

**ნონა დათეშიძე**

## კარიერა თუ ოჯახი?!

ქალებში უცნაური ტენდენცია შეინიშნება – წესით, კანონზომიერი და ბუნებრივია, როცა ქალს ოჯახის შექმნის სურვილი აქვს და მასზე ზრუნვა თვითმიზნად აქვს გადაქცეული. ახლა რა ხდება?! სულ უფრო მეტი ქალბატონი აკეთებს არჩევანს კარიერის სასარგებლოდ. ანუ, სასწორის პინაზე დებს ოჯახს და კარიერას, პინა კი კარიერის სასარგებლოდ იხრება.

თუმცა, ქალების 90 პროცენტი მიიჩნევს, რომ ძალიან კარგად, მარტივად შეიძლება, კარიერა და ოჯახი ერთმანეთს შეუთანხმო. მაგრამ, ცხოვრებაში ასე მარტივად ნამდვილად არ არის საქმე. პრაქტიკულად, შეუძლებელია, ზუსტად გადაანაწილო დრო ოჯახსა და კარიერას შორის. სხვანაირად წარმატებული ვერ იქნები. სტანდარტულად, საშუალო დონეზე შეასრულებ დაკისრებულ მოვალეობას და კარიერაში არანაირ წინსვლაზე არ იქნება ლაპარაკი.

პროფესიაში შენი რესურსის 80 პროცენტი მაინც უნდა ჩადო, რომ დასახულ მიზანს მიაღწიო. ეს ნიშნავს, რომ იშვიათად გექნება თავისუფალი, გამოსასვლელი დღეები, რომელთაც ისე გაატარებ, სამუშაოზე არც იფიქრებ. წლის განმავლობაში ერთი თვის მაგივრად, მაქსიმუმ თხუთმეტ დღეს დაისვენებ და აუცილებლად დაგჭირდება ადამიანი, რომელიც ოჯახურ საქმიანობაში დაგეხმარება.

აუცილებელია კომპრომისები ხან ერთ, ხანაც მეორე მხარეს, რათა არ დაირღვეს ბალანსი. რაც მთავარია, ყველა კარიერაზე გადაყოლილ ქალბატონს უნდა ახსოვდეს – ქალი ვერასდროს იქნება სრულფასოვნად რეალიზებული და ბედნიერი ოჯახის გარეშე!

## მამაკაცის „წყალობა“

არსებობენ მამაკაცები, რომელთაც მიაჩნიათ, რომ ქალის ადგილი მხოლოდ სამზარეულოში არ არის. დიახ, არიან გამონაკლისებიც. უნდა ვაღიაროთ, რომ დღეს ქალების გარეშე წარმოუდგენელია ბიზნესი, პოლიტიკა, ხელოვნება, მედიცინა... ნებისმიერ სფეროში მათი როლი განუსაზღვრელი და დასაფასებელია. აღარაფერს ვამბობ ადამიანური „ჯიშის“ გამრავლებისა და გადარჩენის საქმეში... ერთი სიტყვით, ქალისთვის მხოლოდ მზარეულის ფუნქციის დაკისრება, გაუმართლებელია... მით უფრო, თუკი გავითვალისწინებთ იმას, რომ კაცებს კულინარია გაცილებით უკეთ გამოსდით. ერთი სიტყვით, იმ მამაკაცების საყურადღებოდ, რომელთაც ჰგონიათ, რომ ქალმა მარტო გემრიელი კერძები უნდა აკეთოს – ნუგბარის მომზადებაში ბევრი საქმიანი და წარმატებული ქალბატონია დახელოვნებული. მთავარია, მათ ამ ყველაფრის გაკეთების ხალისი და სურვილი ჰქონდეთ.

მოკლედ, მოიღეთ, მამაკაცებო, „წყალობა“ და ნუ აიძულებთ ქალს, დღედაღამ სამზარეულოში იყოს და მხოლოდ თქვენს გამოკვებაზე იზრუნოს. ეს კარგს არაფერს მოგიტანთ.

მამაკაცებო, თუ არ გინდათ, მარტოობაში, უხეიროდ შემწვარი ტაფამწვარით ან მოხარშული სოსისით დაკმაყოფილდეთ, ნუ მიუჩენთ საყვარელ ქალს ადგილს სამზარეულოში და ნურც დამლაგებლის ფუნქციას დააკისრებთ. ხშირად აღიარეთ მისი სხვა უამრავი დადებითი თვისება და ნიჭი. „დივიდენდი“ – გემრიელი, ახალი ან თქვენი საყვარელი კერძი იქნება...

## „მწვანე“ ბილეთი

ადამიანებს მიაჩნიათ, რომ ცხოვრებას ვერაფრით შეცვლი; რომ ის ერთეულების ხვედრია – იმათი, ვისაც ბედი ანებივრებს და ყველა დაკეტილ კარს ულებს. სინამდვილეში, ასე არ არის. მთავარია, სწორად განსაზღვრო პრიორიტეტები და მიზნად არ დაისახო, გლობალური პრობლემების ერთბაშად გადაჭრა. არაფრით არ შეიძლება, საკუთარ თავს გამოცდა მოუწყო. რა უნდა დაამტკიცო ამით, თორემ, კი! თუ ხვდებით, რომ ცვლილებების დრო მოვიდა, იმოქმედეთ!

დაიწყეთ ნელა და თანმიმდევრულად, ნაბიჯ-ნაბიჯ... მიზანმიმართულად და ხალისით...

დაიწყეთ სრულიად უმნიშვნელო დეტალით – გაიღიმეთ! გაუღიმეთ სხვებსაც და საკუთარ თავსაც. გააცნობიერეთ ის, რომ სამყაროს ბევრი უკლია სრულყოფილებამდე და იდეალური, ქვეყნად არაფერია – არც ადამიანები და არც ურთიერთობები... თუმცა, ვიღაცეები „მწვანე“ ბილეთს მაინც იგებენ. ნუ იტყვით, რომ უმართლებთ მხოლოდ ერთეულებს და ისიც შემთხვევით. შემთხვევით არაფერი ხდება. მთელ ქვეყანას ვერ შეცვლით და ვერც ადამიანებს გადააკეთებთ, მაგრამ რეალობას აუცილებლად გაიუმჯობესებთ.

გააკეთეთ ის, რომ გასცეთ პოზიტიური ემოცია. ადამიანები ამას გაიგებენ და მიიღებენ. რაც მეტ პოზიტივს შესძენთ საკუთარ ცხოვრებას, მით მალე შეცვლით მას და ასევე, თქვენს გარშემო მყოფ ადამიანებს, უკეთესობისკენ...

## საიდუმლო ინგრედიენტი

ყველას გვაქვს ცხოვრებაში მომენტები, როცა თავადაც არ ვიცით, რა გვინდა: იქნებ ყავა ან შოკოლადი, უცნაური და გემრიელი კერძი, კონიაკი, „მარტინი“, მზესუმზირა... თავი რომ კარგად ვიგრძნოთ... პრობლემა ის არის, რომ ზუსტად ვერ ვხვდებით და ვწვალობთ... ეს შემთხვევით არ ხდება. საქმე ისაა, რომ ორგანიზმი თითქოს სიგნალს გვაძლევს, რომ რაღაც აკლია – საიდუმლო ინგრედიენტი... შეეცადეთ, გაუგოთ საკუთარ ორგანიზმს. შეიძლება, ერთბაშად არ გამოგივიდეთ, მაგრამ, ცდა მაინც არ უნდა დააკლოთ, თუ ერთბაშად ისეთი პროდუქტი მოგინდებათ, რომელიც მანამდე დიდად არ გიყვარდათ, უარს ნუ იტყვით. სასუსნავი ცოდვა არ არის. არ შეგაშინოთ იმან, რომ დიეტას დაარღვევთ ან წონაში მოიმატებთ – როცა რაღაც ძალიან გინდა, არ გაწყენს.

საიდუმლო ინგრედიენტი ჩვენი ხალისიანი განწყობისა, ზოგჯერ ახალი კაბა შეიძლება იყოს; ახალი ვარცხნილობა ან ფეხსაცმელი... გასეირნება ღამის ქალაქში ან კინოში წასვლა ახალი, თუნდაც საყვარელი, ძველი მელოდრამის სანახავად. როცა საიდუმლო ინგრედიენტი ცნობილია, ცხოვრება თავის კალაპოტში მიედინება, ყველაფერი გვიხარია და წარმატებებსაც ვაღწევთ.



გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძემ

# კოსმეტიკური ზეთები

*ალბათ, ბევრს აინტერესებს, რომელ ზეთს რა დანიშნულება აქვს კოსმეტიკური თვალსაზრისით. გთავაზობთ საკმაოდ ვრცელ ჩამონათვალს.*

**გარგარის** ზეთი კარგია კანის დამწვრობისა და ნახეთქების სამკურნალოდ.

**ყურძნის** წიპწების ზეთი ძლიერი ანტიოქსიდანტია; გამოაქვს ტოქსინები და



სძენს კანს ელასტიკურობას.

**ჟოჟობის** ზეთი ანელებს დაბერების პროცესს.

**ქოქოსის** ზეთი ხელს უწყობს თანაბარი რუჯის მიღებას და არბილებს კანს.

**შარბახტის (კუნჭუტის)** ზეთი ანელებს დაბერების პროცესს; ხელს უშლის კანის აქერცვლას; შთანთქავს ულტრაიისფერ სხივებს.

**ნუშის** ზეთი ამაგრებს თმის ძირებს, აჩქარებს მის ზრდას და ანიჭებს თმას ბზინვარებასა და ელასტიკურობას. არის ჰიპოალერგიული.

**ატმის** ზეთი არბილებს კანს, ებრძვის ნაოჭებს.

**ფორთოხლის** ზეთი აჩერებს სისხლდენას, ანიჭებს კანს ჯანმრთელ ფერს.

**ჟასმინის** ზეთი კარგია სტრესების მოსახსნელად.

**ილანგ-ილანგის** ზეთი ძლიერი აფროდიზიაკია.

**კედრის** ზეთი გამოიყენება ქერტლის საწინააღმდეგოდ.

**ლავანდის** ზეთი აქრობს ქერტლს; აღადგენს მტვრევადი თმის სტრუქტურასა და კანს.

**ლიმონის** ზეთი კარგია კანის გასათეთრებლად, ჭორფლისა და პიგმენტური ლაქების მოსაშორებლად.

**ვარდის** ზეთი კანს ხდის მკვრივსა და ელასტიკურს, ხელს უშლის აქერცვლას; აუმჯობესებს კანის ფერს.

**ჩაის ხის** ზეთი ბუნებრივი ანტისეპტიკური საშუალებაა.

# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა: გამიგია, რომ ცელულიტების მოსაშორებლად კარგია დაფქული ყავა. როგორ უნდა გავიკეთო ეს პროცედურა სახლის პირობებში?**

**პასუხი:** კოფეინი ყველა ნივთიერებაზე უფრო აქტიურად შლის ცხიმებს და ებრძვის ცელულიტს. დაფქულ ყავას რომ დალევთ, შეაგროვეთ ჭიქებში ჩარჩენილი ნალექი, დაუმატეთ იმავე რაოდენობის ცისფერი თიხა და იმდენი მინერალური წყალი, რომ სქელი, ფაფისებრი მასა მიიღოთ. წაისვით პრობლემურ ადგილებზე (თან დაიმასაჟეთ), ეცადეთ, კანზე შეგაშრეთ და შემდეგ შხაპის ქვეშ ჩამოიბანეთ.

**კითხვა: ახლობელმა მითხრა, რომ რომელიღაც ვიტამინს ნაოჭების გასასწორებლად იყენებენ, მაგრამ, არ ახსოვს, რომელს. თქვენ ხომ არ დაგვეხმარებით?**

**პასუხი:** ერთ-ერთი ასეთი ვიტამინია „აევიტი". თუ გახსნით მის კაფსულას და შიგთავსს კანზე წაისვამთ, ნაოჭები ნელ-ნელა შემცირდება (რამდენიმე პროცედურა დაგჭირდებათ); ხოლო, თვალის „ბლეფაროგელი №1" შეიცავს ჰიალურონის მჟავას და იყენებენ თვალების ქვეშ „ტომსიკებისა" და საფეთქლებზე „ბატის თათების" (წვრილი, გაფანტული ნაოჭების) მოსაშორებლად.

**კითხვა: რას უნდა მივაქციოთ ყურადღება სადღესასწაულო მაკიაჟის გაკეთებისას?**

**პასუხი:** ზოგადად, სადღესასწაულო მაკიაჟი უნდა იყოს გაცილებით უფრო მკვეთრი, ვიდრე ყოველდღიური მაკიაჟი, მაგრამ, გამოიჩინეთ ზომიერება, რათა ის მასკარადის ნიღბად არ გადაიქცეს. გარდა ამისა, ზუსტად უნდა იცოდეთ, რაზე გინდათ საზოგადოების ყურადღების მიპყრობა – ტუჩებსა თუ თვალ-



ებზე და პროფესიონალი ვიზაჟისტი მაკიაჟის გაკეთებისას, თქვენს სურვილს გაითვალისწინებს.

**მოამზადა**
**თამრიკო ზამთარაძე**

# როგორ გაიცნო მირანდა მირიანაშვილმა ლარს ფონ ტრიერი და სად დაესწრო მისი „ნიმფომანიაკის" დახურულ ჩვენებას

**(22-ე გვერდიდან)**

მეტიც, ეს ხუმრობა რამდენჯერმე გაიმეორა. დიდ ახსნას არ დავიწყებ, თუ რატომ და როგორ თქვა ეს. მაგრამ, ეს ადამიანი ებრაულ წიაღში, ებრაულ ოჯახში, ამ გარემოშია გაზრდილი და მისთვის ებრაულ ტრადიციებზე ან საზოგადოებაზე ხუმრობა, ჩვეულებრივი მომენტია. როგორც ჩვენ, ქართველები, ბევრს და ხანდახან სასტიკად ვხუმრობთ ჩვენ ნაკლოვანებებზე, მაგრამ თუ სხვა ეროვნების ადამიანი იტყვის იგივეს, მზად ვართ, გავკიცხოთ, იგივე მოხდა აქაც. ებრაელები ძალიან ბევრს ხუმრობენ საკუთარ თავზე, მაგრამ მას, როგორც უცხოს, ამჯერად არ აპატიეს. თუმცა, ლარსი, თავისი არსით ებრაელია – დაიბადა და გაიზარდა ებრაულ ოჯახში, დადიოდა ებრაულ სკოლაში... მედიამ კონტექსტიდან ამოგლეჯილი მისი ერთი წინადადება მილიარდჯერ დაატრიალა და შედეგად მიიღო ის, რომ ჟურნალისტების დანახვა აღარ უნდა. ბევრ მეგობარს უნდოდა ჩემთან ერთად წამოსვლა და ვის წაყვანასაც ვახერხებ, ეს ქსენია სოკოლოვაა.

**– ფილმზე რა იცი?**

– ლარსს გათვალისწინებული ჰქონდა, რომ ფილმი შვიდსაათიანი ყოფილიყო, მაგრამ მერე ხუთ საათამდე შეამცირეს. უფრო მეტად შემცირებაზე უარი თქვა.

**– ძალიან რთული იქნება ხუთსაათიანი ფილმის ყურება.**

– არ იქნება იოლი ხუთსაათიანი ფილმის ყურება, გეთანხმები. კოპენჰაგენში 4 დეკემბერს შედგება პირველი ჩვენება პრესისთვის და ამ მას დავესწრები ***(ინტერვიუ ჩაწერილია 28 ნოემბერს – ავტორი).*** როგორც მერიონი ამბობს, მსგავსი აქამდე არაფერი გადაღებულა და ეს არის რადიკალურად ახალი სიტყვა კინოში. საერთოდ, ლარსის ყველა ფილმი შოკისმომგვრელია, ეს არ არის მხოლოდ კინო. ვუთხარი კიდეც, რომ „მელანქოლია" მისი ერთადერთი ფილმია, რომელიც მეორედ ვნახე. სხვა ფილმებს ვერასდროს შევხედავ მეორედ-მეთქი. მისი ფილმები ღრმა ჭრილობებს გაყენებს სულში. „მელანქოლია" ერთადერთი ფილმია, რომელიც შედარებით მსუბუქად გკაწრავს. რაც შეეხება „ნიმფომანიაკს" აუცილებლად გაგიზიარებთ შთაბეჭდილებებს. როგორც მერიონი ამბობს, მსგავსი რამ კინემატოგრაფიის ისტორიას არ ახსოვსო და ვნახოთ...

**– როდის შეძლებს ჩვეულებრივი მაყურებელი მის ნახვას?**

– 24 დეკემბერს შედგება პრემიერა კოპენჰაგენში და შემდეგ უკვე გაზაფხულიდან დაიწყება ჩვენებები მსოფლიოს მასშტაბით. ძალიან დიდხანს ვისაუბრეთ და ვკითხე ლარსს, რას ფიქრობ, შემდეგი პროექტი რა უნდა იყოს, რამე მონახაზი გაქვს-მეთქი? ის მოწამლულია დოსტოევსკითა და პრუსტით და მიპასუხა: დილემის წინაშე ვარ, არ ვიცი, რომელი თემა ავიღო, თუმცა ორივე ძალიან ახლოს არის ჩემთანო. ძალიან ბევრი ვილაპარაკეთ „კარამაზოვებზე" და მგონი, დოსტოევსკისკენ წამოვიყვანე. თან, მერე მეკითხებოდა, როგორ შეიძლება, რომ პეტერბურგში ფრენის გარეშე ჩამოვიდე, წყლით და მანქანითო. მგონი, მისი შემდეგი პროექტი დოსტოევსკის შეეხება. დაველოდოთ.

**სალომე გველესიანი**

# როგორ იღებდა სტალინი გადაწყვეტილებებს

მეფეების, იმპერატორების, პრეზიდენტების შედარება ლამის მოდად იქცა. ისტორიკოსები, მწერლები, ჟურნალისტები გამოჩენილი ადამიანების ცხოვრებასა და მოღვაწეობაში, ხასიათში დაჟინებით ეძებენ მსგავსებას და თქვენ წარმოიდგინეთ, ხშირად პოულობენ კიდეც. პოულობენ იმ შემთხვევაშიც, როდესაც ეს მსგავსება არ არსებობს. განსაკუთრებით არაფრის მთქმელია ორ სხვადასხვა ეპოქაში მოღვაწე გამოჩენილი ადამიანების შედარება. ორი განსხვავებული ეპოქა წარმოშობს განსხვავებული ტიპის მოღვაწეებს, მსგავსება ამ შემთხვევაში, მხოლოდ გარეგნული და არაფრის მთქმელია. უკვე კარგა ხანია, პოპულარული გახდა იოსებ სტალინისა და ადოლფ ჰიტლერის შედარება, რაც ხშირად არასწორი დასკვნების გაკეთებით მთავრდება. საინტერესოა სტალინის ერთი გამონათქვამი, იმასთან დაკავშირებით, რომ ადოლფ ჰიტლერი ნაპოლეონს ადარებდა თავს. სტალინს უთქვამს: „ჰიტლერი ისე ჰგავს ნაპოლეონს, როგორც კატის კნუტი – ლომს". მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, ზოგიერთი პარალელის გავლება ადოლფ ჰიტლერსა და იოსებ სტალინს შორის, მაინც შეიძლება. ამჯერად სტალინისა და ჰიტლერის შედარებას საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორის, ისტორიკოს ვახტანგ გურულის მასალებზე დაყრდნობით შევეცდებით.

იოსებ სტალინი და ადოლფ ჰიტლერი ერთ ეპოქაში მოღვაწეობდნენ. ეს იყო პირველი მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდი, ურთულესი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ვითარებით. სტალინიცა და ჰიტლერიც დაბალი სოციალური ფენიდან იყვნენ გამოსული და ამდენად, არც ერთსა და არც მეორეს, ოცნებაც კი არ შეეძლოთ, თუ ოდესმე ორი დიდი იმპერიის – რუსეთისა და გერმანიის ერთპიროვნული მბრძანებლები გახდებოდნენ. სტალინმაც და ჰიტლერმაც პოლიტიკური კარიერისსთვის ბრძოლა დაიწყო სოციალური დემაგოგიით. ორივენი პირველი მსოფლიო ომისგან გაუბედურებულ ადამიანებს სამოთხეში ცხოვრებას ჰპირდებოდნენ. აქვე უნდა აღინიშნოს, ერთი ძირითადი განსხვავების თაობაზე – სოციალურ დემაგოგიასთან ერთად, ჰიტლერი ოსტატურად თამაშობდა გერმანელთა ეროვნულ-პატრიოტულ გრძნობებზე. პირველ მსოფლიო ომში დამარცხებამ გერმანია და გერმანელი ერი უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო. შეილახა გერმანელის ეროვნული თავმოყვარეობა. სწორედ ეროვნულ-ღირსებაშელახულ გერმანელს ჰპირდებოდა ჰიტლერი გერმანიისათვის ძველი დიდების დაბრუნებას, რამაც დიდი პოპულარობა მოუტანა. ჰიტლერის დევიზი იყო: „გერმანია გერმანელებისთვის". ასე რომ, ჰიტლერი მასებს იპყრობდა, როგორც სოციალური, ისე ეროვნული დემაგოგიით. რაც შეეხება სტალინს, მისი იარაღი, მხოლოდ სოციალური დემაგოგია გახლდათ. სტალინი, საბჭოთა სისტემის ხასიათიდან გამომდინარე, ვერ წამოაყენებდა დევიზს: „რუსეთი რუსებისთვის". სტალინი ინტერნაციონალიზმის მომხრე უნდა ყოფილიყო. ასე რომ, ჰიტლერი წინ მიიწევდა სოციალურით და ეროვნულით, ხოლო სტალინი – სოციალურით და ინტერნაციონალურით.

ჰიტლერი ხელისუფლების სათავეში წმინდა წყლის დემაგოგიით მოვიდა, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მისი დემაგოგია მოეწონა გერმანიის გარკვეულ პოლიტიკურ ძალებს, რომელთაც ჰიტლერის მეშვეობით გადაწყვიტეს, თავიანთი გეგმების რეალიზება. ამ შემთხვევაში, აქცენტი კეთდებოდა ჰიტლერის პიროვნებაზე, მისი, როგორც ფიურერის (ბელადის) როლზე. რაც შეეხება სტალინს, ის ხელისუფლების სათავეში არ მოუყვანია რომელიმე პოლიტიკურ ძალას. გარკვეულმა მოვლენებმა ხელისუფლების სათავეში მოიყვანა რუსეთის კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტია, რომლის ლიდერიც მაშინ იოსებ სტალინი არ ყოფილა. ლიდერი ვლადიმირ ლენინი იყო. სწორედ ამიტომ, მთავარი დემაგოგის როლში, ლენინი გამოდიოდა, თუმცა, ხელისუფლების დაპყრობის გეგმა სტალინმა შეიმუშავა. ჰიტლერი, როგორც გერმანიის ლიდერი, თავიდანვე გამოიკვეთა, ხოლო გერმანიის პოლიტიკური ცხოვრების სათავეში 1933 წელს მოვიდა. სტალინი 1917 წლიდან არ ყოფილა პოლიტიკური ლიდერი. იგი მხოლოდ ლენინის გარდაცვალების (1924) შემდეგ იწყებს პოლიტიკური ლიდერობისთვის ბრძოლას და პირველ სერიოზულ წარმატებებს 1927-1929 წლებში აღწევს. რუსეთის ერთპიროვნული მბრძანებელი 1936-1937 წლებში ხდება. ესე იგი, ჰიტლერი გერმანიის მბრძანებელი იმაზე ადრე გახდა, ვიდრე სტალინი საბჭოთა იმპერიის ერთპიროვნული მბრძანებელი გახდებოდა. ხელისუფლების სათავეში მოსვლისთვის ბრძოლაში სტალინმა წარმატებას თავისი ნიჭისა და შორსმჭვრეტელობის წყალობით მიაღწია, ანუ მისთვის ხელისუფლება ხონჩით არ მიურთმევიათ. რაც შეეხება ჰიტლერს, მიუხედავად იმისა, რომ მან ხელისუფლებისთვის ბრძოლას შესწირა ყველაფერი, შეიძლება ითქვას, ხელისუფლება მას, სანახევროდ მაინც, ხონჩით მიართვეს. მოკლედ რომ

**მთავარი დემაგოგის როლში, ლენინი გამოდიოდა, თუმცა, ხელისუფლების დაპყრობის გეგმა სტალინმა შეიმუშავა**

ვთქვათ, ის რაღაც ძალების კაცი იყო. ასე რომ, ერთპიროვნულ მბრძანებლად გახდომამდე, ბევრით არაფრით ჰგავდნენ ისინი ერთმანეთს. მსგავსება აქ ზერელე და არაფრის მთქმელია. ხელისუფლების სათავეში მოსვლამდე ჰიტლერი და სტალინი ერთმანეთს არ ჰგავდნენ, ისევე, როგორც არ ჰგავდა ერთმანეთს გერმანია და რუსეთი.

სამაგიეროდ, დიდი მსგავსებაა სტალინსა და ჰიტლერს შორის ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ. როგორც სტალინმა, ისევე ჰიტლერმა სისხლიანი რეპრესიების გზით თავიდან მოიცილეს ძველი თანამზრახველები. ამ ადამიანებთან მათ აკავშირებდათ ხელისუფლებისთვის ბრძოლის ხანგრძლივი პერიოდი, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ, ძველი თანამებრძოლები სტალინსაც და ჰიტლერსაც დაუპირისპირდნენ. ხელისუფლების შენარჩუნებისთვის ბრძოლაში სტალინმაც და ჰიტლერმაც დიდი რეპრესიები გაატარეს არმიაში, რის შემდეგადაც არმია მათი ნების აღმსრულებლად იქცა. დასახული მიზნისთვის ბრძოლაში ჰიტლერი მოქმედებდა პრინციპით: „მიზანი ამართლებს საშუალებას", სტალინიც სავსებით იზიარებდა ამ პრინციპს. პოლიტიკურ ოპონენტებთან მიმართებაში სტალინი ხელმძღვანელობდა პრინციპით: „ვინც ჩვენთან არ არის ის ჩვენი წინააღმდეგია". ჰიტლერი სავსებით იზიარებდა ამ პრინციპს.

სტალინსაც და ჰიტლერსაც ერთი და იგივე გეოსტრატეგიული მიზნები ჰქონდათ – მსოფლიოში გაბატონება. ამ მიზნების რეალიზებ-



ისთვის ბრძოლაში მათ არ დაინდეს მრავალი ერი და სახელმწიფო, რომელთა განადგურების შემდეგაც, ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ. ეს დაპირისპირება ძვირად დაუჯდათ არა მარტო გერმანელებსა და რუსებს, არამედ ევროპის ხალხებსა და სახელმწიფოებსაც, მთელ მსოფლიოს.

განსხვავებული იყო ჰიტლერისა და სტალინის ეკონომიკური პოლიტიკა. მიუხედავად იმისა, რომ ჰიტლერმა გერმანიაში ყველაფერი არმიის გაძლიერებას დაუქვემდებარა, ყოველ გერმანელს შეუქმნა არასებობისთვის ნორმალური პირობები. სტალინმაც ყველაფერი არმიის გაძლიერებას დაუქვემდებარა, მაგრამ თავის მოქალაქეებს დაპირებული სამოთხე ვერ მოუტანა. საბჭოთა კავშირი, ეკონომიკური თვალსაზრისით, ბევრად ჩამორჩებოდა გერმანიას. მოკლედ რომ ვთქვათ, პირველი მსოფლიო ომისგან დანგრეული გერმანია სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონით, ჰიტლერმა კვლავ ევროპულ სახელმწიფოდ აქცია, რომელიც არაფრით ჩამოუვარდებოდა პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებულ ქვეყნებს – ინგლისსა და საფრანგეთს. სტალინმა სოციალური და ეკონომიკური თვალსაზრისით, გარკვეულ წარმატებას მიაღწია, მაგრამ ამ მხრივ რუსეთი გერმანიას ვერც კი მიუახლოვდებოდა. მათ შორის, დიდი განსხვავება იყო.

სტალინი და ჰიტლერი დიდად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან პოლიტიკური აზროვნების, პოლიტიკური პროცესების პროგნოზირების უნარით. საბჭოთა კავშირ-გერმანიის 1941-1945 წლების ომი გერმანიის მარცხით დამთავრდა, ჰიტლერმა არ იცოდა, რა ხალხთან, რა სახელმწიფო სისტემასთან ჰქონდა საქმე. ომში საბჭოთა კავშირმა გაიმარჯვა, იმიტომ რომ, სტალინმა კარგად იცოდა, ვინ იყო მისი მოწინააღმდეგე. მოკლედ რომ ვთქვათ, ჰიტლერი და სტალინი ერთმანეთს აბსოლუტურად არ ჰგავდნენ მოწინააღმდეგის სამხედრო და ეკონომიკური პოტენციალის ანალიზის უნარის თვალსაზრისით.

სტალინი და ჰიტლერი ერთმანეთს არ ჰგავანდნენ როგორც მთავარსარდლები. ჰიტლერს თავბრუს ახვევდა გამარჯვებები და ეიფორიაში მყოფი, არ უსმენდა გამოცდილ სამხედრო სპეციალისტებს და მხოლოდ განცდილი დიდი მარცხის შემდეგ იღებდა მათ რეკომენდაციებს. სტალინი ეიფორიაში არასდროს ვარდებოდა. ის ყურადღებით უსმენდა სამხედრო სპეციალისტებს და გადაწყვეტილებას დიდი ფიქრისა და განსჯის შემდეგ იღებდა. ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ სტალინს ომის პერიოდში შეცდომები არ დაუშვია. სტალინს არ დაუშვია საბედისწერო შეცდომები, გერმანია კი სწორედ ჰიტლერის საბედისწერო შეცდომების გამო დამარცხდა.

**მოამზადა**
**ანრი შავლაძე**

# შესაძლებელია თუ არა ადამიანის სექსუალურობის დონის განსაზღვრა ასტროლოგიურად



რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი **მიხეილ ცაგარელი**

*„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.*

**კურტ ვონეგუტი**

***ინტიმური ცხოვრება, სხვა ფაქტორებთან ერთად, იმაზეცაა დამოკიდებული, თუ რომელი ზოდიაქოს ნიშნის ქვეშაა ესა თუ ის ადამიანი დაბადებული. ეს განსაკუთრებით მამაკაცებისთვისაა საინტერესო, რათა სწორად შეაფასონ სასურველი ქალის სექსუალურობის დონე. თუ გსურთ, სამომავლოდ სწორად აირჩიოთ სასიყვარულო პარტნიორი, ამის საშუალებას მოგცემთ ის ასტროლოგიური ჰოროსკოპი, რომელიც კონკრეტული ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულ ქალბატონებს შეესაბამება.***

***ვერძი*** ქალბატონები გამოირჩევიან სიჯიუტით და მამაკაცებთან ურთიერთობისას უყვართ ინიციატივის საკუთარ თავზე აღება. მათ ადვილად შეუძლიათ საპირისპირო სქესთან საერთო ენის გამონახვა, რის გამოც ისინი მუდამ ყურადღების ცენტრში არიან და არც თაყვანისმცემელთა ნაკლებობას განიცდიან. ამ ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულ ქალებს სქესობრივი თანაცხოვრების დროსაც კი არ უყვართ მამაკაცზე დამოკიდებულება და, არ არის გამორიცხული, ეგოიზმი გამოიჩინონ.

***კუროს*** ნიშნის ქვეშ დაბადებული ქალბატონები მგრძნობიარეები, თუმცა, ცოტა პრეტენზიულები და მომთხოვნებიც არიან. ისინი ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი თანხა დაახარჯვინონ თავის სასიყვარულო პარტნიორს. სქესობრივ ცხოვრებაში კი სწორედ ისეთები არიან, როგორი ქალებიც მამაკაცებს მოსწონთ – უყვართ გულღია ურთიერთობები, თუმცა, არ არიან ერთგული საყვარლები და გამუდმებით ეძებენ ახალ რომანებსა და თავგადასავლებს.

***ტყუპების*** ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებული ქალები სასიყვარულო-რომანტიკულ ურთიერთობებში მეტი გამჭრიახობითა და სალი აზროვნებით გამოირჩევიან. ასევე, შეუძლიათ, ერთი მზერით გაშიფრონ მამაკაცი. არ ამბობენ უარს ხანმოკლე რომანებზე და ცდილობენ, იყვნენ დამოკიდებული თავის სექსუალურ პარტნიორზე მანამ, სანამ ისინი მის გვერდით არიან.

***კირჩხიბის*** ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებული ქალბატონები თავშეკავებული იმიჯით გამოირჩევიან, მაგრამ, ყოველთვის იგრძნობა ის ვნება, რაც მათ შინაგანად აქვთ. უყვართ, როცა დამოკიდებული არიან სექსუალურ პარტნიორზე და მთლიანად ენდობიან მათ. თუ მამაკაცისგან ვერ იგრძნეს ის, რისი იმედიც ჰქონდათ, შეუძლიათ, მაშინვე შეწყვიტონ მასთან ურთიერთობა. საერთო ჯამში, ისინი თბილი და მოსიყვარულე პარტნიორები არიან.

***ლომის*** ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებული ქალები ვიზუალურად მაცდურები და მიმზიდველები არიან, მაგრამ, ნაკლებად გამოირჩევიან ტემპერამენტით. საკუთარ გრძნობებს ბოჭავენ და არ აძლევენ თავს საშუალებას, ბოლომდე გაიხსნან პარტნიორის წინაშე. ზოგადად კი ნეიტრალური დამოკიდებულება აქვთ სქესობრივ კავშირზე და ყოველ თაყვანისმცემელს ისე აღიქვამენ, როგორც მომავალ საქმროს.

***ქალწულის*** ნიშნის ქვეშ დაბადებული მანდილოსნები სასიყვარულო-რომანტიკულ ურთიერთობებში ნაზები, თბილები და მოსიყვარულეები არიან. ამ თვისებების გამო, ისინი მამაკაცებს ადვილად ხიბლავენ და აბამენ მახეში. ასევე, ისინი თავიანთ რჩეულს ენდობიან როგორც სექსში, ასევე, ცხოვრების ნებისმიერ სფეროში და თვალდახუჭული სჯერათ მათი.

***სასწორის*** ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებული ქალები ძლიერი სექსუალური პარტნიორები არიან. გამოირჩევიან ტემპერამენტითა და ვნებით, თუმცა, სქესობრივ ცხოვრებას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ და არ ცდილობენ, იმ მამაკაცს დაუკავშირონ ბედი, ვინც მათ სექსუალურ ფანტაზიებს მაქსიმალურად დააკმაყოფილებს.

***მორიელის*** ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებული ქალბატონები მიმზიდველები არიან. ისინი ჭკვიანურად ირჩევენ პარტნიორს და ინტიმური ცხოვრების დროს სრულიად კარგავენ დროისა და სივრცის შეგრძნებას. ამ დროს ისინი ლაღები და თავისუფლები ხდებიან. არიან ერთგული პარტნიორები და მამაკაცებს ყოველთვის შეუძლიათ მათი ნდობა.

***მშვილდოსნის*** ნიშნის ქვეშ დაბადებული ქალები სასიყვარულო პარტნიორის არჩევისას გამოირჩევიან ცნობისმოყვარეობითა და გამჭრიახი გონებით. ინტიმის დროს უყვართ ფანტაზიორობა და შეუძლიათ მაქსიმალურად ტკბობა იმით, რაც კონკრეტულ მომენტში ხდება მათ თავს.

***თხის რქის*** ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებული ქალები არიან მოსიყვარულეები და სექსუალურები. არ გაგიკვირდეთ, თუ ინიციატივას გამოიჩენენ და სიყვარულს პირველები დაგიმტკიცებენ – ამაში ისინი გულწრფელები არიან. თუ მამაკაცი მათ ნდობას მოიპოვებს, ესე იგი, თხის რქის ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებული ქალი ცხოვრების ბოლომდე მისი ერთგული დარჩება.

***მერწყულის*** ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებული მანდილოსნები გამოირჩევიან ხალასი ბუნებით. მათთვის სასიყვარულო-რომანტიკული ურთიერთობა ცხოვრებაში დიდი სტიმულის მომცემია, სექსი კი – მეორეხარისხოვანი. უყვართ რომანტიკულ გარემოში სასურველი მამაკაცის გვერდით ყოფნა და დროსტარება.

***თევზების*** ნიშნის ქვეშ დაბადებული ქალები მეოცნებეები არიან, უჭირთ გადაწყვეტილების მიღება სასიყვარულო სფეროში და, ასევე, სექსუალური პარტნიორის არჩევა. თუ მამაკაცმა შეძლო მისი მოხიბვლა, ის მას მიენდობა, ყველა სურვილს აუსრულებს და გააღმერთებს, რაც მას ხელს უშლის, მაქსიმალური სიამოვნება მიიღოს ინტიმური ურთიერთობებიდან.

ასევე, აღმოსავლური ასტროლოგიის თანახმად, ყველაზე მომხიბვლელები და მიმზიდველები არიან ***ვირთხის, გველეშაპისა*** და ***მაიმუნის*** წლებში დაბადებული ქალები. მათ შესწევთ უნარი, კაცს თავი დააკარგვინონ. ისინი ყველა პრობლემის გადაწყვეტისას მიმართავენ ქალურ ხერხებს, კერძოდ, ჭირვეულობას, ცრემლებსა და ისტერიკას. შეუდარებელნი არიან ქორწინებაში, თუმცა, მხოლოდ მაშინ, თუ მათ მშვიდ და ჰარმონიულ გარემოში უწევთ ცხოვრება.

რომანტიკული იდეალის ჯგუფში ერთიანდებიან ***ვეფხვის, ცხენისა*** და ***ძაღლის*** წლებში დაბადებული ქალები. ისინი რომანტიკულები და კარგი მეუღლეები და დედები არიან; მათ სასიყვარულო ვნებას ყველა მამაკაცი როდი უძლებს და ვერც ანალოგიურად პასუხობენ მათ მოთხოვნებს. ისინი მუდამ კარიერასა და ოჯახს შორის აკეთებენ არჩევანს, იბრძვიან მთელი სიცოცხლის განმავლობაში და ცდილობენ იდეალური მამაკაცის პოვნას.

ძლიერ ქალთა ჯგუფში ერთიანდებიან ***ხარის, გველისა*** და ***მამლის*** წელიწადში დაბადებული ქალები. ისინი ბუნებით ცვალებადები არიან. არ ელიან, როდის შეიყვარებენ, მათ თავად უყვარდებათ და შემდეგ იბრძვიან ამ სიყვარულისთვის. ამის გამო, ველარ ხედავენ რჩეულის ცუდ თვისებებს, ნაკლოვანებებს და ბევრი რამის მიტევებაც შეუძლიათ. ცდილობენ, ლიდერის პოზიცია დაიკავონ ოჯახში და პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღონ. ამ ნიშნით დაბადებული ქალების უმრავლესობა აღწევს დასახულ მიზანს.

დამოუკიდებელ ქალთა ჯგუფში ერთიანდებიან ***კატის, თხისა*** და ***ტახის*** წელიწადში დაბადებული ქალები. მათი გარეგნული სიმშვიდის მიღმა იმალება მისტიკური აზროვნება, ჯადოქრული ძალა და მამაკაცებზე ბატონობის უნარი. არ უყვართ, როცა მამაკაცი მათ რამეს უკრძალავს. მეტად სექსუალურები და თბილები არიან საყვარელი მამაკაცის მიმართ. ამ ჯგუფის ქალებს შეუძლიათ ქორწინებაში გრძნობათა შენარჩუნება და, როგორც სულიერ, ისე ინტიმურ სფეროში იდეალური ჰარმონიის შექმნა.

# შეკითხვა ასტროლოგს

**კითხვა: ჩემი შვილი დაიბადა 1995 წლის 11 მაისს, ორშაბათს, 4-დან 5 საათამდე. მაინტერესებს, რა არის მისი კარმული მისია, რომელი პროფესიაა მისთვის მისაღები და წარმატებების მომტანი, ასევე, რომელი ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანთან ექნება კარგი მომავალი?**

**პასუხი:** მისი კარმული მისიაა, მეტად წარმოაჩინოს თავის ხასიათში დადებითი თვისებები; იყოს მეტად ორგანიზებული, მიზანსწრაფული, შეუპოვარი, ნებისყოფიანი, შრომისუნარიანი, ფულის ყაირათიანი მხარჯველი. რაც მეტად იქნება მოწესრიგებული, მით მეტად მიაღწევს წარმატებებს. თუ რამეს გააკეთებს, მხოლოდ კარგად, მიფუჩეჩების გარეშე უნდა გააკეთოს, ყურადღება მიაქციოს ყველა დეტალს; უნდა იყოს მარტოხელა მებრძოლი, დამოუკიდებელი. გამოავლინოს პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა, აიღოს საკუთარ თავზე ინიციატივა, გამოავლინოს ლიდერულ-ორგანიზატორული თვისებები. სასიყვარულო-პარტნიორული ურთიერთობისთვის მისთვის კარგია ქალწულის, კუროს, თხის რქის, კირჩხიბისა და თევზების ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებული ადამიანები. მოერიდოს ლომსა და მერწყულს. პროფესიებიდან კი მისთვის კარგია და წარმატების მომტანი: საბანკო, ეკონომიკური, სავაჭრო, საფინანსო საქმის ფართო სფერო, პედაგოგიკა, სამხედრო სტრუქტურა, უშიშროების სფერო, სადაზღვევო და საგამომძიებლო სფეროები, მშენებლობა, მედიცინის ფართო სპექტრი, ჟურნალისტიკა, რადიო, ტელევიზია, პრესა, სარეკლამო და საგამომცემლო ინდუსტრია, სოციოლოგია, ტელემექანიკა, ლინგვისტიკა.

# თეატრები

## შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**რუსთაველის გამზირი №17. ტელ.: 272-68-68**

11 დეკემბერი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„სტუმარი”** - (ბილეთის ფასი - 6 ლარი), (ექსპერიმენტული სცენა), რეჟისორი გოშა გორგოშიძე. მონაწილეობენ: ბაჩო ჩაჩიბაია, გოგა ბარბაქაძე, ბაჩი ლეჟავა, მანანა აბრამიშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

12 დეკემბერი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„სულიერი არსებები”** - (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი დავით საყვარელიძე. მონაწილეობენ: თათული დოლიძე, მარინა კახიანი, გელა ოთარაშვილი, ნინო მითაიშვილი, თემიკო ჭიჭინაძე, ნინო თარხან-მოურავი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;***

13 დეკემბერი, **პარასკევი** 19.00 - **„ფსიქოზი 4:48”** - (ბილეთის ფასი - 8 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი კიტა როყვა. მონაწილეობს: ბესო ზანგური. ***ხანგრძლივობა: 1სთ.;***

14 დეკემბერი, **შაბათი** 19.00 - **„ვთამაშობთ სტრინდბერგს”** - (ბილეთის ფასი - 8 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორები რობერტ სტურუა და ანდრო ენუქიძე. მონაწილეობენ: თათული დოლიძე, ზუკა პაპუაშვილი, ლევან ხურცია; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 10 წუთი;***

15 დეკემბერი, **კვირა** 19.00 - **„ჯარისკაცი, სიყვარული, დაცვის ბიჭი და... პრეზიდენტი”** - (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი რობერტ სტურუა. მონაწილეობენ: ნინო არსენიშვილი, გოგა ბარბაქაძე, პაატა გულიაშვილი, ბესო ზანგური, ნინო თარხან-მოურავი, გაგი სვანიძე, ია სუხიტაშვილი, ნიკა ქაცარიძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 50 წუთი;***

## კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**მარჯანიშვილის ქუჩა №8, ტელ.: 295-59-66**

11 დეკემბერი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„სასიყვარულო ბარათები”** - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (თეატრი სხვენში), დამდგმელი რეჟისორი თემურ ჩხეიძე. მონაწილეობენ: ნანი ჩიქვინიძე, გია ბურჯანაძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

11 დეკემბერი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„დეკამერონი”** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 4 - 10.50 ლარი), ინსცენირების ავტორი, რეჟისორი და სცენოგრაფი - ლევან წულაძე. მონაწილეობენ: მალხაზ აბულაძე, ბესო ბარათაშვილი, ირმა ბერიანიძე, ზურა ბერიკაშვილი, თამარ ბუხნიკაშვილი, ნინო გაჩეჩილაძე, ბაია დვალიშვილი, მანანა კოზაკოვა, ნიკა კუჭავა, მარლენ ეგუტია, ჯაბა კილაძე; ***ხანგრძლივობა: 3სთ. 15 წუთი;***

12 დეკემბერი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„სილამაზის დედოფალი”** - (მცირე სცენა) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორი გურამ ვაშაკიძე. მონაწილეობენ: თამარ ბუხნიკაშვილი, ნინო გომართელი, ირაკლი ჩოლოყაშვილი, პაატა პაპუაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;***

12, 15 დეკემბერი, **ხუთშაბათი, კვირა** 20.00 - **„ჟოლო”** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორი ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ნატო მურვანიძე, ნიკა კუჭავა; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

13 დეკემბერი, **პარასკევი** 20.00 - **„პეიზაჟს აკლია სითბო”** (თეატრი სხვენში) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), დამდგმელი რეჟისორი დიმიტრი ხვთისიაშვილი. მონაწილეობენ: ეკა ჩხეიძე, ვარლამ კორშია, ლილე ფილფანი, დიმიტრი ტატიშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

13 დეკემბერი, **პარასკევი** 20.00 - **„რევიზორი”** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი 4 - 10.50 ლარი), რეჟისორი გიზო ჟორდანია. მონაწილეობენ: დავით დვალიშვილი, მანანა კოზაკოვა, ნატა ბერეჟიანი, ონისე ონიანი, როლანდ ოქროპირიძე, ავთანდილ მიქაძე, ზურა ბერიკაშვილი, დავით ხურცილავა, ნოდარ დოლონაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;***

14 დეკემბერი, **შაბათი** 20.00 - **„მუუ...”** - (თეატრი სხვენში) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორი ზურაბ ქიქოძე. მონაწილეობენ: მედეა ჯაფარიძე, ნანა ფაჩუაშვილი, რუსიკო ბოლქვაძე, ქეთი ცხაკაია, ნატო გულისაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 10 წუთი;***

14 დეკემბერი, **შაბათი** 20.00 - **„არტ-ხელოვნება”** - (ბილეთის ფასი - 4 - 10.50 ლარი), (დიდი სცენა), დამდგმელი რეჟისორი თემურ ჩხეიძე. მონაწილეობენ: ზურა ყიფშიძე, მიხეილ გომიაშვილი, ალეკო მახარობლიშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;***

15 დეკემბერი, **კვირა** 20.00 - **„ევროჯორჯია” / „ფრანგულის გაკვეთილები”** - (თეატრი სხვენში) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორი ლელა ჭინჭარაული. მონაწილეობენ: ქეთი გეგეშიძე, ვალერი კორშია, როლანდ ოქროპირიძე, ჯაბა კილაძე, ნათელა ნიკოლაიშვილი, თეონა ქოქრაშვილი, კონსტანტინე როინიშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

## მარჯანიშვილის თეატრი (ახალი სცენა)
**მარჯანიშვილის ქუჩა №5. ტელ.: 2 955-966**

10, 12, 15 დეკემბერი, **სამშაბათი, ხუთშაბათი, კვირა** 20.00 - **„მთვრალი ალუბალი”** - (ბილეთის ფასი - 14 ლარი), ტექსტის ავტორი და რეჟისორი - ლევან წულაძე, ალექსანდრე ელოშვილი. მონაწილეობენ: ეკა ჩხეიძე, მალხაზ აბულაძე, მანანა კოზაკოვა, ბარბარე დვალიშვილი, ზაზა გოგუაძე, დათო ხურცილავა, ქეთი ცხაკაია, ონისე ონიანი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

14 დეკემბერი, **შაბათი** 20.00 - **„ტარტიუფი”** - (ბილეთის ფასი - 5 - 14 ლარი), რეჟისორი ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ნიკა კუჭავა, ზვიად სხირტლაძე, მანანა კოზაკოვა, ბარბარე დვალიშვილი, თამარ ბუხნიკაშვილი, ზაზა იაქაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;***

## თავისუფალი თეატრი
**რუსთაველის გამზირი №2, ტელ.: 298-58-21**

10 დეკემბერი, **სამშაბათი** 19.00 - **„ჯინსების თაობა”** - (ბილეთის ფასი - 6, 12, 14 ლარი), რეჟისორი დათო დოიაშვილი. მონაწილეობენ: მარინა ჯანაშია, ნანა დარჩიაშვილი, გოგა ჩხეიძე, დიმა მერაბიშვილი, მერაბ ყოლბაია, აპოლონ კუბლაშვილი, ლელა მეტრეველი, ჯაბა კილაძე, მარიამ ნადირაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 45 წუთი;***

11 დეკემბერი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„თაფლობის თვე”** - (ბილეთის ფასი - 6, 9, 11 ლარი), რეჟისორი მაია დობორჯგინიძე. მონაწილეობენ: მარიამ ჯოლოგუა, სალომე ჭულუხაძე, ნათია კვაშალი; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40წთ.;***

12 დეკემბერი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„მგზნებარე შეყვარებული”** - (ბილეთის ფასი - 6, 9, 11 ლარი), რეჟისორი თიკო ქათამაშვილი. მონაწილეობენ: სალომე ჭულუხაძე, მარიამ ნადირაძე, თიკო კორძაძე; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40წთ.;***

13 დეკემბერი, **პარასკევი** 19.00 - **„მიყვარხარ! მიყვარხარ! მიყვარხარ!”** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), პიესის ავტორი და რეჟისორი ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: მარიამ ჯოლოგუა, აპოლონ კუბლაშვილი, ანი ალადაშვილი, გიორგი ჯიქია, კახა მიქიაშვილი, მამუკა მუმლაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;***

14 დეკემბერი, **შაბათი** 19.00 - **„წვიმის გამყიდველი”** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), რეჟისორი ნუგზარ ლორთქიფანიძე. მონაწილეობენ: ქეთა ლორთქიფანიძე, სანდრო მარგალიტაშვილი, მამუკა მუმლაძე, გიორგი ჯიქია, ლაშა გურგენიძე, შაკო მირიანაშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

15 დეკემბერი, **კვირა** 19.00 - **„ღმერთო! დაგვიფარე ჩვენ და ადამიანები”** - (ბილეთის ფასი - 6, 12 ლარი), რეჟისორი ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: აპოლონ კუბლაშვილი, კახა მიქიაშვილი, თიკო კორძაძე, სალომე ჭულუხაძე, მარიამ ნადირაძე, სანდრო მარგალიტაშვილი, დიმა მერაბიშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;***

## ახმეტელის თეატრი
**ვეკუას ქუჩა №8. თელ.: 262-59-73, 262-61-97**

12 დეკემბერი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„მაგიის საოცრებანი”** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), მონაწილეობენ: გოგა თავაძე, ზურა ავსაჯანიშვილი, აკაკი ხიდაშელი, ანა მატუაშვილი, კახა ჯოხაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;***

13 დეკემბერი, **პარასკევი** 19.00 - **„სასტუმრო, ორი სამყაროს გასაყარზე”** - პრემიერა - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი გიორგი თავაძე. მონაწილეობენ: აკაკი ხიდაშელი, ნუგზარ ყურაშვილი, ანა მატუაშვილი, გვანცა კანდელაკი, ნინო ანდრიაძე, ბექნუ ქაფიანიძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

14 დეკემბერი, **შაბათი** 19.00 - **„პანთეონი”** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი დიმიტრი ხვთისიაშვილი. მონაწილეობენ: მამუკა მაზავრიშვილი, თამარ ბეჟუაშვილი, ვახტანგ ადეიშვილი, ნელი ბადალაშვილი, კახა ჯოხაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

15 დეკემბერი, **კვირა** 19.00 - **„ვაჟა”** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი ოთარ ბაღათურია. მონაწილეობენ: გია ჯაფარიძე, ანა მატუაშვილი, გვანცა კანდელაკი, ხატია მელქაძე, ჯაბა ჯაფარიძე, ბექნუ ქაფიანიძე, ზურაბ იაშვილი, ზურაბ ავსაჯანიშვილი, ვაჟა ციცილოშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

## ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო თეატრი
**აღმაშენებლის გამზირი №182. ტელ.: 234-80-90**

12-13 დეკემბერი, **ხუთშაბათი-პარასკევი** 19.00 - **„კარმენი”** - (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), რეჟისორი კოტე ფურცელაძე. მონაწილეობენ: ანა ალექსიშვილი, ანა წერეთელი, ეკატერინე დემეტრაძე, გიორგი ტორიაშვილი, გიგი ქარსელაძე, ბაჩო ჩაჩიბაია, არჩილ სოლოღაშვილი. ***ხანგრძლივობა: 90 წუთი;***

14-15 დეკემბერი, **შაბათი-კვირა** 19.00 - **„შუა ზაფხულის ღამის სიზმარი”** - (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), რეჟისორი დავით დოიაშვილი. მონაწილეობენ: ბუბა გოგორიშვილი, კახა კინწურაშვილი, არჩილ სოლოღაშვილი. ***ხანგრძლივობა: 110 წუთი;***

## გრიბოედოვის თეატრი
**რუსთაველის გამზირი №2. ტელ.: 293-11-06**

14 დეკემბერი, **შაბათი** 18.00 - **„ზამთრის ზღაპარი”** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი ვახტანგ ნიკოლავა. მონაწილეობენ: ირინა მეღვინეთუხუცესი, მიხეილ არჯევანიძე, ოლეგ მჭედლიშვილი, სოფო ლომჯარია, მედეა მუმლაძე, ლუდმილა არტიომოვა-მღებრიშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

15 დეკემბერი, **კვირა** 12.00, 14.00 - **„მოროზკო”** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი ლინდა უბრონავიჩუტე. მონაწილეობენ: მიხეილ არჯევანიძე, ივანე ქურასბედიანი, ნინა ნინიძე, მიხეილ ამბროსოვი, ვალენტინა ვოინოვა, მედეა მუმლაძე; ***ხანგრძლივობა: 1სთ.;***

## საქართველოს სახელმწიფო პანტომიმის თეატრი
**რუსთაველის გამზირი №37. ტელ.: 99-63-14**

10 დეკემბერი, **სამშაბათი** 19.00 - **„წმინდა გიორგი”** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი ამირან შალიკაშვილი. ***ხანგრძლივობა: 70 წუთი;***

13 დეკემბერი, **პარასკევი** 19.00 - **„ქრისტე”** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი ამირან შალიკაშვილი. ***ხანგრძლივობა: 50 წუთი.***

## ორშაბათი 9 დეკემბერი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30** "დღეს" **14.00** მხ/ფ **"მე არ ვლაპარაკობ ინგლისურად"** **17.00** ტ/სერ. **"სიყვარულის საიდუმლოებები"** **18.00** ტ/სერ. **"ცხოვრებისეული რეცეპტი"** **19.05** დ/ფ "ბედნიერება თეფშზე" **21.00** თოქ-შოუ – "პირველი სტუდია" (პ/ე) **22.30** "საფეხბურთო მიმოხილვა" (პ/ე) **23.30** მხ/ფ **"ტროა"** (ბ. პიტი) **02.10** დ/ფ"ინკების მარილი".

**06.45** სერ. **"სიყვარული კონტრაქტით"** **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.25** ქრონიკა **10.05** სერ. **"ცივი გული"** **11.20, 12.05** სერ. **"სიყვარულის საფრთხე"** **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) **14.40, 15.05** ფულთან თამაში **16.03** სერ. **"დაბრუნება"** **17.50, 19.03** სერ. **"უდანაშაულო"** **20.50** სერ. **"სილა"** **21.50** თოქ შოუ: თეა სიჭინავა – პოლიტიკის დრო (პ/ე) **23.30** EMERGENCY – სასწრაფო დახმარება **00.30** მხ/ფ **"ლამაზმანი და მაწანწალა"** (რ.ლ. ბრაუნი).

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ.**"ერთგულების ძალა"** **11.00** სერ.**"ბრაზილიის გამზირი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. **"სიყვარული და შურისძიება"** **46 (80)** **17.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"**. **18.50, 19.50** სერ.**"ტიტების დრო"** **22.00** ნიჭიერი **00.00** სპორტ ტაიმი **01.00** შიშის ფაქტორი **02.00** მხ/ფ **04.00** კურიერის დაიჯესტი.

**06.10** საგალობელი **06.20** დოკ/ფ"ველური ბუნება" **06.45** მხ/ფ**"ლომა,დავიწყებული მეგობარი"** **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.35** ლექსით ქებათა ქება **10.40** კვირიაკე **12.10** მხ/ფ**"მაცი ხვიტია"** **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **15.00** განთიადის სტუმარი **15.30** სპექტაკლი "აკაკი" **17.15** დოკ/ფ"ველური ბუნება" **17.40** მოკ/ფ **"დედის ხელი"** **18.10** ქართული მულტფილმი **18.20** ერთი წვეთი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ **"სინემა"** **20.40** ძილი ნებისა **21.20** საღვთისმეტყველო საუბრები **22.25** მოკ/ფ **"ჩამავალი მზე"** **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ"მოგზაურობა ტაო-კლარჯეთში" **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

**7.00, 0.45, 2.30, 5.15** ახალი ამბები კოლაჟი **7.40** მულტფილმი სონიკ-ხ **7.55, 8.10, 9.15** მაღვიძარა **8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **10.15, 16.00** **სერიალი "დაკარგული დრო"**(გამ) **12.40** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი"(გამ.) **14.30** "მონიტორის გამოძიება" (გამ.) **17.45, 21.30, 0.30, 5.00** "ყოველდღიური აბები" (გამ.) **18.25, 1.30, 6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **19.00** **სერიალი "მდუმარენი"** **21.45** **სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.00, 3.15** თოქ-შოუ "არგუმენტები".

## სამშაბათი 10 დეკემბერი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30** "დღეს" **14.00** მხ/ფ **"ტაქსისტი ნიუ-იორკში"** **17.00** ტ/სერ. **"სიყვარულის საიდუმლოებები"** **18.00** ტ/სერ. **"ცხოვრებისეული რეცეპტი"** **19.15** "ლიხს იქით და ლიხს აქეთ" **21.00** თოქ-შოუ: "პირველი სტუდია" (პ/ე) **22.30** ტ/სერ. **"მაფიოზი"** **23.40** **ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ტურნირი: (პ/რ) შესვენებისას: "ტელევიქტორინა" **01.30** მხ/ფ **"აბრეშუმი"** (კ.ნაიტლი).

**06.45** სერ. **"სიყვარული კონტრაქტით"** **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 01.40** ქრონიკა **10.05** სერ. **"ცივი გული"** **11.20, 12.05** სერ. **"სიყვარულის საფრთხე"** **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) **14.40, 15.05** მისია სტუდენტი **16.03** სერ. **"დაბრუნება"** **17.50, 19.03** სერ. **"უდანაშაულო"** **20.50** სერ. **"სილა"** **21.50** ახალი ქართული ხმა **00.00** მხ/ფ **"ლუდი ჩემი ცხენებისთვის"** (რ.ქერინგტონი).

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ.**"ერთგულების ძალა"** **11.00** სერ.**"ბრაზილიის გამზირი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. **"სიყვარული და შურისძიება"** **17.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"**. **18.50, 19.50** სერ.**"ტიტების დრო"** **20.50** ეროვნული ლატარია **22.00** არჩევანი **00.00** სერ. **"ექიმი ჰაუსი"**. **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი.

**06.10** სპექტაკლი **"აკაკი"** **07.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** ლექსით ქებათა ქება **10.40** დოკ/ფ"მოგზაურობა ტაო-კლარჯეთში" **10.25** საღვთისმეტყველო საუბრები **12.10** მხ/ფ**"სინემა"** **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ"ველური ბუნება" **16.00** კონცერტი-ლიანა ისაკაძე და ევროპის ახალგაზრდული ორკესტრი **16.55** ერთსულოვნების სალონი **17.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **18.10** ქართული მულტფილმი **18.20** ერთი წვეთი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მოკ/ფ **"ბაკურხეველი ხევსური"** **20.00** ღია აუდიტორია **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** ისტორიის გაკვეთილი **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ჩვენი ფონდი **23.55** შვიდგზის ლოცვა **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

**7.00, 0.45, 2.30, 5.15** ახალი ამბები კოლაჟი **7.40** მულტფილმი სონიკ-ხ **7.55, 8.10, 9.15** მაღვიძარა **8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **10.15, 16.00** **სერიალი "დაკარგული დრო"**(გამ) **12.50, 23.00, 3.15** თოქ-შოუ "არგუმენტები" **17.45, 21.30, 0.30, 5.00** "ყოველდღიური აბები" (გამ.) **18.25, 1.30, 6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი **19.00** **სერიალი "მდუმარენი"** **21.45** **სერიალი "დიდებული საუკუნე"**.

გაგრძელება 43-ე გვერდზე

## კინოთეატრები

**კინოთეატრი „რუსთაველი“**
**რუსთაველის გამზირი №5.**
**ტელ.: 293-22-53, 255-50-00.**

**9 – 15 დეკემბერი**

*დარბაზი 1*

12.00, 14.00, 16.00, 18.00 - **„ინდაურები“** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

20.00, 22.30 - **„ბოლოჯერ ვეგასში“**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

*დარბაზი 2*

12.15, 14.00, 16.00, 18.00 - **„გივი“**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

20.00, 22.15 - **„მანდარინები“**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

*დარბაზი 3*

12.15, 15.00, 17.30, 20.00, 22.30 - **„ქერი“**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

*დარბაზი 5*

13.00, 16.30, 19.30, 22.30 - **„შიმშილის თამაშები: ცეცხლის ალში“**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი:
www.info-tbilisi.com.
ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.

ინფო-თბილისი
თქვენი გზამკვლევი თბილისში
INFO-TBILISI
YOUR GUIDE TO TBILISI
www.info-tbilisi.com

# გამომცხვარი ბოსტნეული











**საჭირო ინგრედიენტები:** 500 გრამი ქათმის ხორცის ფარში, 2 ცალი ბადრიჯანი, 1 ცალი ყაბაყი, 1-2 ცალი ბულგარული წიწაკა, 2 ცალი პომიდორი, 1 ცალი წითელი ხახვი, 3 კბილი ნიორი, მწვანილი, მარილი, შავი პილპილი.

**მომზადების წესი:** პომიდვრებს გადააჭერით „ხუფები“. ბადრიჯანი დაჭერით ბრტყლად. ყაბაყი დაჭერით მსხვილ რგოლებად, სიგანეზე, 3-4 ნაწილად (თუ კანი სქელი ექნება, გათალეთ). ბულგარული წიწაკა გაჭერით შუაში, ორი „ნავი“ რომ გამოვიდეს. ამოაცალეთ კურკები. ბადრიჯანს, პომიდორსა და ყაბაყს კოვზით ამოაცალეთ რბილობი და ცალ-ცალკე თეფშებზე მოათავსეთ. ბადრიჯნის შიგთავსს მოაყარეთ ცოტა მარილი.

ქათმის ფარშს დაუმატეთ დაქუცმაცებული ხახვი (შეგიძლიათ, წინასწარ ცოტა მოშუშოთ კარაქში), წვრილად დაჭრილი მწვანილი, დანაყილი ნიორი, დაჭრილი ყაბაყის, ბადრიჯნისა და პომიდვრის რბილობი. უყავით ცოტა მარილი და პილპილი. აურიეთ. შეგიძლიათ, ცოტა ცხარე წიწაკაც დაუმატოთ. ამ ფარშით ამოავსეთ ბულგარულის „ნავები“, ბადრიჯანი, პომიდორი, ყაბაყის „ფინჯნები“. დააწყვეთ ტაფაზე და გამოაცხვეთ 180 გრადუსზე აირღუმელში 1 საათის განმავლობაში. უგემრიელესია. შეგიძლიათ, სურვილისამებრ, ზემოდან გახეხილი ყველიც მოაყაროთ.

გურმანთა მეგზური

# „ოქროს თევზი“







**საჭირო ინგრედიენტები:** 600 გრამი თევზის ფილე, უცხო სუნელი, ზეთი, 1 თავი ხახვი, 1 ცალი სტაფილო, 2 ცალი საშუალო ზომის ბოლოკი, 1 კონა კამა, 1 კბილი ნიორი, 100 გრამი ნიგოზი, 2 სადილის კოვზი ფქვილი, 1 სადილის კოვზი ლიმონის წვენი, 200 მილილიტრი ნაღები, მარილი, შავი პილპილი.

**მომზადების წესი:** თევზის ფილე დაჭერით ულუფებად. მოაყარეთ მარილი, სუნელი, შავი პილპილი. დანამეთ ზეთით და 10 წუთით მოათავსეთ 180 გრადუსზე გაცხელებულ აირღუმელში.

ხახვი დაჭერით ნახევარრგოლებად. ბოლოკი დაჭერით კუბიკებად, სტაფილო – ძალიან წვრილად. ბოსტნეული მოშუშეთ 2 სადილის კოვზ ზეთში, მოაყარეთ თევზს და შედგით აირღუმელში კიდევ 5 წუთით. გამორთეთ აირღუმელი და კერძი 10 წუთით ისევ შიგნით დატოვეთ.

სანამ თევზი ბოსტნეულით მზადდება, ცალკე მოამზადეთ სოუსი.

ნიორი და მწვანილი ძალიან წვრილად დაკეპეთ. 1 სადილის კოვზ ზეთში ოდნავ მოშუშეთ მწვანილი, ნიორი და ოდნავ დანაყილი ნიგოზი. დაუმატეთ ფქვილი და შუშეთ ერთად, ნელი მორევით. ძალიან ფრთხილად დაასხით ნაღები და ლიმონის წვენი. ურიეთ და აცადეთ, წამოდუღდეს. უყავით მარილი.

მზა კერძი გადმოიღეთ ლანგარზე და მოასხით სოუსი.

# სოკო ყველით







**საჭირო ინგრედიენტები:** 200 გრამი ქამა სოკო (15 ცალი მოზრდილი „თავი“), 1 ცალი წითელი, ბულგარული წიწაკა (სხვა ფერიც შეიძლება), 50 გრამი მაგარი ყველი, ცოტა ოხრახუში, კამა, მწვანე ხახვი, 3 სადილის კოვზი მაიონეზი, მარილი, ზეთი.

**მომზადების წესი:** ქამა სოკო გაარჩიეთ და მოაცალეთ „ფეხები“. სოკოს ფეხები დაჭერით ძალიან წვრილად. წვრილადვე დაჭერით მწვანილი, ბულგარული წიწაკა. ყველი გახეხეთ. ყველაფერი ერთმანეთში აურიეთ... დაუმატეთ მაიონეზი და მარილი.

ამ ფარშით ამოავსეთ სოკოს ქუდები. დააწყვეთ ზეთწასმულ ტაფაზე და გამოაცხვეთ აირღუმელში 30 წუთის განმავლობაში 180 გრადუსზე.

# მაკარონი „პიკანტური“









**საჭირო ინგრედიენტები:** 1 სადილის კოვზი მაიონეზი, 1 სადილის კოვზი პომიდვრის ტომატი, 150 გრამი შებოლილი ძეხვი ან ლორი, 1 თავი ხახვი, 2-3 კბილი ნიორი, 1 კონა მწვანე ხახვი, კამა, ოხრახუში, 2 კვერცხი, ნახევარი ჭიქა რძე, მარილი, პილპილი, 1 შეკვრა მაკარონი, ყველის ნაჭერი, საფანელი – ორცხობილა, ზეთი.

**მომზადების წესი:** მოხარშეთ მაკარონი მდუღარე მარილწყალში. დაჭერით წვრილად და ზეთში მოშუშეთ ხახვი და ნიორი. შეურიეთ ტომატი, დაუმატეთ მოხარშულ და გადაწურულ მაკარონს. დაჭერით ლორი ან ძეხვი კუბიკებად, შეურიეთ მაკარონს, დაუმატეთ წვრილად დაჭრილი მწვანილი და მწვანე ხახვი. ცალკე ათქვიფეთ კვერცხი, მაიონეზი და რძე, მოასხით ეს ყველაფერი მაკარონს, უყავით ცოტა მარილი და პილპილი.



სომელიე
თეიმურაზ ბენიძე

# ქათმის წვნიანი

**საჭირო ინგრედიენტები:** 3 ლიტრი წყალი, 4 ცალი კარტოფილი, 1 თავი ხახვი, 1 ცალი სტაფილო, 1 კონა კამა, 400 გრამი ქათმის ფილე, 1 ცალი დაფნის ფოთოლი, მწიკვი შავი პილპილი და მარილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ხორცს დაასხით წყალი და დადგით მოსახარშად. მოხადეთ ქაფი. როდესაც ხორცი მოიხარშება, ქვაბიდან ამოიღეთ. ბულიონში ჩაამატეთ გაფცქვნილი ხახვი, დაჭრილი სტაფილო, კარტოფილი და დადგით ცეცხლზე. როდესაც ბოსტნეული მოიხარშება, დაუმატეთ მარილი, პილპილი, დაფნის ფოთოლი, დაჭრილი ქათმის ხორცი და 2 წუთი ადუღეთ. ბოლოს მოაყარეთ დაჭრილი კამა და გადმოდგით ცეცხლიდან.



# მსუბუქი საუზმე – „სოკოები“

**საჭირო ინგრედიენტები:** 3 ცალი პომიდორი, 6 ცალი მოხარშული კვერცხი, 150 გრამი ახალი ქამა სოკო, 50 გრამი ლორი, 50 გრამი სქელი მაიონეზი, 1 სადილის კოვზი კარაქი, შავი პილპილი და მარილი – გემოვნებით.



**მომზადების წესი:** მოხარშული კვერცხები გაჭერით შუაზე, ამოაცალეთ გული და გახეხეთ. სოკო და ლორი დაჭერით წვრილად, შეანელეთ მარილითა და პილპილით, მოშუშეთ კარაქში და დაუმატეთ გახეხილი კვერცხის გულები. პომიდვრები გაჭერით შუაზე, ამოაცალეთ გული და მოაყარეთ მარილი. ნახევარ-ნახევარი კვერცხის ცილები შეავსეთ ფარშით და თავზე გაჭრილი პომიდვრები დაახურეთ. ბოლოს ამ „სოკოებს“ ქუდებზე აქა-იქა დააწვეთეთ მაიონეზი.

# მანანის ბურღულის პუდინგი

**საჭირო ინგრედიენტები:** 2 ლიტრი რძე, 1 ჭიქა მანანის ბურღული, 3-4 კვერცხი, 100 გრამი კარაქი, 1 ჭიქა შაქარი, 3 სადილის კოვზი ორცხობილა (საფანელი), მწიკვი მარილი.

**მომზადების წესი:** მდუღარე რძეში თანდათანობით ჩაუშვით მანანის ბურღული და განუწყვეტლივ ურიეთ, თან ხარშეთ ნელ ცეცხლზე 10-15 წუთი, შესქელებამდე. დაუმატეთ 0,5 ჭიქა შაქარი, მარილი. კვერცხის გულებისა და დარჩენილი შაქრისგან გააკეთეთ გოგლი-მოგლი. ცილა ათქვიფეთ და ორივე მასა შეურიეთ მანიფაფას. კარაქი წაუსვით ფორმას, მოაყარეთ საფანელი და მოათავსეთ შიგ პუდინგის მასა. აცხვეთ 25 წუთი, 200 გრადუსზე. მანანის პუდინგი მიირთვით არაჟანთან ან ხილის მურაბასთან ერთად.



38-ე გვერდიდან

## ოთხშაბათი 11 დეკემბერი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30** "დღეს" **14.00** მხ/ფ **"ერთგული ხელი" 17.00** ტ/სერ. **"სიყვარულის საიდუმლოებები" 18.00** ტ/სერ. **"ცხოვრებისეული რეცეპტი" 19.30** "ჩვენი ეზო" **21.00** თოქ-შოუ: "პირველი სტუდია" (პ/ე) **22.30** ტ/სერ. **"მაფიოზი" 23.40 ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ტურნირი: (პ/რ).

**06.45** სერ. **"სიყვარული კონტრაქტით" 07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.10** ქრონიკა **10.05** სერ. **"ცივი გული" 11.20, 12.05** სერ. **"სიყვარულის საფრთხე" 12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) **14.40, 15.05** ღამის შოუ **16.03** სერ. **"დაბრუნება" 17.50, 19.03** სერ. **"უდანაშაულო" 20.50** სერ. **"სილა" 21.50** თოქ შოუ: ეკა ხოფერია **23.30** კონცერტი: **"დივა 2012"**.

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ.**"ერთგულების ქალა" 11.00** სერ.**"ბრაზილიის გამზირი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. **"სიყვარული და შურისძიება" 17.00** სერ. **"ნათია და ნათია" 18.50, 19.50** სერ.**"ტიტების დრო" 22.00** "ნანუკას შოუ" **00.00** მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა **01.30** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი **03.30** მხ/ფილმი (ტიტ.).

**06.10** დოკ/ფ "ყველაზე, ყველაზე" **06.55** დოკ/ფ "საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** ლექსით ქებათა ქება **10.40** ქრისტიანული ხელოვნება **10.15** ჩვენი ფონდი **11.30** მგზავრები წუთისოფლისა **12.10** ღია აუდიტორია **12.50** მოკ/ფ **"ბაკურხევე-ლი ხევსური" 13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** ეთნოგრაფიული ჩანახატი **15.45** კონცერტი- "ნადი" (ანჩისხატის გუნდი) **18.10** ქართული მულტფილმი **18.20** ერთი წვეთი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ **"მთვარის მოტაცება"** I სერ. **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ერთსულოვ-ნების ვერნისაჟი **21.30** ეპოქის სახელები **21.55** ფოტოგალერეა **22.25** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "მსახური ღვთისა და კაცისა" გაბრიელ ეპისკოპოსი **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

**7.00, 0.45, 2.30, 5.15** ახალი ამბები კოლაჟი **7.40** მულტფილმი სონიკ-ხ **7.55, 8.10, 9.15** მაღვიძარა **8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **10.15, 16.00 სერიალი "დაკარგული დრო"**(გამ) **12.50, 23.00, 3.15** თოქ-შოუ "არგუმენტები" **14.30** გადაცემა "პულსი" (გამ.) **18.25, 1.30, 6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი **19.00 სერიალი "მდუმარენი" 21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე"**.

## ხუთშაბათი 12 დეკემბერი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30** "დღეს" **14.00** მხ/ფ **"ქვირფასი მეგობრები" 17.00** ტ/სერ. **"სიყვარულის საიდუმლოებები" 18.00** ტ/სერ. **"ცხოვრებისეული რეცეპტი" 19.30** "ქართუ-ლი ჯარი" . **21.00** თოქ-შოუ: "პირველი სტუდია" (პ/ე) **22.30** ტ/სერ. **"მაფიოზი" 23.30** "უცნობი მუსიკა" **01.00** მხ/ფ **"კარგი გერმანელი"** (კ. ბლანშეტი).

**06.45** სერ. **"სიყვარული კონტრაქტით" 07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.35** ქრონიკა **10.05** სერ. **"ცივი გული" 11.20, 12.05** სერ. **"სიყვარულის საფრთხე" 12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) **14.40, 15.05** კაცების შოუ (გ/ჩ) **16.03** სერ. **"დაბრუნება" 17.50, 19.03** სერ. **"უდანაშაულო" 20.50** სერ. **"სილა" 21.50** ცეკვავენ ვარსკვლავები (პ/ე) **00.00** ქ/სერ. **"ჩვენი ამბავი" 01.00** მხ/ფ **"გამოსასყიდი"** (პ. ბროსნენი.)(ტიტ.).

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"ერთგულების ქალა" 11.00** სერ.**"ბრაზილიის გამზირი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. **"სიყვარული და შურისძიება" 17.00** სერ. **"ნათია და ნათია" 18.50, 19.50** სერ.**"ტიტების დრო" 22.00** პროფილი (**1** სარეკლამო ჭრა) **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი **03.30** მხ/ფილმი (ტიტ.).

**06.10** საგალობელი **06.15** დოკ/ფ "ყველაზე, ყველაზე" **07.00** დოკ/ფ "პირველად იყო სიტყვა" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **09.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.45** დოკ/ფ "მსახური ღვთისა და კაცისა" გაბრიელ ეპისკოპოსი **11.10** ქართული ალბომი **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ **"მთვარის მოტაცება"** I სერ. **13.30** "შუადღე" ერთსულოვ-ნებაზე **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "ველური ბუნება" **16.00** კონცერტი - "ერთად მოვუაროთ ხელნაწერებს" დათო ალადაშვილი **17.15** დოკ/ფ "სამი საქართველო" **17.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **18.10** ქართული მულ-ტფილმი **18.20** ერთი წვეთი **18.40** ძველი აღთქმის განმარტე-ბანი **19.20** მხ/ფ **"მთვარის მოტაცება"** II სერ. **20.40** ძილი ნებისა **21.10** "ერთსულოვნების სალონი" **22.25** დოკ/ფ "წმინდა მღვდელმოწამე აბიბოს ნეკრესელი" **22.45** კვირიაკეს სიუჟეტი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "დიდი ანდრიას ნაკვალევზე" **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

**7.00, 0.45, 2.30, 5.15** ახალი ამბები კოლაჟი **7.40** მულტფილმი სონიკ-ხ **7.55, 8.10, 9.15** მაღვიძარაქ **8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **10.15, 16.00 სერიალი "დაკარგული დრო"**(გამ) **12.50, 23.00, 3.15** თოქ-შოუ "არგუმენტები" **17.45, 21.30, 0.30, 5.00** "ყოველდღი-ური აბები" (გამ.) **18.25, 1.30, 6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **19.00 სერიალი "მდუმარენი" 21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე"**.

## პარასკევი 13 დეკემბერი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30** "დღეს" **14.00** მხ/ფ **"კუზიანი"** (ჟ.მარე) **17.00** ტ/სერ. **"სიყვარულის საიდუმლოებები" 18.00** ტ/სერ. **"ცხოვრებისეული რეცეპტი" 19.05** "შეხვედ-რები მცხეთაში" **21.00** თოქ-შოუ: "პირველი სტუდია" (პ/ე) **22.30** თოქ-შოუ: "არენა" (პ/ე) **23.30** "ახალი ქართული კინო" – მხ/ფ **"უშენოდ მგონი მოვკვდები" 00.30** მხ/ფ **"როგორ მოკლა მხდალმა რობერტ ფორდმა ჯესი ჯეიმსი"**.

**06.45** სერ. **"სიყვარული კონტრაქტით" 07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.35** ქრონიკა **10.05** სერ. **"ცივი გული" 11.20, 12.05** სერ. **"სიყვარულის საფრთხე" 12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) **14.40, 15.05** კულინარიული დუელი (გ/ჩ) **16.03** სერ. **"დაბრუნება" 17.50, 19.03** სერ. **"უდანაშაულო" 20.50** სერ. **"სილა" 21.50** თოქ შოუ – ღია ეთერი (პ/ე) **00.00** ქ/სერ. **"ჩვენი ამბავი" 01.00** მხ/ფ **"მეოთხე დონის კონტაქტი"** (მ.იოვოვიჩი.).

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"ერთგულების ქალა" 11.00** სერ.**"ბრაზილიის გამზირი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.00** კურიერი **16.00** სერ. **"სიყვარული და შურისძიება" 17.00** კომედი შოუ. **18.50, 19.50** სერ.**"ტიტების დრო" 20.50** ეროვნული ლატარია **22.00** პოზიცია **23.00** ვანოს შოუ **00.30** მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი.

**06.10** დოკ/ფ "ყველაზე, ყველაზე" **06.55** დოკ/ფ

"შორეულთა სიახლოვე" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.30** ეთნოგრაფია **10.45** დოკ/ფ "დიდი ანდრიას ნაკვალევზე" **11.25** ისტორიის გაკვეთილი **12.10** მხ/ფ **"მთვარის მოტაცება"** II სერ. **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ"ველური ბუნება" **15.55** კონცერტი -ანს. "მძლევარი" **17.00** კვირიაკე **18.10** ქართული მულტფილმი **18.20** ერთი წვეთი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ **"ნაზარის უკანასკნელი ლოცვა"** **20.40** ძილი ნებისა **21.10** დროის ჩანაწერები **22.25** მოგზაურობა სამშობლოში **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "წმინდა ანდრია მოციქული - ქრისტეს პირველი მქადაგებელი საქართველოში" **23.35** დოკ/ფ "წმინდა მეფე ვახტანგ გორგასალი" **23.55** შვიდგზის ლოცვა **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

**7.00, 0.45, 2.30, 5.15** ახალი ამბები კოლაჟი **7.40** მულტფილმი სონიკ-ხ **7.55, 8.10, 9.15** მაღვიძარა **8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **10.15, 16.00** **სერიალი "დაკარგული დრო"**(გამ) **12.50, 23.00, 3.15** თოქ-შოუ "არგუმენტები" **14.30** გადაცემა "პულსი" (გამ.) **17.45, 21.30, 0.30, 5.00** "ყოველდღიური აბები" (გამ.) **18.25, 1.30, 6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **19.00 სერიალი "მდუმარენი"** **21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.00, 3.15** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი".

## შაბათი 14 დეკემბერი

**08.00** დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" **09.00** საბ/ფ. "ჩარლი და შოკოლადის ფაბრიკა" **10.30** საბ. ან/სერ. **"ტატონკას თავგადასავალი"** **11.30** საბავშვო გადაცემა – "ყოჩაღების ქუჩაზე" **12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **12.30** I არხი წარმოგიდგენთ – კონცერტი: **1**) არჩილ კერესელიძე – **100"** **2**) სერგეი მანუკიანი **14.00 კალათბურთი**. სუპერლიგა.**"არმია"–"სოხუმი"** (პ/რ) **16.30** "გურმანია" **17.00** ტ/სერ. **"სიყვარულის საიდუმლოებები"** **18.00** ტ/სერ. **"ცხოვრებისეული რეცეპტი"** **19.00** "ეტალონი" **21.00** სოციალური თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" **22.30** "წითელი ზონა" **23.30** მხ/ფ **"ცემა-ტყეპა"** **01.20** დ/ფ"ბერლინი **1885** წელი იერიში აფრიკაზე".

**08.00** ან/ფ "მონსტრები და მეკობრეები'' მე–**8** სერ. **08.25** მხ/ფ **"სანელებლების პრინცესა"** **10.25** ეკოვიზია **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **11.15** ქ/სერ. **"ჩვენი ამბავი"** **12.45** სერ. **"ჰანა მონტანა"** **1414.30** ახალი ქართული ხმა **17.50, 19.05** სერ. **"უდანაშაულო"** **20.55** ფულთან თამაში **20.55** ფულთან თამაში **22.00** ქ/სერ.**"ჩვენი ამბავი"** **23.00** კაცების შოუ **00.00** მხ/ფ **"ედ ვუდი"** (ჯ. პარკერი.) **02.10** კონცერტი: **"დივა 2012"**.

**08.00** კურიერის დაიჯესტი **08.30** მხ/ფ **10.00** ეკი ვოკი **11.00** იღბლიანი ბორბალი **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** ბიზნეს კურიერი **14.00** შერეკილები. **15.30** "ნანუკას შოუ". (გ/ჩ) **18.50** გააცინე და მოიგე. **20.00** სერ. **"ნათია და ნათია"** **22.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"**. **23.00** რა? სად? როდის? **00.30** მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა გ/ჩ **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერი.

**06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** დოკ/ფ "პლანეტა დედამიწა" **07.35** მოგზაურობა სამშობლოში **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ჩვენი ფონდი **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.15, 19.00, 00.05, 22.00, 02.30** სიახლენი **10.40** ქართული მულტფილმი **10.55** კვირიაკე **12.10** მხ/ფ**"ნაზარის უკანასკნელი ლოცვა"** **13.20** დოკ/ფ "წმინდა ანდრია მოციქული - ქრისტეს პირველი მქადაგებელი საქართველოში" **13.40** ღია აუდიტორია **14.20** დოკ/ფ "წმინდა მეფე ვახტანგ გორგასალი" **14.45** საკვირაო სახარების განმარტება **15.05** ოპერა - **"სიყვარულის ნექტარი"** **17.30** დოკ/ფ"ველური ბუნება" **18.10** საქართველოს ქალაქები **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** გამოყენებითი ხელოვნება **19.35** ქართული ალბომი **20.00** "ერთსულოვნების სალონი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ქრისტიანული ხელოვნება **22.25** ჟურნალისტის დღიური **22.50** საკვირაო სახარების განმარტება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ქართული ხმები **00.35** დროის ჩანაწერები **01.25** მხ/ფ **"ვატერლოო"** I სერ.

**7.00, 0.00, 2.30, 5.00** ახალი ამბები კოლაჟი **7.40** ფარული კამერა **8.00** მულტფილმი ტარზანი **9.30, 11.00, 12.30, 15.30, 19.00 სერიალი "მდუმარენი"** (გამ.) **10.30** გადაცემა "პულსი" **11.55, 14.55, 17.55, 20.55** კვირის აზრები **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **21.45** **სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.00 სერიალი "სკანდალი"** **1.00, 3.00, 5.30** "კინო მაესტროზე".

## კვირა 15 დეკემბერი

**08.00** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" **08.30** საბ/ფ. "როგორ მივირთვათ შემწვარი ჭიანჭველები" **10.00** "ეტალონი" **11.00** საბ. ან/სერ. **"ტატონკას თავგადასავალი"** **12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **12.30** "ჩვენი ფერმა" **13.00** "სამოთხის ვაშლები" **14.00** ქართული მხ/ფ **"ხევსურული ბალადა"** **16.30** ქართული ტ/ფ **"სათავეებთან"** **17.00** "ჩემპიონთა ლიგის დღიური" **17.30** "ვაშინგტონი დღეს" **17.55 ფეხბურთი** საქართველოს ჩემპიონატი: **"დინამო" "თბილისი"** - **"ვიტჯორჯია"** (პ/ტრ) **20.30** "ტელებლოგი" **21.00** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **21.30** სპექტაკლი: **"იეთიმ გურჯი"** **00.00** მხ/ფ **"თმის ლაქი"** **02.00** დ/ფ"ზეთი სიამაყე".

**08.00** ან/ფ "მონსტრები და მეკობრეები" **08.25** მხ/ფ **"ჰანი დენიელსი"** **11.00, 14.00, 17.00, 19.00** ქრონიკა **11.15** ბასტი ბუბუ **12.00** ქ/სერ.**"ჩვენი ამბავი"** **13.00** კულინარიული დუელი **14.30** იმედის გმირები **15.00** მხ/ფ **"ერთი დღე ცხოვრებიდან"** **17.40, 19.05** ცეკვავენ ვარსკვლავები (გ/ჩ) **20.00** პანორამა **21.00** ღამის შოუ **22.00** ქ/სერ.**"ჩვენი ამბავი"** **23.00** რომ გადახვალ. გააჩერე **00.00** მხ/ფ **"ადრენალინი 2"** (ჯ.სტეტჰემი.).

**08.00** კურიერის დაიჯესტი **08.30** მხ/ფ **10.30** ვანოს შოუ **12.00, 15.00, 18.00, 03.00** კურიერი **12.30** გააცინე და მოიგე. **14.00** ეკი ვოკი. **15.30** ნიჭიერი - გ/ჩ **18.50** იღბლიანი ბორბალი **20.00** სერ. **"ნათია და ნათია"** **21.00** P.S. **22.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"**. **23.00** კომედი შოუ **00.30** მხ/ფ **03.00** კურიერი.

**06.10** დოკ/ფ"ველური ბუნება" **06.35** მულტფილმი **08.00** დილის ლოცვა **08.20** საკვირაო სახარების განმარტება **08.30** საქართველოს ქალაქები **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10** ისტორიის დღიური **10.15** სიახლენი **10.45** ქართული ხმები **11.30** ქართული ალბომი **12.10** მხ/ფ **"დიდედები და შვილიშვილები"** **13.20** გამოყენებითი ხელოვნება **13.30** ქრისტიანული ხელოვნება **14.10** ისტორიის გაკვეთილი **14.45** საკვირაო სახარების განმარტება **15.05, 18.05, 21.05, 00.15** პატრიარქის ქადაგება **15.30** მგზავრები წუთისოფლისა **16.00** ერთსულოვნების სალონი **16.55** საღვთისმეტყველო საუბრები **18.30** დროის ჩანაწერები **19.30** დოკ/ფ "წმინდა მღვდელმთავარი ისე წილკნელი" **19.40** დოკ/ფ "მარბენალი" **21.35** ლექსით ქებათა ქება **21.40** კვირიაკე **21.50** საკვირაო სახარების განმარტება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** გაცოცხლებული წარსული **00.10** საეკლესიო კალენდარი **00.35** ისტორიის დღიური **00.40** მხ/ფ**"ვატერლოო"** II სერ.

**7.00, 0.30, 2.30, 5.00** ახალი ამბები კოლაჟი **7.40** ფარული კამერა **8.00** მულტფილმი ტარზანი **9.30, 11.00, 12.30, 15.30, 19.00 სერიალი "მდუმარენი"** (გამ.) **10.30** გადაცემა "პულსი" **11.55, 14.55, 17.55, 20.55** კვირის აზრები **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **18.30, 0.00** "მონიტორი" ჟურნალისტური გამოძიება **21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.00 სერიალი "სკანდალი"** **1.00, 3.00, 5.30** "კინო მაესტროზე".

### ვერძი

კარგი დროა, კარიერაში წინსვლისთვის, პირად ცხოვრებაში ახალი ეტაპის დასაწყებად და მეტი სიამოვნების მისაღებად. მეტი ყურადღება მიაქციეთ საბუთებს. საყვარელ ადამიანს კი დროულად გაუმხილეთ პრეტენზიები, რათა შემდგომი გაუგებრობები აიცილოთ თავიდან.

### კურო

ნუ შეასრულებთ საქმეებს დამოუკიდებლად და ნუ იტყვით დახმარებაზე უარს. ინტუიციაზე დაყრდნობით გაგიადვილდებათ სწორი არჩევნის გაკეთება. ყოველთვის გამონახეთ დრო პირადი ცხოვრებისთვის და არ გაანაწყენოთ საყვარელი ადამიანი. ასევე, მეტი ყურადღება დაუთმეთ ჯანმრთელობას.

### ტყუპები

მოიმატებს ენერგიულობა და გაუმჯობესდება ჯანმრთელობის მდგომარეობა. ადვილად გაართმევთ თავს სირთულეებს. არ არის გამორიცხული, პირად ცხოვრებაში მიიღოთ გადაწყვეტილება და რადიკალური ცლილებები შეიტანოთ მასში. საყვარელი ადამიანი სიურპრიზებით გაგანებივრებთ.

### კირჩხიბი

ცხოვრებისეული გეგმების შეცვლით, მომავლის იმედი გაძლიერდება. სწრაფად და წარმატებით დაასრულებთ ძველ საქმეებს. მეტი ყურადღება მიაქციეთ ფინანსურ საბუთებს და ოფიციალურ დოკუმენტებს. რომანტიკულ ურთიერთობაში შესაძლოა, გაჩნდეს არასასიამოვნო გრძნობა, რაც შინაგან დაძაბულობას გაზრდის.

### ლომი

საქმიან პარტნიორებთან აქტიური თანამშრომლობა და მათი გამოცდილებისა და ფინანსების გამოყენება, საქმეში გაზრდის წარმატებების შანსს. გამოიყენეთ ამისთვის მთელი თქვენი ენერგია. ადვილად დაასრულებთ ძველ საქმეებს. ასევე, შესაძლოა, დაფიქრდეთ სასიყვარულო კავშირის გაოფიციალურობაზე.

### ქალწული

საკუთარი შესაძლებლობების გაცნობიერება დაგეხმარებათ, ადრე დაწყებული საქმეების წარმატებით დასრულებაში. ნუ გარისკავთ და მეტად ენდეთ ინტუიციას. ახალი საქმის დაწყება კი დროებით გადადეთ. არ გაგიჭირდებათ პრობლემების მოგვარების გზების მოძებნა. ერიდეთ შემთხვევით ნაცნობობას.

### სასწორი

საქმე სწრაფად და გულმოდგინეთ შეასრულეთ, რომ მისგან ფინანსური მოგება მიიღოთ. არ არის გამორიცხული, მიმდინარე მოვლენებმა, შეცვალოს თქვენი ცხოვრებისეული გეგმები. საყვარელ ადამიანთან კი მოგიწევთ გარკვეულ დათმობებზე წასვლა.

### მორიელი

გამოიყენეთ პირადი მომხიბვლელობა და ხმამაღლა გამოთქვით თქვენი სურვილები. ეცადეთ, სხვა ადამიანებს ზიანი არ მიაყენოთ. ნუ ეკამათებით ახლობლებს. თქვენზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორ წარიმართება ურთიერთობა საყვარელ ადამიანთან. აუცილებლად გამონახეთ დრო დასვენებისთვის, რათა ძალები აღიდგინოთ.

### მშვილდოსანი

ოპტიმისტური განწყობა შემოქმედებითი მუშაობისკენ გიბიძგებთ. უფრთხილდით რეპუტაციას და ნუ იკამათებთ თქვენი იდეებისა და აზრების დასამკვიდრებათ. მეტი დრო დაუთმეთ საჭირო კავშირების დამყარებას. ამ პერიოდში დაწყებული სასიყვარულო ურთიერთობა ხანმოკლე იქნება.

### თხის რქა

ნუ ანდობთ უცნობებს მნიშვნელოვან საქმეებს და ყურადღებით გადაამოწმეთ საბუთები. იყავით მიზანდასახული. დახმარებისთვის ხშირად მიმართეთ ოჯახის წევრებსა და მეგობრებს. კარგია დასვენება და ინტელექტუალური განვითარება.

### მერწყული

ენთუზიაზმი, კონტაქტურობა და ხშირი გადაადგილებები, არაერთი საქმის შესრულებაში დაგეხმარებათ. საყვარელი ადამიანი დიდ როლს შეასრულებს თქვენს ცხოვრებაში. მთავარია, მის გვერდით დაიცვათ წონასწორობა და ჰარმონიული მდგომარეობა. კარგია ახალი კონტაქტები.

### თევზები

თქვენ წინაშე დიდი შესაძლებლობები გადაიშლება და ბევრ საქმეს დაასრულებთ. გაგიადვილდებათ ნათესავებთან ურთიერთობის აღდგენა. არ არის გამორიცხული, სწორედ ამ პერიოდში გაიცნოთ ადამიანი, ვის მიმართაც დიდ სიყვარულს იგრძნობთ.

**ახალმთვარეობა – 3 დეკემბერი, 00 სთ: 20 წთ.**

## კვირის დღეების ასტროპროგნოზი

### ორშაბათი
### გეომაგნიტური დღე

ადვილად გადალახავთ ცხოვრებისეულ კრიზისს. მოიმატებს ემოცია. ნუ მოახვევთ თავს თქვენს პრობლემებს სხვებს. ატარეთ მწვანე, იისფერი, ვერცხლისფერი, ფირუზისფერი ან ლურჯი სამოსი; ქვებიდან კი – ამეთვისტო, შავი გიაცინტი, ალექსანდრიტი, მარჯანი ან მარგალიტი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. ნუ დაიწყებთ ახალ საქმეებს, საიდუმლო გარიგებებს. კარგია კაპიტალდაბანდება. სუსტდება ნერვული სისტემა, ტერფები, ენდოკრინული სისტემა.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის.***

### სამშაბათი
### გეომაგნიტური დღე

კარგია დამოუკიდებლად აზროვნება, მოლაპარაკებები, სწავლა და ინფორმაციის მიღება. იმოქმედეთ სწრაფად. ატარეთ მწვანე, იისფერი, ფირუზისფერი, ვერცხლისფერი ან ლურჯი სამოსი; ქვებიდან კი – გიშერი, ამეთვისტო, მარგალიტი, მარჯანი ან ალექსანდრიტი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. მოერიდეთ სასიყვარულო კავშირებს, საიდუმლო საქმეებს. კარგია მოგზაურობა, სამეცნიერო კვლევა, კაპიტალდაბანდება, შემოქმედებითი მუშაობა. სუსტდება ნერვული სისტემა, თვალები, ტერფები, თავი.

***პოზიტიური დღეა: ქალწულებისთვის, თევზებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის.***

### ოთხშაბათი

ნუ აჩქარდებით დასკვნების გამოტანის დროს. მშვიდად შეაფასეთ სიტუაციები. მეტი დრო დაუთმეთ ახლობლებს, ტრადიციების დაცვას. ატარეთ წითელი, შინდისფერი, ნარინჯისფერი, ყვითელი, ლურჯი ან ცისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ლალი, იაგუნდი, წითელი იასპი, ალმასი, ფირუზი ან საფირონი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. მოერიდეთ წესების დარღვევას, თმის შეჭრას, სტომატოლოგიური პროცედურების ჩატარებას, საფინანსო ოპერაციებს, კაპიტალდაბანდებას, კამათს. აკონტროლეთ ემოცია. სუსტდება თავი, თვალები, ცხვირი, გრძნობათა ორგანოები, ყურები.

***პოზიტიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის, მერწყულებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, თხის რქებისთვის.***

### ხუთშაბათი

იყავით ფრთხილი და წინდახედული, რომ შეცდომები არ დაუშვათ. ეცადეთ, შეინარჩუნოთ სულიერი სიმშვიდე. ნუ მისცემთ სხვებს საშუალებას, თქვენს საქმეებში ჩაერიონ. აკონტროლეთ აგრესია, სულსწრაფობა, ეგოიზმი, კამათისადმი ლტოლვა. ატარეთ წითელი, შინდისფერი, ნარინჯისფერი, ყვითელი, ლურჯი ან ცისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ლალი, იაგუნდი, სარდიონი, ალმასი, წითელი იაგუნდი ან ჰელიოტროპი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. მოერიდეთ სტომატოლოგიურ პროცედურებს, წესების დარღვევას, საფინანსო ოპერაციებს, კაპიტალდაბანდებებს, დიეტის დაწყებას, თმის შეჭრას. სუსტდება თავი, კბილები, ყურები, ცხვირი, თვალები.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის, თევზებისთვის.***

### პარასკევი
### გეომაგნიტური დღე

იყავით წინდახედული და კეთილშობილი. დაეხმარეთ სხვებს. ატარეთ ყვითელი, ყავისფერი, ლიმონისფერი, ცისფერი, ლურჯი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – აქატი, მალაქიტი, ონიქსი, ზურუხტი ან ფირუზი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს, რადგან დიდია მისი ახდენის ალბათობა. მოერიდეთ სულსწრაფ გადაწყვეტილებებს. კარგია სასიყვარულო კავშირები, ახალი ნაცნობობა, შემოქმედებითი მუშაობა, მოგზაურობა, უძრავი ქონების ყიდვა, ვაჭრობა. სუსტდება ყელი, ენდოკრინული სისტემა.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, თხის რქებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: ლომებისთვის, მერწყულებისთვის.***

### შაბათი
### გეომაგნიტური დღე

კარგია სულიერი განვითარება, ხელოვნებასთან კონტაქტი. ნუ იზარმაცებთ, იმუშავეთ შემოქმედებითად. მოერიდეთ სარისკო მოქმედებებს. ატარეთ ყავისფერი, ლიმონისფერი, მწვანე, ცისფერი ან ლურჯი სამოსი; ქვებიდან კი – აქატი, მარგალიტი, ზურმუხტი, მალაქიტი, ქრიზოპრაზი, ლაბრადორი ან რუხი ტოპაზი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია სასიყვარულო კავშირები, ახალი ნაცნობობა, გართობა, ვაჭრობა. სუსტდება ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი.

***პოზიტიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის, თევზებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, სასწორებისთვის, მშვილდოსნებისთვის.***

### კვირა

კარგია კონტაქტები, სხვების დახმარება, მოლაპარაკებები, სავაჭრო გარიგებები, სწავლა, ვარჯიშები. ნუ გადატვირთავთ ორგანიზმს. ატარეთ ნაცრისფერი, ნარინჯისფერი, ვერცხლისფერი, ოქროსფერი, კრემისფერი, ცისფერი ან იასამნისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ტოპაზი, აკვამარინი, ცირკონი, ჯესპილიტი ან სარდიონი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. არ ვარგა უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, სასიყვარულო კავშირები. კარგია მშენებლობა, მოგზაურობა. მაღალია მოტყუების ალბათობა. სუსტდება ფილტვები, ბრონქები, მხრები, ხელები.

***პოზიტიური დღეა: ლომებისთვის, მერწყულებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, თევზებისთვის.***

***გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემა, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.***

# როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

## აბულაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **აბულა**.

**აბულა** მკერვალთუფროსი მოიხსენიება 1635 წელს. **აბულაშვილი** მოიხსენიება სოფელ ენაგეთში: ერთ-ერთი გუჯარის მიხედვით, ბატონ დავით აბაშიშვილს ის მაცხოვრის ხატისთვის შეუწირავს. **აბულაშვილები** 1721 წლის აღწერის მასალებში არიან ყმებიც და აზნაურებიც. **აბულაშვილები** მეთექვსმეტე-მეჩვიდმეტე საუკუნეებში ცხოვრობდნენ ფშავის სოფელ შუაფხოშიც.

საქართველოში 1 178 **აბულაშვილი** ცხოვრობს: სიღნაღში – 403, თბილისში – 286, ახმეტაში – 142. არიან სხვაგანაც.

## აზატაშვილი

**აზატი** სპარსული სიტყვაა და „თავისუფალს“ ნიშნავს.

**აზატები** იყვნენ ირანში გაბატონებული საშუალო და წერილი მონათმფლობელები, რომლებიც ამ კლასის ყველაზე მრავალრიცხოვან სოციალურ ფენას წარმოადგენდნენ.

1721 წელს სოღაშენში, როსტომისა და გუგუნა ნამანგლეველიშვილების ყმად მოიხსენიება ბერი **აზატაშვილი**.

**აზატაშვილები** კოდაში მოიხსენიებიან 1817 წლიდან. თავად ზურაბ ორბელიანის გლეხებს შორის, სოფელ მუხათში, 1823 წლის აღწერაში მოიხსენიება სარქისა **აზატაშვილი**, იგივე ხატიაშვილი.

საქართველოში 101 **აზატაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 55, გურჯაანში – 44, თელავში – 2.

## არჩაია

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **არჩა**, რომელიც კოლხეთში ფართოდ იყო გავრცელებული.

**არჩა** საკუთარი სახელის – **არჩილის** კნინობითი ფორმა უნდა იყოს. **არჩილი** კი ძველი ქართული საკუთარი სახელია.

მსგავსი ფუძით ნაწარმოები გვარებია: **არჩავა, არჩვაძე, არჩვანიძე.**

1637-1660 წლების ისტორიულ დოკუმენტებში მოიხსენიება ბაბუშარა **არჩაია**.

საქართველოში 634 **არჩაია** ცხოვრობს: სენაკში – 176, თბილისში – 60, ქუთაისში – 50. არიან სხვაგანაც.

## ვაჩაძე

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ვაჩე, ვაჩა.**

ამავე ძირისაა გვარები: **ვაჩეიშვილი, ვაჩინაძე, ვაჩენიძე, ვაჩაბერიძე, ვაჩიბერიძე.**

1700 წელს მოიხსენიება ვინმე **ვაჩაძე.**

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი გვარი დამოუკიდებლადაა გაჩენილი, მათ ნათესაური კავშირი არ აქვთ კახეთის თავადურ გვართან – **ვაჩნაძესთან.**

საქართველოში 525 **ვაჩაძე** ცხოვრობს: თბილისში – 195, ამბროლაურში – 124, ქუთაისში – 71. არიან სხვაგანაც.

## ყელბერაშვილი

გვარის ფუძეა მეტსახელი **ყელბერა**.

გადმოცემით, ეს სახელი შეურქმევიათ კაცისთვის, რომელსაც ყელზე ჩიყვის ამონაზარდი ჰქონია. მისი გვარი კი მაისურაძე ყოფილა.

1721 წელს ღოუბანში მოიხსენიება იასე სოლოღაშვილის ყმა იესე **ყელბერაშვილი.**

„1818 წელს ღოუბნელი ბეჟანა **ყელბერაშვილი** ნათლავს ვაჟიშვილს, გლახას. მიმრქმელი იყო ნინია გერმანოზიშვილის მეუღლე მარიამი“.

საქართველოში 345 **ყელბერაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 176, თეთრი წყაროში – 130, რუსთავში – 22. არიან სხვაგანაც.

## ჭვინტიაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ჭვინტია.**

„ერტისელმა **ჭვინტიაშვილმა** 1820 წელს იქორწინა კუმისელი იმერლის, კილოსანის ბერის ასულ ნინოზე. თავსმდებნი ყოფილან კეთილშობილნი: ფრანგისტან თურქესტანოვი და ერტისში მცხოვრები პეტრე ყორღელიძე“.

საქართველოში 25 **ჭვინტიაშვილი** ცხოვრობს: გარდაბანში – 13, თბილისში – 2, მარნეულში – 2. არიან სხვაგანაც.

## ჭაბუკაშვილი-ჭაბუკაძე

გვარის ფუძეა ახალგაზრდა კაცის, ვაჟის მნიშვნელობის მქონე სიტყვა – **ჭაბუკი**, რომელიც შემდგომში საკუთარ სახელად იქცა. ამან




დაუდო სათავე გვარს – **ჭაბუკაშვილი**.

1568 წლის ყმისა და მამულის წყალობის წიგნში, რომელიც სოლომონ მეფეს ანდერმან და სხვა ჩოლოყაშვილებისთვის მიუცია, მოხსენიებულია **ჭაბუკა** ჩხენკელი.

მეჩვიდმეტე საუკუნის პირველ ნახევარში ამილღაბარ გოსტაბაშვილის ყმების ნუსხაში მოიხსენიება შერმაზანა **ჭაბუკაშვილი**.

ამავე ძირისაა გვარები **ჭაბუკაძე** და **ჭაბუკიანი**.

საქართველოში 130 **ჭაბუკაშვილი** ცხოვრობს: ქარელში – 46, ახმეტაში – 33, თბილისში – 23. არიან სხვაგანაც;

24 **ჭაბუკაძე**;

970 **ჭაბუკიანი**.

## ცუცუნაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ცუცუნი.**

**ცუცუნაშვილი** გიორგი მოიხსენიება 1738 წელს თავდახსნილობის წიგნში მოწმედ, რომელიც მებატონე ზაზა სოლოღაშვილმა მისცა ბადლუა და ბერელა ზურაბიშვილებს.

საქართველოში 175 **ცუცუნაშვილი** ცხოვრობს: კასპში – 88, თბილისში – 60, თელავში – 19. არიან სხვაგანაც.

## ლარაძე

გვარის ფუძეა სიტყვა **ლარი**, რომელიც ქართულში სხვადასხვა მნიშვნელობით გვხვდება.

**„ლარაძე** – ციციშვილთა აზნაურიშვილი. შაჰნავაზმა იმერეთში გადახვეწილ ციცი ციციშვილს დაბრუნების პირობა მისცა“.

აზნაურიშვილი **ლარაძე** მოიხსენიება საციციანოს ყმების ნუსხაში; ხვედურეთში მას ორი კომლი ყმა ჰყავდა, ლუოვისხევში – შვიდი, ბისში – სამი, თხილნარში – ოთხი, იფუნევში კი – ერთი.

1721 წლის აღწერით, პაატა **ლარაძე** იყო მებატონე. მას ყმები ჰყავდა ყარაბულაღში.

სწორედ პაატა **ლარაძისგან** მომდინარეობს გვარი პაატაშვილი, ზურაბ **ლარაძისგან** – ზურაბიშვილი, ბიძინა **ლარაძისგან** – ბიძინაშვილი.

ამავე ძირისაა გვარი **ლარაშვილი**.

საქართველოში 46 **ლარაძე** ცხოვრობს: თბილისში – 41, ყვარელში – 5.

## გურჯიშვილი-გურჯიძე

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **გურჯი.**

**გურჯი** თურქული სიტყვაა და ქართულად დაუმორჩილებელს ნიშნავს.

1819 წელს **გურჯიშვილი** სოფელ წინწყაროში მოიხსენიება.

ეს სახელი თურქებმა ქართველებს შეარქვეს.

სოფელ წინწყაროში მცხოვრები **გურჯიშვილები** ბერძნებად აღიარეს და გვარი **გურჯიევად** გადაუკეთეს. ასევე, ზოგი ქართველიშვილი ჯერ გურჯიშვილებად, შემდეგ კი **გურჯიევებად** ჩაწერეს. თურქეთში გადასახლებული ბერძენიშვილებიც **გურჯიევებად** მონათლეს.

ამავე ძირისაა გვარი **გურჯიძე.**

საქართველოში 70 **გურჯიშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 34, ბოლნისში – 17, ხაშურში – 9. არიან სხვაგანაც.

## გრიგორაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **გრიგოლი**. აქედანაა ნაწარმოები გვარები: **გრიგოლია, გრიგოლაია, გრიგოლავა.**

1823 წელს პატარა ენაგეთში მოიხსენიებიან სოლომონ **გრიგორაშვილი**, მისი მეუღლე და შვილები.

საქართველოში 96 **გრიგორაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 61, ქუთაისში – 12, ბორჯომში – 4. არიან სხვაგანაც.

## ჩადუნაშვილი

**ჩადუნაშვილისა** და **ჩადუნელის** გვართან დაკავშირებით მკვლევარი ილია მაისურაძე წერდა: „სავარაუდოა, ეს გვარი მომდინარეობდეს დასახლებული პუნქტის სახელიდან და სადაურობის აღმნიშვნელი სიტყვიდან იყოს გვარად ქცეული. **სადუნა** მცენარეა, ის გვიმრის ერთ-ერთი სახეობაა. თუმცა, ამას ეწინააღმდეგება **ჩადუნაშვილის** ეტიმოლოგიის კვლევის შედეგები, რომლის მიხედვით, **ჩადუნა** საკუთარი სახელი უნდა იყოს.”

1823 წელს, კაპიტან გიორგი ბარათოვის გლეხებად დიდ ენაგეთში მოიხსენიებიან ბეჟანა და გიგა **ჩადუნაშვილები.**

1873 წლის აღწერაში მოიხსენიებიან იაკობ და ივანე **ჩადუნაშვილები.**

საქართველოში 56 **ჩადუნაშვილი** ცხოვრობს: თეთრი წყაროში – 34, რუსთავში – 15, თბილისში – 7.

3 578 **ჩადუნელი**: ბორჯომში – 898, ხაშურში – 767, თბილისში – 672. არიან სხვაგანაც.

**აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის მასალების მიხედვით მოამზადა ნონა დათეშიძემ**

**სამბო, ძიუდო და, ზოგადად, ჭიდაობის ესა თუ ის სახეობა ქართული ხასიათის გამოვლინებაა, ვაჟკაცური სპორტია, სადაც ქართველები ყოველთვის აღწევდნენ წარმატებებს. განსაკუთრებით ბევრი ჩემპიონია სამბოში, რომელსაც საქართველოში, სამწუხაროდ, არცთუ დიდი ყურადღება ექცევა და სპორტსმენებიც ხშირად სამბოდან ძიუდოში „გადაბარგდებიან“ ხოლმე ძიუდოს ოლიმპიურობის გამო. მაგრამ, არიან ფანატიკოსები – ადამიანები, ვინც ყოველდღიურად შრომობენ იმისთვის, რომ საქართველოს რაც შეიძლება მეტი სახელოვანი სპორტსმენი ჰყავდეს. წელს, პეტერბურგში გამართული მსოფლიო ჩემპიონატიდან (სამბოში) ბევრი მედლით დავბრუნდით.**

# ვინ ექცეოდა ქართველ მსოფლიოს ჩემპიონს სამბოში უსამართლოდ და რატომ გულშემატკივრობდა რუსი მაყურებელი ქართველ სპორტსმენს

**ჯონდო მუზაშვილი** ***(ნაკრების მთავარი მწვრთნელი):*** მსოფლიო ჩემპიონატი სამბოში, როგორც ჭიდაობის სხვა სახეობებში, ყოველ წელს ტარდება. ამჯერად, იქიდან გამომდინარე, რომ სამბოს დაარსების 75 წლის იუბილე იყო და სამბოს სამშობლო რუსეთია, მსოფლიო ჩემპიონატი სანკტ-პეტერბურგში ჩატარდა. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი, ვლადიმირ პუტინი, როგორც სპორტის ეროვნულ სახეობას ისე პატრონობს სამბოსა და ძიუდოს და, შესაბამისად, არავის გაჰკვირვებია, რომ საიუბილეო დღეს ჩემპიონატი რუსეთში ჩატარდა.

**– ხელოვნური პრობლემები ხომ არ შექმნილა ვიზებთან დაკავშირებით, თუნდაც იმის გამო, რომ ძლიერი ქართველი სპორტსმენები ჩემპიონატზე არ მოხვედრილიყვნენ?**

– არა, მსგავსი არაფერი ყოფილა. სამბოსთან დაკავშირებით სხვა დროსაც მსგავსი არასდროს არაფერი მომხდარა. პირიქით, 2008 წელს, ომის შემდეგ, ნოემბერში, (21-25 ნოემბერს იყო ჩემპიონატი), გვეხვეწებოდნენ, ჩამოდითო, მაგრამ, ჩვენ არ წავედით. საქართველოს ნაკრები ცხრა სპორტსმენით ჩავიდა პეტერბურგში, მოტივირებული და განწყობილი იმისთვის, რომ ბევრი მედალი წამოეღო. სამი შეკრება გავიარეთ, კარგად მომზადებულები ვიყავით. ორი შეკრების ფული გვქონდა, არადა, სამი არის აუცილებელი მინიმუმი, რის გარეშეც ჩემპიონატზე მოუმზადებლები ჩავიდოდით. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ოლიმპიურ კომიტეტს, რომელმაც მესამე, ძალიან მნიშვნელოვანი შეკრება დაგვიფინანსა, პირველი ორი კი – სპორტის სამინისტრომ.

**– იქ რა სიტუაცია დაგხვდათ, ვინ იყო თქვენი რეალური კონკურენტი?**

– ტრადიციულად, ჩვენი ძირითადი კონკურენტები რუსები არიან, თუმცა, ძლიერი სპორტსმენები ჰყავთ ბელორუსებს, აზიელებს, მონღოლებს. ეს თემები უფრო კარგად ავთომ და სხვა მწვრთნელებმა იციან, მე ათი წელი საბერძნეთში ვცხოვრობდი, იქაურ „მამლუქებს“ ვწვრთნიდი. სამწუხაროდ, მათ იმ დროს მოუწიათ წასვლა, როცა საქართველოში სპორტისთვის არავის ეცალა და, ისინი, უბრალოდ, დაიკარგებოდნენ.

**– ლევან, მომიყევი შენი ჩემპიონობის შესახებ; ვიცი, ბევრი რამ გადაგხდა.**

**ლევან ნახუცრიშვილი** ***(მსოფლიოს ჩემპიონი):*** საბრძოლო განწყობით ვიყავით თავიდანვე. წავედით იმისთვის, რომ, რაც შეიძლება მეტი ოქრო ჩამოგვეტანა. ხუთი ორთაბრძოლა მქონდა, აქედან, გამორჩეული და გადამწყვეტი იყო ერთი ბრძოლა რუს სპორსტემენთან, რასაც დიდი გაუგებრობები მოჰყვა. მსაჯები ჩემ მიმართ არაობიექტურად იყვნენ განწყობილნი, მაგრამ, გულშემატკივრების დახმარებით, შევძელით, რომ მათ არაობიექტურობას მოვრეოდით.

**ჯონდო მუზაშვილი**: ეს ინციდენტი ცალკე უნდა აღინიშნოს. პუტინი ჩემპიონატის გახსნას ესწრებოდა და შემდეგ უკვე – დაჯილდოებას. ის დღე იყო, როდესაც ლევანმა იასპარეზა. პუტინის პატივისცემის ნიშნად, როგორც ჩანს, უნდოდათ გამარჯვება რუს სპორტსმენს მოეპოვებინა. ლევანი და რუსი ერთმანეთს ფინალში გადასასვლელ ეტაპზე შეხვდნენ. წარმოიდგინეთ, როგორ არ უნდოდათ, რომ პუტინი საქართველოს ჰიმნზე ფეხზე წამომდგარიყო და მედალი ქართველი სპორტსმენისთვის ჩამოეკიდათ.



**ლევანი: „პუტინი ჩემი დაჯილდოების შემდეგ შემოვიდა, მგონია, რომ ეს გამიზნულად მოხდა“**

**ავთო ცინცაძე** ***(ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი):*** ეს არ არის ჩვენი სუბიექტური აზრი და ამას იმიტომ არ ვყვებით, რომ ქართველები ვართ, იქ თვითონ რუსმა გულშემატკივრებმაც ისეთი ამბავი ატეხეს, რომ მათი ძალისხმევით შეცვალეს მსაჯებმა თავიანთი გადაწყვეტილება.

**ლევანი**: შეხვედრის დასრულებამდე ხუთი წამი იყო დარჩენილი, როდესაც მსაჯებმა ბრძოლა გააჩერეს და მოითხოვეს ერთი წუთის წინ გაკეთებული ილეთის გაპროტესტება და ვიდეოში მისი გადახვევა. გადახვევები, ზოგადად, ხდება, მაგრამ, მაშინვე.

**ჯონდო**: ყველანი იქ ვისხედით ამ ილეთის გაკეთების დროს, თვითონ რუსების მწვრთნელსაც არ გამოუხატავს არანაირი პრეტენზია, არც ერთ მსაჯს არაფერი დაუფიქსირებია. უბრალოდ, ხუთი წამით ადრე, როცა მიხვდნენ, რომ ლევანი უკვე გამარჯვებული იყო, გადაწყვიტეს, ქულა რუსისთვის მიეცათ.

**ლევანი**: ხუთ წამში ხელის მოკიდებასაც ველარ მოვასწრებდი. ქულის მისთვის მიცემა ნიშნავდა, რომ ბრძოლა წაგებული იყო.

**ავთო**: საშინელი ამბავი ატყდა დარბაზში, მაყურელი აყაყანდა, მსაჯებს წყლით სავსე ბოთლების სროლა დაუწყეს.

**ლევანი**: ბოლოს, სადავო ილეთი დიდ ეკრანზე გაუშვეს, ისე, რომ მაყურებელსაც ენახა. შეხვედრა თითქმის ათი წუთით გაჩერდა. დიდი აურზაური იყო. ყველა დარწმუნდა, რომ არაობიექტურობას ჰქონდა ადგილი.

**– ესე იგი, მთავარ მსაჯს გადაწყვეტილება შეაცვლევინეს.**

**ჯონდო**: დიახ. ამდენი წელია, სპორტში ვარ და ასეთი რამე მართლა არ მინახავს – ასეთი აშკარა მიკერძოება და მაყურებლის ასეთი აქტიურობა. სასწაული ამბავი ატყდა და პროტესტმა შედეგი გამოიღო.

**ავთო**: ქართველი ემიგრანტებისა და რუსი გულშემატკივრის დამსახურება იყო, რომ ლევანს ის ბრძოლა ძალით არ წააგებინეს.

**– ლევანმა, ალბათ, ძალიან ინერვიულა.**

**ჯონდო**: რა თქმა უნდა, ეს ძალიან მძიმეა სპორტსმენისთვის. აღსანიშნავია, რომ ლევანმა შეძლო ის, რომ ასეთი ინციდენტის მერე მაინც ღირსეულად გამოვიდა ფინალში და მოიგო ჩემპიონატი. ფსიქოლოგიურად რთულია განეწყო ფინალური ორთაბრძოლისთვის, როცა მსაჯები შენ მიმართ ასე არიან განწყობილნი. ძალიან მაგარი ბიჭია, ნამდვილი ჩემპიონი და, დაამტკიცა, რომ მსოფლიოს ჩემპიონობას იმსახურებდა.

**– ჩემპიონის ტიტული მხოლოდ შეჯიბრების მოგება არ არის, ეს ცხოვრების წესია.**

– ჩვენი სახეობა ვაჟკაცური სპორტია, მაგრამ, საბრძოლო ხელოვნების გარდა, კიდევ ბევრი რამ გჭირდება: უნდა გქონდეს ნებისყოფა, დისციპლინა, მომზადება, ფსიქოლოგიური გამძლეობა.

**– დაჯილდოების მომენტში, ალბათ, ძალიან ამაყი იყავი.**

**ლევანი**: ეს ყველაზე ამაღელვებელი მომენტია. ძალიან სასიამოვნოა, როდესაც კვარცხლბეკზე ყველაზე მაღლა დგახარ და შენი ქვეყნის ჰიმნს უკრავენ, თან – რუსეთში.

**– მედალი პუტინმა დაგკიდა?**

– არ შემოვიდა. „დააგვიანა“ და ჩემი დაჯილდოების შემდეგ შემოვიდა.

**ჯონდო**: არ ვიცი, არა მგონია, ეს დამთხვევა იყოს. რაღა მაინცდამაინც ლევანის დაჯილდოების შემდეგ გამოჩნდა? უბრალოდ, არ შემოვიდა.

**– კახა, შენ ბრინჯაოს მედალი მოიპოვე, ხომ?**

**კახა მამულაშვილი** ***(ბრინჯაოს მედლის მფლობელი):*** დიახ, ასეა, მაგრამ, არ ვარ კმაყოფილი, აშკარად მეტის გაკეთება შეიძლება და ეს უბრალო სიტყვები არ არის, რადგან, მოწინააღმდეგესთან, ვისთანაც დავმარცხდი, ზუსტად ექვსჯერ მაქვს მოგებული და ბოლოს – სულ რაღაც ერთი თვის წინ. საწყენია. ალბათ, უფრო განწყობის ბრალი იყო ეს წაგება. შემდეგ მე „გამიყოლა“, ის ფინალში გავიდა და მე ყველა ჩემი დანარჩენი ბრძოლა მოვიგე.

**ჯონდო**: აღსანიშნავია, რომ წაგების შემდეგ ძალიან რთულია ბრძოლა, მაგრამ, კახამ ძალიან დაძაბულ ბრძოლებში ღირსეული გამარჯვებები მოიპოვა. იმ სპორტსმენზეც უნ-

**(გაგრძელება 51-ე გვერდზე)**

# როგორ ძარცვავდა შემნახველ სალაროებს ცნობილი მძარცველის – „ქორის“ ბანდა

### გაქცევა

1974 წლის 1 იანვარს, ნოვოროსიისკის წინასწარი დაკავების საკნიდან („კაპეზე“) 36 წლის მურმან იონას ძე აბულაძე გაიქცა, რომელიც ერთი კვირის წინ, ძებნილობისას, სწორედ ნოვოროსიისკში დააკავეს და თბილისში საექსტრადიციოდ ამზადებდნენ. მურმან აბულაძე რეციდივისტი იყო. მესამე სასჯელს ინკასატორის ძარცვისთვის იხდიდა რუსთვის კოლონიაში და სწორედ იქიდან გაიქცა. ნოვოროსიისკში კი ის რესტორანში აიყვანეს, სადაც იქ ქალთან ერთად იმყოფებოდა, მაგრამ, ერთ-ერთმა კლიენტმა იცნო და მილიციას შეატყობინა. ინკასატორის ძარცვისთვის აბულაძეს 12 წელი ჰქონდა მისჯილი. მან და მისმა ორმა მეგობარმა ინკასატორი და მძღოლი „შეაყენეს,“ 32 ათასი მანეთი წაართვეს და მიიმალნენ. მაგრამ, მათ მძღოლს ავარია მოუვიდა – სიჩქარეში მილიციის საპატრულო მანქანას შეასკდნენ და გაქცევა ვეღარ მოასწრეს – იქვე დააპატიმრეს. მურმან აბულაძეს შავ სამყაროში „ქორს“ უწოდებდნენ, რადგან ის ქორივით მოულოდნელად ესხმოდა თავს ინკასატორებს და სანამ ისინი აზრზე მოსვლას მოასწრებდნენ, უმალვე უჩინარდებოდა. ასეთივე მოულოდნელად გაქცევა იცოდა მან ციხიდანაც. უკვე ოთხჯერ იყო გაქცეული და, ამიტომ, მის დოსიეში ხაზგასმით ეწერა: „საჭიროებს განსაკუთრებულ ყურადღებას, რადგან, გაქცევისკენაა მიდრეკილი“.

1 იანვარს, სალამოს, „პახმელიაზე“ მყოფი მთელი ნოვოროსიისკის მილიციის პირადი შემადგენლობა და ქალაქის გარნიზონი დააყენეს ფეხზე განსაკუთრებით საშიში დამნაშავის მოსაძებნად, თუმცა, ნამთვრალევი მდევრების ყველა ძალისხმევა ამაო აღმოჩნდა და ქორის კვალს ვერავინ მიაგნო.

### ჩვეულ სტილში

საკავშირო ძებნილ მურმან აბულაძეს, იგივე „ქორს“, ყველგან ინტენსიურად ეძებდნენ, მაგრამ მისი მოხელთება არ ხერხდებოდა. ძებნის სამსახურს საგულდაგულოდ ჰქონდა შესწავლილი მისი ყველა ძველი თუ ახალი და სავარაუდო კავშირი, ამიტომ, მას რამდენიმე ადგილას ჩასაფრებაც კი მოუწყვეს, თუმცა, უშედეგოდ. გაქცევიდან სამი თვის შემდეგ, 1974 წლის 2 აპრილს, ოთხი შეიარაღებული პირი ქალაქ კისლოვოდსკში დაესხა თავს ინკასატორსა და მის მძღოლს, 60 ათასი მანეთი გასტაცა და მიიმალა. თავდასხმა ყოველგვარი გართულების გარეშე დასრულდა და არავინ დაზარალებულა. მძღოლმა და ინკასატორმა კი ვერც ერთი თავდამსხმელის გარეგნობა ვერ აღწერეს და მოსკოვიდან სპეციალურად ჩამოსული ოპერჯგუფის უფროსს უთხრეს:

– ყველაფერი ისე ელვისებურად მოხდა, მათი სახეების დანახვა კი არა, რამის გაფიქრებაც კი ვერ მოვასწარით.

მოსკოვის სპეცჯგუფის უფროსი, მაიორი თემურ ჯაში, კარგად იცნობდა აბულაძის მუშაობის სტილს და გაძარცვულებს მიუგო:

– ესე იგი, ქორი და მისი კოლეგები იყვნენ – ასე ელვისებურად მხოლოდ აბულაძე მოქმედებს. ის ჩვეულ სტილს არ ღალატობს და თავის ამპლუაშია.

თემურ ჯაში ყოველთვის „კუდზე აჯდა“ ქორის ბანდას და ისინი მას მხოლოდ ნახევარი ნაბიჯით ასწრებდნენ ხოლმე. კისლოვოდსკის მერე ქორმა და მისმა მეგობრებმა კიდევ

> **სანამ მილიციელი გონს მოვიდოდა, „ქორმა“ წვერ-ულვაში მოიხსნა და მას ცნობილ მსახიობად წარუდგა**

ორი ძარცვა მოაწყვეს კიევსა და ბაქოში და, 27 და 64 ათასი მანეთი გაიტაცეს. როგორც პირველ შემთხვევაში, დანარჩენი ძარცვებიც უნაკლოდ იყო შესრულებული. ჯაში მოსკოვში დაიბარეს და შეახურეს...

### სახალხო არტისტი

ქორის ძებნა გაათკეცდა და მილიციელებს მეტი სიფხიზლისკენ მოუწოდეს. 1974 წლის 16 სექტემბერს მურმან აბულაძე და მისი სამი მეგობარი ქალაქ სოჭში იმყოფებოდნენ და მორიგი საქმისთვის ემზადებოდნენ – მათ სოჭის რკინიგზის სადგურის თანამშრომელთა ხელფასი უნდა გაეტაცათ, რაც, საქმის მიმცემის თქმით, 100 ათას მანეთზე მეტი უნდა ყოფილიყო. ქორმა იცოდა, რომ მისი სურათები მთელ საბჭოთა კავშირში იყო გაკრული და გრიმით დადიოდა: მან თავზე პარიკი დაიხურა, წვერ-ულვაში გაიკეთა, სათვალე მორირგო და ამგვარად გადაადგილდებოდა. დღის 13 საათი სრულდებოდა. მძარცველები წინასწარ შეთანხმებულ ადგილებზე იდგნენ და ინკასატორის გამოჩენას ელოდნენ. ქორის ქამარში „სტეჩკინის“ სისტემის პისტოლეტი ჰქონდა გარჭობილი და სტარტზე იყო. მოულოდნელად მას სოჭის სადგურის მორიგე მილიციელი მიუახლოვდა, ყურადღებით შეათვალიერა და უთხრა:

– მოქალაქევ, სათვალე მოიხსენით და თქვენი საბუთები მიჩვენეთ!

ქორი არ დაიბნა, სათვალე მოიხსნა და მილიციელს უთხრა:

– მიცანით, ხომ? მოკლედ, როლში შესვლას არ გაცლიან და მოსვენებას არ მოგცემენ, სანამ ავტოგრაფს არ ჩამოგართმევენ. ავტოგრაფი გსურთ?

მილიციელი ისე დაიბნა, რომ საბუთები ალარ მოუთხოვია, აბულაძემ კი მას გონზე მოსვლა არ აცალა, წვერ-ულვაში მოიძრო და უთხრა:

– საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ვიაჩესლავ ტიხონოვი. „გაზაფხულის 17 გაელვება“ გინახავთ?

– მაპატიეთ, ამხანაგო შტირლიც! – მილიციელმა მხედრული სალამი მისცა ქორს, გაუღიმა და პატრულირება განაგრძო.

### გამარჯობა, მე ვარ ქორი...

სოჭის ვაგზლის თანამშრომელთა ხელფასები – 110 ათასი მანეთი, მძარცველებმა მილიციელთა თვალწინ წაიღეს და მიიმალნენ. თემურ ჯაში ცოფებს ყრიდა და პირველად იმ მორიგე მილიციელს დაეტაკა, რომელსაც ქორი შტირლიცი ეგონა...

– მე მაგას ვუჩვენებ სეირს! – ამბობდა ჯაში, რომელსაც რამდენიმე ადგილას მახე ჰქონდა დაგებული და, სჯეროდა, რომ ერთ-ერთ მათგანში ქორი აუცილებლად გაებმებოდა.

1974 წლის 30 ოქტომბერს ქორი და მისი მეგობრები მოსკოვის №9 შემნახველი სალაროს ორ თანამშრომელს ვერნადსკის ჩიხში დაესხნენ თავს და ფულით სავსე ჩანთა წაართვეს. თუმცა, შორს გაქცევა ვერ მოასწრეს – როგორც კი მანქანაში ჩახტნენ, მათ მილიციის ოპერჯგუფმა შემოარტყა ალყა, მეგაფონიდან კი გაისმა:

– ქორო, დაგვნებდი და იარაღი დაყარეთ, თორემ, თქვენი ლიკვიდაცია გვაქვს ნაბრძანები!

მცირე პაუზის შემდეგ მეგაფონში უკვე ქართულად გაისმა:

– აბულაძე! მე მაიორი ჯაში ვარ და სისხლს ნუ დაგვალვრევინებ. გარწმუნებ, ხაფანგში ხართ – ამ დღისთვის უკვე ერთი წელია, ვემზადებოდი.

ქორი და მისი მეგობრები უიარაღოდ გადმოვიდნენ მანქანებიდან და მილიციას ჩაბარდნენ. თუმცა, ერთი კვირის მერე, სასამართლოდან ტრანსპორტირებისას, ქორი საბადრაგო მანქანიდან გაიქცა და ისე მიიმალა, რომ მის კვალს ვერავინ მიაგნო. ექვსი თვის შემდეგ მოსკოვში მცხოვრებ მილიციის მაიორ თემურ ჯაშს წერილი მიუვიდა სახლში, რომელშიც ეწერა: „გამარჯობა, მე ვარ ქორი. ახლა ისე შორს ვარ, რომ საბჭოთა მილიცია ვერ მომწვდება. მშვიდობით“.

მურმან აბულაძე 1999 წელს გარდაიცვალა თურქეთის ქალაქ რიზეში...

**ნიკა ლაშაური**



# რატომ მალავდა მკვლელობის ერთადერთი მოწმე ინტიმურ კავშირს დედის მკვლელთან

34 წლის მალხაზ ლ-შვილი სამართალდამცველებმა საკუთარ სახლში დააკავეს. მას მძიმე დანაშაული – 56 წლის ნაზი ა-შვილის მკვლელობა ედებოდა ბრალად, რაც სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით, განზრახ მკვლელობად დაკვალიფიცირდა. რატომ მოკლა მა-



მაკაცმა ქალი, რომელიც მისი მეგობრის დედა იყო, გამოძიებისთვის მოგვიანებით გახდა ცნობილი.

ოპერატიული ინფორმაცია მკვლელობის შესახებ შესაბამის სამსახურში შემთხვევის ადგილიდან შევიდა. ბინაში, რომელიც გარდაცვლილი ქალბატონის კუთვნილება იყო, ოპერატიულად მისულ სამართალდამცველებს მძიმე სურათი დახვდათ – ქალბატონი, რომელსაც ყელის არეში დანით მიყენებული ორი ჭრილობა აღენიშნებოდა, უკვე გარდაცვლილი იყო. ოთახი ბრძოლის ველს ჰგავდა, მაგიდაზე არყის ბოთლი და დამტვრეული ჭურჭელი ეყარა. ოთახში ყველაფერი მიყრილ-მოყრილი და სისხლით იყო მოსვრილი. როგორც ჩანდა, კონფლიქტი ქეიფს მოჰყვა, თუმცა ვინ ქეიფობდა ოჯახში, სადაც მხოლოდ სამი ქალი ცხოვრობდა, უცნობი იყო. შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდნენ გარდაცვლილის შვილი – მარინა ა-შვილი და მცირეწლოვანი შვილიშვილი, რომელთაც მომხადრის შესახებ გამოძიებას პირველი ინფორმაცია მიაწოდეს. მარინა ა-შვილის განცხადებით, ნაზი ა-შვილი მათი ოჯახის ახლობელმა მალხაზ ლ-შვილმა მოკლა. ამონაწერი მოწმის ჩვენებიდან: „მალხაზ ლ-შვილს დიდი ხანია ვიცნობ. ის ჩემი ძმის კლასელია და ბავშვობაში ახლო ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან. ერთხანს მას ჩემს ძმასთან ერთად საერთო ბიზნესიც ჰქონდა – რამდენიმე წელი ხის საამქროს ამუშავებდნენ. ამ ბიზნესის შედეგად საკმაოდ დიდი ვალი დაედოთ, რის გამოც, ერთმანეთი საბოლოოდ დაკარგეს. ჩვენ შორეული ნათესავებიც ვართ. დედაჩემი რამდენჯერმე შეეცადა მეგობრების შერიგებას, მაგრამ არაფერი გამოვიდა. მალხაზი ჩემს ძმას – დათოს ბიზნესში ჩადებულ ფულს სთხოვდა, რასაც ჩემი ძმა ვერ უხდიდა. დათო საბერძნეთში წავიდა სამუშაოდ. ამის შემდეგ ამ თემაზე მალხაზი ხმას აღარ იღებდა. მკვლელობამდე რამდენიმე დღით ადრე, მას დედაჩემთან კონფლიქტი მოუვიდა. ძალიან იჩხუბეს, მალხაზი დედას ხელითაც კი შეეხო. საერთოდ, მალხაზს ძალიან ცუდი, პათოლოგიური სიმთვრალე ჰქონდა და ამის შესახებ სოფელში ყველამ კარგად იცოდა. დედა გავამტყუნე კიდეც. რომ ნახე ნასვამი იყო, თავი რატომ არ აარიდე-მეთქი. მაგრამ, დედაჩემს ისეთი ხასიათი ჰქონდა, თავადაც არაფერზე დაიხევდა უკან.”

როგორც გამოძიებისთვის გახდა ცნობილი, მამაკაცისა და მისი მეგობრის დედის კონფლიქტის მიზეზი ფინანსური დაპირისპირება არ ყოფილა, რომელიც მალხაზ ლ-შვილს ნაზი ა-აშვილის შვილთან ჰქონდა. მიზეზი, რომლის შესახებაც გარდაცვლილის შვილს გამოძიებასთან არ უსაუბრია, სამართალდამცველებისთვის სხვა წყაროებიდან გახდა ცნობილი. მკვლელის და გარდაცვლილის საერთო ახლობლების განცხადებით, ნაზი ა-შვილი დამუქრებული იყო, რომ მამაკაცს ოჯახს დაუნგრევდა, რადგანაც წლების წინ, საკუთარი ქალიშვილის ოჯახის დანგრევაში მალხაზ ლ-შვილს ადანაშაულებდა. ჩემს ქალიშვილს თავგზა აუბნია, ოჯახი დაატოვებინა და მერე ცოლად არ მოიყვანაო, – ასე იყო გახმაურებული ეს ამბავი მთელ სოფელში. ქალს მალხაზ ლ-შვილიც ემუქრებოდა – თავს თუ არ დაანებებს ჩემი ცოლისთვის ჭორების მიტანას, ერთ დღეს აუცილებლად ვცემო, ასე აფრთხილებდა ის ნაზი ა-შვილის მეზობლებს. მოკლედ, დაპირისპირების მიზეზი იყო წარსულში არსებული სასიყვარულო ურთიერთობები, რომელიც მალხაზ ლ-შვილს მეგობრის დასთან ჰქონდა. მას შემდეგ, რაც მათი ურთიერთობა არ შედგა, „ნაზი ა-შვილი მალხაზ ლ-შვილის ცოლს „დაუახლოვდა” და ათას ჭორს უყვებოდა ქმარზე, რომ მათი ოჯახური ცხოვრება აერ-დაერია“, – აცხადებდნენ გამოძიებასთან გარდაცვლილის მეზობლები.

რა მოხდა მკვლელობის დღეს ნაზი ა-შვილის ბინაში, ამის შესახებ მოგვიანებით გამოძიებას თავად გარდაცვლილის შვილმა უამბო, რომელიც მკვლელობის ერთადერთი მოწმე გახლდათ. „იმ დღეს, როცა მკვლელობა მოხდა, დედაჩემი სახლში არ უნდა მოსულიყო. დედა ტანსაცმლითა და საოჯახო წვრილმანებით ვაჭრობდა და მეზობელ სოფელში თავის დასთან იყო წასული. მალხაზთან ინტიმური ურთიერთობა მქონდა დედის მალულად, როგორც კი გავიგე, რომ დედა სხვასთან რჩებოდა, მალხაზს დავურეკე და შევთავაზე, რომ იმ ღამეს ჩვენთან დარჩენილიყო. ბავშვი უკვე დაძინებული მყავდა, როცა მალხაზი მოვიდა. ძალიან მთვრალი იყო და ცუდად მენიშნა ეს ამბავი. თან არაყიც მოაყოლა და დალევა გააგრძელა. უკვე გვაინი იყო, როცა მოულოდნელად დედამ შემოხსნა სახლის კარი, დეიდაჩემი არ დახვედროდა სოფელში და უკან დაბრუნებულიყო. როცა მალხაზი დაინახა, ყვირილი დაიწყო – შენ ჩემს სახლში რა გინდა, ჩემს შვილს სახელს უტეხ, ხვალვე შენს ცოლს გავაგებინებ ყველაფერსო. ხელჩართული ჩხუბი დაიწყეს, ხან ერთს ვაჩერებდი, ხან – მეორეს, მაგრამ ვერაფერს გავხდი. მალხაზი ნასვამი იყო, დედაჩემი – ძალიან გამწარებული. ხმამაღლა ვყვიროდი, გაჩერდით-მეთქი, მაგრამ არც ერთს არ ესმოდა ჩემი ხმა. უცებ დავინახე ჩემი შვილი, რომელიც ღია კარში იდგა და ყველაფერს საკუთარი თვალით ხედავდა. მოულოდნელად კი მალხაზმა ხელი კრა, დედა წაიქცა და საფეთქელი დაარტყა მაგიდის კიდეს. გულწასული იყო – მალხაზმა მაგიდიდან დანა აიღო და დედას ყელში დარტყა. ზურგიდან მივეპარე და თავში პატარა სკამი ჩავარტყი. უცებ ყელში მეცა და დახრჩობა დამიპირა. ალბათ, ვერც დავაღწევდი თავს, არ ვიცი, უცებ რამ გამოაფხიზლა – თავი დამანება და გაიქცა.“

სამართალდამცველებმა მალხაზ ლ-შვილი დააკავეს, მან ჩადენილი დანაშაული აღიარა და განაცხადა, რომ მკვლელობისკენ თავად ქალმა უბიძგა: „სულ მემუქრებოდა, რომ ოჯახს დამინგრევდა. ჩემს ცოლს ათასჯერ შეუთვალა, ქმარი გლალატობს და ჩემი შვილი მოჰყავს ცოლადო. ბევრჯერ გავაფრთხილე, მაგრამ არ დამიჯერა. იმ დღეს ძალიან ნასვამი ვიყავი და საკუთარ საქციელს ვერ ვაკონტროლებდი. როცა სახლში შემომისწრო, წასვლა დავაპირე, მაგრამ ჩხუბში გამომიწვია. დანა ინსტინქტურად მოვუქნიე, რომ თავი დამეცვაო, – განაცხადა მან დაკითხვაზე. თუმცა, მის მიერ ქალისთვის მიყენებული ორი სასიკვდილო ჭრილობა დანის ინსტინქტური მოქნევის შედეგი არ იყო. სასამართლომ არ გაიზიარა განსასჯელის ადვოკატის შუამდგომლობა, ორი მცირეწლოვანი ბავშვის მამისთვის სასჯელის შემსუბუქების თაობაზე და მალხაზ ლ-შვილს, მეგობრის დედის განზრახ მკვლელობისთვის 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

**ეკა ბარაბაძე**

## რა მოხდა ამ დღეს

### 9 დეკემბერი

1842 – ინგლისში გამოუშვეს პირველი საფოსტო ღია ბარათი.

1884 – ჩიკაგოელმა ლევინ რიჩარდსონმა დააპატენტა გორგოლაჭებიანი ციგურები (როლიკები).

### 10 დეკემბერი

1520 – მარტინ ლუთერმა საჯაროდ დაწვა პაპის ბულა, ამას მოჰყვა რეფორმაცია ევროპაში და რელიგიური ომები.

1901 – სტოკჰოლმში გაიმართა ნობელის პრემიით დაჯილდოების პირველი ცერემონიალი.

1953 – გამოვიდა ჟურნალ „ფლეიბოის“ პირველი ნომერი.

### 11 დეკემბერი

1866 – ჩატარდა პირველი იახტების შეჯიბრი (ატლანტის ოკეანის გადაცურვით).

1894 – პარიზში შედგა მსოფლიოში პირველი ავტოგამოფენა.

1936 – ტახტიდან გადადგა ინგლისის მეფე ედუარდ მერვე (მიზეზი „რომანი მდაბიო ქალთან“).

1981 – ლონდონში ყინვისგან დროებით გაჩერდა ბიგ-ბენის საათი (რაც არ მომხდარა 1858 წლიდან).

1994 – დაიწყო ჩეჩნეთის ომი.

### 12 დეკემბერი

1792 – ახალგაზრდა ლუდვიგ ვან ბეთხოვენი იოზეფ ჰაიდნის მოწაფე გახდა.

1901 – იტალიელმა გამომგონებელმა გულიელმო მარკონიმ ჩაატარა პირველი ტრანსატლანტიკური რადიოსეანსი.

1915 – პირველი ფრენა განახორციელა გერმანულმა ავიაგამანადგურებელმა „იუნკერსმა“.

1946 – პირველად გასაყიდად გამოვიდა სარეცხი საშუალება „ტაიდი“.

1979 – საბჭოთა ჯარები შევიდნენ ავღანეთში (მას მერე ამ ქვეყანას არ დაუსვენია).

### 13 დეკემბერი

1577 – დაიწყო ცნობილი მეკობრისა და ზღვაოსნის, ფრენსის დრეიკის მოგზაურობა დედამიწის გარშემო.

1642 – აბულ ტასმანმა აღმოაჩინა ახალი ზელანდია.

1769 – დაიწყო ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის პირველი საკონცერტო ტურნე, მაშინ ის 13 წლის იყო.

### 14 დეკემბერი

1900 – გერმანელმა ფიზიკოსმა მაქს პლანკმა პირველად წარმოსთქვა სიტყვა „კვანტი“ (ეს დღე ითვლება კვანტური ფიზიკის დაბადების დღედ).

1901 – ლონდონში ჩატარდა პირველი ტურნირი მაგიდის ჩოგბურთში.

1911 – ნორვეგიელმა მკვლევარმა რაულ ამუნდსენმა პირველმა მიაღწია სამხრეთ პოლუსს.

1918 – დიდ ბრიტანეთში ჩატარდა პირველი არჩევნები, სადაც ხმის უფლება ქალებსაც ჰქონდათ.

1947 – მადრიდში გაიხსნა საფეხბურთო სტადიონი „სანტიაგო ბერნაბეუ“.

### 15 დეკემბერი

1749 – დაარსდა ქალაქი დონის როსტოვი.

1840 – იმპერატორ ნაპოლეონის ნეშტი წმინდა ელენეს კუნძულიდან პარიზში გადმოასვენეს.

1939 – ატლანტაში გაიმართა პრემიერა ლეგენდარული ფილმისა „ქარწაღებულნი“.

1960 – იერუსალიმის სასამართლომ ფაშისტ დამნაშავეს ადოლფ აიხმანს სიკვდილით დასჯა მიუსაჯა.

# ვეტერინარის რჩევები

**კითხვა: რა უნდა იცოდეს პატრონმა ძაღლის კვებასთან დაკავშირებით ზამთარში?**

**პასუხი:** ზამთარში განსაკუთრებული ყურადღება კვების მხრივ ისეთ ძაღლებს უნდა მიექცეს, რომლებიც ცხოვრობენ ვოლიერის ან ეზოს პირობებში. ზამთარში ის დიდ ენერგიას ხარჯავს სხეულის გათბობაზე, ანუ, ის მიღებული საკვების გადამუშავებით გამოყოფილი ენერგიით თბება – საკუთარი ძალებიდან გასცემს ენერგიას თერმორეგულარიზაციისათვის. გასათვალისწინებელია ის, რომ ზამთარში ძაღლს 15 პროცენტით მეტი ენერგია სჭირდება გასათბობად, ვიდრე ზაფხულში. ასევე, გასათვალისწინებელია მისი მასაც, ანუ, რაც უფრო პატარაა ცხოველი, მით მეტ ენერგიას ხარჯავს გასათბობად. ყველა ძაღლს სხვადასხვანაირი კვება სჭირდება, გააჩნია, რა პირობებში იმყოფება ის. ყველა შემთხვევაში, ზამთრის დადგომასთან ერთად, ძაღლის კვების რაციონში აუცილებლად უნდა გავზარდოთ ცხიმის რაოდენობა. თუ ცხოველს სახლში ვუმზადებთ საკვებს, ცხიმის რაოდენობა უნდა გავუზარდოთ იმავე საკვებში, ეს არ უნდა მოხდეს ღორის ქონის ხარჯზე, რადგან, ის ძაღლისთვის მავნებელია.

**კითხვა: ალბათ, არსებობს ძაღლის ჯიშები, რომლებიც განსაკუთრებულ მოვლას საჭიროებენ ზამთრის პერიოდში. თუ შეიძლება, მომაწოდოთ მცირედი ინფორმაცია ამის შესახებ.**

**პასუხი:** ისეთი ჯიშებისთვის, რომლებიც წარმოშობით თბილი ქვეყნებიდან არიან, სასურველია, ზამთრისთვის შეურჩიოთ ტანსაცმელი – სვიტერი ან კომბინეზონი. უმჯობესი იქნება, თუ ტანსაცმელი სპეციალურად ძაღლისთვის იქნება შეკერილი – ამით დაიცავთ ცხოველს არა მარტო გარემოს დაბალი ტემპერატურის ზემოქმედებისაგან, არამედ, ტენიანობისგანაც და, თანაც, გაგიადვილდებათ გასეირნების შემდეგ ძაღლის გასუფთავება. თუ ის კარგად იტანს სიცივეს, გასეირნების შემდეგ აუცილებლად უნდა გაამშრალოთ მშრალი პირსახოცით. ასევე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს თათების მდგომარეობას: ბეწვი „თითებს" შორის აუცილებლად რეგულარულად უნდა გამოიკრიჭოს, რადგან, ის ილებს ნესტსა და ჭუჭყს, ეს კი ცუდად მოქმედებს თათების კანზე, რაც იწვევს მის ანთებას. არ დაგავიწყდეთ, რომ ყოველი გასეირნების შემდეგ ცხოველს კარგად უნდა ჩამობანოთ და გაუმშრალოთ თათები. თუ ძაღლი ვოლიერში გყავთ, აუცილებლად კარგად უნდა დაუთბოთ სამყოფელი და დაამუშაოთ პარაზიტების საწინააღმდეგო საშუალებებით, ოთახის პირობებში კი ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ, სადაც ძაღლი წევს არ იყოს ორპირი ქარი.

**კითხვა: ჩემი ძაღლი ახველებს. თავიდან ვიფიქრე, მეჩვენება-მეთქი, მაგრამ, მართლა ასეა. იქნებ, მითხრათ, როგორ მოვიქცე და რისი ბრალია ხველა?**

**პასუხი:** უპირველესად, გეტყვით, რომ ძაღლი აუცილებლად მიიყვანეთ ვეტერინართან, რომელიც გასინჯავს მას და სათანადო მკურნალობას ჩაუტარებს. ძაღლის ხველას ბევრი პატრონი ყურადღებას არ აქცევს, რაც სწორი არ არის. რეალურად კი ეს საკმაოდ ხშირი მიზეზია ვეტერინართან ვიზიტისა. ხველის მიზეზი შეიძლება იყოს სხვადასხვა – როგორც სასუნთქი სისტემის პათოლოგიები, ასევე, გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავდებები. მაგრამ, მაინც ხველის ძირითად მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს ზემო სასუნთქი გზების პათოლოგიები: ლარინგიტი, ლარინგო-ფარინგიტი, ტრაქეიტი, ტრაქეის სიმშრალე – კოლაფსი. ქვემო სასუნთქი გზების დაავადებები და ხველა დამახასიათებელია მწვავე და ქრონიკული ბრონქიტისთვის, ბრონქოპნევმონიისა და პნევმონიისათვის. ლარინგიტისა და ლარინგოფარინგიტისთვის დამახასიათებელია ხველება, სისუსტე, მადის დაქვეითება, რეგიონული ლიმფური კვანძების გადიდება, აფონია, ანუ, ხმის დაკარგვა. აღნიშნული დაავადება შეიძლება გამოწვეული იყოს სხვადასხვა სახის ინფექციური აგენტებით, ესენია: ადენოვირუსული ინფექცია და ტრაქეის მექანიკური გაღიზინება. მაგალითად, უცხო სხეულის მოხვედრა, ხანგრძლივი ყეფა, ცივი საკვების ან წყლის მიღება, მოჭერილი საყელო.



რუბრიკას უძღვება
ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი
ზაქრო ბაჯიაშვილი

> ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.
>
> **ჯეიმს დუგლასი**

**მოამზადა**
**მარიკა ხიდურელმა**

# ფლორის სამყაროში



რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის
მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბიწაძე

> ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.
>
> **გოეთე**

**კითხვა: რთულია თუ არა კლივიას გაზრდა და როგორ პირობებში ვამყოფო ის, რომ არ დაიღუპოს?**

**პასუხი:** კლივია ძალიან იოლად გასაზრდელი მცენარეა. ჩარგეთ ვიწრო ზომის ქოთანში და მორწყვისას წყალი ზემოდან არ დაასხათ. გირჩევთ, ქოთანი წყლიან ჭურჭელში ჩადგათ, რადგან, ქოთანში ჩაჭედილი მცენარის მორწყვა რთული იქნება. კლივიას მთელი წლის განმავლობაში სჭირდება სინათლე, მაგრამ, არამწველი მზე. მოსწონს ზაფხულში სიგრილე, დაახლოებით 18 გრადუსი ტემპერატურა, ზამთარში კი 7-8 გრადუსი. უყვარს რეგულარულად მორწყვა, რაც ხელს შეუწყობს თქვენი მცენარის ყვავილობას. სასურველია, რომ ნათელ სასტუმრო ოთახში დადგათ. დამატებითი მოვლა მცენარეს არ სჭირდება და, ამ პირობების გათვალისწინებით, ის შესანიშნავად გაიხარებს.

**კითხვა: რა სინათლესა და ტემპერატურაზე ვამყოფო ბეგონია?**

**პასუხი:** ბეგონიას კაშკაშა სინათლე უყვარს, ოღონდ, მზის გულზე ნუ დადგამთ. მისთვის კარგია სასტუმრო ოთახი. ზოგი სახეობის ბეგონიას სიმშრალესა და სიცხეში, შეიძლება, ფოთლებზე ობიც კი გაუჩნდეს. ამიტომ, მოარიდეთ ზედმეტ სიცხეს. ყველაზე უკეთ ის ოთახის ნორმალურ ტემპერატურაზე ხარობს – დაახლოებით 18-24 გრადუსზე.

**კითხვა: მაინტერესებს, იტანს თუ არა სიმშრალეს ბუგენვილია?**

**პასუხი:** მართალია, ამ მცენარეს არ სჭირდება ბევრი წყალი, მაგრამ, არც სიმშრალე უყვარს. ზაფხულში, ზრდის პერიოდში, ხშირად მორწყეთ, ზამთარში კი მიწა მხოლოდ ოდნავ დაატენიანეთ. მცენარეს ზაფხულის სითბო უყვარს, მაგრამ სიმშრალესა და სიცხეს ვერ იტანს.

**კითხვა: რა სიხშირით მოვრწყა ქრიზანთემა?**

**პასუხი:** ამ მცენარის მორწყვის დროს, აუცილებლად უნდა დაიცვათ ერთი წესი: წყალი პირდაპირ მიწაზე ისე უნდა დაასხათ, რომ ყვავილები და ფოთლები არ დაუსველოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქრიზანთემას ორივე დაულპება. ზაფხულობით მცენარეს რეგულარული მორწყვა სჭირდება, ოღონდ, ჭარბი წყალი არ მოგივიდეთ. ზამთარში კი მისი მიწა ოდნავ უნდა შეაშროთ და შედარებით იშვიათად მორწყათ.

**კითხვა: როგორ მოვუარო დიფენბახიას?**

**პასუხი:** დიფენბახია ზაფხულში სიცხეს უნდა მოარიდოთ და მიწა ხშირად დაუტენიანოთ. ზრდის პერიოდში მისი ნიადაგი მუდამ ტენიანი უნდა იყოს. ზამთარში შეგიძლიათ მორწყვის რაოდენობა შეამციროთ, რადგან, ამ დროს მცენარის ზრდა ნელდება, თუმცა, ეცადეთ, რომ ბოლომდე არ გამოშრეს მიწა. კარგია, თუ ნათელ ჰოლში ამყოფებთ, მის ქოთანს კი, სიცხის დროს, სველკენჭებიან ლანგარზე დადგამთ. მცენარისთვის ზამთრის მინიმალური ტემპერატურა 16 გრადუსია.

**კითხვა: როგორ იმოქმედებს მცენარეზე არასწორად შერჩეული ჭურჭელი და, საერთოდ, რის მიხედვით უნდა შევურჩიო მცენარეს ქოთანი?**

**პასუხი:** ქოთნის შერჩევისას უნდა გაითვალისწინოთ მცენარისა და ქოთნის პროპორციები, სიმაღლე, სიგანე, ფორმა და ფერი. დააკვირდით მცენარის ფოთლების ფერს და ესთეტიური სილამაზისთვის შეუხამეთ შესაბამისი ფერის ჭურჭელი. მნიშვნელოვანი გასათვალისწინებელია, მცენარის ზომა. თუ ქოთანი მომცრო ზომისაა, შესაბამისად ჭურჭელიც პატარა სჭირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლებელია დიდმა ქოთანმა პატარა მცენარეს დაუკარგოს სილამაზე და მისი ფოთლები გაუფუჭოს კიდეც. უმჯობესია, თუ მცენარეს თიხის ქოთანში ჩარგავთ

**კითხვა: შემიძლია თუ არა ზამთარში კალას გადარგვა?**

**პასუხი:** როდესაც კალას ნიადაგიდან ახალი ყლორტები ამოეწვერება, შეგიძლიათ, ის განაახლოთ და გადარგოთ შედარებით მოზრდილ ქოთანში. ნიადაგიდან ახალი ყლორტების ამოწვერვა ზამთარში ან ადრიან გაზაფხულზე ხდება. ასე რომ, დაელოდეთ ამ პროცესს და მხოლოდ ამის შემდეგ გადარგეთ.

**მოამზადა**
**თეონა გოზალიშვილმა**

# რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს



რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი მევლუდ მელაძე

კითხვა: **მყავს „ჰონდა სიარვი", 2004 წლის გამოშვება, მართვის მექანიკური კოლოფით. სურვილი მაქვს, კოლოფი შევცვალო და ავტომატური კოლოფი დავაყენო. იქნებ მითხრათ, არის თუ არა ეს შესაძლებელი და რა არის ამისთვის საჭირო?**

**პასუხი**: ეს ძალიან რთული პროცესია, თითქმის შეუძლებელი. ავტომატის მექანიკად გადაკეთება კიდევ შეიძლება, თუმცა ესეც ძალიან დიდ დროს და შრომას მოითხოვს. მექანიკის ავტომატიკაზე გადაკეთება იმდენი დაჯდება, რომ გირჩევნიათ, თქვენი ავტომობილი გაყიდოთ და ავტომატიკა იყიდოთ. როგორც არ უნდა იაფად გაყიდოთ, მაინც ბევრ დროს და ფულს დაზოგავთ.

> *ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
>
> მიხაილ შუმახერი

კითხვა: **შვიდი თვეა, რაც მართვის მოწმობა ავიღე. მყავს ავტომობილი „პაჯერო იო", 2000 წლის, ინგლისური პინინი, მართვის ავტომატური კოლოფით, 1.8-იანი ძრავით. საწვავად ვიყენებ „რომპეტროლის ეფიქსს", მანამდე „რომპეტროლის რეგულარზე" მუშაობდა. ავტომობილის რამდენიმესაათიანი დგომის შემდეგ, დაძვრისას ბიძგები აქვს. ხელოსანმა ინჟექტორები გაწმინდა, მაგრამ შედეგი არ არის. რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი? და კიდევ ერთი კითხვა – პარკინგიდან „დე-ში" შემიძლია თუ არა უცებ გადავიყვანო, თუ ეს ნელ-ნელა გავაკეთო?**

**პასუხი**: პასუხს ბოლოდან დავიწყებ. ერთი პოზიციიდან მეორეში გადართვა ჩვეულებრივ ტემპში უნდა მოხდეს, შენელებული გადართვა პირიქით, რეკომენდებული არ არის და უფრო ავნებს კოლოფს. ეს მხოლოდ პარკინგიდან „დეში" გადართვას არ ეხება, ყველა სიჩქარეზე ასეა. რაც შეეხება ბიძგებს, რადგან ის დიდი ხნის ჩამქრალ ავტომობილზე შეინიშნება, ეს ნიშნავს, რომ სისტემას ცივი ძრავა არ მოსწონს. ამას კი, შეიძლება რამდენიმე მიზეზი ჰქონდეს, მაგრამ ძირითადად, ეს გამოწვეულია სანთელის (სვეჩის) უვარგისობით, ან ძრავას ტემპერატურაზე კომპიუტერთან ინფორმაციის მიმწოდებელი სენსორის გაუმართაობით. ან კიდევ, ერთი – ელექტრონული „პადსოსის" გაუმართაობაც შეიძლება იყოს ამ ბიძგის მიზეზი. „რომპეტროლის ეფიქსი" კარგი საწვავია და ამ გაუმართაობის გამომწვევი მიზეზი არანაირად არ იქნება. გადამოწმებას მე მაინც სანთლებიდან დავიწყებდი, უფრო მეტი შანსია სწორედ ის იყოს დაზიანებული.

კითხვა: **იქნებ დამიხასიათოთ „ჯიპის" – „მაჰინდრა ბოლეროს" დადებითი და უარყოფითი მხარეები, რამდენად გამომდგარი ავტომობილია საქართველოში, იშოვება თუ არა მისი ნაწილები ან თუ არა სად შეიძლება მისი ნაწილების გამოწერა?**

**პასუხი**: ამ არჩევანს ვერ მოგიწონებთ, მით უმეტეს, საქართველოში. პირველი თაობის მოდელებს კიდევ არა უშავდა, რადგან „პეჟოს" დიზელის ძრავს იყენებდა. შესაბამისად, ძრავას დეტალებს მაინც იშოვიდა სადმე პატრონი. ამ ავტომობილის ორიგინალი დეტალების შოვნა ძალიან რთული, თითქმის შეუძლებელია. მაგრამ, აქვე მის ერთ პლუსსაც გავუსვამ ხაზს – ავტომობილს იმდენად პრიმიტიული კონსტრუქცია აქვს, რომ საქართველოში რაღაცას მაინც მოახერხებთ – გადააკეთ-გადმოაკეთებთ და რომელიმე სხვა მოდელის დეტალებს მოარგებთ. მთავარია, არ დაამტვრიოთ. კიდევ ერთი – სანამ სადაზღვევოებს ამ მარკის შესახებ ინფორმაცია არ აქვთ, შეგიძლიათ, ძალიან იაფად დააზღვიოთ.

კითხვა: **მყავს ინგლისური „ოპელ ასტრა გე", 2002 წლის გამოშვება, 1.8-იანი „ეკოტეკის" ტიპის ძრავით. დილით, ცივზე რომ დავქოქავ, საჭე გამაგრებულია. დაახლოებით 20-30 კილომეტრის გავლის შემდეგ კი, მანქანას ვქრობ-ვქოქავ და ის ჩვეულებრივად იწყებს მუშაობას. იქნებ დამეხმაროთ და ამიხსნათ, რისი ბრალი შეიძლება იყოს ეს? ზეთის შეცვლამ არ უშველა.**

**პასუხი**: რთულია გაუსინჯავად, უნახავად მიხვდე, რისი ბრალია – ზეთის საქაჩის თუ თვითონ საჭის მექანიზმის. მაგრამ, ფიზიკურად გადამოწმების შემდეგ დასკვნის გაკეთება საკმაოდ იოლი იქნება. ამიტომ გირჩევთ, მიმართოთ კვალიფიციურ ხელოსანს, რომელიც მხოლოდ ამ საქმითაა დაკავებული – ის მუშაობს დიღომში, საავადმყოფოებთან.

> **ჟურნალი „თბილისელები" გირჩევთ:**
>
> ** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*
>
> ** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*
>
> ** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*
>
> ** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*
>
> *გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*

**მოამზადა**
**სალომე გველესიანმა**

---

(47-ე გვერდიდან)

და ითქვას, ბელორუსიიდან არის, ევროპის ჩემპიონია და ახლა მსოფლიოს ჩემპიონიც გახდა. ძალიან ძლიერია, უბრალოდ, კახა ყოველთვის ახერხებდა მის დამარცხებას.

– **ვიცი, რომ სხვა წონით კატეგორიაშიც მოვიპოვეთ ოქროს მედალი.**

– დიახ, თელაველი ვახტანგ ჩიტრაშვილი ძალიან სტაბილური და კარგი სპორტსმენია, რომელსაც ყველაფერი აქვს იმისთვის, რომ ჩემპიონი იყოს. ყველა ბრძოლაზე ძალიან დამაჯერებლად, მოგებისთვის გადიოდა და, დაამტკიცა, რომ საუკეთესოა. ბუნებით, ხასიათითაა მსოფლიოს ჩემპიონი. თავმდაბალია, როგორც ყველა სპორტსმენი, მოკლედ, ყველანაირად კარგი ბიჭია.

– **ალბათ, ბიჭები პრემიებს მიიღებენ.**

– რა თქმა უნდა. მომავალი წლიდან „ქართუ ბანკის" მიერ დახმარებებიც დაენიშნება ყველა ქართველ ჩემპიონს. დიდი მადლობა მას ქართული სპორტის გვერდში დგომისთვის. ისიც მინდა აღვნიშნო, რომ, საქართველოს, სამბოს თუ არ ჩავთვლით, ბოლო რამდენიმე წელია, მსოფლიოს ჩემპიონი არ ჰყოლია, ოქროს მედალი არ მოუპოვებია. სამბოშიც იშვიათობაა ოქრო და, მით უმეტეს – სხვა სახეობებში. ორი მსოფლიოს ჩემპიონი ერთ ჩემპიონატზე, თან, ასეთი პატარა ქვეყნიდან – ძალიან დიდი იშვიათობაა.

## ვინ ექცეოდა ქართველ მსოფლიოს ჩემპიონს სამბოში უსამართლოდ და რატომ გულშემატკივრობდა რუსი მაყურებელი ქართველ სპორტსმენს

**ავთო**: ამ ჩემპიონატზე სამოცდათხუთმეტი ქვეყანა მონაწილეობდა, სულ ცხრა წონით კატეგორიაში და, ორი ოქრო ქართველებმა მოიპოვეს – ეს, მგონი, პატარა შედეგი არ არის. ჩვენს გამარჯვებაში ძალიან დიდი წვლილი შეიტანეს ექიმებმა: ოლიმპიური ნაკრების ექიმმა ზურაბ კახაბრიშვილმა და ჩვენი გუნდის პირადმა ექიმმა – გიორგი ქავთარაძემ. ორ სპორტსმენს მუხლის სერიოზული ტრავმები ჰქონდა და, არ ვიცი, რა გაუკეთეს ისეთი, რომ მუხლი საერთოდ არ გახსენებიათ.

**ჯონდო**: ლაშა გურული მინდა აღვნიშნო კიდევ, ჩვენი სპორტსმენი, რომელმაც 100 კილოგრამ წონით კატეგორიაში მეორე ადგილი მოიპოვა და, ასევე, ნოდარ მეტრეველი, რომელმაც მძიმე წონაში მოიპოვა მესამე ადგილი.

– **მძიმე წონა რამდენია?**

– ას კილოგრამზე მეტი.

**სალომე გველესიანი**



- ის ქვეყანა
- (.......) ნინიძე
- ჰიტლერი „(.....) კამპფი“ / ავანსი
- შუშა
- მზაკვარი
- სოფელი თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტში
- ალბანოს მომღერალი ცოლი
- ქალის გაქართულებული სახელი
- მუს. ტემპი
- გარეგნობა
- ფარაჯანოვის “აშიკ-(.......)“
- გრამატიკული კავშირი
- კატის გაგდება / დოლი
- რუსი მსახიობი კაცი
- მტრედისებრი ფრინველი
- დროშა არაბულად (იცით!)
- პოპულარული თანხმობა
- იხილე ფოტო
- უნგრეთის დედაქალაქის ნაწილი
- ქადრაკის ფიგურა
- ინდოეთის შტატი
- გრაფიკული ნიშანი
- პოლონეთის ქალაქი
- ერთიანი ნარდში
- ფილტვშია / სოკოს ნამალი
- ნიკოლოზი
- სირიის ქალაქი
- მანქანის ნაწილი
- ქვემოთ / ჩოჩქოლი
- ბერნარდ შოუს ყველაზე ცნობილი პიესა
- ფუქი
- ბეთჰოვენის ერთ-ერთი სონატის სახელი
- 4,444 კილომეტრი
- ტექნიკუმის წინ იყო
- გაგარინი
- რბილი ლითონი
- ეკრანი / პეპბერნი
- 16 ლიტრი
- ფულადი სახსრები
- მე-7
- ბევრი გვქონდეს ყველას
- მალაზია არის “(.......) პარი“
- წყნარი
- გერმანული ფოტოფირი
- პარიზშია / ბიბლიელი
- კონტინენტი / ღვთაებ. ხარი
- ვაქას სოფელი
- ახმეტის სოფელი
- ისტორ. მუზა / მათემ. ცნება
- სანთელი / თურქ. მანონი
- 0-დან 9-მდე
- დედამიწის გიგანტი
- ილიკო და.... / წყალსატევი
- (.....) პუპი
- გზა / პითონი
- პარფიუმერიის სითხე
- მარტო სიმღერა / რუსეთის მდინარე
- მდიდარი ბერძენი / ჭკუა არ არის
- შუამდინარეთ. უძვ. ქალაქი
- პუერტოს შემდეგ
- კავკასიონის აქეთ-იქით მდებარეობს
- გერმანიის ქალაქი
- ქალაქი სირიაში
- ქაოსი / ფილმის მეპატრონე
- სტალინი
- სამცხის მთავარი / ინკების ქვეყანა
- უსიტყვო თეატრი / სიმინდს აქვს
- ქვემოთ / აზრი
- გარეთ ატლასი
- ზოგი მოსწავლე ასეთია
- მუღანლო / სლავი (......)
- ესპანელი გიტარისტი
- ჰიტლერის საგარეო საქმეთა მინისტრი / აპოლონის ეპითეტი
- ჩეხეთშია (......) ვარი
- აფრიანი მანქანა / თანხმობა
- ძრავის სახურავი

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | 2 | | | | | | | | | | | | | | | |
| | 3 | | | | | 1 | 1 | | | 4 | 1 | | | 2 | 4 | | 4 | 5 | | 2 | 5 | 7 | | | | | | | |
| | 6 | 5 | 7 | 2 | 1 | 3 | 3 | 7 | | 4 | 6 | 7 | 6 | 3 | 4 | 4 | 4 | 3 | 6 | 2 | 1 | 1 | 12 | 5 | | 3 | | | |
| 19 | 2 | 6 | 3 | 7 | 6 | 6 | 6 | 4 | 11 | 1 | 1 | 4 | 5 | 1 | 1 | 7 | 1 | 1 | 5 | 4 | 1 | 1 | 1 | 6 | 1 | 5 | 6 | | |
| 2 | 3 | 4 | 5 | 5 | 6 | 6 | 7 | 7 | 6 | 4 | 3 | 3 | 2 | 2 | 1 | 2 | 2 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 3 | 10 | 2 | 6 | 14 | 25 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 3 | 5 | 11 | 7 |
| 5 | 3 | 9 | 2 | 4 |
| | 4 | 8 | 5 | 8 |
| 1 | 2 | 14 | 5 | 3 |
| 4 | 4 | 4 | 2 | 9 |
| 2 | 2 | 6 | 5 | 5 |
| | | 13 | 7 | 2 |
| | 8 | 3 | 3 | 9 |
| | 3 | 7 | 5 | 8 |
| | 10 | 7 | 3 | 3 |
| | 1 | 8 | 9 | 7 |
| | | 14 | 1 | 11 |
| 2 | 2 | 1 | 2 | 3 |
| | | 1 | 13 | 2 |
| | | 1 | 1 | 1 |
| | | 1 | 9 | 1 |
| | | 1 | 6 | 1 |
| | | 1 | 6 | 1 |
| | | 1 | 6 | 1 |
| | | | 7 | 1 |
| | | | 8 | 1 |
| | | | 8 | 1 |
| | | | 9 | 1 |
| | | | 9 | 1 |
| | | | 9 | 1 |

## სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

## ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2 | 7 | | 9 | 8 | | 6 | |
| 9 | | 6 | 4 | | | 8 | 1 | |
| | 5 | | 6 | | 7 | | 2 | |
| 2 | | 8 | 1 | | 6 | | 9 | |
| | 4 | | 9 | 7 | | 3 | | 6 |
| 3 | | 9 | | 8 | | 1 | | |
| | 1 | | 2 | | 9 | | 3 | 8 |
| 6 | | 3 | 7 | | 1 | 2 | | 9 |
| | 9 | 2 | | 4 | | 6 | 5 | 1 |

## რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | | 6 | | 9 | | 3 | 5 | |
| | 8 | | 2 | 6 | 3 | | | |
| 3 | | | | | 1 | | | 9 |
| | | | 3 | | | 7 | | |
| | | 8 | | | 9 | | | 6 |
| 2 | 6 | | | 1 | | 4 | | |
| | | 2 | | | 5 | | | 4 |
| | | | 6 | | | 5 | | 3 |
| 6 | | | 9 | | | | 7 | 1 |

# ისწავლეთ ხატვა ზალიკოსთან ერთად



1. ნახევრადოვალში ჩახატული სამკუთხედის ფორმით დაიწყეთ ტახის თავის ხატვა



2. მიახატეთ პირი და ეშვი



3. გამოკვეთეთ დინგი



4. მიახატეთ ყურები, ენა და თვალები



თაბუკაშვილის №36
ტელ.: 272 9191
ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია



5. ტახის თავს მიახატეთ ტანიც



6. დაასრულეთ ნახატი



7. გააფერადეთ

# იპოვეთ ათი განსხვავება





## როგორ უნდა მივიდნენ მეგობრები სასახლესთან



## ჩასვი ამოჭრილი ნახატი



# დათვი და მელა

## (იგავ-არაკი)

ერთხელ დათვი იკვეხნიდა:

– ქვეყნად ყველა ცხოველზე კაცთმოყვარე ვარ, მკვდარ კაცს არა ვჭამო.

მელამ გაიცინა და უთხრა:

– მკვდარი გეჭამა, არ აჯობ-ებდა ცოცხალი კაცის ჭამას-აო.

ეს არაკი გაიძვერებსა და ცრუებს კიცხავს.

## რიცხვრებუსი

,3,, ,,,,13, 10,, ,,3

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| ღვინისგან მზადდება | | მშობელი | | ხათრი |
| | | | | |
| ქართული არხი | | ყვავილი → | | |

# მზად ხართ ცვლილებებისთვის?!



*ვიღაცეებს მართლა უნდათ, ერთ დღეს ყველაფერი სუფთა ფურცლიდან დაიწყონ და საკუთარი ცხოვრება რადიკალურად შეცვალონ. თუ ასეთი ადამიანების რიცხვში ხართ, გაარკვიეთ, მზად ხართ ცვლილებებისთვის?*

**1. მიმოიხედეთ ირგვლივ, ხშირად ცვლით ბინაში ინტერიერს?**

ა) თითქმის არასდროს – 1 ქულა;

ბ) უმნიშვნელოდ ვცვლი წვრილმან დეტალებს – 2 ქულა;

გ) საკმაოდ ხშირად. ახლაც შევცვლიდი – 3 ქულა.

**2. წინასწარ გეგმავთ შვებულების დღეებს?**

ა) ვგეგმავ, მაგრამ ვერასოდეს ვასრულებ – 1 ქულა;

ბ) სურვილი მაქვს. სულ ეს არის – 2 ქულა;

გ) კი. რა თქმა უნდა – 3 ქულა.

**3. წახვალთ მეგობართან ერთად წვეულებაზე უცხო ადამიანის ბინაში?**

ა) არა, რა თქმა უნდა – 1 ქულა;

ბ) აუცილებლად – 2 ქულა;

გ) გააჩნია, რა განწყობა მექნება – 3 ქულა;

**4. სად მოძებნიდით ახალ პარტნიორს?**

ა) ნაცნობების წრეში – 1 ქულა;

ბ) არ ვიცი. არ მაქვს გამოცდილება – 2 ქულა,

გ) ალბათ, ინტერნეტში – 3 ქულა.

**5. სამსახურში ცვლილებებია. როგორი იქნება თქვენი რეაქცია?**

ა) ჩავერთვები აქტიურად – 1 ქულა;

ბ) ვინერვიულებ - 2 ქულა;

გ) თუ რაღაც ახალს შემომთავაზებენ, დავთანხმდები – 3 ქულა.

**6. შაბათს თუ კინოში წასვლას გადაწყვეტთ, როგორ ფილმს აირჩევთ?**

ა) მთავარია, ჰიტი იყოს – 1 ქულა;

ბ) გააჩნია, რა განწყობა მექნება – 2 ქულა;

გ) კინოში რა მინდა? სახლში დავისვენებ – 3 ქულა.

**7. გიყვართ ტექნიკის ახლით შეცვლა?**

ა) აუცილებლად. მიყვარს ასეთი ცვლილებები – 1 ქულა;

ბ) მეზარება, თორემ სურვილი მაქვს – 2 ქულა;

გ) თუ ფული მაქვს, რატომაც არა?! – 3 ქულა.

**8. სამსახურის შეცვლაზე გიფიქრიათ?**

ა) დიახ. ზოგჯერ – 1 ქულა;

ბ) არა – 2 ქულა;

გ) კი. მუდმივად ამაზე ვფიქრობ – 3 ქულა.

**9. აპირებთ, დაკავდეთ სპორტით, ფიტნესით?**

ა) სულ ვაპირებ და ვერ ვაკეთებ – 1 ქულა;

ბ) არა – 2 ქულა;

გ) დავაპირე და გავაკეთე კიდეც – 3 ქულა.

**10. „ზამჩეს ბუმია“ – იყიდით რამეს ამ სეზონზე თქვენთვის?**

ა) აუცილებლად – 1 ქულა;

ბ) თუ რამე მომეწონება, კი – 2 ქულა;

გ) ჯერ არ ვიცი. ამაზე არ მიფიქრია – 3 ქულა.

**დათვალეთ ქულები**

*10-15 ქულა: თქვენი ცხოვრება ჩვეულების ჯაჭვია. სიურპრიზები თქვენს თავს არ ხდება. ტრადიციული და თანმიმდევრული ხართ. აუცილებლად გჭირდებათ რაღაც სიახლე, მოწყენილობისგან რომ არ მოკვდეთ.*

*16-24 ქულა: ცვლილებების მიმართ სკეპტიკურად ხართ განწყობილი. თუმცა, ინტერესი მაინც გაქვთ. რისკზე ვერ მიდიხართ. პრინციპში, რაღაც ეტაპზე, ცვლილებებსაც განახორციელებთ.*

*25 ქულა და მეტი: მუდმივად მზად ხართ ცვლილებებისთვის. ამიტომაც, ღირებული ვერაფერი შექმენით. დროა, ტრადიციების აუცილებლობაც დაინახოთ და ხშირ გარისკვასაც თავი დაანებოთ. ყოველთვის არ გაგიმართლებთ.*

## ელიტური „პრივილეგია“

***ალბათ, გგონიათ, რომ კაციჭამიობა და ინცესტი მხოლოდ საშინელი, პათოლოგიური გადახრების მქონე მანიაკებისთვის არის დამახასიათებელი. მაგრამ, საკმაოდ ცივილიზებულ ადამიანებსაც ჩაუდენიათ ასეთი საქციელი, თანაც, ძლიერთა ამა ქვეყნისათა...***



დავიწყოთ სახელგანთქმული, ძველეგვიპტური პრინცესა ნეფერტიტისგან. ის თავისი ძმის, ეხნატონის ცოლი იყო. გაცილებით საინტერესო ისტორია შეემთხვა ფარაონ ტუტანხამონის მეუღლეს. ტუტანხამონი 18 წლის ასაკში გარდაიცვალა გაურკვეველი მიზეზით. ქვეყნის მმართველი გახდა ბიძამისი – აი. ფარაონის ტახტზე რომ ასულიყო, მას ცოლად ტუტანხამონის ქვრივი უნდა შეერთო. პრობლემა ის იყო, რომ ნორჩი ანხესუნამონი აის შვილიშვილი გახლდათ. საწყალი დედოფალი შეეცადა, წინ აღსდგომოდა ბაბუასთან ქორწინებას, თუმცა უშედეგოდ. ბაბუამ მაინც შეირთო შვილიშვილი და ოთხ წელიწადში გარდაიცვალა...

დედოფალი კლეოპატრა ჯერ კიდევ პატარა დაინიშნა თავის უმცროს ძმაზე, პტოლემეოს მეცამეტეზე. მაგრამ ქორწინება რეალურად ფიქტიური იყო. და-ძმას სძულდა ერთმანეთი და ცალ-ცალკე იბრძოდნენ ძალაუფლებისთვის. ამ ტიპის ქორწინების მიზანი იყო – მმართველის ძარღვებში ჭეშმარიტად მეფური სისხლის ჩქეფა და პრესტიჟულადაც მიაჩნდათ.

ძველ რომშიც დიდ ცოდვად არ ითვლებოდა ოჯახის წევრებსა და ახლო ნათესავებს შორის ქორწინება. კალიგულა დასთან ცხოვრობდა. ნერონი – საკუთარ დედასთან, აგრიპინა უმცროსთან.

ევროპაში შედარებით ცივილიზებულები იყვნენ. მათ ცოლებად დეიდაშვილები და ბიძაშვილები მოჰყავდათ.

ესპანეთის მეფე ფილიპე მეორე დაქორწინდა თავისი დის ქალიშვილზე, ხოლო მათმა შვილიშვილმა – შარლ მეორემ ცოლად შეირთო თავისი ნახევარდა. საცოდავი შარლი გონებრივად ჩამორჩენილი გახლდათ, სწორედ ამ ინცესტური კავშირის შედეგად.

## დრო ცვლის ნივთებს

სასწორი ფრიად საჭირო ნივთია. პირველი სასწორი, როგორც მოწყობილობა, ჩვენი წელთაღრიცხვით 79 წელს გაჩნდა. ის რკინისგან კუსტარული წესით იყო დამზადებული. ხელში ეჭირათ და შეიძლებოდა 5 კილოგრამი ტვირთის აწონა. სამშობლო იტალიაა.

1843 წელს გერმანიაში ტყვიისგან პირველი „თეფშებიანი“ დასადგმელი სასწორი ჩამოასხეს. შეიძლებოდა 7 კილოგრამამდე ტვირთის აწონა.

1965 წელს, მართალია, რკინის, მაგრამ მაინც მოდერნიზებული, პინებიანი სასწორი შეიქმნა საბჭოთა კავშირში – მძიმე, მაგრამ მაინც დახლისთვის განკუთვნილი. შესაძლებელი იყო 10 კილოგრამი ტვირთის აწონა.

2012 წელს – ანუ, ერთი წლის წინ, იაპონიამ სუპერმოდერნიზებული, მსუბუქი და ზუსტი სასწორი შექმნა. მასზე 15 კილოგრამის აწონა შეიძლება.

**გვერდი მოამზადა**
**ელენე წულუკიძემ**

# უწყინარი მოხელე

## სტენლი ელინი

მისტერ კესლერი უწყინარი, უპრეტენზიო კაცი გახლდათ. სამსახურიც ასეთი ჰქონდა: პატარა ოფისში, სადაც მარტო თვითონ იყო, მომხმარებლების პრეტენზიებს იხილავდა და მათ სამომხმარებლო ბაზარზე შემოსულ ახალ პროდუქტებსაც აცნობდა. ოფისსაც ასე ერქვა: „სიახლეები – კლიენტებისთვის“. ყოველ დილით ცოლი საუზმეს უმზადებდა და ეუბნებოდა, გამოსასვლელ დღეებში რომელ ნათესავთან იყვნენ სტუმრად მისასვლელი. მისტერ კესლერს ყველაზე მეტად ეს დღეები სძულდა, მაგრამ, ცოლის ხათრით ხმას ვერ იღებდა – როგორც უკვე გითხარით, უწყინარი და უპრეტენზიო კაცი იყო. უზარმაზარ შენობაშიც, სადაც თავის პატარა ოფისს ქირაობდა, არავის იცნობდა, გარდა ხანში შესული დარაჯისა. რობინი მას კორესპონდენციას ახვედრებდა ხოლმე. იმ დღესაც ყველაფერი ჩვეულებრივად იყო: საუზმეზე ცხელი ტოსტები და რძიანი ყავა მიირთვა. ცოლმა მექანიკურად ჰკითხა, დღეს მანქანა ხომ არ დაგჭირდება, საყიდლებზე მინდა გასვლაო და, როცა პასუხად უარი მიიღო, გაიღიმა. „შევროლე“ ავტოფარეხში იდგა. ოთხი წლის წინ შეიძინეს კესლერებმა საკმაოდ კარგ ფასად. კესლერს გატაცება ჰქონდა – თიხის ყულაბების ფერებით მოხატვა. ფარეხში მუდამ იდო ფუნჯები, საღებავები და გამხსნელი. სახლიდან ავტოფარეხის გავლით გავიდა. სამსახურამდე მეტროთი იმგზავრა და დარაჯისგან კორეპსონდენციის საკმაოდ მოზრდილი დასტაც მიიღო. წერილებთან ერთად, რამდენიმე გაზეთი და პატარა ყუთიც იყო. მისტერ კესლერი უბრალო, ოდნავ გაქუცული ავეჯით გაწყობილ ოთახში შევიდა. მაგიდასთან მოკალათდა და კორესპონდენციის გადარჩევას შეუდგა. წერილებს, ძირითადად, წაუკითხავად ხევდა და ურნაში ყრიდა, მხოლოდ ორი მათგანი გახსნა და ყურადღებით წაიკითხა. მერე მუყაოს კოლოფებს მიადგა, სათითაოდ გახსნა და იქიდან პატარ-პატარა სუვენირები ამოალაგა. „ბრელოკები“, კალმების ორიგინალური ჩასაწყობები, სამშვენისები... გადაარჩია და ნაწილი საწერი მაგიდის უჯრაში ჩაყარა. სულ ბოლოს გაზეთებს მიუბრუნდა – გადაათვალიერა, რამდენიმე სარეკლამო განცხადება ამოჭრა და შეინახა, გაზეთები კი ურნაში ჩაყრილ დახეულ წერილებს მიუმატა. ამ საქმიანობამ ორი საათი წაართვა. თორმეტი სრულდებოდა, როცა კმაყოფილმა მოიფშვნიტა ხელები. მერე პიჯაკი ჩაიცვა, დერეფანში გამოვიდა და ლიფტით ქვემოთ ჩავიდა. ხელში თავისი პატარა, განუყრელი ჩემოდანი ეჭირა.

– ლანჩზე მიდიხართ, მისტერ კესლერ? – ჰკითხა დარაჯმა.

– ჯერ დანტისტთან უნდა შევიარო. კბილი ამტკივდა. გუშინ ჩავეწერე კონსულტაციაზე, – უპასუხა კესლერმა.

– ჰო?! აქვე ერთი კარგი დანტისტია, გლივერი.

– ვიცი. სწორედ მასთან ვარ ჩაწერილი, – თავაზიანად გაუღიმა კესლერმა და შენობიდან გავიდა... რამდენიმე კვარტალი ფეხით იარა. გზადაგზა აფთიაქებში შედიოდა და დოლბანდის თითო ხვეულას ყიდულობდა. ბოლოს პაკეტში რვა ცალი დოლბანდი აღმოაჩნდა. „კოლამბუს სერკლზე“ მეტროში ჩავიდა და აღმოსავლეთ ბროდვეისკენ მიმავალ მატარებელში ჩაჯდა. მონტგომერ სთრითზე ამოვიდა და გზას ისევ ფეხით გაუყვა. დანიშნულების ადგილას რომ მივიდა, გაჩერდა და მიიხედ-მოიხედა. დიდ ტერიტორიაზე საწყობები იყო ჩამწკრივებული. ერთი ფერის, ჩაჟანგებული და ჩამუქებული შენობები საკმაოდ მოსაწყენ პეიზაჟს ქმნიდა. მისტერ კესლერმა ჯიბეში ხელი ჩაიყო და გასაღები ამოიღო. მესამე რიგში ერთ-ერთი საწყობის კარს მოარგო და მძიმე გასაღები საკეტში ნელა გადაატრიალა... საწყობი საკმაოდ მოზრდილი იყო, თუმცა, შიგნით საკმაოდ ბნელოდა... კარი მიხურა და ჩამრთველი მოძებნა. საწყობი სუსტი შუქით განათდა. მისტერ კესლერს იქაურობისთვის ყურადღება არ მიუქცევია. ჩემოდანი იატაკზე დადო, გახსნა და იუველირის სიზუსტით შეუდგა საქმიანობას. ჯერ ცხვირსახოცი ამოიღო და ჩამრთველი საგულდაგულოდ გაწმინდა... ჩემოდანში ბენზინით სავსე მუცელგაბერილი ბოთლი და მსხვილი სანთელი იდო; ასევე, ბასრპირიანი დანა... მისტერ კესლერმა დოლბანდები სათითაოდ ჩააწყო ბენზინიან ბოთლში და აცადა, სანამ თითოეული მათგანი კარგად გაიჟღინთებოდა. მერე გაშალა ისინი და მთელი საწყობი გარდიგარდმო ამ დოლბანდებით დაქსელა. როგორც ობობას ქსელი, ბინტების ბოლოები კი საწყობის შუაგულში დადებულ სანთელზე დააწყო, ზემოდან მეორე სანთელი დაადო და მჭიდროდ დაამაგრა. დარჩენილი სანთელი სანთებელათი გაადნო, იატაკზე რამდენიმე ადგილას დააწვეთა და აცადა, ოდნავ გამშრალიყო, მერე ჩემოდნიდან პატარა მენზურა ამოიღო, რომელშიც რაღაც ფხვნილი ეყარა და ეს ფხვნილი თანაბრად გადაანაწილა სანთლის ნაღვენთებზე. ამ საქმეს რომ მორჩა, აკურატულად ჩაალაგა ჩემოდანში დანა, ბენზინიანი ბოთლი, პაკეტი, რომელშიც დოლბანდები ეწყო და მენზურა... მერე დაიხარა, სანთელს მოუკიდა და გასასვლელისკენ ნელი ნაბიჯით დაიძრა. სინათლე ისევ ცხვირსახოცით ჩააქრო, კარი გაიხურა და ჩაკეტა, გასაღები კი ჯიბეში ჩაიდო და იქაურობას აუჩქარებლად გაშორდა. უკან იმავე გზით დაბრუნდა. არ დავიწყებია კონსულტაციაზე დანტისტთან შევლაც... ოფისში მისვლამდე დარიჩინიანი ფუნთუშები იყიდა, ერთი ცალი დარაჯს შესთავაზა, ოთახში შევიდა და დაელოდა... კბილი, რა თქმა უნდა, არ სტკიოდა. დანტისტმაც სწორედ ეს უთხრა, მაგრამ, კესლერისთვის ნაკლებად მნიშვნელოვანი იყო მისი სიტყვები. ორმოცი წუთის შემდეგ ტელეფონმა დარეკა.

– დააგვიანეთ, მისტერ ჰამლერ! – მკაცრი ხმით უთხრა მისტერ კესლერმა, – ყველაფერი ისეა, როგორც შევთანხმდით?

– დიახ, – ვინმე მისტერ ჰამლერს ხმაზე ეტყობოდა, რომ ნერვიულობდა, – ხანძარმა მოულოდნელად იფეთქა და იქაურობას ისე ელვის სისწრაფით მოედო, ორმა სახანძრო მანქანამაც ვერაფერი უშველა. ამ მხრივ ყველაფერი წესრიგშია, მაგრამ...

– რა – „მაგრამ,“ მისტერ ჰამლერ? თანხა ხომ არ გეძვირებათ?

– არა, არა... მეშინია, რომ, შეიძლება, ყველაფერი გაირკვეს და სადაზღვევო კომპანიამ პრობლემები შემიქმნას. გამოძიება რომ მოითხოვონ?

– მომისმინეთ, ჰამლერ... ეს საქმე პირველად ოცდაათი წლის წინ გავაკეთე ოჯახური პრინციპების გამო – მამაჩემის პრესტიჟი და ინტერესები დავიცავი და იდეალურად გამომივიდა... ჩემს ცოლსაც კი წარმოდგენა არა აქვს, რითი ვარ რეალურად დაკავებული. ეს მარტო ჩემი საიდუმლოა და, ამიტომაც, შეცდომა არც ერთხელ არ დამიშვია. მე პროფესიონალი ვარ, და ამ საქმეში ბადალი არ მყავს. იცით, რამდენი თქვენნაირი ბიზნესმენი მოსულა ჩემამდე?! ყველა დეტალი გათვლილი მაქვს, უმნიშვნელო წვრილმანებამდეც კი. ასე რომ, დამშვიდდით. სადაზღვევო კომპანია მთელ თანხას ისე გადაგიხდით, ოდნავაც არ დაეჭვდება, გამოძიებაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი.

– ჰო, მაგრამ, დღისით-მზისით მოხდა ხანძარი.

– ჰამლერ, დამშვიდდით, ყველაფერი კარგად არის და, რაც ნაკლებს ილაპარაკებთ, მით უკეთესი იქნება თქვენთვის.

– გავიგე. თქვენი ანაზღაურება საფოსტო ყუთში დაგხვდებათ. როგორც შევთანხმდით, ათას ხუთასი დოლარია.

– ძალიან კარგი. წარმატებებს გისურვებთ, – გაიღიმა მისტერ კესლერმა.

ლიფტიდან გამოსულ კესლერს დარაჯი მიეგება კონვერტით ხელში:

– აი, ახლახან ვნახე საფოსტო ყუთში, თქვენს სახელზეა. კბილი კიდევ გტკივათ?

მისტერ კესლერმა კონვერტი გამოართვა. მეორე ხელში ისევ პატარა ჩემოდანი ეჭირა.

– ამას ხვალ ვნახავ, – ამ სიტყვებით კონვერტი პიჯაკის ჯიბეში ჩაიდო და დარაჯს დაემშვიდობა, – ნახვამდის. კბილს რაც შეეხება, დანტისტი პროფესიონალი აღმოჩნდა – სრულებით აღარ მტკივა...

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძე**



# მხოლოდ ქალებისთვის

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „თბილისელები“ №48-49(675)

ანუკა გაოცებული დარჩა ქმრის საქციელით, მაგრამ, უფრო მეტად ნინიკოს დაბნეულობამ დააეჭვა:

„ნუთუ?.. არა, არა მგონია... თუმცა, რა ვიცი, რა არ ხდება“... – გაიფიქრა და გადაწყვიტა, ყველაფერი გაერკვია, ოღონდ, ისე, რომ გოგოები არაფერს მიმხვდარიყვნენ. სიგარეტი აილო, სავარძელში მოკალათდა და აბსოლუტურად ბუნებრივად განაგრძო გელას მოსვლის გამო შეწყვეტილი საუბარი. მარი დადარაჯებული ადევნებდა თვალს ანუკას, ანუკა კი ჩუმ-ჩუმად ნინიკოს აკვირდებოდა, რომელსაც მასპინძლის საქციელმა სიმშვიდე დაუბრუნა და იმდენი მოახერხა, რომ გაცივებული ყავა ხელის კანკალის გარეშე მოსვა და ერთი სირჩა ლიქიორიც დააყოლა სიმხნევისთვის.



– ერთს მეც მოვწევ და წავედით, თორემ, შემდეგ ლექციაზე დაგვაგვიანდება, – მარის მიუბრუნდა ნინიკო, – თანაც, ანუკას, ალბათ, საქმე აქვს. მთელ დღეს ხომ არ მოვაცდენთ...

– სულაც არ მაცდენთ. გელა უკვე წავიდა და გვიანობამდე არ მოვა, სადილს კი საღამოს მოვამზადებ. ნუ წუხხარ, ცოტა ხანს კიდევ იყავით, – ეს სიტყვები ისე გულითადად და მშვიდად იყო ნათქვამი, მარის გაუკვირდა კიდეც, ნუთუ ისე გამოაშტერა ამ კაცის სიყვარულმა ჩემი დეიდაშვილი, რომ ვერაფერი დაინახაო.

გოგოები ცოტა ხანს კიდევ დარჩნენ. ნახევარი ქალაქი გაჭორეს, ანუკას კიდევ მოსვლას შეჰპირდნენ, მადლობა გადაუხადეს და წავიდნენ.

მარტოდ დარჩენილი ანუკა უცებ მოეშვა და ხმამაღლა დაიწყო ტირილი.

„ნუთუ ამ ღლაპთან მღალატობს? არა, ამდენს ველარ გავუძლებ, ამ საღამოსვე გავარკვევ ყველაფერს!“

საღამოს მარის დაურეკა და თავისთან დაიბარა – რაღაც საქმე მაქვსო.

– ხვალ შუადღისთვის მოვალ, – შეჰპირდა მარი.

მარისთან ლაპარაკის შემდეგ გელამ დაურეკა – ამაღამ ვერ მოვალ და არ დამელოდოო. ერთი კი რეჩხი უყო გულმა. მაგრამ, მერე გაუხარდა კიდეც – ახლა მარტო ყოფნა ერჩია. მერე რაღაც მოიფიქრა და ისევ მარის დაურეკა – ამაღამ მარტო ვიქნები, ახლავე წამოდი და ღამით ჩემთან დარჩიო.

მარი ხვდებოდა, რატომაც იბარებდა ანუკა, მაგრამ, არ იცოდა, რა ეთქვა, როგორ მოქცეულიყო და, დროის მოგების მიზნით, უთხრა, ხომ იცი, ღამით სახლში რომ არ ვიყო, დეიდაშენს რა დაემართებაო. მაგრამ ანუკამ ეს გზაც მოუჭრა – თვითონ დაელაპარაკა დეიდამისს, ანუ მარის დედას და, ცხადია, თანხმობაც მაშინვე მიიღო.

– ტაქსით წამოდი, ფულს გადმოგიგდებ! – ჩასძახა ყურმილში ანუკამ და მარისთან სალაპარაკოდ მოემზადა.

ნახევარი საათის შემდეგ დეიდაშვილები სავარძლებში ისხდნენ და ერთმანეთს გამომცდელად უყურებდნენ.

– გისმენ, – უთხრა მარიმ, – საქმე მაქვსო, ხომ მითხარი!

მიუხედავად ასაკობრივი სხვაობისა, ანუკა საოცრად კარგად გრძნობდა თავს მარისთან. ეს მხიარული, მოუსვენარი გოგო ძალიან მგრძნობიარე და საკმაოდ ჭკვიანი იყო, თან – უაღრესად ერთგული. ამიტომ, ანუკას იმედი ჰქონდა, მარი არ მოატყუებდა და არ გაწირავდა.

– პირიქით, მე გისმენ, – ხმა გაიმკაცრა ანუკამ, – გგონია, ისეთი დებილი ვარ, რომ ვერაფერს ვხედავ? შენ, შენდა უნებურად გაეხვიე, რბილად რომ ვთქვათ, უსიამოვნო სიტუაციაში და, ამიტომაც, შენგან ველი ყველაფრის ახსნა-განმარტებას.

– მე რა შუაში ვარ?

– შენ, რა თქმა უნდა, შუაში არ ხარ, ანუ, შენ არ გაგიცნია ისინი ერთმანეთისთვის, მაგრამ, ის გოგო (ანუკამ სახელი აღარ ახსენა) შენი დაქალია, გელა კი – ჩემი ქმარი. მგონია, ჩემი და ჩემი ოჯახის ბედი შენთვის სულერთი არ უნდა იყოს, ამიტომ, ძალიან გთხოვ, ყველაფერი თვითონ მომიყევი.

მარი რამდენიმე წამს ჩაფიქრდა, თან ანუკას არ აშორებდა თვალს. მერე თითქოს რაღაცას მიხვდა და უცნაურად გამრუდებული ღიმილით ჰკითხა:

– შენ რა, გგონია, რომ ნინიკო გელას ხვდება?

– თუ უფრო მეტი არა!

– უფრო მეტი – ანუ, გელას საყვარელია?!

– ჰო.

– გაგიჟდი, გოგო? ნინიკო?! ნინიკო, იცი, რა ტიპია? ოცდაერთი წლის ისე ხდება, მაგისთვის ჯერ ბიჭს არ უკოცნია. სულ მაგაზე დავცინით... ეგ როგორ იფიქრე?

– სად ცხოვრობს ნინიკო?

– ბაგებში.

– ვითომ, რატომ არ უნდა მეფიქრა? ჯერ ერთი, არ ვიცნობდი და, შესაბამისად, არც მისი „წმინდანობის“ ამბავი მექნებოდა გაგონილი. მეორეც, გელა რომ დაინახა, ისე ეცვალა ფერი, იმ წუთას სასწრაფო კინაღამ გამოვიძახე. თანაც, არც გელა იყო უკეთეს დღეში. იმ მომენტში, მგონი, მართლა ფაღარათი დაემართა შიშისგან.

– არა, ანუკა, ხატზე დავიფიცებ, რომ მათ შორის არაფერი ხდება და არც არასდროს მომხდარა.

– მაგრამ, იმას ხომ ვერ უარყოფ, რომ ისინი ერთმანეთს იცნობენ?

– არა, მაგას ვერ უარვყოფ, – მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ თქვა მარიმ.

– მაშ, სად არის ლოგიკა? 34 წლის ცოლშვილიანი მამაკაცი და 21 წლის გაუთხოვარი გოგო, რომლებსაც არც ჰყავთ არც საერთო ნათესავები და არც საერთო მეგობრები; არ აკავშირებთ ერთმანეთთან არც უბანი, არც სამსახური და არც ასაკი, ერთმანეთს იცნობენ, თანაც, იმ დონეზე, რომ ერთმანეთის დანახვისას ლამის ორივეს გული წაუვიდა და, შენ ამბობ, რომ მათ შორის არაფერი ხდება?!



ერდო ჯგუფი
როდესაც ომი
დამთავრდა,
კრიზისი დამთავრდა
და არჩევნები დამთავრდა
მაშინვე ბულბულის
და ტოროლას სტვენასავით
გაისმა ტელეფონის ზარები:
ალო,
მიწა მინდა
7 მილიონი მაქ
ალო,
მაღაზია მინდა
1 მილიონი მაქ
ალო,
ბინა მინდა
500 000 მაქ
ალო.......................................
მარიკა 599 24 28 31



– გარწმუნებ, ანუკა, მართლა არაფერი ხდება!

– არა, ასე არ გამოვა, ჩემო კარგო! შენ რაღაც იცი და არ მეუბნები. ან ყველაფერს მეტყვი, ან მე ხვალ დილასვე მივალ ნინიკოს მშობლებთან და...

– გაგიჟდი?! – გაფითრდა მარი.

– მინდა გითხრა, რომ მარტო ოჯახში კი არა, უნივერსიტეტშიც მოვალ და თქვენს დეკანს მოვუყვები ყველაფერს.

– და, ასე დაიმცირებ თავს?

– დავიმცირებ. უარესსაც ვიზამ. ოჯახი მენგრევა თავზე და ყველაფერს ვიღონებ, რომ ეს არ მოხდეს. შენ არ იცი, ბოლო ორი წელი რა ტანჯვაში გავატარე და როგორ ძლივს შევინარჩუნე ქმარი. ჩემს წამებასა და ცრემლს არავის შევარჩენ... – ანუკას ხმა უკანკალებდა და თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე.

„როგორ გამოცვლილა, რა დღეში აქვს ნერვები“, – გაიფიქრა მარიმ, მერე ანუკას ხელი ხელისგულებში მოიქცია, მოეფერა და დაყვავებით მიმართა:

– ანუკა, მოდი, გულწრფელები ვიყოთ, რა...

– ვიყოთ, – სიტყვა არ დაამთავრებინა ანუკამ.

– ჰოდა, მაშინ, ერთ კითხვას დაგისვამ: რა ჯანდაბად გინდა ქმარი, რომლის სიყვარულსა და ერთგულებაშიც მუდმივად ეჭვი გეპარება?

– მიყვარს... – ამოისლუკუნა ანუკამ.

– ვინ გიყვარს, ნაძირალა, რომელიც ყოველ ფეხის ნაბიჯზე გატყუებს?

– ის ნაძირალა არ არის, შეცდომა ყველას მოსდის, – ეწყინა ანუკას.

– კარგი, გჯეროდეს, მაგრამ, როდესაც ეს შეცდომა წლების განმავლობაში გრძელდება და ცხოვრების წესად იქცევა, მაშინ?!

– გელას ვუყვარვარ, ბავშვებზეც გიჟდება. არაჩვეულებრივი ქმარი და მამაა. თანაც...

– რა – „თანაც“?

– ყველაფერს ხომ არ ვიტყვი...

– თქვი, რა „თანაც“? – არ მოეშვა მარი.

– თანაც ის, რომ ძალიან კარგად ვართ ერთად...

– საწოლში? გეუბნება, რომ განუმეორებელი ხარო?

– ჰო...

– და შენც გჯერა? – მარი მიხვდა, რომ ზედმეტი მოუვიდა, თუმცა, უკან აღარ დაიხია, – მაპატიე, მაგრამ, ერთ შეკითხვასაც დაგისვამ: თვეში რამდენჯერ გაქვთ სექსი – ერთხელ? ორჯერ? თუ, სულაც ორ თვეში ერთხელ? ამაზე გიფიქრია ოდესმე? ჩემგან არ უნდა გესწავლებოდეს – როცა კაცი ამაში დარწმუნებას დაუწყებს ცოლს, თანაც, ყოველ შესაძლო შემთხვევაში, ესე იგი, არენაზე სხვა ქალი გამოჩნდა.

– კი მაგრამ, შენ, 21 წლის ღლაპმა, საიდან იცი ამდენი? ისე მელაპარაკები, თითქოს მე ვიყო პატარა გოგო და შენ – გამოცდილი ქალი! – აღშფოთდა ანუკა.

– საიდან ვიცი და იქიდან, რომ ჩემი ერთი მეგობარი ზუსტად მაგ „მეთოდით“ მიატოვა შეყვარებულმა. ოთხი წელი ხვდებოდნენ ერთმანეთს. ეს ჩურჩუტი ჩემი დაქალი გონებადაკარგული იყო იმ არაკაცის სიყვარულით. მთელი ოთხი წლის განმავლობაში რაღაც ნომრებს უტარებდა ის აფერისტი, ეს კი სულ ამართლებდა და მის ყოველ ნაძირლურ საქციელს რომანტიკულ ფერებში ხვევდა. იმ ნაგავმა ბოლოს თავის ყოფილ ნაშებზე დაიწყო ამ სულელთან ჭორაობა – ყველას დასცინოდა, მასხრად იგდებდა; შენ სულ სხვა ხარო, – ეუბნებოდა, – შენთან ბედნიერი ვარო. ამასაც უხაროდა. სანამ მიატოვებდა, რამდენიმე თვით ადრე უთხრა, ნათესავებმა ერთი საფრთხობელა გამაცნეს და, იძულებული გავხდი, კინოში წამეყვანა. იქ ძმაკაცი შემხვდა და იმ გოგოს ამრეზით შეხედა, მე კი ორი თითი გადავაჯვარედინე და ჩუმად დავანახვე – „უჯეროას“ პონტში. ძმაკაცი დაწყნარდა, მაგრამ, მაინც თითი დამიქნია. თუ ვინმე გითხრას, გოგოსთან ვნახეო, არაფერი იფიქრო, იცოდე, რომ იმაზეა ლაპარაკიო...

– მერე? – დაინტერესდა ანუკა.

– რა, მერე? მერე ის, რომ ამ ჩემს დაქალთან შეხვედრებს თანდათან მოუკლო, მაგრამ ყოველი ნახვისას იმ გოგოს ლანძღავდა – ქაჯიაო; მეცოდება, ისეთი მახინჯიაო. ჩემი ნათესავის ხათრით – ანუ, ვინც გააცნო, იმის ხათრით, – დავათრევ ხანდახან აქეთ-იქითო. თან, ისეთ ადგილებში დამყავს, რომ ნაცნობი არ შემხვდეს. მეპაზორება, მაგასთან ერთად ვინმემ დამინახოსო... ეს ჩემი დებილი დაქალი ბედნიერებისგან მეცხრე ცაზე დაფრინავდა – ჩემთან ერთად რომ დადის, არავის ემალება ხოლმეო.

– ინტიმი ჰქონდათ?

– ვის? – გაუკვირდა მარის.

– შენს დაქალს და იმის შეყვარებულს.

– არა, მთლად ლოგინში არ ჩაუწვენია, მაგრამ, აღარც არაფერი უკლდა.

– ანუ?

– ანუ, მოფერება, რამე, რუმე... – ეს სულელი ყველაფერზე თანახმა იყო. ერთხელ, იმ დამპალმა დაურეკა – ბიძაჩემის სახლს უნდა ავხედო და, თუ გინდა, მოდიო, – ბიძამისი რომელიღაც ქვეყანაში იყო სამუშაოდ წასული და იმის დაკეტილ ბინას ეს აქცევდა ყურადღებას. ჩემი დაქალი, ცხადია, მიხვდა, რისთვისაც იბარებდა, მაგრამ, მაინც წავიდა.

– მერე? – დაინტერესდა ანუკა.

– მერე, მივიდა დათქმულ მისამართზე, დათქმულ დროს, მაგრამ, არ მობრძანდა ყმაწვილი. ეს სულელი მთელ საათს ელოდა... გაგიჟებული დაბრუნდა სახლში – ეგონა, გზაში რამე შეემთხვაო. საღამოს „რომეომ“ დაურეკა და „აუხსნა“: იმიტომ არ მოვედი, რომ, ვიცოდი, თავს ვერ შევიკავებდი და, არ მინდოდა, ცხოვრება დამენგრია შენთვისო.

– კი მაგრამ, თუ ასე გიჟდებოდა და ცოლად უნდოდა, რატომ დაენგრეოდა იმ გოგოს ცხოვრება?

– მეც ეგ ვუთხარი იმ ჩერჩეტს, მაგრამ, იცი, რა მითხრა?! – ქართული ტრადიციების მკაცრად მიმდევარ ოჯახშია გაზრდილი და ეს ბარიერი ამიტომ ვერ გადალახაო, – ზუსტად ეს სიტყვები მითხრა. მაგრამ, ყველაზე კარგი ის იყო, რომ, ლამის ცოტნე დადიანის გმირობას შეადარა მისი საქციელი, რომელიც, კაცმა არ იცის, საერთოდ ჩაიდინა თუ არა.

– რა საქციელი?

– იმ ნაძირალამ უთხრა, დიდი და, ცხადია, სალი კბილი ამოვიღე გაუყუჩებლად, რომ ამ ტკივილით შენდამი ლტოლვა დამეთრგუნაო. ამასაც, რა თქმა უნდა, სჯეროდა და უხაროდა – ეს რა რაინდი მყავსო.

– ბოლოს როგორ დამთავრდა მათი ამბავი?

– ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში ის ტიპი აღარ ურეკავდა და, შესაბამისად, აღარც ხვდებოდა. ეს ბრიყვი თუ დაურეკავდა, ეუბნებოდნენ, ქალაქში არ არისო. არა-

ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი „მენტალვიტა“ მყუდრო და მშვიდ გარემოში გთავაზობთ მაღალკვალიფიციურ, პიროვნებაზე ორიენტირებულ ფსიქიატრიულ და ფსიქოლოგიურ დახმარებას.

თბილისი, ტ. ტაბიძის ქუჩა №39. ტელეფონი: 229 35 25.



და, მე თვითონ ვნახე ერთხელ ვაკის პარკში ერთ მართლაც უშნო გოგოსთან ერთად და თვალი ამარიდა. საერთო ნაცნობებისგან ისიც გავიგე, რომ ცოლის შერთვას აპირებდა. ერთხელაც, რამდენიმეთვიანი პაუზის შემდეგ, დაურეკა და უთხრა, ქალაქში არ ვიყავი, წუხელ ჩამოვედი, ძალიან მომენატრე და გამოდიო. ესეც, რა თქმა უნდა, მაშინვე გაიქცა. მახსოვს, სამშაბათი იყო. საღამოს ალფრთოვანებულმა დამირეკა, ჩემზე ბედნიერი ქალი არ მეგულებაო. მითხრა, რომ მის „ტარიელს" ის გოგო ისევ გაუსწორებია მიწასთან – რაც წასული ვიყავი, დავისვენე იმ „უჟასთან" სავალდებულო შეხვედრებისგანო.

ამდენი ხნის უნახავმა „რაინდმა" შემდეგი პაემანი პარასკევს დაუნიშნა, მაგრამ, ისევ არ მივიდა, ოღონდ, ამჟამად კბილის ამოღება და მსგავსი სისულელეები აღარ მოუგონებია. არც კი დაურეკა. რამდენიმე დღის განმავლობაში ლიკა ჭკუაზე არ იყო ნერვიულობისგან, მაგრამ, აღარ შეეხმიანა – ალბათ, გული რაღაცას უგრძნობდა. ორშაბათს გავიგეთ, რომ შაბათს სწორედ იმ „უჟასთან" ჰქონია ქორწილი, კვირას კი სიმამრს საქორწილო მოგზაურობაში გაუშვია სადღაც კაი ქვეყანაში.

– ახლა? ახლა როგორ არის შენი მეგობარი?

– ახლა არა უშავს, გადავატანინეთ. მაგრამ, თავიდან, რამდენიმე თვის განმავლობაში, სულ კუდში დავყვებოდით, მარტოს არ ვტოვებდით – ისეთი დეპრესია ჰქონდა, გვეშინოდა, თავისთვის რამე არ აეტეხა, – თქვა მარიმ და ენაზე იკბინა, ეს რა წამომცდაო. მერე კი დაამატა, – მაგრამ მალე მიხვდა, რომ არც ერთი კაცი ქალის ერთ ცრემლადაც არ ღირს.

ანუკას გაეცინა.

– რა გაცინებს?

– შენზე მეცინება. ისე ლაპარაკობ, თითქოს დიდი გამოცდილება გქონდეს კაცებთან ურთიერთობაში.

მარის გაუხარდა, იფიქრა, სხვა „ტალღაზე" გადავრთეო, მაგრამ, ანუკა ისევ დაუბრუნდა თავის პრობლემას:

– მოკლედ, ჩემო კარგო, ასეა თუ ისეა, ან ყველაფერს მეტყვი, ან ხვალ დილასვე მივდივარ ნინიკოს მშობლებთან. შვილებს გეფიცები, თუ არ მივიდე.

– კარგი, გეტყვი. სხვა შემთხვევაში, ალბათ, ვერ გეტყოდი, მაგრამ, არ მინდა, ნინიკოზე ცუდი იფიქრო. მოკლედ... გელა ნინიკოს კარის მეზობელთან დადის... – მარიმ მაინც ბოლომდე ვერ თქვა სათქმელი, – ჰოდა, ნინიკო რომ დაინახა, ერთმანეთი იცნეს და...

ანუკა გაშრა. რამდენიმე წუთს თვალდახუჭული იჯდა, მერე თითქოს გონება გაუნათდა. უცებ წამოხტა და ჩაცმა დაიწყო.

– რას შვრები? – შეეშინდა მარის.

– არაფერს, ვიცვამ. ახლავე ადგები და ნინიკოსთან წამიყვან!

– გაგიჟდი? ამ შუაღამისას?

– ჰო, გავგიჟდი! თანაც, შუაღამე კი არა, ჯერ ათი საათიც არ არის. ადექი-მეთქი, რომ გეუბნები! – ისეთი ხმით დაიყვირა ანუკამ, რომ მარი მექანიკურად ადგა და უკან გაჰყვა.

ტაქსი მაშინვე გამოჩნდა.

– ბაგებში! – უბრძანა მძღოლს ანუკამ და მარის მიუბრუნდა, – სახლი შენ უკეთ იცი!

თხუთმეტი წუთის შემდეგ ნინიკოს კორპუსთან გაჩერდნენ.

– უნდა დაგველოდოთ. ერთი საათიც რომ გავიდეს, არ წახვიდეთ. კარგად გადაგიხდით! – უთხრა მძღოლს ანუკამ და სადარბაზოში შევიდა.

მარიმ ლიფტი გამოიძახა და მეშვიდე ღილაკს დააჭირა თითი.

– ამ კორპუსში ნამყოფი ვარ, აქ ერთ დროს ჩემი ამხანაგი ცხოვრობდა, მგონი, ისიც მეშვიდე სართულზე, – მექანიკურად ჩაილაპარაკა ანუკამ.

ლიფტი ოდნავ შეჯანჯღარდა და გაჩერდა. ანუკა და მარი კაბინიდან გამოვიდნენ და დაძაბულები შეაჩერდნენ ერთმანეთს.

– იქნებ, არ გვინდა, ჰა?! – გაუბედავად დაიჩურჩულა მარიმ.

– გვინდა. რომელია ნინიკოს ბინა?

– აი, ეს, თეთრი კარი...

– ესე იგი, კარის მეზობელი – ეს ყავისფერი კარია.

– ჰო, ასე გამოდის.

მარი თეთრი კარისკენ წავიდა და, ის იყო, ზარის ღილაკზე უნდა დაეჭირა თითი, რომ ანუკამ შეაჩერა:

– არ დარეკო, მე ნინკო არ მჭირდება!

– აბა?! – ვერ მიხვდა მარი.

– იმ ქალბატონის ნახვა მაინტერესებს, – და ანუკა ყავისფერი კარისკენ დაიძრა. მერე კანკალით მიაჭირა თითი ღილაკს და მიაყურადა.

კარს უკან ჯერ ბავშვის ტირილის ხმა მოესმა, მერე მამაკაცის ბარიტონი:

– კარგი, მამიკო, რა გატირებს? მოდი ჩემთან, მოდი, კარი ერთად გავაღოთ!



ანუკას თითქოს ურო მოხვდა თავში, თვალთ დაუბნელდა და, მარი რომ არ ყოფილიყო, იქვე გაიშხლართებოდა. რამეში ეჭვის შეტანა უკვე გამორიცხული იყო.

რამდენიმე წამში კარი გაიღო და გელა და ანუკა ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ. ეს იმდენად მოულოდნელი იყო ორივესთვის, რომ ხმა ვეღარ ამოიღეს. მოკლესახელოებიან მაისურსა და ტრუსებში გამოწყობილ გელას ხელში პატარა ბავშვი ეჭირა.

„ოჯახური იდილია", – სიმწრით გაიფიქრა ანუკამ და თვითონაც გაუკვირდა, რომ ირონიის თავი კიდევ ჰქონდა.

– გელა, ვინ მოვიდა? – იკითხა ბინის სიღრმიდან ქალის ხმამ, რომელიც, თავისი მდგომარეობის მიუხედავად, ანუკას მაინც ნაცნობად ეჩვენა. პასუხი რომ ვერ მიიღო, დიასახლისი თვითონ წამოვიდა კარისკენ, მაგრამ, ანუკას დანახვაზე ადგილზე გაქვავდა.

– ნატა?! – ანუკას გაგიჟებას არაფერი უკლდა.

ნატა მოულოდნელობისგან ჯერ დაიბნა, მაგრამ, უცებ მოეგო გონს და საკმაოდ ცინიკურად და უხეშად მიმართა კარში მდგარ ყოფილ მეგობარს:

– ჰო, ნატა ვარ. რა, გგონია, გამოგვიჭირე?! აბა, დაიწყე ახლა კივილი, შეყარე ქვეყანა! სიმართლე გითხრა, სულ ფეხებზე მკიდია, ვინ რას იტყვის. ქმარი თუ გინდოდა, მის შენარჩუნებაზეც უნდა გეზრუნა. ახლა კი დაახვიე აქედან!

პატარა ბიჭუნა, რომელიც გელას ჰყავდა ხელში ატატებული, მთელი ხმით ატირდა. ანუკამ მხოლოდ ახლა შეხედა ბავშვს.

– ეს... – ამოილუღლუღა უმწეოდ.

– დიახ, ეს ჩვენი შვილია, ანდრო ასათიანი, – ნიშნის მოგებით უთხრა ნატამ და გელას ბავშვი ჩამოართვა, – რას გაშტერებულხარ ამხელა კაცი, მიხურე კარი, ორპირი ქარია!

გელამ მექანიკურად მიხურა კარი. ცოცხალ-მკვდარი ანუკა და გაფითრებული მარი ერთმანეთს შეაცქერდნენ.

– წამოდი, – გაბედა მარიმ და დეიდაშვილი თითქმის ძალით შეიყვანა ლიფტში.

***

ის ღამე ანუკამ და მარიმ თეთრად გაათენეს. დილით ანუკა გონს მოვიდა, ორი დიდი ჩანთა და ერთი ჩემოდანი გამოიღო კარადიდან და გელას ნივთებითა და ტანსაცმლით გამოტენა. მარი ყველაფერს მიხვდა, მაგრამ, აღარ შეუჩერებია. ანუკამ, როგორც თვითონ თქვა, ყოფილი ქმრის „მზითევი" გაამზადა და მოვლენების განვითარებას დაელოდა.

– მაინტერესებს, ამ ხლამის წასაღებად რომ მობრძანდება, რით იმართლებს თავს. ფეხქვეშ რომ გამეგოს, აღარ ვაპატიებ, – უთხრა მარის. მაგრამ, არც „ხლამის" წასაღებად, არც ბოდიშის მოსახდელად და, მით უმეტეს – პატიების სათხოვნელად, არავინ მოსულა. სამი დღის შემდეგ ვიღაც ახალგაზრდა კაცი მოვიდა – გელასგან ვარო და იმან წაიღო ბარგი.

ანუკა საბოლოოდ განადგურდა. გაოგნებულმა მარიმ ანუკას მშობლებსა და რამდენიმე დაქალს დაურეკა. ანუკა გათიშული დადიოდა ოთახიდან ოთახში. მარი ერთი წუთითაც არ მოშორებია გვერდიდან. დისგან დაბრუნებულმა დედამთილმა რომ გაიგო, რაც მოხდა, შვილი დაწყევლა და ხატზე გადასცა. რძლის ცოდვით აღარ იყო, კუდში დასდევდა და პატიებას სთხოვდა. ანუკას შეეცოდა მოხუცი, რომლისგანაც სიკეთის მეტი არაფერი ახსოვდა და, ცდილობდა, მისი თანდასწრებით თავისი დარდი არ გამოემჟღავნებინა. დაქალები რიგ-რიგობით რჩებოდნენ ღამით მასთან და ცდილობდნენ, ტკივილი შეემსუბუქებინათ. ანუკას დედა ისე იყო შეშინებული, ჩემს შვილს არაფერი დაემართოსო, რომ, მის ყველა მეგობარს დაურეკა და სთხოვა, მარ-

ტო არ დატოვოთ, არ გაგიჟდესო. ანუკას მამას ხმამაღლა არაფერი უთქვამს, მაგრამ, გულში გადაწყვიტა, სადაც ვნახავ გელას, ისე ვცემ, მთელი ცხოვრება ქალისკენ ველარ გაიხედოსო.

რამდენიმე დღის შემდეგ ყველა წავიდ-წამოვიდა და ანუკასთან დედა, დედამთილი და მარი დარჩნენ. მამა ღამით სახლში მიდიოდა, დღისით კი შვილთან იყო და საკმაოდ უმწეოდ ცდილობდა, გაემხნევებინა. ანუკას ისეთ დღეში ჰქონდა ნერვები, რომ ყველაფერი აღიზიანებდა – გამხნევებაც, ნუგეშიც და ზედმეტი ყურადღებაც; დედისა და დედამთილის კრუსუნს ხომ მთლად სიგიჟემდე მიჰყავდა. ცდილობდა, შეძლებისდაგვარად, ყოჩაღად ყოფილიყო, მაგრამ, არ გამოსდიოდა და უფრო საბრალოდ გამოიყურებოდა. მხოლოდ მარი არ აღიზიანებდა. ეს პატარა გოგო ბრძენი მოხუცივით იქცეოდა და ანუკას აწეწილ ნერვებს უწყნარებდა.

ანუკა მიხვდა, რომ მარტო ყოფნა უნდოდა. უნდოდა, კარგად ჩაფიქრებოდა თავის მდგომარეობას და ყველაფერი წესიერად აეწონ-დაეწონა. აღარც შვილების შეშინებული სახეების ყურება შეეძლო. დედას სთხოვა, ბავშვები შენთან წაიყვანე და რამდენიმე დღე თქვენთან იყვნენ, მარტო რომ ვიქნები, უფრო მალე გამოვალ ამ მდგომარეობიდანო. დედას არ უნდოდა მისი მარტოდ დატოვება, მაგრამ, ბოლოს მიხვდა, რომ მართლაც ასე აჯობებდა და დათანხმდა.

ანუკამ ყველა დაითხოვა და მარტო მარის სთხოვა, თუ შეგიძლია, ერთ-ორ კვირას ჩემთან იყავიო. მარის გაუხარდა კიდეც – მარტო ორნი რომ ვიქნებით, უფრო მალე მოვიყვან ჭკუაზეო. ლელამ იფიქრა, ამ სიტუაციაში, ჯობდა, თვითონაც გასცლოდა რძალს და ანუკას უთხრა, ხვალ ჩემს დასთან წავალ, თუ არ გეწყინებაო. ანუკა მიხვდა, რატომაც გადაწყვიტა ლელამ ასე და მადლობის ნიშნად გადაეხვია.

პირველ სამ დღეს მარის ძალიან გაუჭირდა ნერვებად ქცეულ ანუკასთან ყოფნა, მაგრამ, მერე და მერე თითქოს ანუკაც შეეგუა მომხდარს და ოდნავ დამშვიდდა.

მარი დილით უნივერსიტეტში მიდიოდა, ერთ-ორ ლექციას დაესწრებოდა და მაშინვე ანუკასთან გარბოდა. მერე მთელი დღის განმავლობაში ცდილობდა, გაერთო, მისი ყურადღება რამე სხვაზე გადაეტანა და, შეძლებისდაგვარად, დარდი გაექარვებინა. ანუკამ თითქმის მთლად აკრძალა ჭამა და ყავისა და სიგარეტის გარდა არაფერს ეკარებოდა. ერთ კვირაში კი ისე გახდა, ლანდივით დადიოდა ოთახებში. მარი შეაშინა დეიდაშვილის ასეთმა მდგომარეობამ და გადაწყვიტა, მისი კვებისთვის მიეხედა – დილა-შუადღე-საღამო საკუთარი ხელით უწურავდა სხვადასხვა ხილს და წვენს ძალით ასმევდა. მარკეტში კარგი ხარისხის შავი შოკოლადის რამდენიმე ფილა იყიდა და ყავასთან შეტანებას აიძულებდა. მერე ნელ-ნელა სალათებისა და რძის ნაწარმის „შეპარებაც“ დაიწყო და, როდესაც ერთ დღეს ანუკამ ისე, სხვათა შორის თქვა, თევზი მომენატრაო, მარი მიხვდა, რომ გაიმარჯვა. გახარებული მაშინვე გაიქცა ბაზარში და სამნაირი თევზი და ლუდი მოიტანა.

– გაგიჟდი? რა ამბავია? – გაოცდა ანუკა, როცა მარიმ მაგიდაზე ამოალაგა ნავაჭრი.

– გავგიჟდი კი არა, თევზი მომენატრაო, რომ თქვი, სიხარულისგან აღარ ვიცოდი, რა მექნა. მეც მენატრებოდა თევზი, მაგრამ, თქმას ვერ ვბედავდი, მერიდებოდა. ახლა მიზეზი მომეცა და მომენტს გავუშვებდი ხელიდან?! – ქაქანებდა მარი და ცალ-ცალკე თეფშებზე აწყობდა „ცოცხალსა“ და მოხარშულ ზუთხს, – ამ პარკში კი ტარანია. ახლა მე და შენ ვიქეიფებთ, – და მარიმ სასწრაფოდ გააწყო სუფრა.

ანუკას ძალიან ესიამოვნა ცივი ლუდი.

– მოდი, „ცოცხალი“ და ზუთხი ხვალ ვჭამოთ, ლუდს ტარანი უხდება, – თქვა მაგაზე მოსულმა და მაცივრიდან ტყემალი გამოიღო. მერე ქვაბით წყალი შემოდგა ცეცხლზე, ორი დიდი ტარანი სასწრაფოდ გაფცქვნა და ქვაბში ჩაყარა.

– მგონი, სადღაც სიმინდის ფქვილი უნდა იყოს, მოძებნე რა, მჭადიც გამოვაცხოთ, – სთხოვა მარის.

– არ გინდა მოძებნა, მოვიტანე, – დაფაცურდა გახარებული მარი და სასწრაფოდ მოზილა ცომი.

ერთი საათიც არ იყო გასული, რომ დეიდაშვილები გემრიელად მიირთმევდნენ ტყემალში ამოწობილ მოხარშულ ტარანს, ცხელ-ცხელ მჭადს და ზედ, ადესის ნაცვლად, ცივ, ქაფიან ლუდს აყოლებდნენ.

ანუკა ნელ-ნელა გამოკეთდა, მოღონიერდა და რეალურად შეხედა თავის მდგომარეობას. მარი სულ თავს არიდებდა გელას ხსენებას, მაგრამ, ერთ საღამოს ანუკამ სავარძელში დასვა და სთხოვა, მოესმინა. მარი აღელდა, თუმცა, მიხვდა, ადრე თუ გვიან ეს აუცილებლად უნდა მომხდარიყო და დათანხმდა.

– ერთხელ კიდევ უნდა გამიწიო დახმარება. ჯერ პატარა ხარ ასეთი საქმეებისთვის, მაგრამ, სხვას ამას ვერ დავავალებ. ჩემს მეგობრებს რომ ვთხოვო, ყველაფერში დაწვრილებით უნდა გავარკვიო და ამის არც სურვილი მაქვს და, რაც მთავარია, არც ნერვები. თანაც, ოჯახის საქმეში, ჯობია, გარეშე არ ჩაერიო. მეგობარი კი, თუნდაც ძალიან ახლობელი, ასეთ სიტუაციაში მაინც გარეშე ადამიანია.

– არ გინდა ამდენი ალია-ბალია, მითხარი, რა გავაკეთო!

– დაურეკავ გელას და ეტყვი, რომ გაყრაზე შეიტანოს განცხადება. ახლა, რაც შეეხება ბინას: ერთ-ერთი გადაუფორმოს ბავშვებს და კარგად იყოს. თავისი ნივთებიც წაიღოს – მაგისი არც ავეჯი მჭირდება, არც არაფერი.

– ლელა?

– რა – ლელა?

– ლელას რას უპირებ?

– რას ჰქვია, რას ვუპირებ? ლელა ჩემთან დარჩება. არა მგონია, თავის შვილთან მოინდომოს ცხოვრება.



– ეგ რანაირად იქნება, რას იტყვის ხალხი?

– აბსოლუტურად არ მაინტერესებს, ვინ რას იტყვის. ამ ქალს ჩემთვის სიკეთის მეტი არასდროს არაფერი გაუკეთებია და, თუ ჩემთან ურჩევნია ყოფნა, იქ იცხოვრებს, სადაც მე და ბავშვები ვიქნებით.

დარეკვის ნაცვლად მარი მეორე დღესვე სახლში მიადგა გელას. ბედზე, ნატა შინ არ დახვდა და ანუკას „ელჩი“ პირდაპირ საქმეზე გადავიდა:

– მერჩივნა, სადმე სხვაგან შევხვედროდით ერთმანეთს და იქ გველაპარაკა, მაგრამ, არ მინდოდა, ვინმეს ერთად დავენახეთ და ჰგონებოდა, რომ ჩემი დეიდაშვილი შერიგებას გეხვეწება.

გელამ დაბნეულობისგან ხმა ვერ ამოიღო, მარიმ კი თამამად განაგრძო:

– მოკლედ, საქმე ასეა: შენ შენი არჩევანი გააკეთე. რამდენად კაცურია შენი საქციელი, ეს ცალკე საუბრის თემაა, მაგრამ, ახლა ამაზე სალაპარაკოდ არ მოვსულვარ, ამაზე ოდესმე სხვა გაგცემს პასუხს.

– მემუქრები? – უცბად გაღიზიანდა გელა, – შენი ჭკუით, მაშინებ? შე ლაწირაკო, ვინ მოგცა უფლება, სახლში მომივარდე და პრავები მიკაჩავო?

– ლაწირაკივით შენ იქცევი და ცოტა ჭკვიანად იყავი, თორემ, გაჩენის დღეს გაწყევლინებ, შე არაკაცო! მეც ანუკა ხომ არ გგონივარ! მე შენთან საქმის გასარჩევად არ მოვსულვარ, გითხარი, რომ ამას სხვა გააკეთებს, სხვა დროს და სხვა ადგილას და, ის სხვა სწორედ ის ადამიანი იქნება, ვისაც ყველაზე ნაკლებად წარმოიდგენ ამ როლში. ახლა ცოტა აზრზე მოდი და მომისმინე: ანუკას არაფერი არ უნდა შენგან, გარდა ერთისა – როგორც კანონიერი მამა, ვალდებული ხარ, შენს შვილებს კუთვნილი წილი მისცე, უფრო ზუსტად – ბინა, რომელშიც იცხოვრებენ. ანუკას არც აგარაკზე აქვს პრეტენზია, არც მანქანაზე, არც ავეჯზე და არც ალიმენტზე. შემოგითვალა, განცხადება თვითონ შეიტანოს გაყრაზე, ერთ-ერთი ბინა ბავშვების სახელზე გადააფორმოს და კარგად იყოს, ცხოვრებაში აღარაფერზე შევაწუხებო.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# ყველა კაცი ერთნაირია

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №12-49(675)**

### როცა ენა გრძელია...

ნატომ ფართოდ გაახილა თვალები და ნაძალადევად გაიღიმა. დროს წელავდა, რადგან, პასუხისთვის მზად არ იყო – ვერც დაეთანხმებოდა და ვერც ბოლომდე უარყოფდა იმას, რაც ვახომ წუთის წინ ჰკითხა. ამიტომ, უწყინარი და შაბლონური ფრაზა წარმოთქვა:

– ყავას არ დალევ? ძალიან კარგი ყავა გვაქვს.



ვახომ უარყოფის ნიშნად თავი გააქნია და ჰკითხა:

– ყოველდღე აკითხავს, ესე იგი, დიდი ხნის ამბავია?

ნატომ მხრები აიწურა, აქაოდა, ვერ ვხვდები, რას გულისხმობო.

– შენ თვითონ არ დამირეკე? საქმის კურსში ჩამაყენე, რომ ჩემი ცოლი ვიღაცას ხვდება. მოვედი იმიტომ, რომ დეტალები მაინტერესებს.

– რა დეტალები? ვახო, მე არაფერი ვიცი. ვერც ვხვდები, რა ინფორმაციის მიღება გინდა ჩემგან.

– ყველაფერი უნდა ვიცოდე, – პირქუშად ჩაილაპარაკა ვახომ, – გესმის? ყველაფერი...

ნატო აწრიალდა:

– იცი, რა... სანანებლად ნუ გამიხდი, რომ დაგირეკე. მე მიყვარს თქვენი ოჯახი და, მინდოდა, დაგხმარებოდით პრობლემის მოგვარებაში.

– მაგრად დამეხმარე. სად არის ახლა ქეთი?

ნატო დასჯილი ბავშვივით აილეწა. სახე ისე გაუწითლდა, თითქოს სილა გააწნესო.

– ვახო, ძალიან უხერხულ მდგომარეობაში მაყენებ.

ვახომ სიგარეტს მოუკიდა და ირონიულად ჩაიცინა:

– კიდევ მე გაყენებ უხერხულ მდგომარეობაში?! მდა... საინტერესო და ორიგინალური ლოგიკაა. გიმეორებ: აქედან არ წავალ, სანამ ყველა კითხვაზე არ გამცემ პასუხს. დავიწყოთ: ვინ არის ის ტიპი?

კაცის ტონმა ქალი აღაშფოთა:

– დაკითხვას მიწყობ? ეს რას ნიშნავს? გეტყვი იმას, რაც ვიცი და ვერაფერს მეტს. „აქედან არ წავალ!“ – ულტიმატუმია. მგონი, ასეთ ტონსაც არ ვიმსახურებ.

– უკვე აღარ ვიცი, ვინ რას იმსახურებს. ვინ არის ის ტიპი?

– არ ვიცი.

– ნუ მატყუებ, ძალიან გთხოვ. ჯერ კიდევ ვაკონტროლებ თავს, მაგრამ ყოველ წუთს შეიძლება, ნერვებმა მიმტყუნოს.

– გიმტყუნოს მერე, რას მემუქრები? ნეტავი, საერთოდ არ მომეკიდა ტელეფონისთვის ხელი! მაგრამ, ვერაფრით წარმოვიდგენდი, ჩემი კეთილშობილური განზრახვა ასე თუ შემომიბრუნდებოდა. შეიძლება ითქვას, შოკში ვარ. ამას ნამდვილად არ ველოდი.

– ნატო, მე შენთვის არც შეურაცხყოფის მოყენებას ვაპირებ და არც დამსახურებებს დაგიკარგავ. მაგრამ, რადგან მოვედი, ვერ წავალ, სანამ სრულ ინფორმაციას არ მივიღებ, ხომ უნდა ვიცოდე, რა ხდება ჩემს თავს?

ნატომ ხელები გაასავსავა:

– ვაიმე, ხომ გითხარი, რაც ხდება? ქეთის ვიღაც ტიპი აკითხავს.

– დიდი ხანია? ანუ, იმის თქმა მინდა, ახლა გამოჩნდა ჰორიზონტზე თუ ადრეც მაყრიდა ჩემი ცოლი თვალებში ნაცარს?

– ქეთის შენ უყვარხარ! – მგზნებარე პათოსით წარმოთქვა ნატომ.

ვახოს ნერვიული სიცილი აუტყდა:

– ჰა, ჰა, ჰა! ვუყვარვარ... უცნაური სიყვარულია, ძალიან უცნაური. საინტერესოა, მე რომ ქეთისავით მოვქცეულიყავი, რას იტყოდი ჩემს გრძნობებზე? სხვათა შორის, მე ჩვენი ჩხუბი ნამდვილად არ გამომიყენებია სხვა ქალთან შეხვედრისთვის, ჩემმა ცოლმა კი ეგრევე შემცვლელი მომიძებნა.

– მე ასე არ ვიტყოდი, – თქვა მოულოდნელად შემოსულმა ლელამ და ნატოს საყვედურით შეხედა.

– მართლა? აბა, რას იტყოდით, რომ ქეთი ამ საქციელით გულს აყოლებს... ჩემგან მოკლულ, დაკოდილ გულს? არ მიკვირს. თქვენც ხომ ქალები ხართ და მეგობარს სულიდარობას უცხადებთ. მაგრამ, მე რა მდგომარეობაში მაგდებს ქალბატონი ასეთი საქციელით, ამაზე არ ფიქრობთ?!

– სოლიდარობას რომ ვუცხადებდე, არც დაგირეკავდი, – წყენით ჩაილაპარაკა ნატომ და კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ, ლელამ ანიშნა, გაჩუმდიო.

– მომისმინე, ვახო, მე საერთოდ ვფიქრობ, რომ ნატო ძალიან ცუდად მოიქცა, რომ დაგირეკა. არც ერთმა არ ვიცით, ვინ არის ის ადამიანი. იქნებ, საერთოდაც, ნათესავია. ასე რომ, ნაჩქარევ დასკვნებს ნუ გააკეთებ.

– აქამდე რომ არ აკითხავდნენ მამრობითი სქესის ნათესავები? არა, არა, ველარ გადამარწმუნებთ. საერთოდაც, ამიწერეთ, როგორი ტიპია...

ნატომ შეწუხებულმა შეხედა ლელას – მიშველეო.

– არ შეგვიძლია, – მოუჭრა ლელამ, – გამადიდებელი შუშით არ დაგვითვალიერებია. ჩვეულებრივი ახალგაზრდა კაცია. იცი, რას გეტყვი? ნახე ქეთი და დაელაპარაკე, ასე ჯობია. შენც უფრო დამშვიდდები და სიტუაციასაც აღარ გაამწვავებთ.

– მე უკვე ვეღარ დავმშვიდდები. ეს ასე ადვილი აღარ იქნება.

– ყოველ შემთხვევაში, ეს ერთადერთი სწორი გამოსავალია, – წარბები შეჭმუხნა ლელამ, – რაც მეტი ადამიანი დაიწყებს თქვენი ურთიერთობის განხილვას, მით უარესი.

– კარგი, – ამოიოხრა ვახომ, სიგარეტი საფერფლეზე დასრისა და წამოხტა, – გავიგე, ყველაფერი ნათელია. მადლობელი ვარ, ძალიან დამეხმარეთ...

ვახომ ხმაურით მიიხურა კარი. ლელა ნატოს მიუბრუნდა:

– გეუბნებოდი?! გრძელი ენა რომ გაქვს, მიხვდი უკვე, ხომ? ხედავ, რა ამბავი გამოიწვია შენმა წინდაუხედაობამ?

– ვხვდები, მაგრამ, ახლა რაღა შეიცვლება? ვაიმე, როგორ არის გაბრაზებული! – შეიცხადა ნატომ.

– აბა, შენ რა გეგონა? მოსაკლავი ხარ... მოსაკლავი, – უკმაყოფილოდ გადააქნია თავი ლელამ...

**მომავლის ხედვის უნიკალური მეთოდი**

გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ; უარყოფითი ენერგეტიკული ზემოქმედების (ჯადო, გათვალვა) დადგენა; ეზოთერიკულ-ფსიქოლოგიური დახმარება; წარსულის, აწმყოსა და მომავლის თავისებურებებზე მსჯელობა; პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის დადგენა; დასმულ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხების მიღება.

**ყოველივე ამას უძველესი და მემკვიდრეობით მეხუთე თაობაზე გადმოცემული მეთოდის დახმარებით გთავაზობთ ნინო ჯანელიძე.**

**ტელეფონები: 2-52-79-57, 2-52-87-58, 555-33-91-66.**

* * *

გიგი მანქანაში ელოდა ვახოს, სიგარეტს ეწეოდა, თან ნინიზე ფიქრობდა და ნელნელა ეშლებოდა ნერვები. გოგო ჯიუტად არ პასუხობდა ტელეფონს – ეტყობოდა, ბიჭი საერთოდ ამოშალა თავისი ცხოვრებიდან. წესით, გიგი ამ ამბავს არ უნდა შეეწუხებინა, რადგან, ურთიერთობის დასრულების ინიციატორი თავად იყო, მაგრამ, აცოფებდა იმის გაცნობიერება, რომ ნინიმ ძალიან მალე მოინელა და გამოიტირა თავისი სიყვარული. „ენდე ახლა ქალს. რომ გეკითხა, მისი ერთადერთი სიყვარული ვიყავი – კაცი, რომელზეც მუდამ ოცნებობდა და რომელსაც თავისი შვილების მამად მოიაზრებდა. ეგრევე დამიკიდა, როგორც კი ვუთხარი, აღარ უნდა შევხვდეთ-მეთქი. თან, ხომ დავამატე, დროებით-მეთქი. დიდი ამბავი, ცოტა გავერთე ვირტუალური ფლირტით. თუ ვუყვარდი, ხომ უნდა ეპატიებინა და კიდევ ერთი შანსი მოეცა. მოკლედ, რა... ქალები ჩვენგან ერთგულებას ითხოვენ, თავად კი პატიებისა და გაგების ელემენტარული უნარი არა აქვთ. აი, თუნდაც, ქეთი ავილოთ – რა მოხდა ისეთი, გაბრაზდა კაცი. მერე რა, რომ მუხლებში არ ჩაუვარდა და თვალცრემლიანმა პატიება არ სთხოვა – ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ ოჯახი და ცოლ-შვილი აღარ უნდა?! ქეთი კი რას აკეთებს? – სპეციალურად იქცევა ისე, რომ ვახოს მამაკაცურ თავმოყვარეობაზე იმოქმედოს, შედეგებზე კი საერთოდ არ ფიქრობს. რომ გადაირიოს ეს კაცი და რამე უბედურება დაატრიალოს, ქეთი იქნება პასუხისმგებელი?! რა მოკლე ტვინები აქვთ ამ ქალებს! პრინციპში, მეც ხომ შემიძლია, გადავირიო, დავიკიდო იმ მუტრუკის ნავარჯიშევი კუნთები და ნინის ცხვირწინ დავუნგრიო სიფათი?! ეს ბიჭი სადღა დაიკარგა ამდენ ხანს? მეც ხომ არ გადავიდე? მაგრამ, ქეთი რომ იქ იყოს და ლაპარაკობდნენ?! არაა, უმჯობესია, დავიცადო. ნინის კი თავს მაინც არ დავანებებ. რა პონტია, ვუყვარდი და ახლა აღარ ვუყვარვარ? ეგრე სად არის?..“

– მოვკლავ, მე მაგის!.. გინებ-გინებით ჩაჯდა მანქანაში ვახო და კარი გამეტებით მოიჯახუნა.

– ვის მოკლავ, ქეთის?

– რა მნიშვნელობა აქვს! – უყვირა ვახომ, – თუ საჭირო გახდება, ქეთისაც!

– რაო?!

– რა – „რაო“? აქ არ ბრძანდება ქალბატონი – დავაგვიანეთ, ვერ მოვუსწარით. სად წაბრძანდა, არ მეუბნებიან. მართლა გავგიჟდები. დარწმუნებული ვარ, იმ ვაჟბატონთან ერთად ბრძანდება და ამიტომ დააფარეს ხელი, არადა, მიმტკიცებენ, წარმოდგენა არ ვაქვსო.

– მოიცა, თვითონ არ დაგირეკეს, ცოლს მოხედეო? – გაუკვირდა გიგის, – რა პონტში აღარ გეუბნებიან?

– გაიგებ რამეს ამათგან? – ხელი ჩაიქნია ვახომ, – კურდღლებივით დაფრთხნენ, როცა დამინახეს. ახლა არ ვიცი, წავიდე და სახლთან დაველოდო თუ ხვალ საღამოს ისევ აქ ჩავუსაფრდე. ფუ, ცუდად ვარ, როცა ვფიქრობ სადამდე მივედი და, ეს ყველაფერი ქალბატონი ქეთის დამსახურებით მჭირს.

– საერთოდ რომ შეეშვა? – თავისი მოსაზრება გამოთქვა გიგიმ, მაგრამ, ვახოს რომ შეხედა, მაშინვე დაამატა: თუმცა, რა სისულელეს გეუბნები...

– კარგია, რომ მიხვდი. რანაირად უნდა შევეშვა, ჯერ ისევ ჩემი ცოლია. გამშორდეს და, რაც უნდა, ის უქნია, ახლა კი თავზე ლაფს ნუ მასხამს.

– ვახო, რომ გითხრას, გშორდებიო?

– მიზეზი? ამისთანა რა დავაშავე? ვუღალატე, საყვარელი მყავს, ვცემდი და სასტიკად ვექცეოდი... ბავშვს გეფიცები, წესიერად აღარც მახსოვს, რატომ ვიჩხუბეთ. რაღაც სისულელეს, პატარა გაუგებრობას მოაყოლა მასშტაბური სკანდალი. მაგას ხომ ნიჭი აქვს, ყველაფრისგან სკანდალი მოაწყოს და ქვეყანა შეყაროს. თუ ეს უნდოდა, მაშინ, მესმის...

– მოკლედ, უნდა ნახო და დაელაპარაკო. რა აზრი აქვს, შენს თავს რომ ასკდები. ამით მაინც ვერაფერს შეცვლი.

– ჰო, მაგრამ, მეშინია, რამე საშინელება არ ჩავიდინო. ახლა მაინც, ისეთი გამწარებული ვარ, თავს ვერ ვაკონტროლებ.

– მაშინ, დღეს ნუღარ ნახავ. იქნებ, ცოტა დამშვიდდე და მერე შეხვდე? სახლში ადი და იქ დაელაპარაკე. სამსახურში საქმის გარჩევა რაღაც ისეთი პონტია.

– მე რომ „პონტში” ვარ, ისეთი უნდა, – ჩაიღრინა ვახომ, – არა, ველარ მოვითმენ, ახლავე უნდა მივიდე სახლში და დაველოდო, როდის მობრძანდება ქალბატონი, უფრო სწორად, როდის მოაბრძანებს თავისი რაინდი.

– აუ, მოდი, რა ხვალ დილამდე გადადე ეს ამბავი, ცხელ გულზე მართლა რამე არ მოხდეს. რა ვქნათ იცი? დავლიოთ და ცოტა მოგეშვება.

– არ მინდა დალევა.

– ცოტა დავლიოთ, ბევრი არა. სადმე ბარში შევიდეთ, კარგი კონიაკი არ გვაწყენს.

– არა, სახლში მივდივარ, – გადაჭრით თქვა ვახომ, – ამ ამბავს ბოლო უნდა მოვუღო.

– ეეე, არ გინდა-მეთქი, დამიჯერე! მოიცა, რა გითხრა მისმა თანამშრომელმა?

– შეიძლება, შეგვეშალა და ახლობელიაო – დაფრთხნენ და დაზადნენ.

– ჰო, მესმის მათი, შარში თავის გაყოფა არავის უნდა.

– მაშინ, რაღას მირეკავდნენ? უკვე გაყვეს თავი და ამას აღარაფერი ეშველება.

– გინდა, მე დავურეკო, შევხვდე და დაველაპარაკო?

– რა აზრი აქვს? – მხრები აიჩეჩა ვახომ, – ამით რა შეიცვლება?

– იქნებ, გული გადამიშალოს, რა იცი. ისე, მართლა ვინმე ახლობელი არ იყოს, ბიჭო!

– რა სისულელეა! მე, საერთოდ, ვფიქრობ, რომ შეიძლება, მათ შორის ადრეც იყო რაღაც.

– ეგ საიდანღა მოიტანე? ცოტა ხანს ნუღარ იფიქრებ ამაზე, თორემ, უკვე შეთქმულების თეორიებს ქმნი.

– ლოგიკურია, რასაც მე ვფიქრობ. აბა, ასე დაბარებულივით საიდან გამოხტა?! ოხ, ქეთი, .საერთოდ არ მცნობიხარ!..

– მე კი არა მგონია, ქეთის შენთვის ადრეც ეღალატოს, არ მჯერა ამის.

– ანუ, ახლა რომ მღალატობს, იმის გჯერა? – იქედნურად ჰკითხა ვახომ, – ძალიან ცდილობ, გული გამიკეთო, მაგრამ, მოცემულობა მეტისმეტად სასტიკია, – ვახომ მობილური აიღო და ნომერი აკრიფა.

– ვის ურეკავ?

– რეალობა უნდა დაგანახვო, – მოკლედ მიუგო ვახომ, – ნანა, შენ ხარ? მომისმინე, ქეთი სახლშია? არა? გასაგებია... გასაგებია-მეთქი! ჰო, ჰო, ამოვალ როგორმე ბავშვის სანახავად. კარგად იყავი, – აჰა, რას გეუბნებოდი? სახლში არ ბრძანდება. ბავშვი ძიძასთან ყავს მიგდებული და აიშვა გოგომ. ის ძუკნა ეტყოდა, ასე მოიქეციო.

– ვინ ძუკნა?

– ვის გამოც ამიტეხა ამბავი – ლიზა დაარიგებდა ჭკუას. ოხ, მე ყველა ბოზის...

– ვახომ უშვერად შეიგინა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**



## ემზარ კიზირიას გახსენება

ჩემო ულალატო, კეთილო და განათლებულო ძმაო! ტკივილით და ცრემლით სავსე 2 წელი გავიდა, რაც ჩვენგან წახვედი, რაც დრო გადის, უშენობა უსაშველოდ გაუსაძლისია, შენს სახელს დავიწყება არ უწერია. არასოდეს ჩაქრება შენს სახელზე დანთებული სანთლები, არ დაჭკნება ყვავილი.



**შენი და ივეტა**

# ქურდული ცხოვრება

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №28-49(675)**

ძია ვასია თხუთმეტი წლის იყო, როცა ის პროფესიონალი ჯიბგირების ბანდაში მოხვდა. ბანდას ცნობილი ქურდი-რეციდივისტი პეტია ლიხოი მეთაურობდა. სწორედ მან აღმოაჩინა მომავალი ლეგენდარული ქურდი და მეტსახელი „ბრილიანტიც“ მანვე შეარქვა.

ერთხელ, ჭაბუკი ვასკა ბაბუშკინი, რომელიც ბავშვთა სახლიდან იყო გამოქცეული, მოსკოვის ტრამვაიში ჩალიჩობდა. მან ერთ მწვანეპიჯაკიან კაცს ოქროს საათი მოჰპარა ჯიბიდან, მაგრამ, ჩავიდა თუ არა, ვიღაცამ ხელი ჩაავლო მაჯაში და ჰკითხა:

– დიდი ხანია, რაც აქ ჩალიჩობ?

ვასკამ უცნობ მამაკაცს შეხედა და შეცბა, რადგან, ტრამვაიში მას საფულე ამოაცალა და, იფიქრა, გავებიო. ამიტომ, გაქცევა სცადა, მაგრამ, უცნობს ისე მაგრად ჰყავდა ჩაბღუჯული, რომ ნაბიჯიც ვერ გადადგა და უცნობს სთხოვა:

– გამიშვი, რა, ძია, გამიშვი! აიღე შენი საფულე და გამიშვი!

– რა საფულე? – თქვა უცნობმა, პიჯაკის მარჯვენა ჯიბეში ჩაიყო ხელი და დაამატა: ლაპატნიკი გაქრა, ნუთუ შენ ამწაპნე?

პატარა ჯიბგირმა უცნობს საფულე დაანახვა, რომელიც ქამარში ჰქონდა გარჭობილი და უთხრა:

– აი, გამომართვით.

უცნობმა თვალები დაუბრიალა ვასკას და უთხრა:

– ჩქარა დამალე! შენ რა, გინდა, აგვაგდონ? – და სასწრაფოდ მოაშორა იქაურობას პატარა ჯიბგირი, – ეს საფულე ნაჩალიჩარია და, შემთხვევით პატრონი რომ გამოჩნდეს, მილიცია და შარი არ აგვცდება.

ვასია ბაბუშკინი მიხვდა, რაშიც იყო საქმე და უცნობს უთხრა:

– მე კი მეგონა, რომ საფულის გამო ჩამავლეთ.

ჯიბგირები უსაფრთხო ადგილას, პატარა ჩიხში იდგნენ, ამიტომ უცნობმა ვასკას თითით ანიშნა, საფულე დამიბრუნეო და უთხრა:

– მე დავინახე, რა ოსტატურად ამოაცალე იმ ლოხს საათი, მაგრამ, ეს ჩვენი ტერიტორიაა და სწორედ ამიტომ დაგაკავე.

– კიდევ კარგი, რომ მილიციელი არ ხართ, ძია, თორემ, დიდი უსიამოვნება შემხვდებოდა, – უთხრა ვასკამ უცნობს, რომელმაც მას მიუგო:

– მე პეტია ლიხოი ვარ, გაგიგონია?

– უკაცრავად, მაგრამ, არა, – უთხრა ვასიამ, – მე აქ არავის ვიცნობ, სულ მარტო ვარ.

– ასე ჩალიჩი სად ისწავლე?

– ერთხელ რომ დამჭირდა, მოვიპარე და მას მერე ამ საქმეს მივდევ.

– უფრო დაწვრილებით მოყევი.

ვასიამ დაწვრილებით მოუყვა ლიხოის თავისი ოჯახის ტრაგიკული ისტორია და ბოლოს დაამატა:

– ორი დღეა, რაც ბავშვთა სახლიდან გავიქეცი და ალბათ, მეძებენ.

– რამდენი წლის ხარ?

– თხუთმეტის.

– თხუთმეტი, თხუთმეტი... – გაიმეორა ლიხოიმ და ვასიას ჰკითხა: არ გინდა შემოგვიერთდე?

– ვის და სად?

– ჩვენ, ჯიბგირებს, ბანდაში, – უთხრა ლიხოიმ, – ამ ტრამვაის მარშრუტი ჩვენი ტერიტორიაა და იმიტომ ჩაგავლე ხელი, რომ შენი წარმომავლობა გამერკვია. ახლა კი გაირკვა, რომ მარტოხელა მოჩალიჩე ხარ და ჩვენთან მოსვლასაც ამიტომ გთავაზობ. რას იტყვი, თანახმა ხარ?

– თანახმა ვარ, – მიუგო ლიხოის პატარა ვასიამ და იმ დღიდან ქურდული სამყაროს მომავალი ლეგენდა შავი სამყაროს წევრი გახდა.



ლიხოიმ ვასია ქურდულ მალინაში მიიყვანა და კოლეგებს უთხრა:

– ნახეთ, ძმებო, ნამდვილი ბრილიანტი მოგიყვანეთ. ისე სუფთად ამპარსა საფულე ტრამვაიში, რომ ვერაფერი გავიგე.

პატარა ვასია ჯიბგირების ბანდის სრულუფლებიანი წევრი გახდა. ქურდულ კანონებს მას პირადად ლიხოი ასწავლიდა და ასე მოძღვრავდა:

– გახსოვდეს, როგორც არ უნდა გაგიჭირდეს, ჩვენს კანონს არასდროს გადაუხვიო და შენთვის შეღავათის ძიება არ დაიწყო. ისწავლე გაჭირვების გაძლება და „ძაღლებთან“ არავითარ შემთხვევაში არ ითანამშრომლო. ეცადე, რომ ქურდულ ობშჩიაკში მეტი შეიტანო, ვიდრე აიღო. ნურასდროს შეეცდები, სხვა ქურდებზე მეტი გამოჩნდე. ყველა ქურდი თანაბარია და სწორედ ესაა ჩვენი ძლიერების ერთ-ერთი ქვაკუთხედი.

ბრილიანტი ყოველთვის განუხრელად ასრულებდა ლიხოის შეგონებას და ჭაბუკობაშივე ეტყობოდა, რომ სახელოვანი ქურდი გახდებოდა. ბანდაში ვასიამ ერთი წელი დაყო. ამასობაში პეტია ლიხოი დაიჭირეს, თანდათან ბანდის სხვა წევრებიც გისოსებს მიღმა აღმოჩნდნენ და ვასია კვლავ მარტო დარჩა. თუმცა, ის უკვე გამოცდილი ქურდი იყო და, 17 წლის მიუხედავად, ბევრი რამ იცოდა და ბევრი რამ შეეძლო. თანაც, ქურდულ სამყაროში მას კარგად იცნობდნენ და „ბრილიანტს“ ეძახდნენ. ვასია ბრილიანტი მოსკოვის ქურდულ მალინას აფარებდა თავს, სადაც ის პირველად ლიხოიმ მიიყვანა. ამის პარალელურად კი ინტენსიურად ჯიბგირობდა და შემოსავლის ლომის წილს ციხეში, ლიხოის და სხვა ქურდებს უგზავნიდა. ერთ დღეს, როდესაც მთელი დღის მუშაობით დაღლილი ბრილიანტი მალინაში დაბრუნდა, მას იქ ჩასაფრებული მილიციელები დახვდნენ, შეიპყრეს და მილიციის მთავარ შენობაში მიიყვანეს, რომელიც პეტროვკაზე მდებარეობდა.

– აბა, ყმაწვილო, მოგვიყევი შენი გმირობების შესახებ, – მკაცრად უთხრა ბრილიანტს გამომძიებელმა.

– რომელი ჰერაკლე მე მნახეთ?! – მშვიდად მიუგო ბრილიანტმა გაოცებულ გამომძიებელს, რადგან, მას ძირითადად გაუნათლებელ, წერა-კითხვის უცოდინარ კონტინგენტთან ჰქონდა საქმე და ახალგაზრდა ჯიბგირისგან ჰერაკლეს ხსენებას არ მოელოდა.

– საიდან იცი, ვინ იყო ჰერაკლე?

– ელინური მითებიდან.

– უყურე შენ?! – ჩაილაპარაკა გამომძიებელმა და ბრილიანტს ჰკითხა: შენ, შემთხვევით, გიმნაზიელი ხომ არ ხარ?

– ქურდი ვარ, თუმცა წიგნების კითხვა მიყვარს და თავისუფალ დროს ამ საქმით ვარ დაკავებული.

ვასია ბრილიანტი პეტროვკიდან აღარ გამოუშვიათ, რადგან, ჩხრეკისას მას ჯიბეში ორი ისეთი ნაქურდალი ნივთი აღმოუჩინეს, რომელიც დაზარალებულებმა ამოიცნეს. ბრილიანტის დაკავება წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით განხორციელდა და მისი გასამართლება და ციხეში

გაშვებაც სწორედ ამიტომ მოხერხდა. მოსკოვის მილიციას ყელში ჰყავდა გაჩხერილი ახალგაზრდა, მოხერხებული ჯიბგირი, მის დაჭერას აპირებდნენ და წარმატებითაც განახორციელეს ეს ჩანაფიქრი.

17 წლის ვასია ბრილიანტს ჯიბგირობისთვის 2 წელი მისცეს და მოსკოვის ტაგანკის ციხეში გაამწესეს, სადაც პეტია ლიხოი იხდიდა სასჯელს.

– კეთილი იყოს შენი მობრძანება მშობლიურ სახლში, – გულთბილად შეეგება ვასია ბრილიანტს ლიხოი, გულში ჩაიკრა და ქურდული საკნის მობინადრეებს მიმართა:

– ეს ის კაცია, მე რომ გიყვებოდით. ძმად მიიღეთ და პატივი ეცით.

ვასიამ და ლიხოიმ ერთად გატარეს ციხეში ორი წელი და ერთი კვირის ინტერვალით, თითქმის ერთდროულად გათავისუფლდნენ – ჯერ ლიხოი გამოვიდა, შემდეგ ბრილიანტი. პეტია ციხის კართან შეეგება ვასიას და ჩაეხუტა:

– თავისუფლებას გილოცავ, ძმაო. კეთილი იყოს შენი უკან დაბრუნება.

ბრილიანტს გუნებაში გაეცინა, რადგან, ლიხოის სულ რაღაც ერთი კვირის წინ დაშორდა ორწლიანი ერთად ყოფნის მერე და ასეთი შეხვედრა გადაჭარბებულად მოეჩვენა, თუმცა, ლიხოის გულწრფელობაში ეჭვი არ ეპარებოდა და მას მიუგო:

– ლიხოი, ძმაო, შენ როგორ ხარ, ხომ მშვიდობაა?

– მშვიდობაა, მშვიდობა. წავედით, აღვნიშნოთ შენი გამოსვლა.

ლიხოიმ და ბრილიანტმა ქურდულ მალინაში კარგად მოილხინეს, ქალებსაც ესიყვარულნენ და, რომ გამოფხიზლდნენ, საჯიბგიროდ წავიდნენ. რამდენიმე თვეში ლიხოის ბანდის ყველა წევრი დაბრუნდა ციხიდან, ქურდები სრული დატვირთვით ამუშავდნენ და მოსკოვი ჯიბგირობამ წალეკა. მიუხედავად იმისა, რომ მილიცია მთელი ძალებით ცდილობდა ბანდის განეიტრალებას, ჯიბგირები ძალიან დახვეწილად მოქმედებდნენ და მათი ფაქტზე დაჭერა არ ხერხდებოდა. ერთ დღეს ლიხოი და ბრილიანტი ტრამვაიში ჩალიჩობდნენ. ლიხოი ერთ ახალგაზრდას „აეკრა“ და ეჩალიჩებოდა. ბრილიანტი მოშორებით იდგა, მაგრამ, დაინახა, თუ როგორ დაბარბაცდა ლიხოი და ჩაიკეცა. ამასობაში ტრამვაი გაჩერდა და „ობიექტი“ ჩავიდა, თუმცა, ბრილიანტმა კარგად დაიმახსოვრა მისი სახე. ამ დროს ქალის ისტერიული კივილი მოისმა – მოკლეს, მოკლესო...

ბრილიანტი ჩაკეცილ პეტია ლიხოისთან მიიჭრა, რომელსაც ორლესული, წვრილი დანა ჰქონდა მარცხენა მკერდში შერჭობილი და იარიდან სისხლი სდიოდა. 19 წლის ვასია ბრილიანტი არ დაიბნა. მან დანა ფრთხილად ამოაძრო ჭრილობიდან და ჯიბეში ჩაიდო. შემდეგ პერანგი შემოახია ლიხოის და ჭრილობაზე ცხვირსახოცი დაადო, სამი მგზავრი დაიხმარა და სახელდახელო საკაცით, რომელიც სხვადასხვა ნივთებისგან შეკრეს, ის საავადმყოფოში მიიყვანეს. საბედნიეროდ, საავადმყოფო გაჩერებიდან სულ რაღაც ორმოცდაათ მეტრში მდებარეობდა და მძიმედ დაჭრილ პეტია ლიხოის ექიმებმა სულზე მიუსწრეს. დანა გულს ასცდა, მაგრამ, ლიხოის ბევრი სისხლი ჰქონდა დაკარგული და მდგომარეობას ეს ამძიმებდა. სანამ ლიხოის ოპერაციას უკეთებდნენ, ბრილიანტმა სისხლიანი დანა საავადმყოფოს ტუალეტში დამალა. იქიდან რომ გამოვიდა, საავადმყოფოს დერეფანში მოსკოველი მილიციელების ნაცნობი სახეები დაინახა. იქვე იყო ის გამომძიებელიც, რომელმაც ბრილიანტი პირველ სროკზე გაუშვა. მან ვასიას გაუღიმა და უთხრა:



– გამარჯობა, ბაბუშკინ!

– გაგიმარჯოთ, – მშრალად უპასუხა ბრილიანტმა.

– რა მოხდა, რა დაემართა ლიხოის?

– ტრამვაიში ვიღაცამ დანა გაუყარა გულში.

– ერთად იყავით?

– კი, ერთად.

– როგორ მოხდა?

ბრილიანტი დაწვრილებით მოუყვა გამომძიებელს ყველაფერს, მხოლოდ ის არ უთქვამს, რომ ობიექტის სახე დაინახა, თუმცა აშკარა იყო, რომ ლიხოის ობიექტმა გაუყარა დანა და ბოლოს უთხრა:

– დროზე მივუსწარით, თორემ მოკვდებოდა.

– დანა შენ ამოაძრე ჭრილობიდან?

– დიახ.

– მერე, სადაა?

– ჯერ ჯიბეში ჩავიდე, მერე კი შორს, მდინარეში მოვისროლე.

– რატომ? დანა შენ ხომ არ გიხმარია?

– არა, მაგრამ, ჩვეულებისამებრ, ფაქტი მოვიშორე – რა იცი, რა ხდება, რა მოუვა მილიციას თავში? დანაზე ჩემი თითების ანაბეჭდები იყო და, ხომ შეიძლებოდა, ჩემთვის შემოგეტენათ ეს საქმე?

– შენ, რა, დამცინი, ბაბუშკინ? მინიმუმ ოცი მოწმე მაინც დავკითხე, რომლებიც ერთხმად ამტკიცებენ, რომ შენ მერე მიხვედი და დანა ამოაძრე ჭრილობიდან.

– როდის მოასწარით ამდენი ხალხის დაკითხვა?

– დაკითხვები ახლაც გრძელდება. მიმღებში ერთი ოთახი გამოგვიყვეს, თითქმის მთელი მგზავრები იქ არიან და ჩვენებებს იძლევიან. სხვათა შორის, ჩვენება შენც უნდა ჩამოგართვა.

– ხომ იცით, რომ ხელს არაფერზე მოგიწერთ. რაც ვიცოდი ვთქვი, იმ დამპლის სახე არ დამინახავს, თორემ, ამასაც გეტყოდით.

– მართლა არ დაგინახავს?

– მართლა, – მიუგო გამომძიებელს ბრილიანტმა, რომელმაც ზუსტად აღიდგინა მეხსიერებაში ლიხოიზე თავდამსხმელის სახე, თუმცა, ეს გამომძიებლისთვის არ უთქვამს.

ლიხოისთვის გაკეთებულმა ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა, ის სიკვდილს გადარჩა, თუმცა დაინვალიდდა და მარცხენა ხელი გაუხმა, არადა, ლიხოი ცაცია იყო, ამიტომ ჯიბგირობას ველარ შეძლებდა. მეორე დღეს ლიხოის მთელი ბანდა ქურდულ მალინაზე შეიკრიბა და როდესაც ბრილიანტმა ყველაფერი დაწვრილებით მოყვა, ერთ-ერთმა ქურდმა თქვა:

– ნაცნობი ოინია: ლიხოის უთვალთვალებდნენ, შემდეგ თავდამსხმელმა მას თავი შეაჩეჩა და მოკვლის მიზნით დანა გაუყარა, თუმცა, ვერ მოკლა. თავდამსხმელი პროფესიონალი მკვლელია და ის ლიხოის მიუგზავნეს.

– დარწმუნებული ხარ? – ჰკითხა ქურდს ბრილიანტმა.

– ასი პროცენტით. შენ მიერ აღწერილი როჟა, რომელმაც, შენი სიტყვებით, ლიხოის გაუყარა, მოკლეხელება ჟორას ეკუთვნის. ის კი მკვლელია და შეკვეთებზე მუშაობს.

– ლიხოის მკვლელობა ვის უნდა შეეკვეთა?

– ვიტია ჟადნის, – ერთხმად უთხრეს ბრილიანტს შეკრების დანარჩენმა მონაწილეებმა.

– ეგ ვინაა?

– ყოფილი ჩვენიანი, – უთხრა ბრილიანტს ერთ-ერთმა ქურდმა, – ხუთი წლის წინ ლიხოიმ მას ყურებში წამოარტყა კრისობისთვის. მერე ის სროკზე წავიდა. ახლა, როგორც ეტყობა, გამოვიდა და შურისძიებისთვის მკვლელი დაიქირავა.

ბრილიანტმა მაგიდაზე ორლესული, სისხლიანი დანა დადო და თქვა:

– ქურდულ სიტყვას ვიძლევი, რომ, თუ



სხვამ არ მოკლა ან თავისით არ დაიხოცნენ, უახლოეს დღეებში მოვკლავ მოკლეხელება ჟორას და ვიტია ჟადნის.

ვასია ბრილიანტმა პირნათლად შეასრულა პირობა: ჯერ დაქირავებულ მკვლელს, მოკლეხელება ჟორას თავისსავე სახლის სადარბაზოში გამოჭრა ყელი. იმავე საღამოს კი, ვიტია ჟადნის ტარამდე ჩაასო დანა გულში და სიცოცხლეს გამოასალმა.

ძია ვასიას ეს ბიოგრაფიული დეტალები მან თვითონ მიამბო და ასე დაასრულა თავისი მონათხრობი:

– ამის მერე ქურდებმა სხოდკა შეკრიბეს და ქურდად მაკურთხეს, თუმცა, მე ამის წინააღმდეგი ვიყავი და მერჩივნა, რომ მეტი გამოცდილება მიმეღო.

– პეტია ლიხოის რა ბედი ეწია?

– ლიხოის ქურდული პენსია დავუნიშნეთ, მაგრამ, ისეთი მოუსვენარი იყო, რომ ჩალიჩი მოინდომა და ერთხელ ტრამვაიშიც კი სცადა ჯიბგირობა, თუმცა, არაფერი გამოუვიდა და იმ დღიდან სმა დაიწყო. ერთ მშვენიერ დღეს კი ვენებგადახსნილი იპოვეს აბაზანაში.

– თავი მოიკლა?

– ჰო, – მითხრა ბრილიანტმა, – პენსიონერ-ინვალიდობა არ ისურვა და ასეთი განაჩენი გამოუტანა საკუთარ თავს.

თვითმკვლელობა დიდი ცოდვაა, რადგან უარს ამბობ ღმერთის უძვირფასეს საჩუქარზე – სიცოცხლეზე. ღმერთი კი ძალიან მკაცრია. თუმცა, ჩემი განსასჯელი არაა მსგავსი საქციელი. ადამიანურად კი, გასაგებია, რა ძნელია თითქმის გამოუვალ მდგომარეობაში ყოფნა და ერთადერთ გამოსავლად სიკვდილი მიგაჩნია...

ჩემი ცხოვრების განმავლობაში რამდენჯერმე აღმოვჩნელივარ ძალიან ცუდ სიტუაციაში და სიკვდილიც კი მინატრია, მაგრამ, ეს სურვილი დამიძლევია და არასდროს გადამიკვეთია ის ზღვარი, რომლის უკან გადმოკვეთას ველარ შევძლებდი. ასეთ ზღვარზე ვიმყოფებოდი, როდესაც მეორე სროკიდან დაბრუნებულს დედ-მამა გარდაცვლილი დამხვდა. სიცოცხლე არ მინდოდა. რამდენიმე დღე არც სახლიდან გამოვსულვარ და არც სტუმარს ვიღებდი, ყველას ვემალებოდი. ოთხდღიანი ფიქრის მერე ამქვეყნიდან წასვლა გადავწყვიტე და რამდენიმე ვარიანტიდან ტყვია ავირჩიე. მიუხედავად იმისა, რომ თვითმკვლელობა უკვე გადაწყვეტილი მქონდა, სიცოცხლესთან განშორება ძალიან მიჭირდა და ჩემთვის ვთქვი: მოდი, ნაგანში ერთი ტყვიის ადგილს ცარიელს დავტოვებ და, თუ სასიკვდილო არ ვარ, განგებამ გადაწყვიტოს-მეთქი. თუმცა, შემდეგ გადავიფიქრე. რევოლვერის ცილინდრში შვიდი ტყვია ჩავდე, დავატრიალე, საფეთქელზე მივიდე და სასხლეტს მთელი ძალით დავაწექი. ნემსა კაფსულას მოხვდა, მაგრამ ტყვია არ გავარდა...

– ნუთუ გაფუჭებული ტყვიაა? – ვთქვი ჩემთვის. შემდეგ ცილინდრი გავასწორე, რევოლვერი შევაყენე, იარაღი წინ გავიშვირე, სასხლეტს თითი გამოვკარი და... ტყვია ჭახანით გავარდა და კედელში დაიკარგა...

მივხვდი, რომ ტყვიის უვარგისობა აქ არაფერ შუაში იყო და ჩემი საკითხი ზეცაში გადაწყდა... ამიტომ, რევოლვერი სამალავში ჩავდე. შემდეგ მუხლებზე დავემხე და კარგა ხანს თავაუღებლად ვილოცე... ის დღე იყო და, თვითმკვლელობაზე ფიქრი აზრადაც აღარ გამივლია თავში. არადა, წინ დიდი ტანჯვა-წამება მელოდა და ისეთი მდგომარეობისთვის გამიძლია, რომელშიც მრავალ ადამიანს მოუკლავს თავი.

ერთხელ, მაგადანის მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში ვიჯექი და ჩემზე გადამტერებულმა რეჟიმის უფროსმა ორი კვირა არ გამომიშვა კარცერიდან. იანვარი იყო, ყინვა ორმოც გრადუსს აღწევდა და, ცივ კარცერში კი არა, ხალხი ბარაკებში ვერ უძლებდა სიცივეს. რეჟიმის უფროსმა პირადად მიმიყვანა კარცერში, ერთი თბილი ტულუპი მომცა და მითხრა:

– ხვალ დილით მოგაკითხავ და შენს გაყინულ სხეულს პირდაპირ საფლავზე წავაღებინებ ნადზორებს. ახლა კი ვუბრძანებ, რომ შენთვის საფლავის თხრა დაიწყონ...

რეჟიმის უფროსმა მართლაც მომაკითხა მეორე დღეს, ცოცხალი რომ მნახა, გაოცდა და მითხრა:

– არა უშავს, ხვალ წავიღებ შენს სხეულს დასამარხავად.

იმ ნაბოზარმა ორი კვირა იარა კარცერში და თოთხმეტი დღის მერეც რომ ცოცხალი მნახა, ნადზორებს ჩემი თავი გამოაშვებინა, მაგრამ, როგორც კი გარეთ გამოვდგი ფეხი, გონება დავკარგე და წავიქეცი. გათავისუფლებამდე ერთი თვე მქონდა დარჩენილი და ეს დრო ციხის საავადმყოფოში გავატარე. კარცერში სიკვდილს კი, რა თქმა უნდა, ღმერთმა გადამარჩინა. ტექნიკურად კი ეს ასე მოხდა: მე გაუჩერებლად ვმოძრაობდი, მაგრამ, ძალები რომ მელეოდა, ვჩერდებოდი და მაქს-

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები



| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ბ | | | ა | ს | | | | ბ | | | | | |
| ი | ს | ა | პ | | ბ | რ | ო | ლ | ი | ა | | | | | |
| პ | ო | ლ | ი | გ | ლ | ო | ტ | ი | | მ | | | | | |
| ე | კ | | გ | | ი | ლ | ო | მ | ე | ბ | | | | | |
| პ | ა | რ | მ | ა | | ა | ტ | ო | ლ | ი | | | | | |
| | რ | ვ | ა | ლ | ი | | ო | ნ | ა | ნ | | | | | |
| დ | ი | ე | ლ | ო | | ბ | რ | ა | ვ | ო | | ო | | | ა |
| | | უ | ი | კ | ე | | ო | | | | ი | ბ | ი | ა | ნ |
| პ | ა | ლ | ო | | | ო | დ | ა | ს | უ | ტ | ა | ს | | ფ |
| ო | | ი | ნ | ი | ლ | კ | | | კ | რ | ა | მ | ი | ტ | ი |
| რ | | | ი | ნ | უ | ა | რ | ბ | | ჩ | ხ | ა | ვ | ი | ს |
| ტ | ო | მ | | გ | ა | რ | ა | ნ | ტ | ი | ა | | ე | ც | ა |
| ი | | კ | ვ | ი | რ | ი | კ | ე | | ა | ნ | ო | ლ | ი | |
| | ი | ლ | უ | რ | ა | ნ | ე | ლ | პ | | | დ | | ა | |
| კ | ვ | ა | ლ | ი | | ა | ტ | ი | ლ | ა | | ა | ო | ნ | ა |
| | ა | ვ | ე | | პ | | ა | | ა | ნ | ი | რ | ტ | ი | ვ |
| ო | ლ | ი | ვ | ე | რ | ი | | ი | გ | ა | მ | ო | ქ | | ა |
| | ფ | | უ | | ი | | ო | რ | ი | ნ | ო | კ | ო | | რ |
| ე | | ა | | ა | ვ | ე | ნ | ბ | ა | დ | | | კ | | ა |
| ს | ა | ბ | ა | ბ | ი | | ტ | ი | ტ | ი | ნ | ი | | ი | |
| მ | თ | ა | | ა | ლ | მ | ა | ს | ი | | ა | ო | რ | ტ | ა |
| ა | რ | ბ | | ს | ე | ი | რ | ი | | ე | მ | რ | ი | ა | ს |
| | ო | | წ | ი | გ | ნ | ი | | გ | უ | რ | ი | ე | ლ | ი |
| ე | კ | ა | ვ | | ი | დ | ო | ლ | | თ | უ | | კ | ო | ტ |
| | ი | | ა | კ | ა | ი | | | ბ | ო | მ | ბ | ა | | |

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 7 | 6 | 9 | 3 | 4 | 1 | 8 | 5 |
| 1 | 9 | 8 | 6 | 5 | 2 | 7 | 3 | 4 |
| 3 | 4 | 5 | 8 | 7 | 1 | 9 | 2 | 6 |
| 4 | 8 | 7 | 3 | 1 | 9 | 5 | 6 | 2 |
| 5 | 6 | 1 | 2 | 4 | 7 | 3 | 9 | 8 |
| 9 | 3 | 2 | 5 | 6 | 8 | 4 | 7 | 1 |
| 6 | 1 | 3 | 7 | 8 | 5 | 2 | 4 | 9 |
| 8 | 5 | 9 | 4 | 2 | 3 | 6 | 1 | 7 |
| 7 | 2 | 4 | 1 | 9 | 6 | 8 | 5 | 3 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 4 | 2 | 8 | 6 | 1 | 5 | 3 | 9 |
| 6 | 9 | 3 | 5 | 4 | 7 | 8 | 2 | 1 |
| 5 | 8 | 1 | 2 | 9 | 3 | 4 | 6 | 7 |
| 2 | 1 | 5 | 9 | 7 | 4 | 6 | 8 | 3 |
| 9 | 6 | 4 | 3 | 8 | 2 | 7 | 1 | 5 |
| 8 | 3 | 7 | 1 | 5 | 6 | 9 | 4 | 2 |
| 1 | 7 | 6 | 4 | 3 | 5 | 2 | 9 | 8 |
| 3 | 5 | 9 | 6 | 2 | 8 | 1 | 7 | 4 |
| 4 | 2 | 8 | 7 | 1 | 9 | 3 | 5 | 6 |

**„თუ გამოიცნობთ“ რუბრიკის პასუხები: 1. ბარბის. 2. აბეზარი მწერების მისაზიდად. 3. ჯეიმს კუკი 1779 წელს მოკლეს აბორიგენებმა. 4. ევროპის ცენტრი. 5. დედოფალი გვირგვინის გარეშეა გამოსახული. 6. ფულის ბანკნოტებზე. 7. შავი ჭირის. 8. ჟიულ გაბრიელ ვერნი – ეს ყველაფერი იწინასწარმეტყველა 9. ცოლს. 10. სიურეალიზმი.**



იმუმ ერთი საათით ვიძინებდი. შემდეგ კვლავ ვმოძრაობდი და ასე გრძელდებოდა სრული ორი კვირა. სასწაული კი ისაა, რომ ექიმებმა ორგანიზმის გამოფიტვის დიაგნოზი დამისვეს და, არათუ ფილტვების ანთება, გრიპიც კი არ შემყრია...

– კობრა, ძმაო, ბედნიერ ვარსკვლავზე ყოფილხარ დაბადებული, – მითხრა ფედკამ, რომელიც ჩემს პალატაში იწვა და კარცერის ამბავი დაწვრილებით მოვუყევი.

ფედკა ცნობილი მძარცველი იყო და არაერთი გახმაურებული დანაშაული ჰქონდა ჩადენილი. მას, როგორც თავზეხელაღებულს, ისე იცნობდნენ, მაგრამ, ქურდებს პატივს გვცემდა და არაერთხელ შემოუგზავნია ციხეში გრევი. ჩემი გაწერისა და გათავისუფლების წინა ღამეს ფედკა კარგა ხანს მელაპარაკა, ბედნიერი გასვლა მისურვა და დაიძინა. დილით კი ის ვენებგადახსნილი იპოვეს. იქვე ეგდო სისხლიანი სკალპელი, საწოლის უკან კი – ბარათი, რომელშიც ეწერა: „მომბეზრდა ეს მგლური ცხოვრება, სიმშვიდე მინდა და იმედია, მას საიქიოში მოვიპოვებ".

ფედკას თვითმკვლელობამ გული დამიმძიმა და გულახდილად ვიტყვი, რომ წამით ისიც კი გავიფიქრე, რომ გავალ, ქურდობას შევეშვები და ოჯახს მოვეკიდები-მეთქი. თუმცა, ასეთი აზრი მალევე გამიქრა და თბილისში რომ დავბრუნდი, ახალ საქმეზე დავიწყე ფიქრი. იმ პერიოდში, ბერძენა სვაბოდაზე იყო და სახლში წესიერადაც კი არ ვიყავი ნამყოფი, რომ მასთან მივედი და მოვიკითხე:

– ბერძენ, ძმაო, როგორ ხარ?

ბერძენას ძალიან გაუხარდა ჩემი დანახვა, ჩამეხუტა და მითხრა:

– ბოდიში, რომ ხშირად ვერ გეხმიანებოდი და გრევებს ვერ გიგზავნიდი. აი, შენი გრევები კი თითქმის ყოველკვირა მომდიოდა.

ბერძენა კარგა ხანს ვლადიმირის ცენტრალში იჯდა და იქიდან არა თუ გრევებს, ქსივებსაც კი ძალიან ძნელად გზავნიდა და საბოდიშო არაფერი ჰქონდა. ამიტომ, ბერძენას გავუღიმე და ვუთხარი:

– მაიცა, რა, რა დროს ეგაა. შენ ის მითხარი, რამე ხეირიანი ნაკოლი ხომ არ გაქვს?

– სწორედ ამ დილით იყო ჩემთან ერთი ტიპი და საქმე შემომთავაზა.

– რა საქმე?

– ცოტა უჩვეულო კი არის, მაგრამ... – მხრები აიჩეჩა ბერძენამ, – კაროჩე, ოქროს ცეხიდან სეიფია წასაღები, მაგრამ, იქ თურმე კარიდან ვერ შეხვალ.

– ეგ როგორ?

– როგორ და, ცეხი თითქმის მილიციის შენობაშია.

– როგორ – „თითქმის"?

– როგორ და, მილიცია ძველ შენობაშია განთავსებული. იმ შენობის დერეფანს კი ტიხარი აქვს და სწორედ ამ ტიხრის უკანაა ეს ცეხი. რამდენიმე მილიციელი იქ მუდმივად იმყოფება და იცი, რატომ?

– რატომ?

– იმიტომ, რომ ამ ცეხს მილიციის უფროსი კრიშავს.

– ნაკოლშჩიკი ვინაა?

– ყოფილი ხელოსანი. ის ტყუილუბრალოდ გამოაპანღურეს და სამაგიეროს გადახდა უნდა. თან, ამტკიცებს, რომ სეიფში დიდი კუში ინახება.

– მან რა, არ იცის, რომ იქ შესვლა შეუძლებელია და იარაღითაც ვერ შეხვალ?

– მხრები ავიჩეჩე მე, ბერძენამ კი ღიმილით მომიგო:

– საქმეც ისაა, რომ ნაკოლშჩიკი უჩვეულო რაღაცას გვთავაზობს.

– მაინც, რას?

– რას და, ამტკიცებს, რომ, თუკი მაქსიმუმ ათმეტრიან გვირაბს გავთხრით გასტრონომის სარდაფიდან, რომელიც გვერდით მდებარეობს, ცეხში ქვევიდან შევალთ და ყველაფერი გამოგვივა.

– მიწა არასდროს მითხრია, – ვთქვი მე, – საინტერესო წინადადებაა. გასტრონომის სარდაფში, ალბათ, გასტრონომიდან უნდა მოვხვდეთ.

– კი და, სწორედ ესაა მთავარი პრობლემა. გასტრონომის სარდაფში ჩაღწევა არ გაგვიჭირდება, მაგრამ, იქიდან გვირაბის გათხრა არარეალურია.

– რატომაა არარეალური? – ვუთხარი ბერძენას, მან კი გაოცებით შემომხედა და მითხრა.

– იმიტომ, რომ მიწას გამოტანა უნდა და ამდენი მიწა უამრავი ხალხის თვალწინ როგორ უნდა გამოიტანო?

– რთულია, მაგრამ, უნდა შევასრულოთ, – ვუთხარი ბერძენას, – შახტიორა გაგიგია?

– არა.

– ერევანში ერთი აფერისტი ცხოვრობს და „შახტიორას" ეძახიან. იცი, რატომ?

– მიწის მთხრელია?

– დაახლოებით. კაროჩე, აფერისტობაზე იმდენი არა აქვს მისჯილი, რამდენიც პაბეგებზე. ერთხელ რუსეთის ერთ ზონაში ოთხწლიან სროკს იხდიდა და ჩუმად გვირაბის თხრა დაიწყო. დიდი კოვზით ჩალიჩობდა და სულ რაღაც ერთი მეტრი ჰქონდა დარჩენილი, როდესაც სროკი გაუთავდა და, იცი, რა ქნა?

– რა?

– რა და, ნადზორის შეურაცხყოფისთვის ექვსი თვე დაიმატა, გვირაბის გათხრა დაასრულა და მხოლოდ ამის მერე გათავისუფლდა სროკიდან.

– მაგარი იდეიანი ყოფილა.

– ნუ იტყვი, მაგარი. მოკლედ, მე ვფიქრობ, რომ უნდა ვიჩალიჩოთ. ღამით გასტრონომში შევალთ და გავთხრით, შემდეგ მიწას გამოვიტანთ და გადავყრით. სულ 5-6 საათი მოგვიწევს ღამეში ჩალიჩი. რას იტყვი?

– ვიჩალიჩოთ და ვნახოთ, რა გამოვა, – მითხრა ბერძენამ, – ნაკოლშჩიკს დაგელაპარაკებ.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**



## გახსენება



ჩემო ლაშიკო, ჩემი სიზმრების სიხარულო, დღეს 13 დეკემბერია და უშენოდ მოვიდა შენი დაბადების 20 წელი. ცრემლიანი სიყვარულით დაგინთებ სანთლებს და ვილოცებ შენი წმინდა სულისთვის, ჩემო ნუგეშო...

ძალიან მენატრები, შვილო, უსაშველოდ მენატრები. შენი ჭრილობის ტკივილს, შენთან განშორების სიმწარეს ყოველ წამს ვგრძნობ, გული დარდს ველარ იტევს, სუნთქვა და სიცოცხლე ტანჯვად მექცა... ჩემი ფიქრებით, ჩემი გონებით შენთან ვარ მუდამ. ყოველ დაღამებას იმედიანად ველოდები, რომ სიზმრად გნახო, წამიერად შევავლო თვალი, წამიერად მოგეფერო და შენთან შეხვედრის სითბო და სიხარული თან ვატარო მერე მთელი დღე.

მკაცრი ყოფილა წუთისოფელი, გული მომიკალი, შვილო. სანამ ცოცხალი ვარ, ვილოცებ შენთვის, ხოლო როცა შენთან შეხვედრის ბედნიერი დღე დამიდგება, გულში ჩაგიკრავ უზომოდ მონატრებულს.

**დედა**

# სერიული მანიაკები

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №38-49(675)**

აბულაძე უფრო მსუბუქად იყო დაშავებული, ვიდრე მირიანს წარმოედგინა. სასწრაფო დახმარების ექიმის პროგნოზი მცდარი აღმოჩნდა. მან ავარიისას საშუალო კატეგორიის ტვინის შერყევა მიიღო. მაგრამ, მკურნალი ექიმი მაინც თავს იკავებდა მისი დაკითხვის ნებართვის გაცემისგან.

– რატომ? – ჰკითხა მირიანმა, – ამას მისი მდგომარეობის გართულება შეუძლია?

– პრინციპში, შეუძლია. ეს ფიზიკურ ვნებას არ მიაყენებს, მაგრამ მის მდგომარეობაში, ყოველგვარი მღელვარება არასასურველია, – უპასუხა ექიმმა.

– გასაგებია, მაგრამ მე აუცილებლად უნდა გავესაუბრო. ყველაზე მცირე ეს ოფიციალური დოკუმენტაციის შესავსებად მჭირდება. ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, მან ხომ უნდა იცოდეს რისთვისაა დაკავებული! მომეცით მასთან საუბრის უფლება. პირობას გაძლევთ, თუ თავად არ მოისურვა, საუბარს სხვა დროისთვის გადავდებ.

ექიმი მცირე ხნით ჩაფიქრდა და შემდეგ უპასუხა;

– კეთილი, გაესაუბრეთ, მაგრამ არა უმეტეს, ათი წუთისა.

– ეს სრულიად საკმარისია, – უპასუხა მირიანმა და პალატის კარი შეაღო.

ზურაბ აბულაძეს თავზე სახვევი ედო. ის მარტო იმყოფებოდა პალატაში. კარის გაღებისას ოდნავ შეინძრა და დაძაბული მზერა მიაპყრო პალატაში შესულ მირიანსა და ანას.

– როგორ გრძნობ თავს? – ჰკითხა მირიანმა და საწოლის გვერდით, ტაბურეტზე ჩამოჯდა.

ანა საწოლის მეორე მხარეს მოეწყო, საქაღალდე გადაშალა და წერისთვის მოემზადა.

– ცუდად, თავი მტკივა, – ყრუდ ჩაილაპარაკა აბულაძემ.

– ამაში არაფერია უცნაური. გაგიმართლა, ასეთი მალაყის შემდეგ, ცოცხალი რომ გადარჩი. ბედს უმადლოდე, რომ ჩემი თანამშრომელი არ შეუშინდა მტკვარში გადახტომას. თორემ ახლა სრულიად სხვაგან იქნებოდი და სხვასთან მოგიწევდა შენს ცოდვებზე საუბარი! – შენიშნა მირიანმა.

– თქვენ პოლიციიდან ხართ?

– მთავარი პროკურატურიდან... შენთვის რამდენიმე კითხვის დასმა მსურს, მაგრამ თუ საუბარი არ შეგიძლია, დაკითხვას სხვა დროისთვის გადავდებთ.

– დევი უკვე აიყვანეთ?

– დევი წინასწარი დაკავების იზოლატორშია. მან უკვე მოგვცა ჩვენება, რომელშიც სხვათა შორის, დანაშაულის ინიციატორად შენ გასახელებს, – უპასუხა მირიანმა.

– მე მასახელებს?! – დაიძაბა აბულაძე, – ის ისეთივე დამპალია, როგორც მისი ძმა!

– დავიწყოთ თავიდან. იცი, რა დანაშაულის ჩადენაში ხარ ეჭვმიტანილი?

– იმ გოგოს გამო... – გაუბედავად ჩაილაპარა აბულაძემ.

– იმ გოგოს გამო კი არა, რაც ჩაიდინეთ, იმის გამო! – მკაცრად თქვა მირიანმა.

– გასაგებია.

– ადასტურებ, რომ დევიძესთან ერთად მონაწილეობდი ძალადობაში?

– ვადასტურებ, მაგრამ ეს დევიმ მოიფიქრა. მან თქვა, რომ ამ დამპალს დაუსჯელს ვერ გავუშვებ. ჭკუა უნდა ვასწავლო, რომ მომავალში სხვის მანქანას ახლოს არ გაეკაროსო!

– დევიძე სხვანაირად აღწერს ყოველივე იქ მომხდარს.

– როგორ?

– დაინტერესდა აბულაძე.

– ის შენ გასახელებს დანაშაულის ორგანიზატორად. ამტკიცებს, რომ შენ შესთავაზე გოგონას გაუპატიურება, – თქვა მირიანმა.

– ტყუილია... დამაპირისპირეთ დევი. ჩემი თანდასწრებით ვერ გაბედავს იგივეს გამეორებას! – აღელდა აბულაძე, – რისთვის უნდა მომენდომებინა მისი დასჯა. ნონას არაფერი დაუშავებია ჩემთვის და მანქანის დაზიანებაც ისეთ საშინელებად არ მეჩვენებოდა. ყოველივე ამის სხვანაირად მოგვარებაც შეიძლებოდა!

– შეიძლებოდა, მაგრამ შენ მაინც მიიღე მონაწილეობა გაუპატიურებაში! – ცივად შენიშნა მირიანმა.



აბულაძემ თვალები დახუჭა და მძიმედ ჩაილაპარაკა:

– არ ვიცი, რა დამემართა... დღესაც ვერ მიპატიებია საკუთარი თავისთვის.

– ჩვენ რატომ გაგვირბოდი? – განაგრძო მირიანმა.

– უბრალოდ, შემეშინდა. ინსტინქტურად გავიქეცი. თავიდან რამაზმა დამგრუზა. მერე კი თქვენ გამოჩნდით.

– როგორ მიხვდი, რომ გამომძიებლები ვიყავით?

– რამაზმა მითხრა.

– გაიხსენე, კონკრეტულად, რა გითხრა რამაზმა?

– დავიწვით!.. ძაღლები არიანო!..

– და შენც გაიქეცი.

– გავიქეცი, – დაუდასტურა აბულაძემ, – ძალიან არ მინდოდა ციხეში ჩაჯდომა.

– რაზე საუბრობდით? – ჰკითხა მირიანმა.

– რამაზი ნამდვილი ავანტიურისტია. მე ისიც კი არ ვიცოდი, რომ დევი აიყვანეთ. ის კი შინ მომადგა და შებმა დამიწყო: საქმე შენ აიღე თავზეო!

– მაინც როგორ წარმოედგინა ეს რამაზს?

– ძალიან უბრალოდ. მე საქართველოდან უნდა გავმგზავრებულიყავი და შემდეგ ოჯახის წევრებისა და ახლობლებისთვის შემეტყობინებინა, თუ რატომ გავიქეცი. თქვენ მათ დაკითხავდით და დაასკვნიდით, რომ დანაშაული მე ჩავიდინე. შესაბამის ჩვენებას მოგცემდათ დევიც. ფულისა და უცხოეთში ჩემი გაყვანის საკითხის მოგვარებას, რამაზი საკუთარ თავზე იღებდა.

– ამ სქემაში არაფრით ჯდება თავად ნონა. რა უნდა მოეხერხებინა მისი ჩვენებებისთვის რამაზს?

– ეს მეც ვკითხე. მან მიპასუხა, რომ მის ოჯახთან თავად მოაგვარებდა ყველაფერს. შემდეგ კი პროკურატურაზეც იზრუნებდა და საერთოდ მოგვიხსნიდა ბრალდებას, – უპასუხა აბულაძემ.

– თავად თუ გჯერა ამ ნაბოდვარის?

– რა ვიცი. რამაზს ძლიერი საახლობლო ჰყავს.

– რა უპასუხე რამაზს?

– დავეთანხმე... იმის წარმოდგენაც კი არ შემეძლო, რომ ოდესმე საკანში გამომამწყვდევდნენ, – ამოიოხრა აბულაძემ.

მირიანი მომდევნო კითხვის დასმას აპირებდა, მაგრამ სწორედ ამ დროს მისი მობილური ტელეფონი აზრიალდა.

– გისმენ, – უპასუხა მირიანმა.

– სად ხართ? – ყურმილიდან გიორგის ხმა გაისმა.

– საავადმყოფოში.

– მალე დაბრუნდებით პროკურატურაში?

– შენ რა, იქ ხარ?! – გაუკვირდა მირიანს, – მე ხომ გითხარი: დღეს შეგიძლია, დაისვენო-მეთქი!

– რა დროს დასვენებაა. თქვენთვის მაგარი სიურპრიზი მოვამზადე!

– რა სიურპრიზი?

– როცა მოხვალთ, ნახავთ. დარწმუნებული ვარ, უკმაყოფილო არ დარჩებით.

– კეთილი, მალე მოვალთ, – მირიანმა მობილური გათიშა და აბულაძეს მიუბრუნდა.

– დერეფანში შენი ოჯახის წევრები და ახლობლები იცდიან. რამე ხომ არ გადავცე?

აბულაძე წამით ჩაფიქრდა და შემდეგ უპასუხა:

– ტანსაცმელი... ტანსაცმელი მჭირდება. ძველი აღარაფრად ვარგა...

გიორგი იზოლატორის შესასვლელთან დახვდა მირიანსა და ანას. სახეზე ეტყობოდა, რომ უაღრესად კმაყოფილი იყო. თვალები უჩვეულოდ უბრწყინავდა და შესასვლელის გასწვრივ მოუსვენრად გადი-გამოდიოდა.

– რა მოხდა?! რა სიურპრიზი დაგვახვედრე? იმედია, ამის გულისთვის ყველას არ დაგვითხოვენ პროკურატურიდან? – დერეფანში შესვლისთანავე ჰკითხა მირიანმა.

– გული გაიმაგრე და გამომყევი, – უპას-

უხა გიორგიმ და იზოლატორის კარი შეაღო. მირიანმა და ანამ უსიტყვოდ გადახედეს ერთმანეთს და უკან მიჰყვნენ.

გიორგი ერთ-ერთი საკნის სიახლოვეს შეჩერდა და მირიანს სამზერზე მიანიშნა. მას არაფერი უკითხავს და ვითარების გარკვევის იმედით, სამზერში შეიხედა. საკანში ოცდაათიოდე წლის მამაკაცი იმყოფებოდა, რომელსაც მარჯვენა ყვრიმალზე მოზრდილი ხალი მოუჩანდა.

მირიანი უმალ მოშორდა სამზერს და გიორგის გაოცებული მზერა მიაპყრო.

– მიხვდი? – კმაყოფილი იერით ჰკითხა მან.

– ისაა? – ჰკითხა მირიანმა.

– ჰო... ლერი წულაია...

– როგორ მოძებნე?

– მე თავიდანვე გაგაფრთხილე, რომ არ მიყვარს კაბინეტში ჯდომა. ქუჩაში მუშაობა მირჩევნია. ეს კი წვრილმანია. უბრალოდ, საჭირო ხალხს უნდა იცნობდე და წამგებიანი ვითრების შენს სასარგებლოდ შემობრუნება შეგეძლოს... სამომავლოდ გაითვალისწინე, სტუდენტო! – გიორგიმ ნიშნის მოგებით გახედა ანას.

– შეგიძლია დალაგებით ამიხსნა?

– ლოტკინის ქვეგანყოფილების ხელმძღვანელი დამეხმარა. მართალია, გარკვეულწილად, იმპროვიზირება მოგვიწია, მაგრამ ჩანაფიქრმა გაამართლა. ამ ტიპმა საქმის გასარჩევად დამიბარა. უნდოდა, დაემტკიცებინა, თუ ვის მიჰყავს პარადი ლოტკინზე. „სტრელკაზე" თავის „სასტავთან" ერთად მოვიდა. ასე რომ, ზედმეტი ჩალიჩი აღარ დამჭირდა. ყველა ერთად ავყარეთ, – თქვა გიორგიმ.

– შენ გინდა თქვა, რომ... – დაიბნა მირიანი.

– მიყვარს ეს წუთები. ეფექტურია, არა?! – გაიცინა გიორგიმ.

– ბოლოს და ბოლის იტყვი თუ – არა?! – იწყინა მირიანმა.

– ჰო... დანარჩენებიც აქ არიან. მეზობელ საკნებში სხედან.

– უკვე დაკითხე?

– არა. ამ სიამოვნებას ვერ მოგაკლებდი. ჩვენთან შენ ხარ დაკითხვების დიდოსტატი, – უპასუხა გიორგიმ.

– ხომ არ შეცდი? – დაიძაბა მირიანი, – მთავარი პროკურორი აღარ გვაპატიებს უდანაშაულო მოქალაქეების დაკავებას.

– ეს არ მოხდება. ბოლოს და ბოლოს ჩვენს ქვეყანაში ქურდული ტრადიციების მიმდევრობა, დასჯადი ქმედებაა. გენახა ერთი, როგორ მიბრიალებდნენ თვალებს. ნამდვილი დაკითხვა მომიწყვეს. ამას იცნობ, იმასთან ძმაკაცობ? რა ცხოვრების კაცი ხარ? კაი ბიჭობას ანვები და უბრალოდ „მუჟიკი" ხარო... არა, იაღლიში არ მოგვივა. მათ ასაყვანად, ის „ბლატაობაც" საკმარისია. მაგრამ, დარწმუნებული ვარ, სწორედ ესაა, დევიძისა და აბულაძის მიერ აღწერილი ოთხეული! – რწმენით უპასუხა გიორგიმ.

– ვნახოთ. ჩავატაროთ ამოცნობა. არა მგონია, დევიძე და აბულაძე ასეთი გულმავიწყები იყვნენ. თუ ამოიცნეს, სხვანაირად ვისაუბრებთ. შენ და ანამ ამოცნობის პროცედურა მოამზადეთ. მე კი ამას გავესაუბრები, – თქვა მირიანმა და ზედამხედველს უბრძანა: დაკავებული დაკითხვის ოთახში მოიყვანეო.

ლერი წულაია მოკუნტული შემოვიდა ოთახში და მძიმედ დაეშვა სკამზე. მირიანმა ყურადღებით შეათვალიერა ეჭვმიტანილი. პირველი შთაბეჭდილება მცდარი აღმოჩნდა. სამზერიდან მას წულაია ოცდაათიოდე წლის ეჩვენა, მაგრამ ახლა ხვდებოდა, რომ ის ოცდასამი-ოცდაოთხი წლის იქნებოდა. გაფითრებული, შეშუპებული სახე და ჩამუქებული ქუთუთოები ერთიორად მატებდა ასაკს. ეს იმის უეჭველი ნიშანი იყო, რომ წულაია ნარკოტიკსა და სპირტიან სასმელს ეტანებოდა. მირიანს ასევე თვალში მოხვდა მარჯვენა ხელის საჩვენებელ თითზე ამოსვირინგებული ხუთი წერტილი, რაც მის ნასამართლეობას მიუთითებდა.

– ნასამართლევი ხარ? – ჰკითხა მირიანმა.

წულაიამ მარჯვენა ხელი მარცხენა ხელისგულში მოიქცია და ყრუდ უპასუხა;

– ჰო... ხუთი წელი ვიჯექი.

– რაზე?

– „მალალეტკობაში" დაჭრაზე გამასამართლეს. ექვსი მომისაჯეს. იქიდან ხუთი ვიჯექი.

– იცი, რაზე დაგაკავეს? – განაგრძო მირიანმა.

– მოდი რა, არ გინდა, მიკიბულ-მოკიბული. დროს ნუ დაკარგავ ჩემზე და სხვა, უფრო სერიოზულ საქმეებს მიხედე! – აგდებულად უპასუხა წულაიამ, – ისეთი არაფერი დამიშავებია. რა მოხდა, თუ ვიღაცას შევეკამათე და ის ვიღაც თანამშრომელი აღმოჩნდა. თქვენი შიშით სიტყვა აღარ უნდა დავძრა? მერე რა, რომ მაღაზიის ვალი მაქვს?! დამპლები!.. მადლობა აქეთ აქვთ გადასახდელი, იმ აქოთებულ სპირტს რომ ვუსაღებ! ვალია... ნაყაჩაღარი ხომ არ არის. მე ვთხოვე, გამყიდველმა მომცა. ერთმანეთში გამომძიებლებისა და „კაპეზეს" გარეშეც გავერკვევით. თუ გინდათ, ხელწერილს დაგიწერთ, რომ აქედან გასვლისთანავე გავისტუმრებ იმ ორმოც ლარს!

– არა მგონია, იმ გამყიდველმა ამდენი ხანი მოიცადოს და უფრო მეტიც. როგორც მგონია, შენ ველარასოდეს გახვალ აქედან. საუკეთესო ვარიანტში, ოცდახუთი წლის გატარება მაინც მოგიწევს გისოსს მიღმა!

– რაა?! – დაიბნა წულაია, – რა თითო ლარზე, თითო წელი უნდა მომისაჯოთ?! ამდენს ეროვნული ბანკის გატანისთვისაც არ იძლევიან!

– მართალი ხარ. ეროვნული ბანკის გატანისთვის ამდენს ნაღდად არ მოგისჯიდნენ, – დაეთანხმა მირიანი, – მაგრამ შენ ბანკის გატანას არ გედავებიან!

– აბა, რას მედავებიან?

– ეს დაკითხვა არ არის. ხომ ხედავ, მე ოქმსაც კი არ ვავსებ. უბრალოდ, გესაუბრები. მაგრამ, თუ შენ რამის აღიარებას აპირებ, სიამოვნებით მოგისმენ. ამით ბევრ დროს დავზოგავთ.

– რა უნდა ვაღიარო? იკითხა წულაიამ, – ის, რომ მაღაზიის ვალი მაქვს?!

– თავს ნუ ისულელებ, ლერი. ნასამართლევი კაცი ხარ და კარგად ხვდები, რომ მაღაზიის ვალის გამო, არავინ დაგაკავებდა. მე სხვა რამ მაინტერესებს. ის, თუ რა მოხდა თბილისის ზღვაზე! – ცივად თქვა მირიანმა.

– წარმოდგენა არ მაქვს, რაზე მელაპარაკებით, – ჩაილაპარაკა წულაიამ.

– გასაგებია. ესე იგი, მაინც დრო უნდა დამაკარგინო!.. კარგი, სხვა გზით წავიდეთ, – მირიანმა მობილური ტელეფონი მაგიდაზე დადო და ჰკითხა, – არ გინდა, ოჯახის წევრებს დაუკავშირდე?



– რისთვის?

– შეატყობინებ, რომ დაკავებული ხარ. თანაც, ადვოკატი დაგჭირდება.

– ჩემს ძმას არა აქვს ადვოკატის დასაქირავებელი ფული!

– მაშინ სახელმწიფო დაგინიშნავს ადვოკატს! – თქვა მირიანმა.

წულაია წამით ჩაფიქრდა და შემდეგ იფეთქა:

– რა გინდათ?! რას მიჩალიჩებთ?! უპატრონო ბიჭი მნახეთ და ჩემით გინდათ გეგმის შევსება?!

– ნუ ყვირი! – მკაცრად თქვა მირიანმა, – ჯერჯერობით საამისო მიზეზი არ მომიცია. მოკლედ აგიხსნი ვითარებას. შენ ეჭვმიტანილი ხარ არასრულწლოვანი ნონა ბაქრაძის გაუპატიურებაში. ჯერჯერობით მხოლოდ ეჭვმიტანილი. გარდა ამისა, შენ, რამდენიმე თანამზრახველთან ერთად, თავს დაესხი ორ ახალგაზრდა მამაკაცს და მუქარით წაართვით ბაქრაძე. ამის დასადასტურებლად ცოტა ხანში ჩატარდება ამოცნობის პროცედურა. რამე გაქვს ამის საწინააღმდეგო?

– რომ ვთქვა, მაქვს-მეთქი, გამიშვებ?!

– არა! – მოკლედ მოსჭრა მირიანმა.

– მაშინ ჩაატარეთ, მაგრამ თუ ისინი არ ამომიცნობენ, რა მოხდება მაშინ, თუ გაირკვა, რომ თქვენ შეცდით?

– მაშინ ბოდიშს მოგიხდით და გაგათავისუფლებთ.

– სიტყვით ძალიან ლამაზად ჟღერს. ისე კი, მე ჯერ არავინ მინახავს აქედან სახლში დაბრუნებული. ერთი საქმე თუ ვერ შემტენეთ, სხვა რამეს მოიფიქრებთ! – შენიშნა წულაიამ.

– შენთვის რამის შეტენა არ დამჭირდება. მარტო რომ იყო და ძალიანაც რომ გაჯიუტდე, მაინც დაგიმტკიცებ ამ საქმეს. მაგრამ, ახლა საქმეში „პადელნიკებიც" გყავს. არსებული მასალები კი იმაზე მიანიშნებს, რომ შენ იყავი ამ საქმის ორგანიზატორი. შენ ემუქრებოდი იმ ახალგაზრდებს დანით!.. ასე რომ, საქმეს მტენიან!.. მიჩალიჩებენ!.. ალალ-მართალ კაცს მჩაგრავენ!.. არ გაჭრის. რამე უკეთესი უნდა მოიფიქრო! – თქვა მირიანმა და ბადრაგს წულაიას საკანში დაბრუნება უბრძანა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

**ქეთი ხატიაშვილი – „ცეკვავენ ვარსკვლავების“ უპირობო ლიდერი, საოცარი გარეგნობის, პლასტიკის, არტისტიზმისა და, რაც მთავარია, ხასიათის მქონე, ცისფერთვალება, რომანტიკული გოგონა ნამდვილად იმსახურებს ამ შოუში გამარჯვებასა და „ყველაზე ვარსკვლავის“ ტიტულის მოპოვებას. მას უკვე შეუქმნია წარმატებული სპორტული კარიერა და მყარი, მოსიყვარულე ოჯახი. ქეთის მეუღლე, ლევანი, ამ წამოწყებაში მის გვერდით დგას და ცოლის ყველაზე დიდი გულშემატკივარია. სიურპრიზების მოყვარული წყვილისთვის შოუ ახალ გამოწვევად იქცა.**

# რა დღიურებს წერს ქეთი ხატიაშვილი და რითაა ის უზომოდ ბედნიერი

**ქეთი ხატიაშვილი:** დედა უკრაინელი მყავს და 6 წლამდე უკრაინაში ვცხოვრობდი, ოდესასთან ახლოს, ერთ პატარა ქალაქში და ბევრს ვმოგზაურობდით კიდეც. 6 წლის ასაკში ჩამოვედი თბილისში და აქ დავრჩით. ერთი წლით უფროსი და მყავს – ლიკა. სხვათა შორის, გუშინ გავიგე, რომ ორსულად არის და ძალიან გამიხარდა. ორივე საკმაოდ პუტკუნები ვიყავით და დედამ გადაწყვიტა, რომ ჯერ ჩემი და და მერე მე ტანვარჯიშზე შევეყვანეთ. მოხდა ისე, რომ ამ სპორტმა ძალიან სერიოზულად გამიტაცა და თითქმის თექვსმეტი წლის განმავლობაში ვიყავი მხატვრული ტანმოვარჯიშე. 21 წლის ასაკში სპორტს თავი დავანებე რიგი მიზეზების გამო, მათ შორის იყო ტრავმები, პირადი ცხოვრება... ბოლო წლებში ტანვარჯიშს ძალიან დიდი ყურადღება მიექცა. წელიწადში, ალბათ, სულ სამი თვე ვიყავი საქართველოში, დანარჩენი სულ ტურნირებზე, ჩემპიონატებზე დავდიოდით.

**– რომელთა გამარჯვებულიც ხარ, როგორც ვიცი.**

– დიახ, საკმაოდ ბევრი საერთაშორისო ტურნირი მოვიგე, განსაკუთრებით ბოლო წლებში ისეთ ტურნირებზე დავდიოდი და ისეთი შედეგები მქონდა, ნამდვილად მეამაყება. საფრანგეთში ძალიან დიდ ტურნირზე მეორე ადგილი ავიღეთ – მოვუგეთ ისეთ ქვეყანას, როგორიცაა აზერბაიჯანი. აზერბაიჯანში ძალიან მაღალ დონეზეა მხატვრული ტანვარჯიში, მათი პრეზიდენტი მეჰრიბან ალიევაა და ძალიან სერიოზული პატრონაჟი ჰყავთ ამით. მსოფლიო ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრები ათეულში შევიდა, რაც ჩვენთვის ძალიან დიდი მიღწევა იყო.



**– ოლიმპიადაზე ნამყოფი ხარ?**

– სამწუხაროდ, არა, მაგრამ, ისეთი თაობა გვეზრდება, რომ აუცილებლად მიაღწევენ ძალიან დიდ შედეგებს.

**– სპორტში ისევ ხარ?**

– არა, ვერ შევძელი სპორტში დარჩენა, წვრთნა. 2 წლის შვილი მყავს და მთელი ჩემი დრო მას სჭირდება, სპორტს კი ორი და სამი საათი არ ჰყოფნის. თუ გინდა, რომ შენმა ტანმოვარჯიშემ კარგი შედეგები აჩვენოს, დილიდან საღამომდე უნდა ავარჯიშო. მაგრამ, არ არის გამორიცხული, რომ დავბრუნდე.

**– სპორტისთვის თავის დანებების მიზეზი მხოლოდ ტრავმები იყო თუ სიყვარულიც?**

– ბევრი მიზეზი და, მათ შორის – სიყვარული. მაგრამ, გათხოვების გამო სპორტისთვის თავი ნამდვილად არ დამინებებია. ქმარი ძალიან მიწყობდა და მიწყობს ხელს ყველაფერში.

**– სად და როგორ გაიცანით ერთმანეთი?**

– ჩემი მეუღლე ყოფილი ჩოგბურთელია, საკმაოდ მაღალი რანგის, მოსკოვში თამაშობდა. ნათამაშები აქვს კრემლის თასი და კიდევ ძალიან ბევრი პრესტიჟული ტურნირი. მასაც საკმაოდ დიდი მიღწევები ჰქონდა სპორტში, მაგრამ შემდეგ მხარში მყესი გაუწყდა და ამის გამო ჩოგბურთისთვის თავის დანებება მოუწია. თბილისში ტარდებოდა ასეთი კონკურსი – „მის სპორტი“, სადაც გამოვდიოდი და გავხდი „პირველი ვიცემის სპორტი“. ლევანი კონკურსის საყურებლად იყო მოსული და ერთმანეთი უკვე კონკურსის შემდგომ წვეულებაზე გავიცანით. მაშინ ერთმანეთისთვის დიდი ყურადღება არ მიგვიქცევია. დაახლოებით ორი-სამი კვირის შემდეგ, სოციალურ ქსელში დავმეგობრდით და ასე ნელ-ნელა ავაწყვეთ ურთიერთობა, თავიდან – მეგობრული. ბათუმში შეკრებაზე ვიყავი ჩასული და იქ ჩამომაკითხა; ამის მერე უკვე მსოფლიო ჩემპიონატზე წავედი იაპონიაში ორი კვირით. ძალიან გამიკვირდა, რომ ტოკიოში სასტუმროს ნომერში დარეკა ტელეფონმა და ლევანი აღმოჩნდა. გავგიჟდი. ნამდვილად არ არის ადვილი, გაიგო ტოკიოში რომელ სასტუმროში არიან ტანმოვარჯიშეები და კონკრეტულად ქეთი ხატიაშვილი იპოვო. იაპონიის შემდეგ ორი თვით შეკრებაზე ბაქოში წავედი და იქაც ჩამომაკითხა. თუმცა, ბაქოში ჩამოსვლა არც ისე კომფორტულად შეძლო: ლევანი თავისი მანქანით მოდიოდა. აზერბაიჯანის საზღვარზე აღმოჩნდა, რომ დაბურული მინებით ქვეყნის ტერიტორიაზე გადაადგილება არ შეიძლება. მესაზღვრეებს უთქვამთ, ან ავტომობილი უნდა დატოვო, ან დაბურვა უნდა მოხსნაო, არადა, ის ქარხნულად იყო დაბურული. ლევანმა, შუა ზამთარში, ყველა ფანჯარა საერთოდ ამოიღო და ასე ჩამოვიდა ბაქომდე.

**– დაუფასდა.**

– ნამდვილად. სხვათა შორის, ხელიც ბაქოში მთხოვა. საშინლად დაღლილი ვიყავი ვარჯიშის შემდეგ და, მითხრა, სადმე გავისეირნოთო. ძალიან მიყვარს ბაქო და, კარგი, წავიდეთ-მეთქი. ისე კარგად მახსოვს, სპორტულები მეცვა და თეთრი ქუდი მეხურა ***(იცინის).*** ბაქოს ულამაზეს მოედანზე მითხრა, ცოლად გამომყევიო. არადა, მე ძალიან ვიყავი სპორტისთვის განწყობილი, გადავხედე, თუ რამდენი ვარჯიში და ტურნირი მქონდა წინ და ვუთხარი: კი, აუცილებლად, მაგრამ, ორი წელი უნდა დამელოდო-მეთქი. სახე აელეწა. მოკლედ, ჩვენს ცხოვრებაში და ურთიერთობაში სულ არის კურიოზები.

**– ვიცი, რომ დედობა ყველაფერია ქალისთვის; მთავარი, რისთვისაც ვარსებობთ, სწორედ შვილია, მაგრამ, მაინც მინდა გკითხო: არის თუ არა შენთვის ოჯახი სერიოზული ხელის შემშლელი ფაქტორი სპორტში?**

– მეც ასე დავიწყებ: ანასტასია არის საუკეთესო, რაც კი ცხოვრებაში გამიკეთებია. როდესაც ის დაიბადა, ზუსტად ერთ დღეში გავაცნობიერე, რომ მან ჩემი ცხოვრებაც და მეც თავიდან ბოლომდე შეგვცვალა. ძალიან ბედნიერი ვარ. საერთოდ, ყველა დედა ბედნიერია, მაგრამ, მე ჩემი თავი მაინც ყველაზე ბედნიერი დედა მგონია. საოცრად საყვარელი შვილი მყავს, რომელმაც, მიუხედავად იმისა, რომ ორწლინახევრისაა, იცის, რომ დღეს წითელი კაბა უნდა მეცვას და ტელევიზორში დამელოდება. ყველა ჩემი ცეკვის სახელი იცის – „ჩა ჩა ჩა“ და რაღაცეებს ამბობს, ცოტა „ხანჯლურის“ წარმოთქმა უჭირს ***(იცინის).*** ვთამაშობთ ხოლმე როგორ ადის „თიბისი ოთახში“ და ჩემგან ინტერვიუს იღებს. მოკლედ, კარგად იცის, რომ დედა „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ ცეკვავს. რა თქმა უნდა, არის ხელის შემშლელი ფაქტორები – მასთან ბევრი დროის გატარება მინდა, ბაღიდან გამოყვანას ვერ ვასწრებ... მაგრამ, მადლობა ჩვენს დიდ ოჯახს, რომ გვერდში მიდგანან და სულ არის ვიღაც, ვინც მომეხმარება და მას სათანადოდ მიხედავს.

**– ვიცი, მეუღლე გგულშემატკივრობს – თითქმის ყოველ შოუზე კადრშია.**

– ასეა. მან იცოდა, რომ ეს ჩემი ოცნების პროექტი იყოს. წინა ორ სეზონზეც, როდესაც არაცნობილ ადამიანს მოხვედრის შანსი არ ჰქონდა, ვამბობდი, ღმერთო, ნეტავ მე ვცეკვავდე აქ-მეთქი. მესამე სეზონში ასეთი შესაძლებლობა როგორც კი გამოჩნდა, მითხრა, თუ გინდა, სცადე და, თუ რამეში დაგჭირდება ჩემი დახმარება, ხელს შეგიწყობო.

**– დახმარება, აღმოჩნდა, რომ მხოლოდ ესემესებშია საჭირო, ხომ?**

– ***(იცინის)*** კი, მაგრამ, ესემესებში ყველას დახმარებაა საჭირო. ანასტასია არის ჩემი ვალერიანის წვეთები, ჩემი ყველაზე დიდი ანტიდეპრესანტი. სახლში რომ მივდივარ, ყველაფერი მავიწყდება – რა გამომივიდა, რა მეწყინა, როგორ ჩაიარა რეპეტიციამ თუ ეთერმა. მინდა ვთქვა, რომ ამ პროექტში ყველაფერი გაცილებით უფრო ლამაზი და გლამურულია, იმაზე მეტად, ვიდრე ეს ეთერში ჩანს. უზომოდ დიდ სიამოვნებას ვიღებ ყველა ეტაპით, რაც შიდა სამზარეულოში ხდება, იქნება ეს კოსტიუმის, მუსიკის არჩევა, ცეკვაზე მუშაობა, მოზომვები. იმდენად საინტერესო, ლამაზი და მრავალფეროვანია ეს პროცესი, რასაც, სამწუხაროდ, მაყურებელი ვერ ხედავს, რომ, შეუძლებელია, რამეზე იწუწუნო, დაიღალო... ვცდილობ, მაქსიმალურად ბევრი ფოტო და ინფორმაცია შევინახო და შევაგროვო ამ ყველაფერზე, რომ ჩემს შვილებსა და შვილიშვილებს ვაჩვენო და ვუამბო.

**– მე, შენს ადგილას, დღიურებს გავაკეთებდი..**

– მაქვს დღიური და ყოველდღიურად ვაკეთებ ჩანაწერებს. ასეთი რამ ადამიანის ცხოვრებაში შეიძლება ერთხელ ან საერთოდ არ მოხდეს, ამიტომ, რადგან ხდება, ამით უნდა ვისიამოვნო.

**სალომე გველესიანი**

**დიდი საახალწლო ფასდაკლება სასწავლო ცენტრ „პროფესიონალი – 2010-ში“**

ერთ საატესტატო საგანში მომზადება – 23 ლარიდან; ერთი საგანი ეროვნული გამოცდებისთვის – 60 ლარიდან!

მოემზადე სასწავლო ცენტრ **„პროფესიონალი – 2010-ში“** და გახდი სტუდენტი – ჩვენი გამოცდილება და პროფესიონალიზმი თქვენი წარმატების საწინდარია!

**მისამართი: ჭოველიძის ქუჩა №5, (რუსთაველის მეტროსთან); დიღმის მასივი, რობაქიძის ქუჩა №7. ტელეფონის ნომრები: 555-63-48-01; 2-30-71-13.**

# როგორ მიიწვია ცნობილმა დიჯეიმ თავისთან დრამში დასაკრავად გიორგი კაპანაძე და როგორ აჰყვა 12 წლის დრამერის დაკვრაში მარკუს მილერი

***12 წლის დრამერმა, გიორგი კაპანაძემ, „ნიჭიერის“ მაყურებელი ჯერ კიდევ შესარჩევ ქასთინგზე მოხიბლა. ის ახლა უკვე ფინალშია და მაყურებლის მხარდაჭერა სჭირდება. გიორგის ოცნებაა, ამერიკაში წავიდეს და სწავლა „ჯულიარდში“ ან „ბერკლიში“ განაგრძოს, მის ოჯახს ამის საშუალება არ აქვს. თუმცა, როგორც მე, ასევე ისინიც, იმედოვნებენ, რომ უნიჭიერესი პატარა დრამერი ოცნებას აუცილებლად აისრულებს.***

**მამუკა კაპანაძე** *(გიორგის მამა)*: 5 წლის ასაკში, როდესაც გამართულად დაიწყო ლაპარაკი, მითხრა: ან ცეკვაზე შემიყვანე, ან დოლი მიყიდეო. ჩემი ახლობელი ქორეოგრაფია, გოდერძი მანჯაფარაშვილი, მასთან მივიყვანე ანსამბლში და რამდენიმე რიტმი დაუკრა დოლზე. გოდერძის შვილი „ერისიონში“ იყო და, 6 წლის ასაკში გიორგი უკვე წაიყვანეს ანსამბლში. 7 წლისამ „ერისიონის“ სრული პროგრამა იცოდა, მაგრამ, რადგან პატარა იყო, გასტროლებზე ვერ მიდიოდა. როგორც კი 8 წლის გახდა, მერე უკვე დაიწყო გასტროლებზე სიარულიც. ჩვენც ბავშვობიდან ვასწავლიდით, რომ საკუთარი თავისთვის უნდა მიეხედა, ასე რომ, 4 წელი იყო „ერისიონში“. სამი პატარა ბიჭი რომ უკრავს დოლზე, ერთ-ერთი ეს იყო. თან, ყველაზე პატარა იყო. სექტემბრიდან გამოვიყვანე ანსამბლიდან, რადგან, ახალი ნიჭი აღმოაჩნდა და ველარ ასწრებდა ორივე საქმის კეთებას.

**– გიორგი, 5 წლის ასაკში რატომ გადაწყვიტე, დოლზე დაკვრა გესწავლა?**

**გიორგი კაპანაძე**: ვინც ქართველია და დღეს ბას-გიტარაზე ან დრამზე უკრავს, ან მღერის, ყველაფერს ფანდურზე, დოლზე დაკვრით იწყებენ და შემდეგ გადადიან სხვა ინსტრუმენტზე. მეც თავიდან დოლზე მომინდა დაკვრა. ჩემი და ხშირად უსმენდა „სუხიშვილებს“ და მე ვყვებოდი ხოლმე დოლით. ზუსტად იგივე რამ დამემართა დრამზეც – რომ დავინახე, მაშინვე დავუკარი. შემდეგ კარგ მასწავლებელთან მიმიყვანეს, სერიოზულად მოვკიდე ამ საქმესაც ხელი და, უკვე წელიწადი და რვა თვეა, დრამზე ვუკრავ.

**მამუკა**: ლაშა რამიშვილმა სთხოვა გიორგის დოლზე ზღაპრების ჩაწერა. სტუდიაში იდგა დრამი და როგორც კი დაინახა, მაშინვე დაუკრა. ლაშამ მკითხა – დრამზეც უკრავსო? არ ვიცი, პირველად დაუკრა-მეთქი. შემდეგ მერაბ სანოძესთან ჩაიყვანა, სანომ გურამ ტეცოშვილს დაურეკა, რომელიც ცოტა დაკავებული იყო და ლაშა სხილაძესთან მიგვიყვანა.

**გიორგი**: შემდეგ ზაზა ცერცვაძესთან დავდიოდი, ახლა ირაკლი ჭოლაძესთან დავდივარ – ჯაზს გავდივარ. მასწავლებელთან რომ მივედი პირველად, უკვე მომზადებული ვიყავი: ჯოხის დაჭერა, ბგერის გამოშვება, სხვადასხვა რიტმი ვიცოდი – ჩემით ვისწავლე ინტერნეტიდან. მაგრამ, მერე უფრო ბევრი რამ მასწავლეს, დავიხვეწე, ტექნიკურად უფრო გავიზარდე. ახლა ირაკლისთან ვმეცადინეობ და, თან, ინტერნეტიდანაც ბევრ რამეს ვსწავლობ, ბევრ დრამერს, მუსიკოსს ვუსმენ. ჯაზს, ფიუჟენს, პოპს, გოსპელს, შიგადაშიგ ჯაზსაც ვუკრავ, ყველა ჟანრი ძალიან მომწონს, თუმცა, ამათ გარდა, კიდევ სხვა ჟანრებსაც ვუკრავ. პირველად „ერისიონის“ კონცერტზე ფარიკაობის დროს დავუკარი დრამზე, თან, ცოცხლად. მაშინ ჯერ კიდევ არ დავდიოდი მასწავლებლებთან.



**– როგორც ვიცი, ჯაზ-ფესტივალებშიც მონაწილეობ.**

**მამუკა**: 2012 წლის 25 ნოემბერს ჩიკ კორეამ ჯაზ-ფესტივალი დახურა, ბექა გოჩიაშვილიც მიიწვია და სცენაზე დაუკრეს ერთად. შემდეგ „ივენთ ჰოლში“ ბექას „ჯემ-სეიშენი“ იყო, გიოც მიიწვიეს და მაშინ დაუკრა პირველად ბექასთან ერთად სერიოზული კომპოზიცია. ამ კუთხით გიო მაშინ უფრო გაიცნეს.

**გიორგი**: მანამდე ვაკეში ჯაზ-კლუბში მივდიოდი, მუსიკოსებთან ერთად მეც ვუკრავდი და იქ უფრო მეტად დავიხვეწე. იქ ჰერბი ჰენკოკის კომპოზიციას ვუკრავდი ბენდთან ერთად და ის დავუკარი ბექასთან ერთადაც; კიდევ, ჩიკ კორეას ერთ-ერთი თემა. ამის შემდეგ ბატონ ნიკა რურუას დახმარებით დავუკარი „ბლექ სი ჯაზ ფესტივალზე“, კახა კანდელაკი და მიშა გიორგაძე დამიდგნენ გვერდში. სოლო დავუკარი დრამზე. ახლახან, ანუ, 28 ოქტომბერს, მარკუს მილერის კონცერტი იყო, რის შემდეგაც ჯემ სეიშენზე დიჯეი ლოჯიკი უკრავდა ბენდთან ერთად. მეც მივედი და დრამერის მაგივრად დავუკარი. ამ დროს მარკუს მილერი მოვიდა და მასთან ერთად განვაგრძე დაკვრა. მოეწონა.

**მამუკა**: რომ დაინახა მარკუს მილერმა, მისი არც ერთი დრამერი არ იჯდა და გიორგი უკრავდა, მაშინვე ამოიღო გიტარა და დაიწყო დაკვრა. დაახლოებით 12 წუთი უკრავდნენ ერთად, უნდა გენახათ, რა ხდებოდა.

**გიორგი**: მარკუს მილერი რომ მოვიდა, უკვე გახურებული ვიყავი, რადგან, მანამდე დიჯეი ლოჯიკთან ერთად ვუკრავდი, ერთი 10 წუთი მაინც. მარკუს მილერის მოსვლა ჩვეულებრივად მივიღე.

**მამუკა**: ყველა გაჩერდა გიორგის გარდა და მარკუსიც აჰყვა.

**გიორგი**: რომ დავამთავრეთ დაკვრა, შემაქო, ტაშიც დამიკრა. მეორე დღეს „ივენთ ჰოლში“ დიჯეი ლოჯიკი სრულ პროგრამას უკრავდა, მისმა დრამერმა იქაც მიმიწვია და დავუკარი. ნიჭიერთა ათწლედში ვსწავლობ და ნიჭიერთა ათწლედის ბენდშიც ვუკრავ.

**მამუკა**: ყველა ეუბნება, ჩვენთან უნდა წამოხვიდეო, ანუ – ამერიკაში.

**გიორგი**: ძალიან მინდა ამერიკაში სწავლის გაგრძელება – ან „ჯულიარდში“, ან „ბერკლიში“. რაღაცნაირად უნდა მოვახერხოთ. ახლა ინგლისურსაც ვსწავლობ, რომ, იქნებ, ლენი ვაითთან მაინც გავიარო მასტერსკლასი.

**მამუკა**: პროექტი „ნიჭიერიც“ დამთავრდება და, იმედია, რამე გამოჩნდება. მე არ მაქვს იმის საშუალება, რომ ამერიკაში ჩავირბინო და ჩამოვირბინო. იქნებ, სპონსორი გამოჩნდეს, რომელიც დაგვაფინანსებს – მასტერკლასზე მაინც რომ ჩავიდეთ. მერე, ადგილზე, სხვა რაღაცეებშიც გავერკვევით. ჯერ პატარა კი არის, მაგრამ, არაა გამორიცხული, გამონაკლისი დაუშვან – „ჯულიარდში“ ხდება ხოლმე ასეთი რაღაცეები. ბექას შემთხვევაში მოხდა ასეთი რამ – 13 წლის იყო, როდესაც „ჯულიარდში“ მიიღეს. გიორგი 4 იანვარს, პატრიარქის დაბადების დღეს ხდება 13 წლის.

**– მოკლედ, 7 წლიდან მუშაობ.**

– როცა ბენდებთან ერთად უკრავ, პროფესიონალურ დონეს უფრო მეტად იმაღლებ. გიოც ხშირად უკრავს ხოლმე. მისი პირველი მასწავლებელი ახლა ზუმბასთან ერთად გასტროლზე იმყოფება და „ქიუში“ გიორგიმ ცოტა ხნით შეცვალა – მის მაგივრად უკრავს.

**– როგორც ვიცი, არ გაქვს დრამი და ძირითადად სხვაგან გიწევს მეცადინეობა.**

– ზოგჯერ ახლობლები გვათხოვებდნენ ხოლმე დრამს, მაგრამ, ძველი დრამი იყო. მეზობლები ყოველთვის ხელს უწყობენ გიორგის, ჩვენც ძალიან არ ვაწუხებთ – ხან სად დადის სარეპეტიციოდ, ხან კიდევ – სად. კონსერვატორია აძლევს საჩუქრად დრამს, საზეიმო ვითარებაში გადასცემენ და ძალიან უხარია, საუკეთესო დრამი ექნება – სერიოზული.




# „მე ვხედავ მზეს" – შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და ცნობილი მომღერლების დუეტების ალბომი

3 დეკემბერი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საერთაშორისო დღეა. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ინიციატივითა და მხარდაჭერით, მუსიკალური ბიზნესკომპანია „ბრავო რექორდსი" მუშაობას იწყებს ახალ მუსიკალურ პროექტზე – „მე ვხედავ მზეს". პროექტი გულისხმობს CD ალბომის გამოცემას, რომელშიც შევა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისა და ცნობილ მომღერალთა მიერ შესრულებული 10 სასიმღერო კოლაბორაცია – როგორც ყველასათვის კარგად ნაცნობი და საყვარელი ქართული და უცხოური მუსიკალური ნაწარმოებები, ასევე, ჯერაც უცნობი სიმღერები.

**კოლაბორაციები:** 1. ნინი ბადურაშვილი და შაბან მამედოვი; 2. ნინი ქარსელაძე, გიორგი სუხიტაშვილი და ცოტნე და თორნიკე ტურძელაძეები; 3. ჯგუფი „გამოუვალი მდგომარეობა" და მერი პაპუნაიშვილი; 4. ნოდიკო ტატიშვილი, მარიამ კაპანაძე და თათია მამუკაშვილი; 5. ნატალიკო ქუთათელაძე და თამარ ცალქალამანიძე; 6. ბორის ბედია, სულხან გველესიანი და რამინ მიქაბერიძე; 7. ლიზა ბაგრატიონი, გიორგი უშიკიშვილი და ნიკა წიკლაური; 8. ანსამბლი „შვიდკაცა" და ნატალია ვეფხვაძე; 9. „ფორტე", მაიკო ლომიძე და ანი სიხაშვილი; 10. კვინტეტი Quintessential Five და ქალთა კვარტეტი.

პროექტის მუსიკალური ხელმძღვანელი: ცნობილი კომპოზიტორი და მუსიკალური პროდიუსერი რუსა მორჩილაძე.

პროექტის ძირითადი მიზანია მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდების საზოგადოებრივ ცხოვრებაში მაქსიმალურად ინტეგრაციის ხელშეწყობა საზოგადოების მხრიდან და მათი პრობლემების მიმართ მაქსიმალური ყურადღების გამახვილება.

ამ ეტაპზე „ბრავო რექორდსში" მიმდინარეობს აქტიური მუშაობა, როგორც სიმღერების ჩაწერებზე, ასევე, ალბომის დიზაინზე. დეკემბრის ბოლოს პროექტი დასრულდება და ნებისმიერ მსურველს შესაძლებლობა ექნება, შეიძინოს CD ალბომი, რომელიც გაიყიდება „ბრავო რექორდსის" სადისტრიბუციო ქსელის მაღაზიებში. CD ალბომების რეალიზაციიდან შემოსული თანხა მთლიანად მოხმარდება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პრობლემების მოგვარებას.

**მოამზადა სალომე გველესიანმა**

**სულ ცოტა ხნის წინ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში დაიდგა დამოუკიდებელი საქართველოს პირველი შინაგან საქმეთა მინისტრის, ნოე რამიშვილის ბიუსტი. ნოე რამიშვილის ღვაწლის შესახებ გვესაუბრება საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიკოსი ვახტანგ გურული.**

# როგორი იყო ნოე რამიშვილის პოლიტიკური კურსი და რა თანამდებობებს იკავებდა ის დამოუკიდებელი საქართველოს პარლამენტში

**– ბატონო ვახტანგ, როდის გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე ნოე რამიშვილი?**

– ნოე რამიშვილი სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა მეოცე საუკუნის დამდეგს. ეს იყო ურთულესი ეპოქა. ეპოქა, როდესაც საქართველოში სოკოებივით მრავლდებოდა პოლიტიკური პარტიები და ორგანიზაციები. ყველა თავის ადგილს ეძებდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე.

**– ესე იგი, ადგილის დამკვიდრებაც ძალიან ძნელი იყო.**

– ცხადია, პოლიტიკურ ასპარეზზე ადგილის დამკვიდრება სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. თუმცა, ნოე რამიშვილს დიდი სირთულეების გადალახვა არ დასჭირვებია. მან გადაწყვიტა, რომ თავისი ცხოვრება სოციალური თანასწორობისთვის ბრძოლისთვის მიეძღვნა. ასე აღმოჩნდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის რიგებში.



**– რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში ამ პერიოდისთვის ბევრი ქართველი იყო გაერთიანებული, მათ ნაწილს მეოცე საუკუნის დამდეგს უკვე საკმაოდ დიდი ავტორიტეტი ჰქონდა მოპოვებული. რით გამოიჩინა თავი ნოე რამიშვილმა?**

– ცხადია, ნოე რამიშვილი იმ დროს გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე, როცა ნოე ჟორდანიას, კარლო ჩხეიძეს, სილიბისტრო ჯიბლაძესა და სხვა ქართველ სოციალ-დემოკრატებს იცნობდნენ, არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ რუსეთში. 1905 წელს დაწყებულმა რევოლუციამ ნოე რამიშვილს საშუალება მისცა, სულ მალე მოეპოვებინა დიდი ავტორიტეტი. 1905 წელს ნოე რამიშვილმა შექმნა ძლიერი ტერორისტული ორგანიზაცია, ამავე დროს შესძლო ბომბების დამამზადებელი სახელოსნოს ორგანიზება. ნოე რამიშვილის განეიტრალება თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს გადაუჭრელ პრობლემად ექცა. ჟანდარმერიის ანალიტიკოსების მოხსენებებში ნოე რამიშვილი მოხსენებულია, როგორც – „სოციალ-დემოკრატების გენერალი". ნოე რამიშვილის შექმნილ ტერორისტულ ორგანიზაციას შეეძლო, ნებისმიერი სირთულის ტერორისტული აქტის განხორციელება. ამავე პერიოდიდან ნოე რამიშვილი გვევლინება, როგორც რადიკალურ-ექსტრემისტული მიმართულების რევოლუციონერი. თუმცა, ის თავს მუდამ ქართული სოციალ-დემოკრატიის მენშევიკურ მიმდინარეობას მიაკუთვნებდა და არასდროს იზიარებდა ბოლშევიზმის იდეებს. აქვე, უნდა აღინიშნოს, ნოე სხვა სოციალ-დემოკრატებისგან განსხვავებით, მას საკმაოდ სერიოზული განათლება ჰქონდა მიღებული. ცოტა მოგვიანებით, მან დაწერა მეტად საყურადღებო ნაშრომი – „ისტორიული მატერიალიზმი". ეს იყო ამ შინაარსის პირველი ნაშრომი, რომელიც ქართულ ენაზე შეიქმნა. ნოე რამიშვილის „ისტორიული მატერიალიზმი", ცხადია, მეცნიერული გამოკვლევა არ იყო, მაგრამ მისი ავტორის სერიოზულ განათლებაზე ნამდვილად მეტყველებს.

**– თქვენ აღნიშნეთ, რომ ნოე რამიშვილი ემიჯნებოდა ბოლშევიზმს. რაში გამოიხატა ეს?**

– ბოლშევიზმთან ნოე რამიშვილის დაპირისპირება გამოვლინდა 1906-1907 წლებში გამართულ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მეოთხე და მეხუთე ყრილობებზე. ამ ყრილობებზე ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლას წარმართავდნენ: ნოე ჟორდანია, ისიდორე რამიშვილი, ნოე რამიშვილი და ჭოლა ლომთათიძე. ნოე რამიშვილი აშკარად და ძალიან მკვეთრად დაუპირისპირდა იოსებ სტალინს. ამ დაპირისპირებამ ზოგჯერ ძალიან უხეში ფორმებიც კი მიიღო. სტალინი მიხვდა, რომ უმცირესობაში აღმოჩნდა და უკან დაიხია. თუმცა, ეს უკანდახევა დროებითი იყო. იოსებ სტალინმა ნოე რამიშვილს რამდენიმე ათეული წლის შემდეგ გაუხსენა ყველაფერი...

**– და მაინც ნოე რამიშვილს, როგორც პოლიტიკურ მოღვაწეს საზოგადოება იცნობს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) პერიოდიდან.**

– სავსებით სწორია. ნოე რამიშვილი, როგორც პოლიტიკური მოღვაწე, სწორედ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში წარმოჩნდა. ახალი პერიოდი ნოე რამიშვილის მოღვაწეობაში რუსეთის 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ იწყება.

**გაცეცხლებული ნოე რამიშვილი ფეხზე წამოიჭრა და ანტანტის დელეგაციას ხმამაღლა მიმართა: სამხედრო სპეციალისტები და ოფიცრები იმდენი გვყავს, იქით მოგახმართო. ვითარება იმდენად დაიძაბა, რომ ნოე ჟორდანიამ სხდომა სასწრაფოდ დახურა**

ნოე რამიშვილი იყო საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული კრებების (1917 წ, აპრილი) ერთ-ერთი აქტიური მოღვაწე. ამ კრებებზე მას ეროვნულ საკითხში ძალზე რადიკალური პოზიცია ეკავა. თავისი რადიკალიზმით ის გამოირჩეოდა 1917 წლის ნოემბერში გამართულ საქართველის პირველ ეროვნულ ყრილობაზეც. 1917 წლის 8 დეკემბერს საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში შეხვედრა მოუწყვეს ანტანტის – ინგლისის, საფრანგეთის ქვეყნების დელეგაციას. ანტანტა ითხოვდა საქართველოს ჩაბმას თურქეთის წინააღმდეგ ომში. საქართველო და სომხეთი წინ უნდა აღდგომოდნენ თურქეთის მიერ ამიერკავკასიის ოკუპაციის მცდელობას. ნოე ჟორდანიამ ანტანტის დელეგაციას განუცხადა: საქართველო ნეიტრალურია და ომში ვერ ჩაებმებაო. ნოე რამიშვილმა საკითხი სხვაგვარად დასვა. ანტანტის დელეგაციის წევრებს მან ჰკითხა: თურქეთის წინააღმდეგ ომში რომ ჩავებათ, სამხედრო ძალით, შეიარაღებით ან ფულით თუ დაგვეხმარებითო. პასუხი ასეთი იყო – ახლა ომი მიმდინარეობს, ვერც ძალით, ვერც შეიარაღებით და ვერც ფულით, ვერ დაგეხმარებითო. ნოე რამიშვილმა კვლავ იკითხა: მაშ, რით დაგვეხმარებით? დელეგაციის წევრთა პასუხი ასეთი იყო: სამხედრო სპეციალისტებს, ოფიცრებს გამოგიგზავნითო. მაშინ გაცეცხლებული ნოე რამიშვილი ფეხზე წამოიჭრა და ანტანტის დელეგაციას ხმამაღლა მიმართა: სამხედრო სპეციალისტები და ოფიცრები იმდენი გვყავს, იქით მოგახმართო. ვითარება იმდენად დაიძაბა, რომ ნოე ჟორდანიამ სხდომა სასწრაფოდ დახურა.

**– რატომ შეარჩიეს ნოე რამიშვილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა პირველ მინისტრად?**

– საკითხის სიზუსტისთვის უფრო მიზანშეწონილია დავსვათ კითხვა: რატომ შეარჩიეს ნოე რამიშვილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველ პრემიერ-მინისტრად. მოვლენები ასე განვითარდა: საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის წინა დღეს – 25 მაისს, გვიან საღამოს შეკრება საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საგანგებო სხდომა ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით. კონსულტაციები, რა თქმა უნდა, წინა დღეებშიც მიმდინარეობდა, მაგრამ ამ სხდომაზე საბოლოოდ გადაწყდა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრობის კანდიდატად, მეორე დღეს დანიშნულ საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომაზე ეროვნული საბჭოს უმრავლესობა – სოციალ-დემოკრატები დაასახელებდნენ ნოე რამიშვილს. იმავდროულად, ნოე რამიშვილი დასახელდებოდა შსს მინისტრის თანამდებობაზეც. 1918 წლის 26 მაისს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ (პარლამენტმა) ნოე რამიშვილი ერთხმად დაამტკიცა ორივე თანამდებობაზე.

**– თქვენ ზემოთ აღნიშნეთ, რომ სტალინმა ნოე რამიშვილს წყენა მოგვიანებით გაუხსენაო. რას გულისხმობდით?**

– 1921 წლიდან, მას შემდეგ, რაც საბჭოთა რუსეთმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დაიპყრო, ქართული პოლიტიკური ელიტა ემიგრაციაში აღმოჩნდა. მათ შორის იყო ნოე რამიშვილიც. ამიერიდან ნოე რამიშვილი სტალინის წინააღმდეგ ბრძოლას სხვა ფორმით აგრძელებდა. ის ამხელდა საბჭოთა კავშირში დამყარებულ პოლიტიკურ ტერორს და თავის უამრავ სტატიაში წინასწარმეტყველებდა საბჭოთა პოლიტიკური რეჟიმის გარდაუვალ კრახზე. სტალინის წინააღმდეგ მიმართული სტატიები სულ უფრო და უფრო მამხილებელი ხდებოდა, რაც ცხადია, აღიზიანებდა სტალინს. ნოე რამიშვილი აღმოჩნდა ემიგრაციაში მყოფ იმ რამდენიმე პოლიტიკურ ლიდერს შორის, რომელთა ფიზიკური ლიკვიდაციის ბრძანება სტალინმა გასცა. 1930 წლის 7 დეკემბერს პარიზში, საბჭოთა სპეცსამსახურების მიერ მიჩენილმა ტერორისტმა ნოე რამიშვილი მოკლა. მართალია, მკვლელი ქართველი ემიგრანტი – ჭანუკვაძე იყო, მაგრამ იმთავითვე ეჭვი არავის არ ეპარებოდა, რომ ის საბჭოთა სპეცსამსახურების დავალებას ასრულებდა.

**ეკა სალაღაია**

**„საქართველოს ეროვნული აკადემია“ 90-იანი წლების ბოლოს შეიქმნა. მაშინ მეცნიერებისთვის არავის სცხელოდა და, გულახდილად რომ ითქვას, არც ახლა სცხელა. თუმცა, ისინი თავიანთ საქმეს მაინც აკეთებენ – გამომგონებელი ნუგზარ შავთვალაძე ამბობს, რომ მათი სამეცნიერო მიღწევებით, სამწუხაროდ, უცხოეთის მთავრობები და მეწარმეები უფრო ინტერესდებიან.**

# რა სენსაციური აღმოჩენის ავტორები გახდნენ ქართველი მეცნიერები და როგორ ცდილობდნენ ევროპელები მათი გამოგონების მოპარვას

**ნუგზარ შავთვალაძე:** ქართველ მეცნიერებს სენსაციური გამოგონება აქვთ. ჩვენ შევძელით, წყლისთვის გადაგვეცა ინფორმაცია და ამის საფუძველზე შესანიშნავი პრეპარატები შეიქმნა როგორც მედიცინაში, ასევე, სოფლის მეურნეობის სფეროში. მაგრამ ძალიან მწყდება გული, რომ ამ საკითხით არც ერთი ხელისუფლება არ დაინტერესებულა. არადა, ჩვენ შეგვიძლია, ამ გზით მნიშვნელოვნად შევამციროთ ხარჯები, გავაუმჯობესოთ პროდუქტის ეკოლოგიური მდგომარეობა და მოსავალი. გავაკეთოთ საწვავის ეკონომია და გავზარდოთ მისი ეფექტურობა. თუმცა მესმის, რომ ნავთობის მაგნატებს ეს არ აწყობთ და ძნელია მათ წინააღმდეგ წასვლა.

ზოგადად, მინდა ვთქვა, რომ ჩვენი აღმოჩენა სენსაციურია და დასავლეთის სამეცნიერო წრეებში, პირდაპირ ვიტყვი, სკეპტიკურად, იმავდროულად, აღშფოთებითა და შურით შეხვდნენ ამ ამბავს – გვეუბნებოდნენ, ნოუ ჰაუ მოგვყიდეთო...

**– პლაგიატიის მცდელობაც ხომ არ იყო?**

– კი, იყო ჩვენთანაც. ამ საკითხზე მსოფლიოს უამრავი ლაბორატორია მუშაობს და ბუნებრივია, იყო შურის მომენტი...

**– სოფლის მეურნეობაში გაქვთ ძალიან საინტერესო მიღწევები, როგორც წავიკითხე და ვიცი...**

– იცით, ამას ძალიან სერიოზული პიარი სჭირდება, მედიისა და სახელმწიფო დონეზე. ჩვენს ნაცნობ ფერმერებს კი მივაწოდეთ ინფორმაცია, მაგრამ ეს არ არის საკმარისი და არც შეიძლება, სახელმწიფოს გვერდის ავლით ამის გაკეთება. საჭიროა რეგისტრაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში, დავჯარიმდებით – რეგისტრაცია კიდევ თანხებთან არის დაკავშირებული. ჩვენ ამის საშუალება არ გვაქვს, არადა, აღმოჩენა ნამდვილად სენსაციურია – ეს ადამიანები ნობელის პრემიაზე წარდგენას იმსახურებენ. ამ მეცნიერებს ფორმალურად კაპიკებს უხდიან, რომ შიმშილით არ დაიხოცონ, არადა ფრანგი და სხვა ევროპელი მეღვინეები, ფერმერები აქტიურად არიან დაინტერესებული ამ ალტერნატიული შესაწამლი და მოსავლის გასაზრდელი საშუალებებით. უბრალოდ, არ გვინდა, რომ ჩვენი პოტენციალი უცხოეთს მოვახმაროთ. ელემენტარული, მედიკამენტები რომ ავიღოთ, უზარმაზარი კაპიტალი გაედინება ფარმაკოლოგიაში ქვეყნიდან, მაშინ, როცა ჩვენ შეგვიძლია, თავად შევთავაზოთ ნედლეული ქართულ ფარმაცევტულ ქარხნებს.

**მოსავლის გაზრდის მიზნით, გამოვიყენეთ მხალის, ისპანახის, ხორბლისა და იონჯას შემთხვევაში და რომ შევადარეთ საკონტროლო ჯგუფებს, მოსავლის მასა 3-ჯერ იყო მომატებული**

**– თქვენი გამოგონების მთავარი არსი და სენსაციურობა რაში მდგომარეობს?**

– მე წეღან ვთქვი, რომ ჩვენ შევძელით და წყალს გადავეცით ინფორმაცია. ჩვენ არ გვჭირდება არც ქიმიური, არც ბიოლოგიური კომპონენტების დამატება – მედიცინაში წყალს ვიყენებთ იმისთვის, რომ ადამიანის ორგანიზმს გადასცეს ინფორმაცია, რაც ორგანოებს ხელს უწყობს, შეებრძოლოს ამა თუ იმ დაავადებებს – თუნდაც აქტიურდება ანტიკანცეროგენული მიმართულებით, ფუნქცია, ეს არის ეპოქალური გამოგონება. ჩვენ შეგვიძლია, ბევრ სფეროში დავეხმაროთ სახელმწიფოს – აგრარულ სფეროში, თავდაცვასა და ენერგეტიკაში. არაჩვეულებრივი საშუალება ეძლევა თავდაცვის სამინისტროს, შეამციროს საწვავთან დაკავშირებული ხარჯები – რაც ეხება ტანკებს და სამხედრო ავიაციას. ტანკებში ხშირად ასხამენ უხარისხო ზეთებს და სამხედრო ტექნიკა ფუჭდება. „პეტროქსს“ შეუძლია, გააძლიეროს საწვავის ენერგოეფექტურობა და მოახდინოს 2-3 ტონა საწვავის ეკონომია. ტანკის გადაადგილების მანძილი 10 კილომეტრით რომ გაზარდო, ეს ნამდვილად დიდი მიღწევაა. თუნდაც, ბომბდამშენები რომ ავიღოთ – შეგვიძლია პრეპარატით, რომელსაც საწვავთან ერთად ავზში ჩავასხამთ, მნიშვნელოვნად გავაუმჯობესოთ მისი ფრენის რადიუსი: 300-დან 4 000-მდე.



**ჩვენ შევძელით და წყალს გადავეცით ინფორმაცია. ჩვენ არ გვჭირდება არც ქიმიური, არც ბიოლოგიური კომპონენტების დამატება – მედიცინაში წყალს ვიყენებთ იმისთვის, რომ ადამიანის ორგანიზმს გადასცეს ის ინფორმაცია, რაც ორგანოებს ხელს უწყობს, ამა თუ იმ დაავადებებს შეებრძოლოს**

**– აგრარულ სფეროს რაც შეეხება?**

– აგრარულ სფეროს რაც შეეხება, გვინდოდა, შეგვექმნა ალტერნატიული სასუქი და შესაწამლი საშუალებები. ბუნებრივია, ნიტრატები, გვარჯილა და შხამქიმიკატები ვერ უზრუნველყოფს პროდუქტის ეკოლოგიურ სისუფთავეს – ყველა მათგანი ქიმიურია. ამიტომ არის ამდენი სიმსივნური დაავადება გავრცელებული. მომავალში მსოფლიო აუცილებლად დაბრუნდება ბუნებრივ საწყისებთან. ჩვენ შევქმენით უნიკალური, მსოფლიოში ანალოგის არმქონე სასუქი – „აკატოქსი“ (ანუ „ფლორექსი“), ასევე, შესაწამლი საშუალებები – „ეკოჭრაქი“ და „ეკონაცარი“. „აკატოქსი“ დავარქვით სასუქს, რადგან პირველად გამხმარი აკაციის ხისთვის გამოვიყენეთ და საოცარი შედეგი მივიღეთ – 10-12 დღეში კვლავ დაფოთლიანდა. ამ პრეპარატს აქვს ბიორაბის ეფექტი – დასეტყვილი ვაზის შემთხვევაში 2-3 დღეში დაიწყო მცენარის ხელახალი აღორძინება. მოსავლის გაზრდის მიზნით, გამოვიყენეთ მხალის, ისპანახის, ხორბლისა და იონჯას შემთხვევაში და, რომ შევადარეთ საკონტროლო ჯგუფებს, მოსავლის მასა 3-ჯერ გაიზარდა. თუმცა ამ პრეპარატს ნაკლები ეფექტი ჰქონდა ბოლქვოვან კულტურებში – „ფლორექსის“ მცირე რაოდენობას შეუძლია, მორწყას ათასობით ჰექტარი და თავისუფლად შეცვალოს ტრადიციული ქიმიური შესაწამლი საშუალებები. საქართველოს აქვს შესაძლებლობა, აწარმოოს მსოფლიოში ერთადერთი, ეკოლოგიურად ყველაზე სუფთა ბიოპროდუქტი.

**– ჩემში დიდი ინტერესი გამოიწვია აგრეთვე, შესაწამლმა საშუალებებმა. ვფიქრობ, ეს არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე სასუქი. რა არის „ეკოჭრაქი“ და „ეკონაცარი“?**

– შემუშავებული გვაქვს ვაზის შესაწამლი საშუალებები ჭრაქისა და ნაცრის შემთხვევაში. ვაზი ხშირად ავადდება ვირუსული, ბაქტერიული და სოკოვანი დაავადებით. ჩვენ მიერ შექმნილი პროდუქტი – ბიოშესაწამლ საშუალებებსა და ქიმიკატებზე იაფია. „ეკოჭრაქი“ და „ეკონაცარი“ არ შეიცავს ტოქსინებს და როგორც მცენარისთვის, ასევე ადამიანის ორგანიზმისთვის ძალიან უსაფრთხოა.

**– წეღან ენერგოეფექტურობასა და საწვავთან დაკავშირებულ ეკოლოგიურ პრობლემებზე საუბრობდით...**

– ჩვენ შევქმენით დანამატი „პეტროქსი“ – ამ სფეროში ნამდვილად არის ნოუ ჰაუ. არის თხევადი საწვავის მისართი – შედგება გარკვეული წესით დამუშავებული და ინფორმაციაგადაცემული წყლისგან, გლიცერინისა და სპირტისგან. საწვავში ის ემატება ძალიან დაბალი დოზებით.

**ქეთი დიდებულიძე**

**ლაშა რამიშვილი „ჯიდიესის“ ბრწყინვალე პროექტის – „ერთი ერთში“ – საინტერესო და გამორჩეული მონაწილეა, რომლისგანაც მაყურებელი ყოველთვის ბევრს ელის. მის მიერ განსახიერებული ყველა პერსონაჟი დაუვიწყარი, მართლაც რომ „ერთი ერთში“ იყო. არ ვიცი მიზეზი და არც ჟიურის წევრი ვარ, მაგრამ, თამამად ვიტყვი, რომ დამოკიდებულება ლაშას მიმართ თუ უსამართლო არა, ყოველ შემთხვევაში, ყველაზე მკაცრია. მიუხედავად შეფასებებისა, ლაშა ყველა ქულას ღირსეულად იღებს და ყოველ მომდევნო შოუზე უკეთეს შესრულებას აჩვენებს. ჩვენთან ინტერვიუში ლაშამ პირველად გამოხატა უკმაყოფილება პროექტში შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით.**

# რა შანტაჟს არ მიმართავს არასდროს ლაშა რამიშვილი და რისთვის არ მოითხოვს ის პასუხს

**ლაშა რამიშვილი:** ყოველთვის მომწონდა და გათამამებული ვიყავი მსგავს პროექტებში მონაწილეობით, მაგრამ, ასეთ „მოხვევას“ ნამდვილად არ ველოდი. საერთოდ, ადამიანის ცხოვრებაში ბევრი უსამართლობა ხდება, მაგრამ, ეს არის ის შემთხვევა, რომელიც, ცოტა არ იყოს... არ მაქვს ზუსტი ახსნა, რატომაა ასეთი დამოკიდებულება ჩემ მიმართ, მაგრამ, ალბათ, ამის მიზეზი არის ის, რომ არასდროს მიყიდია „ვაზელინი“ და არც არასდროს ვიყიდი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, პროექტი – პროექტად, მაგრამ, მთავარია, საკუთარ თავთან, ჩემს ოჯახთან და ჩემს ხალხთან ვიყო მართალი, რაც ჩემთვის უმნიშვნელოვანესია. იმისთვის, რომ ადამიანი თავის ხალხთან და ოჯახთან მართალი იყოს, „ვაზელინი“ არ უნდა სჭირდებოდეს.

**– როდესაც ამა თუ იმ მონაწილეს დაბალ ქულებს უწერენ, ამაზე რეაქცია და უკმაყოფილება მათ იმწამსვე ეტყობათ და ამას ახმოვანებენ კიდეც. მიუხედავად ძალიან დაბალი ქულებისა, შენ მაინც ყოველთვის მადლობას იხდი და მხოლოდ პოზიტივს გამოხატავ.**



– ყველა პროექტის მიზანია, რომ ყველა გაერთოს, სიამოვნება მიიღოს და, რაც მთავარია, ხალხი გაართოს. ზოგიერთი მონაწილე ამბობს, რომ მოსაგებად მოვიდა და ღმერთმა გაუმარჯოს ამ საქმეში. ცხოვრებაშიც და პროექტშიც ყველაზე მთავარი ის არის, რომ პოზიტიური განწყობა შეინარჩუნო და მოწოდების სიმაღლეზე იყო მაშინაც კი, როდესაც უსამართლოდ გექცევიან, თუნდაც, დაბალ ქულებს გიწერენ. არ ვგულისხმობ მეექვსე „ლაივს“, ნამდვილად არ ვიყავი საუკეთესო ფორმაში, მაგრამ, მინიმუმ ორი „ლაივი“ მაინც ჩემი უნდა ყოფილიყო. ალბათ, ვიღაცას არ უნდოდა, რომ ლიდერთა სიაში ვყოფილიყავი.

**– პროექტის ხელმძღვანელებს გულისხმობ?**

– ამას ასე კონკრეტულად ვერავის დავაბრალებ, მაგრამ, ფაქტი ჯიუტია. არხზე და არხის ხელმძღვანელობაზე ნამდვილად ვერაფერს ვიტყვი, ძალიან მაგარი ხალხია და თავისი საქმის სუპერ პროფესიონალები არიან, რაც ყველაფერში ეტყობათ; პროდიუსერებიც ძალიან მაგრად მუშაობენ, გულმოდგინედ და მუხლჩაუხრელად. უბრალოდ, ვიღაცას არ უნდოდა ჩემი ორგზის ლიდერობა. მაგრამ, მიუხედავად ამ ყველაფრისა, მე ჩემს საქმეს ვაკეთებ და ბოლომდე ვიხარჯები. ის საცოდავი, ვისაც თავისი გზა პროექტშიც და მის ფარგლებს გარეთაც ასე წარმოუდგენია, თავად მოიმკის იმას, რასაც თესავს. ან, შეიძლება, მეც მოვიმკა... *(იცინის)* ხალხი ყველაფერს ხედავს, ხალხი ბრძენია და არც არავის თორმეტი და არც არავის ორი ქულა უკვირს. ადამიანმა უნდა შეძლოს თავისი ღირსების შენარჩუნება აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.

**– ლაშა, ვისი განსახიერება მოგეწონა ყველაზე მეტად, ვის ტყავში გრძნობდი თავს ყველაზე კომფორტულად?**

– ჩემთვის ძალიან დიდი სიამოვნება იყო ბატონი თემურ წიკლაურის იმიტაცია და თვითონაც ძალიან დამეხმარა ამაში. ქართული უზარმაზარი მუსიკალური საზოგადოების მეფის, ნამდვილი არწივის განსახიერება მხვდა წილად და ამით უბედნიერესი ვარ. ძალიან ბედნიერი ვიქნებოდი, თუკი არც ერთ „ლაივს“ არ გამოვტოვებდი, მაგრამ, თეატრიდან გასტროლი გვაქვს, 18 დეკემბერს ამერიკაში უნდა ვიყოთ და, ამიტომ, ერთი „ლაივის“ გაცდენა მომიწევს. ჩემთვის, როგორც მსახიობისა და მომღერლისთვის, თეატრი უმნიშვნელოვანესია და, რაც არ უნდა მოხდეს, ქვეყანა რომ დაინგრეს, ჩემს თეატრს არასდროს ვუღალატებ, მით უმეტეს, როდესაც ჩვენს თეატრში ასეთი „სტაფია“. ზოგადად, ყველა პერსონაჟს ძალიან დიდი პასუხისმგებლობით ვასახიერებდი, უწვრილეს დეტალებამდე ვიქექებოდი თითოეულ მათგანში. წვრილმანებისგან შედგება ჩვენი ცხოვრება და, თუკი ადამიანი ამ პატარ-პატარა დეტალებს ყურადღებას არ მიაქცევს, ის დიდი, უზარმაზარი საქმე, რასაც ხელოვნება ჰქვია, ვერასდროს იტყვის თავის სიტყვას.

**– ვის განასახიერებდი სიამოვნებით? მაგალითად, კარგი იქნებოდა, ახლა რომ პავაროტი შეგხვედროდა.**

– პავაროტი რატომ, ბოჩელი ხომ იყო მსგავსი და, ყოველგვარი თავმდაბლობის გარეშე ვიტყვი, რომ ძალიან მაგარი იყო. ფაქტობრივად, იმ დღის ლიდერი უნდა ვყოფილიყავი, რომ არა ერთი ადამიანის საშუალო შეფასება, თუმცაღა, მეკუთვნოდა. ასევე შეიძლება ითქვას თემურ წიკლაურზეც – მისი იმიტაციის დროს მაღალი შეფასება მეკუთვნოდა. ჩემს ტემბრთან ახლოს არის ეს ყველაფერი. ლაიონელ რიჩისაც რომ მოვუსმინე, მიუხედავად იმისა, რომ მას ჩემს საუკეთესო „ლაივად“ არ ჩავთვლი, ჩვენი ხმები ძალიან ახლოს იყო ერთმანეთთან. არ მინდა ისე გამომივიდეს, რომ ყველაზე მაგარი ვიყავი, მარტო მე ვიმსახურებ მაღალ ქულებს და სხვა ყველა ცუდია... არა, უბრალოდ, ეს უნდა ვთქვა. უკვე მეექვსე „ლაივია“, ჩუმად ვარ და მადლობას ვიხდი არაფრისთვის, აბსოლუტურად არაობიექტური შეფასებისთვის და ხალხმა ძალიან კარგად იცის, ვის და რატომ ვუხდი მადლობას. მაგრამ, ვიმეორებ: მთავარი მაინც ისაა, რომ „ვაზელინი“ არ დამჭირვებია. რაც შეეხება იმას, თუ ვინ მინდა, შემხვდეს, ძალიან გამიხარდება, რომ რამაზ ჩხიკვაძე შემხვდეს. თეატრში მისი პერსონაჟის ინტერპრეტაცია მომიწია „ვერის უბნის მელოდიებში“ და დიდი სიამოვნებით გავიმეორებდი ამ შოუსთვის. ვნახოთ, რას ამოაგდებს ლოტოტრონი...

**– ოჯახის წევრების შეფასება მაინტერესებს, როგორ შეხვდნენ შენს გადაწყვეტილებას?**

– უბედნიერესი ადამიანი ვარ, რომ შემხვდა ისეთი ოჯახი, როგორიც შემხვდა. ჩემს ყოველ ნაბიჯს, ჩემს წინსვლას, ჩემი მეუღლე და ჩემი ოჯახის წევრები მოჰყვებიან. ერთი რამ მინდა გავახმაურო: მიუხედავად იმისა, რომ ამის გამო ვინმესთვის პასუხის მოთხოვნას არ ვიკადრებ, მაგრამ უპასუხოდ ვერ დავტოვებ: ჩემი შვილი ორი-სამი „ლაივის“ შეფასების შემდეგ, ჟიური რომ ქულების გამოცხადებას იწყებს, ყურებში თითებს ირჭობს, რომ არ გაიგოს... პირველი ადამიანი ხარ, ვისთანაც ამას ვამბობ. შეიძლება, ამას ჩემი მხრიდან ცუდი რეაგირება მოჰყვეს. არ ვიცი, ამ დონეზე თუ მოვთოკე ნერვები, ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ჩემმა შვილმა ასე აღარ ინერვიულოს. არასდროს ვიკადრებ ამის გახმაურებას „ლაივზე“ – ასე ჩემი გვარი, ჯიში, ჯილაგი არასდროს იქცევა. პირდაპირ ეთერში შოუს არავითარ შემთხვევაში არ გავაფუჭებ იმით, რომ წუწუნი დავიწყო – რა ქულებს მიწერთ-მეთქი, არ მოვალ – შოუს ჩაგიგდებთ-მეთქი, ვინმეს დავემუქრო. ასეთ რამეს ლაშა რამიშვილი არასდროს იკადრებს. მაგრამ, აქვე აუცილებლად მინდა გითხრა, რომ ძალიან ბევრჯერ ჟიურის ძალიან ობიექტურად შევუფასებივარ და ესეც მახსოვს. ძალიან დიდი მხარდაჭერა და გულშემატკივრობა გვაქვს ბერასგან და, მინდა, ეს აუცილებლად აღვნიშნო. ეს ის ადამიანია, რომელიც ყველას გვხვდება, გვამხნევებს და ყველანაირად გვერდში გვიდგას. ძალიან ნიჭიერი, მშრომელი კაცია და, რამდენჯერაც ერთმანეთს ვხვდებით, სულ შრომაში, ახლის ძიებასა და მოძრაობაშია ეს ადამიანი, რაც ძალიან დასაფასებელია. მადლობა მას ამისთვის, ამ ადამიანურობისთვის!

**სალომე გველესიანი**

**პროექტი: „ახალი ხმა“; მონაწილე: ნიკა ლაზარიაშვილი; ასაკი: 24 წელი; მწვრთნელი: სტეფანე მღებრიშვილი; სტატუსი: ნიჭიერი მომღერალი, საოცრად მუსიკალური, არაჩვეულებრივი ხმის ტემბრით, შესრულების განსხვავებული, საინტერესო მანერით – მისი ნამღერის თუნდაც რამდენჯერმე მოსმენა მუდმივად კარგ ხასიათზე გაყენებს და სიამოვნებას განიჭებს. ალბათ, სწორედ ამ თვისებებისა და კიდევ ბევრი პლუსის გამო, ნიკა სცენის მიღმაც ძალიან პოზიტიური ადამიანია, ბევრი დადებითი ენერგიით, ის სტეფანეს მთავარი „კოზირი“ გახდა – მისით გეგმავს შოუს მოგებას, რაც, წესით, ნამდვილად არ არის რეალობისგან შორს. ასე რომ, ვისაც ნიკას ფინალში გასვლა და მისი მიერ შოუს მოგება გსურთ, დაუმესიჯეთ ნომერზე: 0-903-200-211.**

# რა იყო მოულოდნელი ნიკა ლაზარიაშვილისთვის და რა სტიმულს აძლევს მას ქეთა თოფურია

**ნიკა ლაზარიაშვილი:** სტომატოლოგიური მაქვს დამთავრებული, თუმცა, ეს უკვე წარსულს ჩავაბარეთ. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც საკუთარ თავში არ ხარ გარკვეული: არც მუსიკისკენ ვიყავი, არც აქეთ. მაგრამ, მერე გადავწყვიტე, მუსიკალური კარიერა გამეგრძელებინა. 12 წლის ასაკში ქალბატონ მაია მიქაბერიძესთან მივედი ფოლკლორულ ანსამბლ „საგალობელში“. სამი წლის განმავლობაში სხვადასხვა სიმღერა შევისწავლე, ხალხურ სიმღერებს ვმღეროდი, გვქონდა კონცერტები, ჩაწერები, მაგრამ, შემდეგ გარკვეული პაუზა ავიღე – რაღაც ჩავარდნა მოხდა ამ კუთხით, სხვა რაღაცეებმა უფრო დამაინტერესა. 20-21 წლის ასაკში გადავწყვიტე, დავბრუნებოდი სიმღერას და სერიოზულად გამეგრძელებინა ამ კუთხით ჩემი კარიერა. მივედი ქალბატონ მზია მაცაბერიძესთან, რომელიც შესანიშნავი პედაგოგია. დავიწყე მასთან მომზადება, საესტრადო განხრით წავედი და, დღეს რაც ვიცი, რაც შემიძლია, ქალბატონი მზიას დამსახურებაა, რომელიც სულ მეუბნებოდა: ოთახში როდემდე უნდა იმღერო, რაღაცეები სცადეო. წინა „ვოისზეც“ მინდოდა გამოსვლა, მაგრამ, მზად არ ვიყავი და ვუთხარი, შემდეგზე გავალ-მეთქი.

**– „ბრმა ქასთინგზე,“ სანამ სცენაზე გახვიდოდი, თქვი, რომ სტეფანესთან გინდოდა მოხვედრა. იმ მომენტში სტეფანეს თავის გუნდში მხოლოდ ერთი ადგილი ჰქონდა დარჩენილი და სწორედ შენ შეავსე.**

– თავიდანვე სტეფანესთან მინდოდა წასვლა, რადგან, ვიცი, რომ ძალიან კარგ მუსიკას აკეთებს. შეიძლება, დათომ მოიგო ეს შოუ რამდენჯერმე, მაგრამ, მერჩივნა, სტეფანესთან წავსულიყავი და ერთად კარგი მუსიკა გაგვეკეთებინა. პროექტშიც უკვე ბევრი რამ ვისწავლე, ჩემთვის სცენაზე სიმღერაც პირველია, თუ არ ჩავთვლით იმ მომენტს, როდესაც 30 კაცი ვმღეროდით ფოლკლორს. ეს ჩემთვის პირველი კონკურსია და ძალიან კმაყოფილი ვარ სტეფანეთი, რადგან, მასთან მუშაობა საოცრებაა.

**– ანუ, რა პლუსები აქვს სტეფანეს გუნდში ყოფნას, მასთან მუშაობას?**

– ძალიან დიდი, სიტყვებით ვერ აგიხსნით, ეს თავად უნდა გამოსცადოთ და მიხვდებით, თავისი საქმის როგორი პროფესიონალია. რაც მთავარია, ძალიან მეგობრული და კომფორტული ადამიანია და ეს ყველაზე მნიშვნელოვანია, სხვანაირად ვერ იქნები კარგად, ბოლომდე უნდა გაიხსნა.

**– სცენაზე არასდროს მიმღერიაო, თქვი, მაგრამ, „ბრმა ქასთინგზე“ ისე იმღერე, ამას ვერავინ იფიქრებდა. ძალიან ლამაზი ხმა გაქვს და საოცრად თავისუფალი ხარ სცენაზე.**

– ყველანაირად ვეცადე. საკუთარ თავს სულ ვეუბნებოდი: შენ ასე უნდა გახვიდე სცენაზე, ყველაფერი ისე უნდა გააკეთო, ყველაფერი ისე უნდა გამოვიდეს, როგორც საჭიროა-მეთქი. ვფიქრობ: ისე გამოვიდა ყველაფერი, როგორც მინდოდა და როგორც ჩვენ გვინდა; ანუ, როგორც სტეფანეს უნდა, ისე გავაკეთებთ ყველაფერს, რადგან, მას ძალიან ვენდობი. ნებისმიერ გამოსვლას აქვს ღელვა, რინგზეც სერიოზული მოწინააღმდეგე მყავდა, მაგრამ, სტეფანემ სწორი არჩევანი გააკეთა.

**– ყველა მწვრთნელმა განაცხადა, რომ თანახმა არიან, შენ მოიგო „ახალი ხმა“.**

– თავიდან ცოტა გამიკვირდა, მოულოდნელი იყო ჩემთვის, თუმცა, რას იზამ, უნდა შეეჩვიო ყველაფერს. ვფიქრობდი გამარჯვებაზე, მაგრამ, სტეფანეს დამსახურებით, ახლა უფრო გამიმაყარდა იმედები, უფრო თავდაჯერებულიც გავხდი. ვფიქრობ, რომ უფრო მეტი შემიძლია და ამას ვაჩვენებთ „ლაივებზე“.

**– უკვე ძალიან დამაინტერესა იმან, თუ რას ვნახავთ სამშაბათის „ლაივზე“.**

– ყველაფერი იქნება გაცილებით უფრო მაღალ დონეზე, ვიდრე ეს მანამდე იყო.

**– ექსპერიმენტებიც გიყვარს?**

– დიახ და, არა მხოლოდ მე, ყველას უყვარს.

**– არა მგონია, ყველას უყვარდეს.**

– მე სტეფანე ვიგულისხმე, ორივეს გვიყვარს ექსპერიმენტები. არა მხოლოდ სიმღერაში, ზოგადად სხვა რაღაცეებშიც მიყვარს ექსპერიმენტები. მაგალითად, არ მიყვარს ცხოვრების დაგეგმვა. რა თქმა უნდა, არის რაღაცეები, რაც აუცილებლად უნდა დაგეგმო, მაგრამ, რაც შეგიძლია, რომ არ დაგეგმო, იმას ჩვეულებრივ უნდა შეხვდე და სპონტანურად გააკეთო. თუ გადაწყვეტილება სპონტანური იქნება და, თან, თუ ფიქრსაც მოასწრებ, მაშინ უკეთესი გამოვა. ვახერხებ ხოლმე გადაწყვეტილების ასე მიღებას.



უნდა შევხედო: როგორ მივყვებით, როგორ განვითარდება ურთიერთობა. ცოტა გიჟიც უნდა იყოს და უნდა მომყვეს

**– როგორც ვიცი, სპორტითაც ხარ დაკავებული.**

– ახლაც ვვარჯიშობ. ადრე ფეხბურთზე დავდიოდი და სიმღერას და ფეხბურთს ვუთავსებდი ერთმანეთს. შვიდი წელი ვიარე, მაგრამ, 14 წლის ასაკში მივხვდი, რომ საქართველოში ამ კუთხით დიდი პერსპექტივა არ არის, ამიტომ, თავი დავანებე. ცურვაზეც დავდიოდი, ოღონდ, მოყვარულის დონეზე.

**– დედმამიშვილი გყავს?**

– ძმა მყავს, თავისი ჯგუფი ჰყავს – „ნაპირი“. ერთად დავიწყეთ სიმღერა. ყველაზე კარგად მასთან ერთად ვერთობი. ჩემი გართობაა სიმღერა, ვარჯიში, ფეხბურთი, წიგნის კითხვა, მაგრამ, ყველაზე მთავარი მაინც ჩემი ძმაა – ჩემთვის ყველაზე საყვარელი ადამიანი. ბევრ რამეში ვუგებთ ერთმანეთს.

**– ალბათ, ბავშვობაში ძალიან ჩხუბობდით.**

– ერთმანეთს ვხოცავდით, ხშირი კონფლიქტი გვქონდა. მაგრამ, მერე ჩემი დეიდაშვილები ხუმრობდნენ: ნიკა და გიგა დაძმობილდნენო. ანუ, ხომ ძმებად დავიბადეთ, მაგრამ, სულ ომი გვქონდა, ბოლოს კი ერთმანეთი „ვიპოვეთ“ და თავიდან შეგვიყვარდა. ახლა აღარ ვჩხუბობთ.

**– ასე მგონია, ძალიან აქტიური, მოუსვენარი ბავშვი იქნებოდი.**

– ჩემი გაჩერება ძნელი იყო. თან ცოტა „კლიაუზნიკი“ ვიყავი, ცოტა „პეწენიკაც“. ახლაც ასეთი ვარ. რომ ვიცი, ეს აქ დავდე და მერე აღარ მხვდება ადგილზე, ამაზე ვბრაზდები. ფიცხი ხასიათი არ მაქვს, ძნელია ჩემი წყობიდან გამოყვანა, მაგრამ, ხომ გაგიგიათ: ცხვარი ცხვარია, მაგრამ, თუ გაცხარდა ცხარიაო.

**– ხიფათიანიც იქნებოდი – ისეთი მოუსვენარი ხარ, ახლაც ვერ ისვენებ.**

– კი, ვიყავი. ერთხელ კატას გავეკიდე ხეზე, მომიტყდა ტოტი, ჩამოვვარდი, დავეცი და ხელი მოვიტეხე, არადა, ფეხბურთში ფინალი მქონდა და მეკარე ვიყავი.

**– ახლა მითხარი, როგორი გოგონები მოგწონს.**

– ჩემთვის მისაღები, ანუ აქტიური გოგონები... ქერაა, შავგრემანი – ამას არ აქვს მნიშვნელობა. თავისი აქტიურობით უნდა მომაწონოს თავი, პასიური ადამიანები არ მიყვარს, თუმცა, ყველაფერი ზრდილობის ფარგლებში უნდა იყოს. ზრდილობაც კარგად მესმის და უზრდელობაც. უნდა შევხედო, როგორ მივყვებით, როგორ განვითარდება ურთიერთობა. ცოტა გიჟიც უნდა იყოს და უნდა მომყვეს. თუმცა, თუ ადამიანთან ახლო ურთიერთობა არ მაქვს, ანუ, პირველივე შემხვედრ და ახალგაცნობილ ადამიანთან სიგიჟეებს არ გავაკეთებ.

**– ქართველი მომღერლებიდან, საპირისპირო სქესს ვგულისხმობ, ყველაზე მეტად ვინ მოგწონს?**

– ფიზიკურად ძალიან მომწონს ქეთა თოფურია, „ა-სტუდიოს“ სიმღერებსაც ვუსმენ.

**– როგორც ვიცი, ცოტა ხნის წინ ქეთა გაიცანი. სად შეხვდი?**

– ქეთა სტეფანეს მეგობარია და, ცოტა ხნის წინ, როდესაც თბილისში იყო, სტეფანესთან სახლში გავიცანი. მეგობრული ფოტოებიც გადავიღეთ. ჩემი ნამღერიც მოსმენილი ჰქონდა. მითხრა: ძალიან მაგარი ბიჭი ხარ, ასე განაგრძეო. ძალიან დიდი პლუსია, როდესაც ასეთი ადამიანი დადებითად გაფასებს – ეს უფრო მეტად გეხმარება მომავალი გეგმების განხორციელებაში, სტიმულს გაძლევს. ძალიან თავისუფალი, პოზიტიური ადამიანია, ჩემთვის მისაღები და, ასეთ ადამიანებს ყოველთვის ვაფასებ.

**– ვფიქრობ, მაყურებელმა აუცილებლად უნდა დაგიმესიჯოს.**

– ამ პროექტში ძალიან დიდი გამოცდილება მივიღე, ბევრი რამ შევიძინე, ბევრი კარგი ადამიანი გავიცანი, მაგრამ, ყველაზე მაგარი ადამიანი, ვინც ამ შოუში გავიცანი, სტეფანე მღებრიშვილია. არ ვნანობ, რომ ამ პროექტში მოვხვდი, მაგრამ, ახლა ბევრი რამ მაყურებელზეც არის დამოკიდებული. ამიტომ, ვისაც მოგწონთ ან მოგეწონებათ ჩემი ნამღერი, დამირეკეთ ან დამიმესიჯეთ ნომერზე: 0-903-200-211.

**ნათია უტიაშვილი**

# ბრძნული აზრები

**ვერფელი**: ყველაზე ნაღდი სიმდიდრე – მოთხოვნილებათა სილარიბეა.

**თალესი**: მარტო გარეგნობას კი არ უნდა ილამაზებდეთ, არამედ, ლამაზი უნდა იყოთ თქვენი სულიერი თვისებებით.

**რიდი**: სიმართლე ის არის, რისთვისაც ადამიანები ერთმანეთს ხოცავენ.

**მონტენი**: სიმხდალე დედაა ულმობლობისა.

**ბიორნე**: არაფერი არ ინანო – აი, ეს არის ყოველგვარი სიბრძნის სათავე.

**ეზნერ-ეშენბახი**: რა არის სინანული? დიდი წუხილი იმის გამო, რომ ჩვენ ისეთნი ვართ, როგორებიც ვართ.

**კოლრიჯი**: სინდისი გონების მაჯისცემაა.

**სირუსი**: დააჯერეთ სულელი, რომ ხმა არ ამოიღოს და ის ბრძნად გაითქვამს სახელს.

**უნამუნო**: ყველაზე დიდი სულელი ის არის, ვისაც თავის ცხოვრებაში ერთი სიბრიყვე არ ჩაუდენია.

**ჰერბსტი**: სიტყვები საგნებია, რომელთაც ჩვენ, შეიძლება, შევეჯახოთ.

**გოეთე**: სიხარული მხოლოდ მას ენიჭება, ვისაც გაცემა შეუძლია.

**შექსპირი**: სიყვარული უფრო ძლიერია, ვიდრე სიკვდილის შიში.

**ციცერონი**: როცა აწმყოში არაფერი აქვთ საამაყო, გუშინდელი დღით ტრაბახობენ.

**სუვოროვი**: უქმად ყოფნა ყველა ბოროტების ძირია.

**პლუტარქე**: ვისაც იმედი აქვს, რომ უსაქმურობით შეინარჩუნებს ჯანმრთელობას, იმ კაცივით ბრიყვია, ვინც ფიქრობს, რომ ჩუმად ყოფნით ხმას დაიმუშავებს.

**დემოკრიტე**: შურიანი კაცი ისე აწყენინებს თავის თავს, თითქოს ისიც მისი მტერი იყოს.

**ბირსი**: ცბიერება თვისებაა, რომლითაც სუსტი ცხოველები ან ადამიანები განსხვავდებიან ძლიერთაგან.

**მორგენშტერნი**: არარაობა რომ რაღაცას ეძებს – ეს არის ცხოვრება.

**კანტი**: წესრიგი ბევრის შეკავშირებაა ერთი წესის მიხედვით.

**სენეკა**: თუ გინდა, რომ ყოველივე დაიქვემდებარო, თვით შენ დაექვემდებარე გონებას.

**სიუნ-ცზი**: ხალხში ვერ აღზრდი კეთილ თვისებებს, თუ იგი შეძლებულად არ ცხოვრობს.

**ლიხტენბერგი**: ხასიათი გონებაში კი არ გვიზის, არამედ – გულში.

**მაუდი**: ხასიათი ის არის, რასაც შენ სიბნელეში წარმოადგენ.

**როლანი**: ჯანმრთელობა ისევე გადამდებია, როგორც ავადმყოფობა.

**ჰერდერი**: დედამიწაზე ორი უდიდესი ტირანია: შემთხვევა და დრო.

**ფულერი**: დღევანდელი ერთი საათი ხვალის ორ საათს უდრის.

**მარკუზე**: აზროვნება ძალების დაძაბვაა, რწმენა კი – კომფორტი.

**ჟირარდენი**: ალღო გონიერების ცხვირია.

**ჩესტერტონი**: პატიოსანი ქალი არასდროს იტყუება, თუ, რა თქმა უნდა, საქმე არ ეხება მის ასაკს, წონასა და ქმრის შემოსავალს.

**როულენდი**: ქმარი – ესაა ის, რაც სიყვარულისგან ნერვის ამოღების შემდეგ დარჩა.

# თუ გამოიცნობთ

1. კომპანია Bell Systems-მა 1959 წელს გამოუშვა მხიარული ფერის კომპაქტური ტელეფონი, სახელწოდებით „პრინცესას ტელეფონი". ამ ტელეფონზე მოთხოვნილება მას შემდეგ გაიზარდა, რაც მეორე კომპანიის ხელმძღვანელმა ეს მოდელი თავის „პირმშოს" აჩუქა. **დაასახელეთ ვის.**

2. ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეორე ათასწლეულში მცხოვრები ეგვიპტის ფარაონის გვერდით ყოველთვის იყო რამდენიმე მონა, რომელთაც სხეულზე თაფლი ჰქონდათ წასმული. **რატომ?**

3. არც ისე დიდი ხნის წინ კუკის კუნძულებზე გამოუშვეს ოთხი მონეტისგან შემდგარი სუვენირი, რომელიც ლეგენდარულ კაპიტან კუკს მიეძღვნა. სუვენირების რაოდენობა შეზღუდული იყო, სულ – 1779. **რატომ?**

4. ორი ძველი გზის გადაკვეთაზე, ჩეხეთის ქალაქ ხებთან, დგას ქვის პირამიდა. მრავალი საუკუნის განმავლობაში ითვლებოდა, რომ ის სწორედ აქ მდებარეობდა. მეოცე საუკუნის დასაწყისში, გერმანელი მეცნიერების ვერსიით კი, ის დრეზდენში იყო. „გინესის რეკორდების წიგნში" კი მითითებულია, რომ ის ვილნიუსიდან ჩრდილოეთით, 25 კილომეტრშია. **რა?**

5. ავსტრალიური ფულის ყველაზე დაბალი ღირებულების კუპიურაზე ახლაც არის გამოსახული დიდი ბრიტანეთის დედოფალი – ის კვლავ ავსტრალიის დედოფლად მიიჩნევა. თუმცა, ხაზგასმულია, რომ მას ამ ქვეყანაზე ის ძალაუფლება აღარ გააჩნია. **რა გამოხატავს ამ აზრს?**

6. ჩინეთში ახალგაზრდა წყვილი დაქორწინებას რომ დააპირებს, ერთმანეთს წერილს სწერენ, სადაც მოკლედ აღწერენ თავიანთ მონაცემებს და მოთხოვნილებებს პარტნიორის მიმართ. ეს „საქორწინო ხელშეკრულება" თავისუფლად „გადაადგილდება" მთელ ქვეყანაში. შეიძლება, ადრესატამდეც მივიდეს ან გამგზავნს დაუბრუნდეს. ამ შემთხვევაში ის საოჯახო რელიკვიად იქცევა. **რაზე წერენ წერილებს შეყვარებულები?**

7. მეთექვსმეტე საუკუნეში ინგლისის დედოფალი ელიზაბეთ პირველი, სახეზე მისი ნაკვალევის დასაფარად, ძმარს და ტყვიის თეთრას იყენებდა. **რის ნაკვალევს ფარავდა ასე ინგლისის დედოფალი?**

8. ელექტრონული სკამი, თვითმფრინავი, ვერტმფრენი, წყალქვეშა ნავი, კოშკი პარიზის ცენტრში, გაფრენა კოსმოსში, ტელევიზია და ვიდეოკავშირი, სამგანზომილებიანი კინო... **დაასახელეთ ამ ჩამონათვალთან დაკავშირებული ადამიანი, რომელიც დაიბადა ნანტში, 1828 წელს და 1905-ში გარდაიცვალა.**

9. ძველბერძნული სიტყვა damar სიტყვასიტყვით მოთვინიერებულს ნიშნავს. ეს სიტყვა გამოიყენება, ასევე, ცხენის ან სხვა ველური ცხოველების გახედნის მნიშვნელობითაც. **დაასახელეთ, ვის უწოდებდნენ ელინები damar-ს?**

10. ამ ჟანრის მიმდევარმა მხატვარმა რენე მაგრიტმა ასე ახსნა მისი სახელწოდება – „ეს ბანალური აზრისგან გათავისუფლებული რეალობაა". **დაასახელეთ სიტყვა.**

***პასუხები იხილეთ მე-66 გვერდზე***

# მხოლოდ ფაქტები

* 1803 წლის 18 იანვარს სახრჩობელაზე გარდაცვლილი ჯორჯ ფოსტერის სხეული მაშინვე გადაიტანეს პროფესორ ალდინის სახლში, რათა შეემოწმებინათ, პროფესორ ბიჯის ლუიჯი გალვანის მტკიცება იმის შესახებ, რომ ლითონის მავთულებით გვამის გაცოცხლება შეიძლებოდა. შედეგმა მოლოდინს იმდენად გადააჭარბა, რომ ამის მნახველ რამდენიმე ადამიანს გული გაუსკდა და იქვე გარდაიცვალა.

* „ჩემი შეხედულებით, ეს უზარმაზარი ძეხვია, უამრავი ხელსაწყოთი გამოტენილი ისე, რომ საითაც უნდა გადააფურთხო, აუცილებლად ხელსაწყოს მოხვდება", – ასე აღწერდა ხრუშჩოვი წყალქვეშა ნავს.

* ჰავაელმა აბორიგენებმა ერთხელ ზედმეტი პატივისცემა გამოიჩინეს – კუკს მირთვეს ხორცი... დაღეჭილი.

* ტოკიოს კაფეში ფინჯან ყავაში 400 იენი უნდა გადაიხადოთ, თუმცა ითვლება, რომ ყავა უფასოა, თანხას თქვენ მიერ დაკავებულ ადგილში იხდით.

* მექსიკაში, ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის მიმდინარეობის დროს, ერთ-ერთმა სასიკვდილმისჯილმა მექსიკელმა ითხოვა, სასიკვდილო განაჩენი ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ აღესრულებინათ. თუმცა, ეს აღარ დასჭირდათ... სიკვდილმისჯილი მატჩის ყურების დროს გარდაიცვალა.

* 2010 წლის ზაფხულში ვენის საქალაქო ადმინისტრაციამ, ევროპის ქვეყნებში ანომალიური სიცხის გამო, საცურაო აუზებში ახალი წესები შემოიღო – ებანავათ, რაც შეიძლება თხელი და მცირე ზომების ქსოვილით შეკერილი საცურაო კოსტიუმებით – აუზებიდან ზედმეტი წყალი რომ არ „წაელოთ."

* იტალიელი მოქანდაკე – მაურიციო სავინი ქანდაკებების დასამზადებლად საღეჭ რეზინს იყენებს.

* მეთვრამეტე საუკუნის ევროპელი ქალბატონები დიდ ყურადღებას აქცევდნენ წარბებს... მისი გამომხატველობის გასაძლიერებლად თაგვის ბეწვს იყენებდნენ.

## შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**
**1. ლe8-g6!**
**შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა**



გარდაიცვალა მოხუცი, ძალიან მდიდარი ებრაელი. ნათესავებმა თავი მოიყარეს ნოტარიუსთან, რომელმაც ანდერძი უნდა წაიკითხოს.

„მე, ისაკ აბრამის ძე, საღ აზრზე მყოფი, ვაცხადებ, რომ სიკვდილის წინ მთელი ჩემი ქონება... დავხარჯე“...

***

კომპიუტერი – ეს ნამდვილი ბოროტებაა,




მაგრამ, თუ გამორთავ, მაშინ აქტიურდება ორი ბოროტება – მაცივარი და ტელევიზორი.

***

– მოქალაქე, თქვენ არაფხიზელ მდგომარეობაში ხართ, მეტროში ვერ შეგიშვებთ.

– კარგი... ამბობენ იქ კიბე თავისით დადისო, მართალია?

– კი...

– ქვემოთ დიდი დარბაზია, სულ მარმარილოთი მორთულიო...

– დიახ...

– მატარებლები დადიან ბნელ გვირაბებშიო...

– მართალია... ჩამოსული ხართ?

– არა, თბილისელი...

– და მეტროში არასდროს ყოფილხართ?

– არ მიშვებენ და...

***

ამონაწერი პედიატრის სამედიცინო ჩანაწერიდან:

„2 წლის, მამრობითი. უჭირს მეტყველება, გაუგებრად წარმოთქვამს სიტყვებს – დედა, მამა, მაგრამ წაქცევის დროს გამართულად იგინება“.

***

„მამაკაცებო, თუ თქვენ მოგწონთ ქალი, ნუ კარგავთ დროს, ისინი არ ახალგაზრდავდებიან, სამაგიეროდ, ჭკვიანდებიან და თქვენი შანსებიც მცირდება“.

***

როდესაც შვილები ცალკე იწყებენ ცხოვრებას, მაშინვე იგებენ, რომ ისინი სულაც არ არიან ყველაზე ჭკვიანები, მათი მშობლები კი არც ისე უტვინოები ყოფილან.

***

– ექიმო, იქნებ მირჩიოთ პოზა, რომელიც დაფეხმძიმებას გამორიცხავს.

– მაგალითად, ქალი – საწოლზე, მამაკაცი – დივანზე.

***

მიდის ტიპი უდაბნოში. წყურვილი კლავს. ხედავს, შენობაა, იქ მეგრელი ზის.

– წყალი, თუ შეიძლება.

– წყალი არ მაქვს, სამაგიეროდ, ძალიან ლამაზი ჰალსტუხები მაქვს, აირჩიე...

– კაცი არა ხარ, რა დროს ჰალსტუხია, ვიხრჩობი, ერთი ჭიქა წყალი გექნება...

– არა მაქვს წყალი, ერთ კილომეტრში ჩემს ბიძაშვილს რესტორანი აქვს, იქ შეგიძლია წყლის დალევა.

ერთი საათის შემდეგ უკან მოხოხდა პირგამშრალი კაცი.

– მომეცი შენი დაწყევლილი ჰალსტუხი, შენი ბიძაშვილი რესტორანში უჰალსტუხოდ არ მიშვებს.

***

ქირურგმა კიდევ ერთხელ გასინჯა გასაწერად მომზადებული პაციენტი.

– მითხარით, როდის შემიძლია სრულფასოვანი სქესობრივი ცხოვრების დაწყება.

ექიმმა გაოცებული თვალებით შეხედა პაციენტს.

– რამე ისე არ არის? თქვენ ხომ მითხარით, რომ ყველაფერი კარგადააო?!

– კი, ყველაფერი კარგადაა, ოღონდ აქამდე, გლანდების ოპერაციის შემდეგ, ჩემთვის არასდროს დაუსვამთ ასეთი შეკითხვა.

***

– შენ ვერ ახერხებ ლაპარაკს? ფეხზე ვერ დგები? არ შეგიძლია ბოთლის გარეშე? – არ ინერვიულო, შენ ხომ ჯერ ექვსი თვის ხარ.




***

– თუ დემოკრატიული არჩევნები ჩატარდება, ხელისუფლებაში ქურდები და მამაძაღლები მოვლენ...

– და თუ არ ჩატარდება, ისინი ხელისუფლებაში დარჩებიან...

***

– ის ისეთია, ისეთი...

– მაინც როგორი ისეთი?

– თვითონ მიხვდები – დაინახავ და შარვალი მოგიძვრება.

– სად? წინ თუ უკან?

***

– ეკაკუნებიან, გეხვეწებიან, დაბინდდება თუ არა, გარეთ არ გამოხვიდე... ამბობენ, ქალაქში მანიაკი გამოჩნდა, ხოცავს თურმე მეძავებს...

– და მე რა შუაში ვარ...

– არ დამამთავრებინე, ბოზებსაცო...

***

– რა აკვირებს ამ ჩვენ მეზობელს, მშობიარობს?

– არა ფეხმძიმდება...

***

გავიდა ქმარი სახლიდან დილაუთენია, კუს ტბაზე უნდა ირბინოს, ივარჯიშოს... მაგრამ გარეთ საშინელი ამინდია, ქარი ანგრევს ყველაფერს, წვიმამაც წამოუშინა. შებრუნდა სახლში და ცოლს საწოლში შეუგორდა.

– ეს შენ ხარ, საყვარელო?

– ჰო... აუ, რა საშინელი ამინდია!

– ჩემი დებილი ქმარი კიდევ სავარჯიშოდ და სარბენად კუს ტბაზე წავიდა...

***

– სამსახურიდან რომ წავიდე, რით ვიცხოვრო? თუ ვიმუშავებ, როდის ვიცხოვრო?

***

– საყვარელო, უცბად რომ მოვკვდე, მეორე ცოლს მოიყვან?

– არა, რას ამბობ, რა ცოლს?!




– ესე იგი, არ მოგწონს, ცოლიანი რომ ხარ?..

– არა, არა, მაგის თქმა არ მინდოდა, როგორ არ მომწონს...

– აბა, რატომ ამბობ, არ მოვიყვანო...

– ჰო, კარგი, მოვიყვან...

– და, აქ იცხოვრებთ?

– სხვაგან, აბა, სად?

– ამ საძინებელში დაიძინებთ?

– ალბათ...

– და ჩემი მანქანით ივლის?

– არა, იმას მართვის მოწმობა არა აქვს....

***

– შვილო, რატომ მოუყევი ყველას სპორტის მასწავლებელი რომ მათემატიკისას კოცნიდა.

– თვითონ მთხოვა... მითხრა: სანდრო, მანდ შენთვის რომ იცინი, ხმამაღლა თქვი, ჩვენც გაგვაცინეო...

***

– ღმერთო, მომეცი მოთმინება, ძალა... დასაწყისისთვის მილიონი დოლარი მაინც...

# მილიციას გადარჩენილი ცირასა და სიკვდილს გადარჩენილი მურმანის ამბავი

ფქვილი თუ გამოჩნდებოდა – დენი არ იყო, დენი თუ გამოჩნდებოდა – ფქვილი ჭირდა. ორივე თუ იყო – წყალი არ მოდიოდა და... ჭირდა პურის გამოცხობა თბილისში, ქუთაისში და სრულიად საქართველოში...

მიხვდით ალბათ... 1993 წელი იდგა, მშიერი წელი.

მე მაშინ ისეთ უწყებაში ვმუშაობდი, რომ პური ყოველი მესამის შემდეგ მერგებოდა და ერთ დღესაც, ჩვეულებისამებრ, დილაადრიან უზარმაზარი ცელოფნის პარკით მივდივარ. კორპუსის ზემო სართულიდან ყვავილის ქოთანი გადმოვარდა. ბედი უნდა, რა... პირდაპირ ჩემი წანწკეტებული ცხვირის წინ ჩაიშხუილა და ყუმბარასავით გასკდა ჩემს ფეხებთან... გადავრჩი!




ავიღე პურები (ექვსი ერთეული) და ვბრუნდები სახლში, რომ ჩემები გავახარო...

– ერთი წუთით! – უცერემონიოდ ამომიდგა გვერდით საშუალო ასაკს გადაცილებული, ტანდაბალი, მაგრამ დამაჯერებლად შავულვაშიანი მამაკაცი, – სულ ერთი წუთით, სულ ორი სიტყვა მაქვს თქვენთან...

– გისმენთ, ბატონო, – შევაჩერე წინსვლა.

– სტალბერი მქვია მე (სტალინი-ბერია) და ღურწკაია ვარ კიდო... გამომიწოდა ხელი.

– მურმანი! – შევაგებე ხელი და სახელი.

– ხოხ... გარშოკი გადმოუვარდა ჩემს ცოლს ბალკონიდან, ცირას... აგცდათ თქვენ და გადარჩით.

– ნუუ... ხდება... – ვთქვი მშრალად.

– ხოხ? რას ჰქვია, ხდება! კარგი და არ აგცდენოდა, ხომ იქვე და იმწამსვე გაგაპარჭყალებინებდათ ფეხებს? ხოო და, ხომ და ხომ გადარჩი?! ამაშია საქმე. კარგი და, მოგხვედროდა და წაქცეულიყავი, ხომ დაგეხვეოდნენ და ვერ გადაგარჩენდნენ?!

– ახლა რა გნებავთ, ბატონო? – დაიძრა ჩემი ტვინი და ენა ერთდროულად.

– ხოხ?! რა მნებავს კაია... რა მნებავს და უნდა დავნათესავდეთ და დავძმაკაცდეთ ჩვენ და შენ! ხუმრობაა, რომ აგცდა გარშოკი მაგ მშვენიერ თავზე? უნდა გაგაცნო მე დანაშაულში ექვმიტანილი ჩემი ცოლი ცირა და უარი არ მითხრა ახლა... ავიდეთ აგერ, აქვე, მეექვსე სართულზე და აღვნიშნოთ, ჩემი ცირას მილიციაში და თქვენი კუბოში არჩავარდნის სადღეგრძელო დავლიოთ. ლობიო მაქვს ისეთი, მკვდარს ააფეთქებს, გეუბნები... ღვინოც მაქვს, კიდო... ის... პური არ მაქვს, რაც მართალია, მაგრამ აგერ არ გაქვს შენ?!

– არაა საჭირო.

– ხოხ! რასაა, რომ ამბობ, კაცო შენ? მართლა მურმანი ხო არ ხარ, ახლა მე და ცირას შვაში რო ამოიეკლო, შე კაცო?! ლობიო, პური – კეთილი გული...

არ ვიცი, თქვენ რას იზამდით, მაგრამ მე ავყევი.

– ქალო, ესაა ის კაცი, კინაღამ გარშოკი რო ჩამოაცვი! – შემიძღვა სახლში მასპინძელი.

– უიი! მომიკვდეს თავი! – კინაღამ მოგკალით, ბატონო! – შემომეგება ცირა.

– ნუ... არა უშავს (რას გადავეკიდე, ამ „ნუ“-ს, ახლაც მიკვირს).

სტალბერი გათამამდა.

– ხო, გეყო ახლა ტლიკინი... გაგვიცხელე ლობიო მე და აბესალომს და ღვინო როა ჩარჩენილი ბოცაში, ის მოგვიგელვე... პური კი აქვს აბესალომს...

ენაწყლიანმა მასპინძელმა გვარიანად შემიყოლია. პირველი ჭიქა მეძმარა, მეორე – ცოტა მეძმარა, მესამე და მეოთხე – გატკბა და დავცხეთ!

სახლში 5 საათის დაგვიანებით მივედი და... სამი პური მივიტანე. ვიცი, ეცოტავათ, მაგრამ ხმა არ ამოუღიათ, იმიტომ რომ, ჭკვიანები არიან და მიხვდნენ, ვერაფერს გამაგებინებდნენ. მეორე დღეს ისევ ავიღე 6 პური და რომ გამოვბრუნდი.

– ხოხ, სადაა, რომ მიიპარები შენ?! (უკვე „გამიშენდა“ სტალბერი). ვომში წასულებზე რომ მიმატოვე, კარგია მაგ? ამოდი ახლავე... ძმაკაცები არ ვართ?

– არა... ბოდიში... მეჩქარება, შევკადრე „დაძმაკაცებულს“.

– ხოხ, ჩემო მურმან ყრუ... გეკადრება?! ვომში დაღუპულები რომ მიმიტოვე სავსე ჭიქით? ახლავე ავიდეთ და ლობიო გვაქ კიდო, ღვთის წყალობით და ღვინოც არის კიდო. პური კი გაქვს შენ და რა გვინდა მეტი?

სახლში ისევ პურებნაკლული მივედი და ცოლმა შენიშვნა (ყვითელი ბარათი) მომცა, შენ სადღაც „დაძვრები“, ბიძია (ახლა ბიძია!), თვარა, უმიზეზოდ პურად კალოირებს არ დააკლებდი ოჯახსო.

მესამე დღეს დაკლაკნილად წავედი (ქუჩაქუჩა დავხლართე მარშრუტი), მაგრამ ჩემი მცდელობა ამაო გამოდგა. სტალბერი, იტალიელი მაფიოზივით, კორპუსის კუთხეში მელოდა.

– ხოხ, გეგონა დამისხლტი ხელიდან, ხომ? – დედა, რა უნდა გითხრა, აბესალომ ჩემო.

– რა? (ხეს და ქვას ეჩვევა კაცი და არ გამკვირვებია) არ მითხრა ახლა, კიდევ ავიდეთო.

– არა, მაგას არ გეტყვი, მარა, იცი, რა? წუხელ, სიზმარში ბებია ვნახე ჩემი – აგრაფინა ვასილიევნა, რა მითხრა, იცი? მე რატომ არ მადღეგრძელეთო – მაგან! არ იქნება სპრავედლივი, რო არ ვადღეგრძელოთ. ბებიაა, კაცო, ბაბუა კი არა, ბოლოს და ბოლოს! ის ლობიო კიდევაა და ღვინოც დარჩა იმდენი, რომ აგრაფინა ბებია ვადღეგრძელოთ მე და შენ, ჩემო კიაზო...

და... დავცხეთ და რომ დავცხეთ კიდევ ორი პური რომ შეეწირა აგრაფინა ვასილიევნას ხსოვნის სადღეგრძელოს. გულმოწყალე და კეთილ მასპინძელს გამოვემშვიდობე, კარში ვდგავარ, პალტოს ვიცვამ და ჩემს ყურს ასეთი დიალოგი მოსწვდა.

ცირა – ცოლი: კაცო, გაგიჟდი შენ?! ჩამისახლე ბარემ სახლში ეს ვინცხა ბომჟი... ხო, ხო... ჩაწერე ბარემ აქ!

– გაჩუმდი, ქალო, შენ! – აჩუმებს სტალბერი დაბალი, ხავერდოვანი ბარიტონით. რა იცი, ქალო, ცხოვრება შენ! რა იცი! არ იცი, რა დროა ახლა? მესამე დღეა კაცი უფასოდ გვაძლევს პურებს, პლუს კიდო, ის ამჟავებული ლობიო და აძმარებული ღვინოც გაგვისაღა. რა გინდა, ქალო, მეტი შენ?!

... მეოთხე დღეს სხვა მაღაზიაში წავედი.

**მოამზადა**
**მურმან მერკვილიშვილმა**

# ჩინელი ბიჭის თვალით დანახული ქართველი ქალებისა და კაცების უფლებები

გამარჯობა, დედა, როგორ ხარ? ძალიან მენატრებით ყველა. მე არა მიშავს, ვცხოვრობ ძველებურად.

ამ წერილში მოგიყვები, ვის რისი უფლება აქვს საქართველოში და რისი – არა, თუმცა, ამდენი ხნის განმავლობაში მე თვითონაც ვერ მივხვდი, ისეთი სასწაულები ხდება ხოლმე აქ.

ამ ამბით მას შემდეგ დავინტერესდი, რაც „ფეისბუქში“ ვიღაც კაცის ფოტო გამოჩნდა, რომელსაც ძაღლის თავი უჭირავს ხელში. ატყდა დიდი ამბავი და მითქმა-მოთქმა, აქაოდა, ცხოველს სასტიკად მოექცნენო. როგორც მე მივხვდი, საქართველოში ცხოველს გააჩნია, თორემ, გატყავებული და თავმოჭრილი ცხვრის, ღორის და გარეული ცხოველების ფოტოებს ყველა თავმოყვარე ქართველის ალბომში შეხვდები. ცხოველების ხოცვის ცალკე დღესასწაულებიც არსებობს აქ და, ერთი ძაღლი რა გაუხდათ, ვერ გავიგე.

ადამიანის უფლებებს რაც შეეხება, კონსტიტუციით ყველას უფლება დაცულია, მაგრამ, კონსტიტუციას ვინ უყურებს, ვინმეს თუ თვალში არ მოუხვედი. ამიტომ, ზუსტად ქართველებივით ვიცვამ და ქრისტიანულად ვიქცევი, რომ ვინმეს განსხვავებული რელიგიის, ან, მთლად უარესი – განსხვავებული ორიენტაციის არ ვეგონო, თორემ, შეიძლება, გინებას არ დასჯერდნენ და მიმასიკვდილონ.

საქართველოში მოქალაქეების უფლებების სიმრავლეს მისი სიმდიდრე განსაზღვრავს, ანუ, რაც უფრო მდიდარია ადამიანი, მით უფრო მეტის უფლება აქვს, ხანდახან – ყველაფრისაც, თუმცა, ეს, ალბათ, ყველა ქვეყანაში ასეა მეტ-ნაკლებად.




ქალისა და კაცის უფლებები აქ მნიშვნელოვნად განსხვავდება. კაცი თუ ცოლს ულალატებს, თითქმის არავინ არაფრად აგდებს, ის კი არა, ხშირად მომისმენია, როგორ სიამაყით ყვებიან ხოლმე ასეთი ქმრები თავიანთ „საგმირო“ ამბებს, მაგრამ, აი, ქალი თუ ულალატებს ქმარს, ეს, შეიძლება, მისთვის სასიკვდილო განაჩენის ტოლფასი აღმოჩნდეს. თუკი ამ ქვეყანაში ქალი თამამად იქცევა, დიდ წარმატებებს აღწევს, თავისუფლად შეუძლია თავისი აზრის გამოთქმა, ასეთი ქალები, უმეტეს შემთხვევაში, გაუთხოვრები, განათხოვრები ან უცხოელების ცოლები არიან.

თითქოს ყველაფრის დაცვის ორგანიზაციები არსებობს საქართველოში, მაგრამ, გონიერად და ფრთხილად თუ არ იცხოვრე, ვერავინ ვერაფრისგან ვერ დაგიცავს. პრინციპში, ერთი მუჭა ხალხია ქართველები და ერთმანეთს არ ინდობენ და, უცხოტომელს რისი იმედი უნდა ჰქონდეს?! ხშირად მინახავს ერთმანეთს დატაკებული უზარმაზარი ჯგუფები, სადაც სისხლიც იღვრება ხოლმე, ძირითადად, პოლიტიკური პარტიების გამო, მერე ეს ხალხი დაიშლება და პოლიტიკოსები ისევ ბევრ ფულს შოულობენ.

მოკლედ დედა, თუ ოდესმე საქართველოში მოხვდები, შენი უფლებების გასარკვევად, კონსტიტუციაში ჩახედვას, ჯობია, ხალხს დააკვირდე და ყველაფერს მიხვდები.

მერე კიდევ მოგწერ, ჯერჯერობით სულ ეს არის. მომიკითხე ყველა.

**გკოცნით**
**თქვენი ტოზი ვონგი**

# „ისი-პარის" და კაროლინას ერერას საახალწლო საჩუქარი ქართველ ქალბატონებს



კაროლინა ერერას მიერ შექმნილი დახვეწილი, სრულყოფილი, ემოციური და მოდური ტენდენციებით შექმნილი ტანსაცმლის ტარება, ნებისმიერი ქალბატონის ოცნებაა. მისი კლასიკურად მიჩნეული პარფიუმერიული არომატები კი ნებისმიერი მამაკაცისთვის მიმზიდველსა და სასურველს ხდის სუსტი სქესის წარმომადგენელს.

„ისი-პარი" თავის მომხმარებლებს რომ სიახლეებით ანებივრებს, ეს ფაქტია, მაგრამ მის ქსელში გამოჩენილი კაროლინა ერერას ახალი სუნამო Eau De Parfum Sublime, ნამდვილად ეპატაჟურია, – სუნამოს ხასიათი გაჯერებულია რომანტიკული შიპრის ნოტებით. ბერგამოტი, ფაჩული, ხავსი და ამბრი შერწყმულია ტყავისა და ყვავილოვან-ხილის აკორდებთან. ამიტომ ქალი, რომელიც მას იპკურებს, იდუმალ და ზღაპრულ გარემოში ხვდება. ახალი კომპოზიცია შთაგონებულია 20-იანი წლების ვინტაჟური არომატებით, მაგრამ ამავე დროს აქვს თანამედროვე ჟღერადობა.



ეს არის ახალი ვერსია ლეგენდარული სამყაროსი კაროლინა ერერასგან. მის ძლიერ არომატულ ხასიათს კი უფრო მიმზიდველს ხდის ვარდის განუმეორებელი კასკადი, რომელიც იხსნება ორქიდეას გრილი და ეგზოტიკური ბერგამოტის ნოტებით.




ეს სწორედ ის არომატია, რომელიც ნებისმიერი ქალის ჩანთაში უნდა ინახებოდეს. ის განკუთვნილია მათთვის, ვინც ხაზს უსვამს საკუთარ ელეგანტურობას, მგრძნობიარობას და ქალურობას. ეს არის მხიარული, მომხიბვლელი და მომაჯადოებლად ამოუცნობი არომატი!

ასე რომ, თუ გსურთ, საახალწლოდ საყვარელი ქალი გაახაროთ და მისი გულიც მოიგოთ, აუცილებლად შეიარეთ „ისი-პარის" მაღაზიებში, შეურჩიეთ და უყიდეთ მას კაროლინა ერერას ახალი, იდუმალი და ეპატაჟური პარფიუმი.





გვ. 47

**ვინ ექცეოდა ქართველ მსოფლიოს ჩემპიონს სამბოში უსამართლოდ და რატომ გულშემატკივრობდა რუსი მაყურებელი ქართველ სპორტსმენს**



გვ. 71

**როგორ მიიწვია ცნობილმა დიჯეიმ თავისთან გიორგი კაპანაძე და როგორ აჰყვა 12 წლის დრამერს დაკვრაში მარკუს მილერი**



გვ. 70

**რა დღიურებს წერს ქეთი ხატიაშვილი და რითაა ის უზომოდ ბედნიერი**

ISSN 1987-569X
9 771987 569002

საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო და თბილისი – შიგ ჩასმული ბადახში

# თბილისელები®

www.tbiliselebi.ge

ყოველკვირეული ჟურნალი * გამოდის ორშაბათობით * №50 (676) * 9 – 15 დეკემბერი * ფასი 1,50 ლარი